avtoris stili daculia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ეკა სილაგაძე

''მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია საქართველოში 1928 -1947 წწ''

ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

ხელმძღვანელი

ისტორიის მეცნიერებათ დოქტორი, პროფესორი

ქეთევან პავლიაშვილი

უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

2014

შინაარსი

შესავალი 3

თავი I საბჭოთა იმპერიის სარწმუნოებრივი პოლიტიკა

§1. სოციალისტური იდეების წინამძღვრები და ფორმირება–საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში 9

§2. საბჭოთა მთავრობა მენშევიკური ხელისუფლების ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკის მემკვიდრე და ამ პოლიტიკის შედეგები. 40

თავი II „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი"

§1. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" შექმნის პრეისტორია და მისი დაარსება. 59

§2. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" იდეოლოგიის ევოლუციური გზა და მუშაობის მეთოდოლოგია. 76

თავი III „მებრძოლ უღმერთოთ კავშირი" და „კულტურული რევოლუცია" საქართველოში

§1. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" თვისობრივი ხასიათი და მუშაობის თავისებურებანი საქართველოში. 84

§2. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი" და კოლექტივიზაციის საკითხი. 103

თავი IV „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" დაისი

§1. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" კრახის წინამძღვრები და შედეგები (XX ს-ის 30-იან წლების ბოლო და 40-იანი წლების დასაწყისი). 115

§2. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღონისძიებები საბჭოთა კავშირის ანტისარწუნოებრივი პოლიტიკის პარალელურად. 139

§3. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი და საქართველოში არსებული რელიგიური კონფესიები. 154

დასკვნა. 161

შემოკლებების განმარტება. 167

ბიბლიოგრაფია. 168

შესავალი

საქართველოს სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადების დღიდან, ეტაპობრივად დაიწყო ეროვნებისა და მართლმადიდებლობის იდენტიფიცირების პროცესი. შედეგად, ქართველთა ცნობიერებაში მამული და სარწმუნოება სამეტყველო და სამწერლო ენასთან ერთად განუყოფელი გახდა. ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში მართლმადიდებელ სარწმუნოებასა და მაღალი დონის ქრისტიანულ კულტურას, არ შეიძლებოდა დადებითად არ ემოქმედა. ქრისტიანულ-მართლმადიდებლობას ხომ აქვს ყველა ნიშანი, რითაც სახელმწიფოს შიგნით, იმავე სახელმწიფოს ინტერესებისათვის აუცილებელი და საჭირო, საზოგადოების სამოქალაქო აზროვნება ყალიბდება. მორწმუნე მასა და მრევლი ხომ ისტორიულად კანონმორჩილი და უმაღლესი ფასეულობების მიმდევარი იყო საქართველოში. საქართველოს ისტორიული მტრები ყოველთვის სარწმუნოებრივი დევნით ცდილობდნენ ქართველთა ცნობიერებაში ნიჰილიზმისა და ანტისახელმწიფოებრივი იდეოლოგიის დანერგვას. სხვადასხვა დროში კონფესიურად განსხვავებული ერები, რომლებიც საქართველოს იპყრობდნენ, მართლმადიდებლობის ჩანაცვლებას თავიანთი რელიგიით ცდილობდნენ. საუკეთესო შემთხვევაში მცდელობა მცდელობად რჩებოდა, მაგრამ დღესდღეობით სახეზე გვაქვს არა მხოლოდმართლმადიდებელი, არამედ მუსლიმი, კათოლიკე და სხვა აღმსარებლობის მიმდევარი ქართველი – ქვეყნის შინ დაგარეთ. უმნიშვნელო არაა თვით რელიგიური სექტანტიზმის გავრცელების სტატისტიკა, რომელიც ძირითადად სოციალური პირობებისა და ძლიერი, სახელმწიფო იდეოლოგიის დონეზე აყვანილი რელიგიური პოლიტიკის არარსებობის შედეგია.

საბჭოთა წყობილება და მისი სოციალისტურ-სოციალური სტრუქტურა, ყველა დებულებით დაუპირისპირდა ეროვნულ ეკლესიას რადგან, ლიდერებმა კარგად იცოდნენ, ერებს შორის ასიმილირება, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების აღმოფხვრით, გააიოლებდა ახალი, ერთიანი - საბჭოთა ხალხის ფორმირებას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველოს წინაშე დადგა პოლიტიკური ორიენტაციის გარკვევის საკითხი, საზოგადოებაში გამოიკვეთა აზრი, რომელიც ევროპისა და ამერიკის სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო. თუმცა ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია ქართველი ერისა და კულტურის თვითმყოფადი ხასიათი, რომლის იგნორირებაც ყოვლად დაუშვებელია. მიმდინარე პროცესებმა

დაბადა მეტი სიფრთხილის გამოჩენის აუცილებლობა. მეტადრე მაშინ, როცა არც ევროპა და არც ამერიკა არ არის იმ კონფესიის მიმდევარი, რომლის მატარებელიცაა ისტორიულად საქართველო. თანამედროვე ქვეყნებში, ძირითადად სინდისის თავისუფლებაა გამოცხადებული და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში აქვს ამა თუ იმ რელიგიას მინიჭებული პრიორიტეტი. ჩვენი ღრმა რწმენით, ანალოგიური მიდგომა ამ ეტაპზე ქართული სახელმწიფოს სინამდვილეში დაუშვებელია, მითუმეტეს რომ დარღვეულია ტერიტორიული მთლიანობა, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი დაუძლეველია, ხოლო მომიჯნავე სახელმწიფოთა პოლიტიკური ინტერესები საქართველოს მიმართ, კვლავაც უცვლელია. აღნიშნულ მოსაზრებას კი აშკარად ადასტურებს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული და კონკრეტულად ჩვენს მიერ შერჩეული კვლევის ობიექტი და მისი ქრონოლოგიური ჩარჩო. გარდა ამისა, ამ დრომდე, ორგანიზაცია "მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" სახით, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოში არა მხოლოდ ანტირელიგიური იდეოლოგიის დანერგვის საქმეს, არამედ ამავე სახელმწიფოსთვის არსობრივად მნიშვნელოვან პროექტს, "კულტურულ რევოლუციასა" და მისივე შემადგენილ ნაწილს, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას ჩაუდგა სათავეში, ქრონოლოგიურად არ გამოკვლეულა. თუმცაღა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მისთვის დამახასიათებელი ძირითადი ანტირელიგიური ასპექტები ფართო საზოგადოებისთვის არც თუ უცნობია. "მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" საბჭოთა სინამდვილეში აღმოცენების ალბათობა იმდენად კანონზომიერია, რამდენადაც კომუნიზმი და სოციალიზმი – ანტირელიგიურ-ანტისარწმუნოებრივი, ამავე დროს, იგიზოგადად ანტიკლასობრივი ორგანიზაციაა. კომუნისტური რეჟიმის დამყარებამ განსაზღვრა წინა საუკუნეების ევროპის ანტირელიგიური იდეოლოგიის პოპულარიზაცია და გავრცელება ახალი სახელმწიფო წყობის პირობებში. განსხვავებული რელიგიური კონფესიებისა და აღმსარებლობის ერების მართვა გაცილებით ადვილი იქნებოდა, თუ მათ მიერ აღიარებული სარწმუნოება საერთოდ უტოპიად გამოცხადებოდა. კომუნისტური წყობილების იდეოლოგებს პრეტენზია ჰქონდათ, რომ თვით კომუნიზმია ახალი რწმენის სახეობა და მას არავითარი კავშირი არ აქვს ისეთ მოვლენასთან, როგორიცაა რელიგია. სწორედ აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა რომ, "მებრძოლ უღმერთოთა კავშირი" მკვეთრად საბჭოთა მოვლენაა, ვერც ბოლშევიკებმა აუქციეს გვერდი იმ უდაო ჭეშმარიტებას, რომლის თანახმადაც "ყველგან და ყოველთვის, პოლიტიკას, როგორც კაცობრიობის სხვა სულიერ მოვლენასაც, ახლო დამოკიდებულება აქვს

სარწმუნოებასთან. სწორედ საკვირველია, ამბობს კომუნისტი პრუდონი, ''როგორც კი შევტოპავთ პოლიტიკაში, მაშინვე ღვთისმეტყველებას წავაწყდებით. ეს ასეც უნდა იყოს. სარწმუნოება ხომ, ეს კავშირი ღვთისა და ადამიანს შორის, არის ამასთანავე საძირკველი კაცობრიულ კავშირთა და საიმედო დამცველი ჭეშმარიტ უფლებისა და საუკუნო ნორმათა, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს პოლიტიკა, ეს მმართველი – საზოგადო ცხოვრებისა და დამოკიდებულებათა'' (ათეიზმი 1910: 3-4).

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს სწორედაც რომ იმ ძირითადი ასპექტების წარმოჩენას, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა ერთგვარი სინთეზია და რომ ეს ორი ცნება განუყოფელია. ჯერ კიდევ მეფის რუსეთმა, რომელმაც საქართველო გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე თავისი ქვეშევრდომობის ქვეშ მიიღო, საერთო იმპერიალისტური ზრახვების ჩვენი ქვეყნის მიმართ განხორციელება სწორედაც რომ სარწმუნოებრივი ჩაგვრის მეთოდებით წარმართა. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალურობა დაკარგა. რუსიფიკატორული პოლიტიკა ქართველ ერს გადაგვარებას უქადდა და რუსეთი ამას ქართული ეკლესიის დაკნინების გარეშე ვერ მოახერხებდა. მას შემდეგ რაც დაემხო ცარიზმი და 1917 წელს ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ დაკარგული დამოუკიდებლობა მოიპოვა, ხოლო 1918 წელს თვით საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, სათავეში მოსულმა სოციალ-დემოკრატებმა არათუ არასწორი საერთო-პოლიტიკური, არამედ ზოგადად ანტისაეკლესიო რეფორმით, XX საუკუნის უდიდესი მიღწევის, ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვა დააჩქარეს. საქართველოს ანექსია მოახდინა საბჭოთა რუსეთმა, რომლის ავანგარდშიც ძირითადად ქართული წარმოშობის, მაგრამ რუსული მსოფლმხედველობის ბოლშევიკი ლიდერები იდგნენ.

ბოლშევიკების მიერ განხორციელებული პოლიტიკის წყალობით, ეჭქვეშ არა მხოლოდ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, არამედ თვით ყველა სახის რელიგიური აღმსარებლობის არსებობა-არარსებობის საკითხი დადგა, თუმცა მათი ლიდერის, იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ხედვა გაცილებით შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა. მან დაინახა ეკლესიისა და სარწმუნოების იდეოლოგიური ძალა და ისიც, რომ მძლავრი, ანტისარწმუნოებრივი ორგანიზაცია ''მებრძოლ უღმერთოთა კავშირის'' სახითაც კი, უძლური იყო რელიგიის წინაშე. ''მუკის'' მიერ გატარებული სამუშაოების მაღალეფექტურობას, ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური რეპრესიები

უზრუნველყოფდნენ. ამიტომ, კომუნიზმის ბელადმა ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკა შეცვალა და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ქვეშ გაერთიანებული დანარჩენი ეკლესიების საერთო-სარუსეთო საქმიანობაში ჩართვის იდეის განხორციელების მიზნით, მეორე მსოფლიო ომის დროს, სარწმუნოებრივ დარგში ლოიალურობა გამოავლინა. სტალინისეული იდეა ვერ განხორციელდა მისი გარდაცვალების გამო. სამაგიეროდ, მისმა კანონმემკვიდრემ, ნიკიტა ხრუშჩოვმა, ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკის შესუსტების ბრალდებით, აგრეთვე ლენინური პრინციპების განუხორციელებლობის გამო, იოსებ სტალინის მიღწევები სრულებით უგულვებელყო, ხოლო "მებრძოლ უღმერთოთა კავშირი", რომელიც 1947 წელს ფაქტიურად აღარ არსებობდა პირვანდელი სახით, ხელახლა აღადგინა. საბჭოთა კავშირში კვლავ განახლდა სარწმუნოებრივი დევნა, რამაც კიდევაც დააჩქარა მისი ნგრევა, რადგან სოციალისტური წყობა ნამდვილად ვერ ამყარებდა სა მოთხეს დედამიწაზე, ხოლო სულიერებას მოკლებული ხალხი, სარწმუნოების გარეშე არსებობას, დიდხანს ვერ შეძლებდა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო გლობალიზაციის ფონზე, უამრავი საკითხისადმი დამოკიდებულებამ ცვლილება განიცადა და ერთა დამოუკიდებლობას თითქოს ნაკლებად ემუქრება საფრთხე (თუ არ ჩავთვლით სეპარატიზმს), თავს იჩენს სულ სხვა პრობლემა, სადაც ისეთი პატარა ქვეყნას გადარჩენის შანსი, როგორიც საქართველოა, მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ საზოგადოება მთლიანად მკვეთრად ეროვნულ პოზიციას დაიკავებს და კულტურულ-რელიგიურ მემკვიდრეობას სწორედ ამ კუთხით დაიცავს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ისევ საფრთხის ქვეშ იდგება, ანუ კვლავაც განმეორდება ის საშიშროება, რომლის წინაშეც ქართველი ერი, თვით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას, მისი ლიდერების მიერ წარმოებული ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკის წყალობით იდგა. შედეგად, მივიღეთ დეგრადირებული საზოგადოება რწმენის თვალსაზრისით, რომლის ცნობიერებაშიც, ეროვნულ-სარწმუნოებრივი გრძნობების გაღვივებას ჯერ კიდევ დრო სჭირდება. სწორედ ამიტომ, ვთვლით რომ თემა, რომელიც საქართველოში რუსეთის მიერ წარმოებულ ანტისარწმუნოებრივ პოლიტიკას ეხება და რომელიც თვალნათლივ წარმოჩნდა "მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" საქართველოს უჯრედის საქმანობაში, მეტად აქტუალურია. იგი მოიცავს ყველა იმ ეტაპს, რომელთა შედეგად, საქართველოს სინამდვილეში მართლმადიდებელი სარწმუნოების ნიადაგზე შექმნილი ეროვნული კულტურა და ცნობიერება არათუ სახეს იცვლიდა, არამედ ნადგურდებოდა კიდეც. საქართველოს ეკლესიის უდიდესი მოღვაწეების, კათოლიკოს-პატრიარქების, სხვა

სასულიერო პირებისა და ფართო საზოგადოების სწორხაზოვანი მცდელობით, შესაძლებელი გახდა პირველ რიგში ქართველობის და მერე ქრისტეანობის შენარჩუნება.

იმისათვის რომ დავინახოთ, თუ რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული ქართველ თვალსაჩინო სასულიერო თუ საერო პირთა საქმიანობა, ვერაფრით ავუვლით გვერდს ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციის ისტორიის კვლევას, როგორიცაა საბჭოთა იმპერიის ''მებრძოლ უღმერთოთა კავშირის'' საქართველოს უჯრედი. საბჭოური პერიოდის შესაბამის პრესასა და სამეცნიერო ლიტერატურაში დაცულია ამ ორგანიზაციის მოღვაწეობის ამსახველი უამრავი ფაქტი და მოვლენა, ხოლო ძირითადი მასალა, რომელიც მის ისტორიას გადმოგვცემს - საქართველოს უახლესი არქივის საცავებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასალების დიდი ნაწილი მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა წლების ამსახველია, ერთნაირი შინაარსითა და პათოსით გამოირჩევა, ასევე შესამჩნევია, რომ ზოგიერთი საქმე უბრალოდ განადგურებულია ან სხვა ინსტანციის საცავის საკუთრება და ნაწილობრივ, დღესაც მიუწვდომელია.

წინამდებარე ნაშრომში გადმოცემული ისტორიული ფაქტები ძირითადად ეყრდნობა თავად ''მებრძოლ უღმერთოთა კავშირის'' ფონდს №1547, რომელიც უახლესი ისტორიის არქივშია დაცული. გარდა ამისა, პერიოდული პრესა, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაშია წარმოდგენილი და რომელიც ''მუკის'' პერიოდული ორგანოს მოღვაწეობას ასახავს, ძირითადად რუსულენოვანია. ქართული საგაზეთო ვარიანტების ნაწილი დაზიანებულია ან ადგილზე არ არის, ამიტომ, ვეყრდნობით იმ ფაქტებს, რომელთა შესახებ რუსული ჟურნალ-გაზეთები მოგვითხრობენ და არცთუ იშვიათად ეხებიან საქართველოს ''მუკის'' მოღვაწეობას. პერიოდი, რომელიც მოიცავს საქართველოს გასაბჭოებიდან დღევანდელ პერიოდს, მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან როგორც უახლესი ისტორიული გამოცდილება, საფუძველი უნდა გახდეს ქართული სახელმწიფოებრიობის შემდგომი განვითარებისა. შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდთან დაკავშირებული, სხვადასხვა ავტორთა მიერ გამოკვლეული შრომები, ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომშიც უდაოდ დიდ ადგილს იკავებს. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ წინამდებარე შრომა არის სიახლე იმ თვალსაზრისით, რომ ''მებრძოლ უღმერთოთა კავშირის'' საქართველოს ფილიალის ძირეული კვლევა ჯერ არ მომხდარა, არც მისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული მნიშვნელობა ყოფილა დასაბუთებული, ამიტომ,

ჩვენმაქსიმალურად შევეცადეთ, რათა გამოგვეკვლია იმ ორგანიზაციის ისტორიული საფუძვლები, რომლის არსებობამაც ძირეული გარდაქმნები მოახდინა ქართველი ერის ცნობიერებაში.

''მებრძოლ უღმერთოთა კავშირი'' სწორედ ის ორგანიზაციაა, რომელმაც უდიდესი იდეოლოგიური როლი ითამაშა ახალი თაობების ანტისარწმუნოებრივი სულისკვეთებით აღზრდის საქმეში, ეგრეთწოდებული ''ახალი ადამიანის'', ახალი ''ქვის მასალის'' ფორმირებაში. აგიტაციის პარალელურად, ნამგალითა და უროთი ხელში ინგრეოდა არა მხოლოდ ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობა, არამედ მთლიანად სულიერი სამყარო ცალკეული ერებისა, რომლის აღდგენას ჯერ კიდევ დიდი დრო ესაჭიროება. ორგანიზაციის სახელწოდება პირდაპირ მიგვითითებს მისი მუშაობის ობიექტზე, ხოლო ამ მიმართულებით განხორციელებულმა საქმიანობამ, უამრავი უარყოფითი შედეგი გამოიღო. წარმოიშვა არაერთი სექტანტური უჯრედი, რომლებიც პირდაპირი თუ ირიბი გზებით წარსულშიც და დღესაც, ახერხებენ საქართველოს მოსახლეობის როგორც არაქართული წარმოშობის, ისე ქართველების რაღაც რაოდენობის ჩაბმას. მართლმადიდებელი ეკლესია ამ ყველაფერს ჯეროვან წინააღმდეგობას უწევდა და ამ ძალისხმევით დღემდე მოიტანა თავი.

საკვალიფიკაციო პრობლემა, ''მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია საქართველოში'', მიზნად ისახავს კომუნისტურ ეპოქაში, საქართველოს სინამდვილეში არსებული, ანტირელიგიური პოლიტიკის ასახვასა და შესაბამისი დასკვნების გამოტანას. მათი მართებულება კი, თვით საბჭოთა კავშირის გარდაუვალ რღვევაშია გამოხატული. სარწმუნოების გარეშე, არ არსებობს ეროვნული სახელმწიფოს გადარჩენა თანამედროვე, სავსებით განსხვავებული ღირებულებებისა და ფასეულობების მატარებელ მსოფლიოში. კომუნისტური სახელმწიფოს დამარცხების ერთერთი მიზეზი, სწორედაც რომ რელიგიასთან ბრძოლის პოლიტიკაა და შემუშავებული იდეოლოგიაა, სოციალურმა ''წინსვლამ'' ვერ აღმოფხვრა ისტორიული აღმსარებლობა, ხოლო რწმენასთან ბრძოლის ყველაზე უხეშმა მეთოდებმა, ერთგვარად დააჩქარა საბჭოთა კავშირის ნგრევა, ვინაიდან ანტირელიგიური კამპანია ძალაუნებურად ეროვნულ ღირსებას ლახავდა, პარალელურად კი ეროვნული განწყობის ამაღლებას და გამძაფრებას უწყობდა ხელს ცალკეულ ერებში და არა მხოლოდ საქართველოში.

თავი I

საბჭოთა იმპერიის სარწმუნოებრივი პოლიტიკა

§1. სოციალისტური იდეის წინამძღვრები და ფორმირება – საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში.

იმისათვის, რომ კარგად ჩავწვდეთ თუ რა ფუნქციას ასრულებდა საბჭოთა იმპერიის სინამდვილეში ისეთი ორგანიზაცია, როგორიც ‘‘მებრძოლ უღმერთოთა კავშირი’’ იყო, საჭიროა ჩავუღრმავდეთ იმ ისტორიულ მოვლენას, რომელმაც გაანადგურა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობა და დასაბამი მისცა ქართველი ერის განსხვავებულ, პოლიტიკურ-ისტორიულ და კულტურულ-რელიგიურ განვითარება-ჩამოყალიბებას.

ქართველი ერის სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ დამპყრობლის წინააღმდეგ ისე ხანგრძლივი და მრავალმხრივი არასდროს ყოფილა, როგორც რუსეთის იმპერიის უღელქვეშ მოქცევის შემდგომ. მას მერე რაც მუსლიმური სამყაროს ერთიანობა და სიძლიერე შეირყა და დაიწყო მსოფლიო პოლიტიკური რუკის ახლებური გადანაწილება, ცხადად გამოიკვეთა რუსი ერის პოლიტიკური სწრაფვა იმპერიული სახელმწიფოს მშენებლობისაკენ. არაერთგზის საფრთხისა და განადგურების წინაშე მდგომ ქართველ ერს, ერთმორწმუნე რუსეთთან ურთიერთობამ უდაოდ მოუტანა პოლიტიკური სტაბილურობა და ნაწილობრივ გარეშე მტრის აგრესიის შესუსტება. ამავე დროს, თავისუფლებას მოყვარულ კავკასიელ ერებში თვით რუსეთისთვის, პირველობისათვის ბრძოლა საკმაო სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ამიერკავკასიის ეთნიკური და რელიგიური სიჭრელე, იმპერიული ზრახვებით განპირობებულ რუსულ პოლიტიკურ ნაბიჯებს კიდევ უფრო ამძიმებდა. მეფის რუსეთი სისხლში ახშობდა ყველანაირ სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ ამიერ თუ იმიერკავკასიაში და მის მიერ ანექსირებულ ქვეყნებში. ამასთანავე, სახელმწიფოს შიგნით არსებულ უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, ემატებოდა იმპერიისთვის ძალზედ გართულებული საგარეო პოლიტიკა საერთაშორისო ასპარეზზე. ‘‘რუსეთი საგანგებო ღონისძიებებს ახორციელებდაქართველი ხალხის ეროვნული არსებობის, მისი კულტურისა და ისტორიის, ქართველი ერის დაშლისა და მისი სხვადასხვა კუთხის ერთმანეთისათვის დასაპირისპირებლად, მშობლიური მიწისაგან აჭარის, სვანეთის, სამეგრელოსა და აფხაზეთის ჩამოსაშორებლად.

ცარიზმის პოლიტიკა ხალხთა შორის მტრობის თესვას ემსახურებოდა. ერთმანეთს უპირისპირებდა ერთი და იგივე ერის სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენლებს, აწყობდა მათ რბევას. ისინი იმპერიაში შემავალ მცირერიცხოვან ერებს დაბალ, არასრულფასოვან რასად მიიჩნევდნენ, ზღუდავდნენ მათ მშობლიურ ენას, ახდენდნენ ქვეყნის ახალ-ახალ ადმინისტრაციულ დაყოფას, რათა ამ გზით საბოლოოდ მოესპოთ ის ერები, რომელთაც თავიანთი სახელმწიფოებრივი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნდათ. ქართველი ერის შემადგენელი ნაწილების ერთმანეთთან დაპირისპირება და მათი არაქართველ და არაქრისტიანებად გამოცხადება იმ პერიოდში, როცა უკვე მიმდინარეობდა ქართველი ხალხის გაერთიანების პროცესი, მთელი კაცობრიობის წინაშე უდიდეს დანაშაულს წარმოადგენდა. რუსეთის მთავრობა, რადგან ქვეყნის გარუსებით მკვიდრ დასარყდენის შექმნას ცდილობდა, ამ საქმეში ფართოდ იყენებდა ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევართა გამრავლების ხერხს. რუსეთის ამ პოლიტიკის ერთერთი სახე იყო ქართული მიწებიდან მისი მკვიდრი მოსახლეობის აყრა-შევიწროება და სხვა ქვეყნებში განდევნა, ხოლო განთავისუფლებულ ტერიტორიებზე კოლონისტების მასობრივი ჩამოსახლება. ყოველივე კი, მოსულ-დამხდურთა შორის მტრობას სთესდა. კოლონიზაციამ, განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო საქართველოს შავი ზღვის სანაპირო რეგიონში, მათ შორის ყველაზე მეტად აფხაზეთი დაზარალდა" (პავლიაშვილი 2000: 50-51). რუსეთის მთავრობის ასეთ პოლიტიკას თავისთავად მოყვა ქართველ მოწინავე საზოგადოებაში ახალი, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი იდეოლოგიის ჩასახვა და აღორძინება. ქართველი ხალხის საერო ნაწილთან ერთად, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ილაშქრებდა ქართული სამღვდელოების თვალსაჩინო ნაწილიც;

პირველი მსოფლიო ომით გამოწვეულმა უდიდესმა ზარალმა, იმპერიაში შემავალ ერებში გაზარდა უკმაყოფილება და მასები რევოლუციურად განაწყო, მითუმეტეს, რომ ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისი რუსეთში სამრეწველო კრიზისით აღინიშნა. 1900-1903 წლებში დაიხურა 3 ათასი ქარხანა. უმუშევართა საერთო რაოდენობამ 200 ათასს გადააჭარბა. სამრეწველო კრიზისის გაძლიერებამ, უმუშევრობის ზრდამ ქალაქად და მოუსავლიანობამ სოფლად, გააუარესა მშრომელთა მდგომარეობა (საქართველოს 1972:151). აღნიშნული ვითარება ხელს აძლევდა ისეთი პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ჯერ იატაკქვეშეთიდან, შემდეგ კი ცხადად გამოხატავდნენ ანტითვითპყრობელურ, დრომოჭმულ განწყობას და ამგვარი აქციებით

ძირს უთხრიდნენ მეფის ხელისუფლებას. მათგან ყველაზე აქტიურნი შემდეგ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებში გადანაწილდნენ. ისინი კი, მასებთან უშუალო კონტაქტითა და ამ მეთოდით ახალი იდეოლოგიის დანერგვით, სწრაფად იკაფავდნენ გზას ხელისუფლებისკენ. ამასთანავე, შეუძლებელია არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ყველა სახის პოლიტიკური პარტიებისა თუ ორგანიზაციების ჩამოყალიბება-განვითარებას, წინ უსწრებდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური ძვრები, რომლებიც განსაზღვრავდნენ პროცესებს.

რუსეთის იმპერიის თვითმპყრობელურმა პოლიტიკამ განაპირობა ის, რომ დაპყრობილ ქვეყნებში გვიან მოხდა ბატონყმური ურთიერთობების აღმოფხვრა და ამ ნიადაგზე სოციალური დიფერენციაცია უფრო ცხადად გამოიკვეთა. იგივე ითქმის საქართველოზეც, მიუხედავად იმისა, რომ ბატონ-ყმური ურთიერთობა უფრო პატრონ-ყმურ ხასიათს ატარებდა და XIX საუკუნის მანძილზე მომხდარი გლეხთა აჯანყებები უფრო ანტითვითმპყრობელურ და ანტირუსულ ხასიათს ატარებდა, სარჩულად კი ეროვნული მოტივი ედო. ეკონომიკური აღმავლობა ქვეყნის განვითარებაზე დიდ როლს თამაშობდა, მაგრამ სოციალური ფონი თითქმის უცვლელი რჩებოდა.

''დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსახლეობის დიფერენცირებულ ინტერესებს პოლიტიკური პარტიები გამოხატავდნენ, მაგრამ რუსეთის იმპერია XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ისეთ ქვეყანას წარმოადგენდა, სადაც თვითმპყრობელური მონარქიის დესპოტიზმი მძვინვარებდა და დემოკრატიულ ინსტიტუტებს გასაქანს არ აძლევდა. ამგვარ პირობებში პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების პროცესი რუსეთშიც და საქართველოშიც, რამდენიმე ათეულ წელიწადს გაჭიანურდა. მხოლოდ საუკუნეთა მიჯნაზე, ე.ი. XIX საუკუნის 90-იანი წლებისა და XX საუკუნის დამდეგს შეიქმნა პოლიტიკური პარტიებისათვის ჯერ არალეგალური, მოგვიანებით კი ლეგალურად მოღვაწეობის მეტნაკლებად შესაფერისი პირობები'' (საქართველოს 2003: 9).

თვითმპყრობელური რეჟიმის სიმძიმემ განსაზღვრა მოსახლეობის კლასობრივი დიფერენცირება, სოციალური პირობები ქვეყნის შიგნით მეტად მწვავე და აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც ამ მიმართულების პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები ჩამოყალიბდნენ. პირველი ორგანიზაცია საქართველოში სწორედ სოციალ-დემოკრატიული იყო. მისი ლიდერი, ნოე ჟორდანია ''თავდაპირველად დასავლურ-

ევროპულ დემოკრატიულ იდეებს იზიარებდა, შემდეგ კი რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციებზე დადგა და უკვე 1901-1903 წლებში, პერიოდულ გამოცემაში ''კვალი'', კლასობრივი ბრძოლის გაღრმავების მოწოდებით, გამოხატავდა სოციალ-დემოკრატიის იდეას'' (საქართველოს 2003: 9). კლასობრივი ბრძოლის გაღრმავების ერთერთი საშუალება რევოლუცია რომ არის, ისტორიამ ცხადად დაგვანახა, სწორედ ასეთ რევოლუციურ, სოციალ-დემოკრატიულ იდეებს განავრცობდა ქართული სოციალ-დემოკრატიის მეორე მიმდინარეობა, რომლის სათავეში იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი და მისი თანამებრძოლები იდგნენ. მიუხედავად იმისა, რომ მეფის ხელისუფლება სადამსჯელო ღონისძიებებით ყველანაირად ცდილობდა პოლიტიკური ოპონენტების ლიკვიდირებას, შედეგი საპირისპირო იყო და მსგავსი ტიპის ორგანიზაციები უფრო მრავლდებოდნენ, ხვეწდნენ ბრძოლის სტრატეგიებსა და საშუალებებს, მოიპოვებდნენ დაფინანსებას სხვადასხვა გზებით. სწორედ მთელი რიგი დაპატიმრებებისა და გადასახადების კვალდაკვალ, იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოში, თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი შეიქმნა. მისივე თაოსნობით დაფუძნდა ჯერ ბათუმის, შემდეგ კი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმური კომიტეტი. ორგანიზაცია ქვეყნის მსგავსად ინტერნაციონალური იყო. შესაბამისად, ყოველგვარი ეროვნულობა და ამ იდეით გამოწვეული სახელმწიფოებრივი პოზიცია მათგან შორს იყო. გაზეთ ''ისკრის'' ფურცლებზე, ვლადიმერ ულიანოვისა და გიორგი პლეხანოვის მიერ წამოყენებული თითოეული იდეა ''საერთო-სარუსეთო სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნას ემსახურებოდა'' (საქართველოს 2003: 10). ამავე იდეითა და შესაბამისი ნაბიჯებით, ჯერ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაძლიერებით, ვრცელ და უკიდეგანო რუსეთის სახელმწიფოში სამეფო ხელისუფლების მოშლის შემდეგ, სახელისუფლებო სადავეები სწორედ ამ ძალებს უნდა აეღო. ამიტომ, მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის ნებისმიერი რეგიონისა და განსაკუთრებით განაპირა მხარეების (ისეთი როგორიც საქართველო გახლდათ) ერთიან, მძლავრ ორგანიზაციაში ჩაბმა. რუსული სოციალისტური მოძრაობის მამამთავრებს, გიორგი პლეხანოვსა და ვლადიმერ ლენინს თვითმპრყობელური რეჟიმის გადაგდების შემდეგ ისევ ერთიანი, იმპერიული რუსეთის არსებობის გახანგრძლივება სურდათ. ამას ისიც ერთვოდა, რომ ქვეყნის შიგნით არსებული დიფერენციისა და კლასობრივი დისკრიმინაციის შედეგად, აჯანყებებსა და ამბოხებებს ძირითადად სოციალური და არა ეროვნული სარჩული ჰქონდათ. სწორედაც რომ დისკრიმინაციული და რუსიფიკატორული პოლიტიკის შესაბამისად,

ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით, იმპერიაში შემავალ ერებში ძალიან გვიან გაუქმდა ბატონ-ყმური ურთიერთობა. იმპერია ყველანაირად ცდილობდა იერარქიის შენარჩუნებას ყველა სფეროში, რათა მანიპულირების საშუალება მეტად ჰქონოდა. იგივე პოზიცია ეხებოდა სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლებს, რომელთა ავტოკეფალურობა-დამოუკიდებლობა, იმპერიულ რუსეთთან ინტეგრირებასთან ერთად ხანგრძლივი დროით დასამარდა.

რუსუფიკატორული პოლიტიკის მწარე გაკვეთილებს უნდა განესაზღვრა ქართული პოლიტიკური პარტიების მყარი, ეროვნული ნიადაგი, მაგრამ შედეგი უმეტესწილად საპირისპირო იყო. ხედავდნენ რა წინააღმდეგობის გაძლიერების აუცილებლობასთან ერთად, გიორგი პლეხანოვი და ვლადიმერ ლენინი რსდპმ კავკასიის კავშირის შექმნის იდეით გამოვიდნენ. რაღა თქმა უნდა მათ მიერ სწორად იყო გათვლილი, რომ მეფის რეჟიმის დამხობის სურვილი აღნიშნულ ორგანიზაციას არაერთ მხარდამჭერს და წევრს შემატებდა. სწორედ ასე მიიღეს მონაწილეობა ''რუსულ სოციალ-დემოკრატიულ პოზიციაზე მდგომმა ქართველმა მესამე დასელებმა 1903 წელს თბილისში, არალეგალურად გამართულ რსდპმ კავკასიის კავშირის პირველ ყრილობაში. მიუხედავად იმისა რომ, ნოე ჟორდანია დანიშნულ ყრილობაზე ''დემოკრატიული ცენტრალიზმის'' წინააღმდეგ გამოვიდა და მოითხოვა ადგილობრივი კომიტეტების ავტონომია უფრო ''ფართო დემოკრატიული პრინციპების'' განხორციელების მიზნით, მისი იდეა იგნორირებულ იქნა'' (საქართველოს 2003: 11). ვინაიდან მეფის თვითმპყრობელურ რეჟიმში სოციალ-დემოკრატები ძირითადად სოციალურ მჩაგვრელს ხედავდნენ, ყოველგვარი ეროვნული თავისთავად ირიცხებოდა, რადგან ამ ნიშნით, არაფრით არ მოხერხდებოდა მრავალეროვანი და ინტერნაციონალური რუსეთის ტერიტორიაზე ახალი, მძლავრი და რაც მთავარია პრაგმატული ორგანიზაციის შექმნა. იმ დროისათვის გავრცელებულ ერთადერთ მასობრივ საშუალებებს შორის, პრესა-პერიოდიკის გამოყენებას საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ''ჯერ კიდევ 1901 წლის სექტემბერში, თბილისის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა გამოსცა ''ბრძოლა'', რომელიც არალეგალურად იბეჭდებოდა ბაქოში მოწყობილ საიდუმლო სტამბაში'' (საქართველოს 2003: 11). აღნიშნული გაზეთი გაერთიანდა სომხურ პერიოდულ გამოცემასთან ''პროლეტარიატი'' და დაერქვა ''პროლეტარიატის'' ბრძოლა''. გამოცემა ქართულ-სომხურ-რუსულ ენებზე გამოდიოდა და მასებს ახალი მოძრაობის ყველა

ნიუანსს აცნობდა. ჩამოყალიბდა რსდპმ კავკასიის კავშირის კომიტეტი 9 კაციანი შემადგენლობით და მათ შორის იყვნენ: ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ფილიპე მახარაძე, ალექსანდრე წულუკიძე, მიხა ცხაკაია, დიომიდე თოფურიძე, მიხეილ თოფურიძე, არშაკ ზურაბოვი, ბოგდან კნუნიაცი. იგივე კომიტეტის რიგებში, იოსებ ჯუღაშვილიც შედიოდა სხვა აქტიურ თანამებრძოლებთან ერთად. კომიტეტმა თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო მოიცვა და გააერთიანა გურიის, სამეგრელოს თუ იმერეთის ადგილობრივი კომიტეტები. ''რსდპმ კავკასიის კავშირის სსაშუალებით, რუსულმა სოციალ-დემოკრატიამ დიდ წარმატებას მიაღწია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები სერიოზული გართულების გარეშე შეერწყნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. ''მესამე დასმა'', როგორც დამოუკიდებელმა ეროვნულმა სოციალ-დემოკრატიულმა ორანიზაციამ, არსებობა შეწყვიტა'' (საქართველოს 2003: 11). იურიდიულად ეს კავშირი რსდმპ მეორე ყრილობაზე გაფორმდა უკვე 1903 წელს. ამით, მთავარი მიზანი - ორგანიზაციის ერთ მთლიან ნაწილად ჩამოყალიბება, მიღწეულ იქნა. ორგანიზაციული მხარის მოგვარება თავისთავად არ ჭრიდა მასში შემავალი ჯგუფების ინტერესების განხორციელების პრობლემას. სწორედ ამიტომ მოხდა ვითომდა ერთიანი ორგანიზაციის ორ ნაწილად გაყოფა, რაც მენშევიკებისა და ბოლშევიკების ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებით გამოიხატა. ორივე ფრთა ვალდებული იყო ყრილობის მიერ მიღებულ წესდებას დამორჩილებოდა და ამიტომ, ისინი ძირითად საქმიანობას მასებს შორის ერთად წარმართავდნენ. მიუხედავად ამისა, ''ბოლშევიკების'' რაოდენობრივი უპირატესობა ორგანიზაციის შიგნით, დაპირისპირებას იწვევდა, რაც ''მენშევიკების'', ანუ უმცირესობის წარმომადგენლებს არასახარბიელო პოზიციაში აგდებდა. ერთადერთი გამაერთიანებელი მიზეზი, მათთვის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ერთ ბლივი ბრძოლა იყო.

პრორუსული ორიენტაციის მატარებელი ორგანიზაციების გარდა, საქართველოს შიგნით იყვნენ ისეთი პროგრესული ძალები, რომლებიც ერის გადარჩენასა და თვითგამორკვევას, მხოლოდ ეროვნული იდეოლოგიის გაღრმავებაში ხედავდნენ. მითუმეტეს, რომ რუსული თვითმპყრობელობის უღელქვეშ მოქცეული საქართველო, ასეთ თვითგამორკვევას მართლაც რომ ჰაერივით საჭიროებდა. ეროვნული ნიშნით დევნა, როგორც მეფის რუსეთის სტრატეგიული პოლიტიკის ნაწილი, საქართველოში ყველა სფეროს შეეხო. დაკნინდა არა მხოლოდ სახელმწიფოებრიობა, არამედ ენა და

სარწმუნოებაც. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის უპირატესობის დამამტიცებელი ნიშანი, ავტოკეფალურობა – რუსეთმა ჯერ კიდევ 1811 წელს გააუქმა, როცა კათოლიკოს პატრიარქი ანტონ II (1788-1811) რუსეთში გადაასახლა, ხოლო საქართველოს სამოციქულო ეკლესია რუსული ეკლესიის წმინდა სინოდს დაუქვემდებარა. კათოლიკოს-პატრიარქის მაგივრად კი ''ეგზარქოსი'' დანიშნა. ამით, თავისთავად დაკნინდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესია. მეფის რუსეთის მიერ განხორციელებული პოლიტიკის შედეგად, მართლმადიდებელ ერებს მხოლოდ რუსულ ენაზე უნდა ეწარმოებინათ სწავლა-განათლება, განსაკუთრებით სასულიერო სფეროში, რათა რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე დამოკიდებულება კიდევ უფრო გაძლიერებულიყო. ''ცარიზმმა რუსეთის იმპერია გადააქცია ''ხალხთა საპყრობილედ'', მეფის მთავრობა ცალმხრივ-კოლონიურ ხასიათს აძლევდა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას, ყოველნაირად ზღუდავდა ქართველი ერის უფლებებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურული ცხოვრების სფეროში.

XIX ს. 70-80-იან წლებში, ცარიზმმა გააძლიერა ბრძოლა ქართული ენისა და ქართული კულტურის წინააღმდეგ. იგი აშკარად დაადგა ქართველი ხალხის გარუსების პოლიტიკას. სკოლებიდან განიდევნა ქართული ენა (ბენდიანაშვილი 1971: 159)''. სხვა კონფესიების წარმომადგენლები ამ მხრივ უფრო პრივილეგირებულები იყვნენ. მაგალითად, ''სომხურ ეკლესიას იმპერიის არსებობის ბოლომდე ჰქონდა დამოუკიდებელი ორგანიზაცია სათავეში კათოლიკოსით და არც მათი სამრევლო სკოლები თუ სასულიერო სემინარიები განიცდიდნენ დევნა-შევიწროებას. ქალაქ ეჩმიაძინში სომხებს უმაღლესი სასწავლებელიც ჰქონდათ'' (ჯაფარიძე 2003: 2). ამგვარი მიკერძოებული დამოკიდებულება, ''გათიშე და იბატონე'' პრინციპს არც თუ უშედეგოდ ემსახურებოდა. ერთი მხარის პრივილეგირება, მეორე მხარეზე მანიპულირების საშუალებას იძლეოდა. ამიტომ, ქართული სამოციქულო ეკლესიის მამამთავარნი და იერარქები ძალისხმევას არ იშურებდნენ მრევლის თვითგამორკვევის საქმეში, მითუმეტეს, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ყოველთვის ერის კონსოლიდაციის საქმეს ემსახურებოდა, ხოლო ამ ნიშან-თვისების აღმოფხვრის მიზნით, რუსეთი ქართველი ერის წინააღმდეგ განხორციელებულ პოლიტიკურ ნაბიჯებსა და სადამსჯელო აქციებს, დროდადრო ხვეწდა. პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების მეორე მხარე ბოლშევიკებისა და მენშევიკებისაგან განსხვავებით, კარგად ხვდებოდნენ, რომ ეროვნულ თვითგამორკვევაში იყო ხსნა ერისა. ქართული

შეძლებული საზოგადოების დიდი ნაწილი იძულებული იყო რუსეთში მიეღო განათლება. მხოლოდ 1845 წლიდან, პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის აღმოსავლურ განყოფილებაზე დაიწყო ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება, გამოიცა ლექსიკონები, სახელმძღვანელოები, XIX საუკუნის პირველი ნახევრის დასასრული და სამოციანი წლების დასაწყისი აღინიშნა უმაღლესდამთავრებული ქართველი ახალგაზრდების ნაკადის სამშობლოში დაბრუნებით. მათ ახალი ეპოქის სულისკვეთება ჩამოიტანეს, რომელიც აშკარად უპირისპირდებოდა მეფის რუსეთის რუსიფიკატორულ პოლიტიკას ანექსირებულ ერებთან მიმართებაში, თუმცა ოფიციოზი ყოველგვარ ანტიდამოკიდებულებას შესაბამისი რეაქციით პასუხობდა, ერთა ჩაგვრა მაინც გრძელდებოდა (ქართული 1997: 369-370).

XIX საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოში სამი ძირითადი ეროვნული მიმართულება მოღვაწეობდა: გაზეთ ''ივერიის'' ძველი თაობა, ''ახალგაზრდა ივერიელების'' ეროვნულ-რადიკალური მიმდინარეობა და ჟურნალ ''მოამბის'' ბურჟუაზიულ ეროვნული მიმდინარეობა. 1900 წლის დეკემბერში, ყოფილი ''ახალგაზრდა ივერიელები'' და ''მოამბისტები'' გაერთიანდნენ და თავი მოიყარეს ახალშექმნილ გაზეთ ''ცნობის ფურცელის'' გარშემო. ''ცნობის ფურცლელთა'' უმთავრესი იდეალი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა (საქართველოს 2003: 12). ''ცნობის ფურცლის გარშემო დარაზმულთა შორის იყვნენ ისეთი თვალსაჩინო ქართველი მოღვაწეები, როგორიცაა არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, ანდრია დეკანოზიშვილი, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, ქაიხოსრო ქავთარაძე, ილია აღლაძე და სხვანი. თაობა, რომელიც ილია ჭავჭავაძის ეპოქაში აღიზარდა, კარგად ხედავდა ქვეყნის მომავლისათვის აუცილებელ, ერის კონსოლიდაციის საჭიროებას, ვინაიდან ძალები, რომლებიც იკაფავდნენ გზას ხელისუფლებისაკენ, მხოლოდ პრორუსულად ორიენტირებდნენ და მხოლოდ რუსულ საქმეს ემსახურებოდნენ. ამას ერთვოდა ქვეყნის შიგნით არსებული სოციალური უთანასწორობა და კლასთა შორის ბრძოლა. ამ პირობებში არჩილ ჯორჯაძის ''საერთო მოქმედების ნიადაგი'' მავანთათვის არააქტუალური იყო, რადგან ეროვნული იდეა და მისი თანმდევი, ქვეყნის თუნდაც ავტონომიური დამოუკიდებლობა სათავეშივე უარყოფდა სოციალ-დემოკრატთა რუსოფილურ იდეებს. სამაგიეროდ, არჩილ ჯორჯაძესა და მის თანამოაზრეებს კარგად ჰქონდათ გააზრებული რუსეთის იმპერიის

არსი. ჯორჯაძის აზრით, რუსეთი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ პატარა ერებზე იმარჯვებდა, ''არავითარი უნარი არ ჰქონდა მოქალაქეობრივი წესის დამკვიდრებისა, არა ჰქონდა საორგანიზაციო ნიჭი, არა ჰყავდა მომზადებული სახელმწიფო მოღვაწენი, ერთი სიტყვით რუსეთი არ იყო მაღალი კულტურის წარმომადგენელი და ამიტომ არ შეიწყნარეს იგი ქართველებმა. ასეა თუ ისე, ამ ფიზიკურმა ძალამ მოსპო ჩვენში და მთელს კავკასიაში ფეოდალობა. ხოლო ამ გარემოებას მოჰყვა არა ის, ვითომ ჩვენ ყველანი იძ ლებულნი ვიყავით ზურგი გვექცია ნაციონალიზმისთვის, რასაც ამტკიცებდნენ სოციალ-დემოკრატები, არამედ ის, რომ ქართულმა ეროვნებამ, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, განაგრძო თავისი განვითარების მსხვლელობა ახალ სოციალურ პირობებშიაც და ეს ხანა მისი განვითარების – დახასიათდება არა ეროვნების დამხობის საჭიროებით ინტერნაციონალიზმის გულისთვის, არამედ ერთსა და იმავე დროს ეროვნების აღორძინებითაც და ინტერნაციონალური კავშირის განმტკიცებითაც ჩვენი ხალხის ერთი ნაწილი, რუსეთის მოსვლამდე ერთმორწმუნე რუსეთს სასოებითა და იდეალისტური თვალით უყურებდა ''(ჯორჯაძე 1990 89-90). სწორედ ამგვარმა იდეოლოგიამ დააყენა დღის წესრიგში გამოსავლის ძიების აუცილებლობა, შედეგად, უკვე 1904 წლის 1 აპრილს, ჟენევაში გაიმართა კონფერენცია, რომლის უპირველესი დანიშნულება საქართველოს მომავლითა და ერის გადარჩენის იდეით დაინტერესებულ ძალთა გაერთიანება იყო და არა ვიწრო პოლიტიკური ინტერესი. კონფერენციაში ''მონაწილეობას იღებდნენ ავტონომისტ-საქართველოისტები, შემდგომში იგივე სოციალისტ-ფედერალისტები, ქართველი ანარქისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები თავდაპირველად, კონფერენციაზე გამოცხადდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატებიც, რომლებმაც მეორე დღესვე დატოვეს სხდომათა დარბაზი.. კონფერენციაზე თავდაპირველად გამოცხადდა 26 კაცი, მაგრამ ხუთი სოციალ-დემოკრატის წასვლის შემდეგ, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 21 კაცი'' (შველიძე 1993: 127). იმ პერიოდისათვის, გიორგი ლასხიშვილის მიერ დაწერილი ''ოქმებიდან'' ირკვევა ერთერთი სოციალ-დემოკრატის, ''დევიანის'', იგივე ნოე ჟორდანიას ფსევდონიმი და ვინაობა. ძნელი გასარკვევი არაა, თუ რატომ დატოვეს ჟორდანიას მომხრეებმა ჟენევის ესოდენ მნიშვნელოვანი კონფერენცია, რომელზეც შეიძლებოდა გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა პოლიტიკური ორგანიზაციების გაერთიანების საქმეში. ამგვარი გათიშულობა და ურთიერთდაპირისპირება მცირერიცხოვან ერში ინტერესთა არათანხვედრის გამო, იმ ძალებს აძლიერებდა, რომლებიც პრორუსული ორიენტაციის

წყალობით, ჯერ დემოკრატიულ საქართველოს დაუპირისპირდნენ, შემდეგ კი ქართული სახელმწიფოს გასაბჭოება მოახდინეს.

ფაქტების ანალიზის საფუძველზე, მიზეზი რამაც ქართველი ერი კვლავ რუსული გავლენის ქვეშ მოაქცია, უპირველეს ყოვლისა ქართველ მოწინავე საზოგადოებაში არაერთგვაროვანი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი აზრის არსებობა გახლდათ. რუსეთის იმპერიისა და მეფის ხელისუფლების დასუსტების პარალელურად რუსეთსა და საქართველოში წარმოქმნილმა პოლიტიკურმა ძალებმა, თავისთავად წარმოშვეს საზოგადოებრივი აზრის დაქსაქსულობა, მითუმეტეს მაშინ, როცა ქვეყნის შიგნით არსებული კრიზისი მეფის ხელისუფლების პირობებში მრავალფეროვნებითა და მრავალ-მხრივობით გამოირჩეოდა და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავდა. როგორც აღინიშნა, მიუხედავად რეაქციისა როგორც ოფიციოზის მხრიდან, ასევე ახლად წარმოქმნილი ანტისახელისუფლებო ძალებისა ისეთ ქვეყანაში როგორიც საქართველო იყო, მაინც მომწიფდა აზრი, რომელიც პოლიტიკური ავტონომიის იდეის ხორცშესხმის და ამისთვის ბრძოლის ხერხებს ეძიებდა. ერთერთ ნაბიჯად, ჟენევის კონფერენციაზე ''ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის'' შექმნა იყო (საქართველოს 2003: 13). როგორც აღინიშნა, ''ეროვნული ავტონომიისათვის ბრძოლის დიდი ტრადიციები ჰქონდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას, რომელიც ფართო ავტონომიის პრობლემას თავის პროგრამაში მუდამ წინა პლანზე აყენებდა'' (სურგულაძე 1991: 5). პარტიამ გააერთიანა ''ავტონომისტ-საქართველოისტები'', ''ანარქისტები'', ''ესერები'', აგრეთვე ეროვნულ-დემოკრატები. ამ უკანასკნელთა პოლიტიკური ასპარეზი მთლიანად ილია ჭავჭავაძის იდეებზე და მოძღვრებებზე იყო დაყრდნობილი და იმ დროის რეალობიდან გამომდინარე, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას ავტონომიის ფორმით ხედავდნენ. როგორც ჩანს, ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს კარგად ესმოდათ რა საქართველოს არა მარტო გეოგრაფიული, არამედ პოლიტიკური გარემოს სირთულე, სრული დამოუკიდებლობის მიღწევამდე ჯერ ავტონომიის მოპოვება და შემდეგ მისი შენარჩუნების მიზანი უფრო რეალურად ესახებოდათ. თუმცა, იმასაც ითვალისწინებდნენ, თუ რა რთული იყო დასახული მიზნის არათუ მიღწევა, არამედ მისკენ სწრაფვაც კი. ეროვნულ-დემოკრატებმა, რომელთა სათავეშიც ილია ჭავჭავაძე იყო, დასახული გეგმები საკმაოდ ორგანიზაციულად ჩამოაყალიბეს პარტიულ პროგრამასა და წესდებაში. პარტიის სათავეში ჩადგომაზე უარის განცხადების

შემდეგ, ლიდერის კანდიდატურად ივანე ზურაბიშვილი დასახელდა. დემოკრატთა ეროვნული პოზიცია და იდეოლოგია არა მხოლოდ იმდროინდელ, არამედ დღევანდელ საქართველოშიც კვებავს და აცოცხლებს საზოგადოებრივ აზრს, მეტადრე მაშინ, როცა მრავალეროვან ქვეყანაში არაერთი ეროვნული უმცირესობის სეპარატისტული მისწრაფებების გამო, ეროვნული იდეოლოგიის შესუსტება, მათთვის თავისუფლების მინიჭების ტოლფასი იყო.

იმპერიის მიერ წარმოებული პოლიტიკა, სულ უფრო ამძაფრებდა სოციალურ დიფერენციაციას. ბურჟუაზიული კლასის კეთილდღეობა, რაც მუშათა და გლეხთა კლასის მიერ გაწეულ შრომაზე დიდად იყო დამოკიდებული, თავისთავად უპირისპირდებოდა სოციალ-დემოკრატთა იდეებს, რომლებიც სწორედ ამ კრიზისულ ურთიერთობას თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ და სოციალისტურ იდეებს ნერგავდნენ. ყველა გაფიცვა და საპროტესტო მსვლელობა, სწორედ რომ სოციალისტთა ორგანიზებით ხდებოდა. ხელისუფლების მხრიდან საპასუხო სადამსჯელო აქციები არათუ აფერხებდა მუშათა მოძრაობას, არამედ პირიქით, მას უფრო ორგანიზებულსა და მასშტაბურს ხდიდა. იმპერია თანდათან იცლებოდა სისხლისგან, თუმცა უკან დახევას არ აპირებდა. სოციალისტურმა ძალებმა ხალხთან მჭიდრო ურთიერთობით, უდიდეს წარმატებას მიაღწიეს. მათ მიერ გატარებულმა მუშაობამ, არა მხოლოდ დარაზმა საზოგადოების ეს ნაწილი, არამედ თანდათან აღზარდა მომავალში ახალი სახის პოლიტიკური ორგანიზაციისათვის საჭირო კადრები. რუსეთის იმპერიის შიგნით ხანგრძლივად არსებულმა კრიზისულმა პერიოდმა, რეფორმების არაინტენსიურობამ და არაეფექტურობამ, მმართველობის ფორმების დრომოჭმულობამ, ახალი იდეოლოგიისა და განსხვავებული აზრის მუდმივმა დევნამ, დააჩქარა იმპერიის კრახი. ბატონყმობის გადავარდნას არ მოჰყოლია ჯეროვანი რეფორმა, რომელიც მუშათა კლასს ცხოვრების პირობებს გაუუმჯობესებდა. ყველა რეფორმას, მათ შორის აგრარულ რეფორმასაც, მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოსდევდა. ქვეყნის ეკონომიკური და სამრეწველო განვითარება მართალია ხელს უწყობდა მანუფაქტურებისა და ფაბრიკა-ქარხნების დაარსებას, მაგრამ პირობების სიმძიმე, სახელფასო მინიმუმის სიმცირე და სამუშაო ადგილების ნაკლებობა, სოციალურად დაუცველ ფენებს პროტესტს უმძაფრებდა. სწორედ ამ პროტესტს იყენებდნენ სოციალისტები და ამ ძალების აქტიური პოლიტიზირებით, ავანგარდში ჩადგომას ახერხებდნენ. საგლეხო რეფორმამ და მეფის ხელისუფლების

მიერ მხოლოდ მემამულეთა ინტერესების დაცვამ, გლეხთა ნაწილი მუშათა კლასად აქცია და ქალაქში გადახვეწა, იქიდან კი უკმაყოფილო მუშათა კლასის წარმომადგენელთა სახით, იძულებით, კვლავ სოფელში დააბრუნა. ეს უკანასკნელნი კი უფრო აქტიურად და გაბედულად ეწეოდნენ ანტითვითმპყრობელური იდეების გავრცობას. გლეხთა საპროტესტო აქციები ინტენსიურ სახეს განსაკუთრებით მცირემიწიან ტერიტორიებზე იღებდა. საქართველოს შიგნით, ეთნიკური კუთხითაც რთულ ვითარებას, მეფის ხელისუფლება თავის სასარგებლოდ იყენებდა.

მუშათა და გლეხთა ცალკეულმა გამოსვლებმა, მიიუხედავად დიდი მცდელობისა, რათქმაუნდა არ მოხსნა სოციალური კრიზისი და არც ქვეყნის სახელისუფლებო ძალების მიერ გატარებულმა სადამსჯელო აქციებმა დაასუსტეს ანტითვითმპყრობელური განწყობა, არამედ პირიქით, ამ ორ ძალას შორის უფსკრული თანდათან ღრმავდებოდა და კრიზისის გადალახვა მხოლოდ ხელისუფლების შეცვლით უნდა დასრულებულიყო. ყოველივე ამას არაფრით არ ექნებოდა პოლიტიკური სარჩული, რომ არა რუსული სოციალ-დემოკრატია და მისი რეგიონალური მომხრეები მთელი იმპერიის მასშტაბით. მეფის ხელისუფლების მიმართ მათი დაპირისპირება, ეგრეთწოდებულ ბურჟუაზიულ კლასს მეფის ხელისუფლების მხარდამჭერი აქციებისკენ უბიძგებდა. სოციალური ფონი კი უფრო მძიმდებოდა და ამგვარი აზრთა სხვადასხვაობა ეროვნული იდეოლოგიის მატარებელ პოლიტიკურ ძალებს საქართველოში, ჩრდილში აქცევდა. ისტორიის ფურცლებიდან ცხადად ჩანს სოციალისტთა მხრიდან უდიდესი ეროვნული მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მიმართული პუბლიცისტური ნაწერები, რომელთა მიხედვითაც, მისი ეროვნული დანიშნულება არათუ იგნორირებული, არამედ უარყოფილია იმ უბრალო მიზეზით, რომ "ერის მამა" უპირველეს ყოვლისა "ბურჟუაზიის" წარმომადგენელი იყო.

მრავალწლიან რუსულ მმართველობას შეჩვეული საზოგადოების სხვადასხვა ფენების განსხვავებული დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი არაა გასაკვირი. მრავალი საუკუნის მანძილზე, სხვადასხვა დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ ხალხში, რუსეთის იმპერიამ სწორედ ამ კუთხით მუშაობის შედეგად, ნაწილობრივ ჩაკლა ბრძოლისუნარიანობა. რუსული მმართველობის სპეციფიკა ბევრად არ განსხვავდებოდა საქართველოს სხვა ისტორიული მტრების წარმომადგენელთა მმართველობისგან. რუსეთის იმპერია, რომლის ერთმორწმუნეობამაც ქართულ სახელმწიფო მოღვაწეებში ნდობა აღძრა მართალია განსხვავებული, უფრო

შენიღბული ფორმით, მაგრამ მაინც ცდილობდა საქართველოში რწმენის, ენისა და სულიერების მოსპობას რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებით. ‘’მთავარმართებლები ხშირად ერეოდნენ საეკლესიო საქმეში, ცდილობდნენ შეეზღუდათ კათოლიკოსის უფლებები (კნორინგი, ციციანოვი, ტორმასოვი), კონტროლი დაეწესებინათ საეკლესიო შემოსავალზე’’ (მეტრეველი 2000: 131). მითუმეტეს რომ, ოდითგანვე ‘’საქართველოს ეკლესიას შემოსავალი ძირითადად საკუთარი ყმა-მამულიდან შემოდიოდა, აგრეთვე სასულიერო (საწესო) გამოსაღებები, ეკლესიებიდან გამართული ‘’ქალაქობების’’ ბაჟი და შემოწირულობანი’’ (ჯაფარიძე 2003: 15). რუსები ‘’მოითხოვდნენ მათთან შეთანხმებით სასულიერო პირთა თანამდებობაზე დანიშვნას, ყველანაირ ხერხს მიმართავდნენ, რათა ეპისკოპოსებს ნებაყოფლობით უარი ეთქვათ თავიანთ სამწყსოზე (მეტრეველი 2000: 13) ძალიან ბევრი საეკლესიო მოღვაწე, ჯეროვან წინააღმდეგობას უწევდა რუსულ აგრესიას, რომლის მიღმა, უმთავრესად ეროვნული იდეოლოგიის აღმოფხვრის სურვილი იმალებოდა, მეტადრე მაშინ, როცა საეკლესიო ქადაგება სხვა არაფერი იყო, თუ არა ღვთისა და სამშობლოსადმი ერთგულების პროპაგანდა. მაგალითისთვის რად ღირს თუნდაც ეგზარქოსის, თეოფილაქტე რუსანოვის საქმიანობა საქართველოში, რომელმაც 1817 წლიდან მიზნად რუსული პოლიტიკის განმტკიცება დაისახა: ‘’ჩამოსვლისთანავე სიონის წმინდა ტაძარში ქართულის ნაცვლად, შემოიღო სლავური წირვა-ლოცვა, გახსნა რუსულენოვანი სემინარია თბილისში (1817), სურდა მისი გამოყენება ქართველ სამღვდელოების ახალი თაობის გასარუსებლად და მათი საშუალებით შემდგომ ქართველი მრევლის ეროვნული ცნობიერების დასასუსტებლად. თუ იქამდე, საქართველოს ხალხი ქართველობასა და მართლმადიდებლობას სინონიმებად მიიჩნევდა, ახალი საეკლესიო პოლიტიკის თანახმად, სურდათ მართლმადიდებლობის ცნების ქართველობის ცნებისგან დაშორება, ერთისთვის მხოლოდ სარწმუნოებრივი, მეორესთვის ეროვნულ-ეთნიკური სახის მინიჭება, შემდგომ კი რუსობისა და მართლმადიდებლობის გაერთმნიშვნელიანება ქართულ ცნობიერებაში’’ (ჯაფარიძე 2003: 11). ქართველი სამღვდელოების თავგანწირვა და სამაგალითო თავდადება არაერთგზის გამომჟღავნებულა, რის გამოც, რუსეთის მმართველი ძალა მათს კომპრომეტირებასა და დაკნინებას სხვადასხვა ძალით ცდილობდა. აღნიშნული მეთოდ-ხერხები სრულად გადაიტანეს და უფრო განავრცეს ჯერ სოციალისტთა მენშევიკურმა ფრთამ საქართველოში, შემდგომ კი უკვე ბოლშევიკურმა რუსეთმა. საქართველოს ავტოკეფალიის მოშლაც ხომ რუსული საეკლესიო იერარქიის პირველ

რიგში წამოყენების მიზანს ემსახურებოდა. რუსეთის იმპერიის ტოტალური მართვის პირობებში გაუქმდა აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა 1814 წელს, იგივე ბედი ეწია დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთის საკათალიკოსოს, რომელიც ასევე უშუალოდ შეუერთდა იმპერიის ეკლესიას.

იმპერიის დამოკიდებულება ნაციონალური საკითხისადმი მხოლოდ სეპარატიზმის რანგში განიხილებოდა, შესაბამისად ამ იდეის გამავრცობლებს დაპყრობილ ერებში სასტიკად და ანგარიშგაუწევლად უსწორდებოდა. ამრიგად, თუ პარალელს გავავლებთ მეფის რუსეთისა და ბოლშევიკური რუსეთის მმართველობის სპეციფიკასა და მეთოდ-ხერხებს, მათ შორის დიდ განსხვავებას ვერ აღმოვაჩენთ, ვინაიდან მართვის სტრატეგიები იდენტურია და იგი ყოველთვის ერთიანი, რუსული ხასიათიდან მომდინარეობდა. სწორედაც რომ მეფის რუსეთმა მოუმზადა ფონი და პლაცდარმი კომუნისტთა ტოტალურ რეჟიმს.

ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს, ქართული ეკლესია რომელიც რუსეთის სინოდის დაქვემდებარებაში საეგზარქოსოდ გადაკეთდა, იმ მხრივადაც განიცდიდა დისკრიმინაციას, რომ უმაღლეს საფეხურზე, ანუ საეგზარქოსოდ მხოლოდ რუსეთიდან საგანგებოდ მოვლინებული მღვდელმთავრები ინიშნებოდნენ. ასეთ პიურობებში როგორც არაერთგზის აღინიშნა, საქართველოს ეკლესიას ჩამოერთვა არა მხოლოდ თვითმმართველობა, არამედ მოუსპო ეკონომიკური საფუძველიც. ''ყველაფერი ეს კი, ცარიზმისათვის გარანტია იყო იმისა, რომ ქართული ეკლესიის როლი, მნიშვნელოვნად შემცირდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში და ქართული ეროვნული სულის შენარჩუნებაში''(მეტრეველი 2000: 132).

ქართული სახელმწიფოებრიობა და ეროვნული თვითშეგრნება არაერთხელ მდგარა რეალური საფრთხის წინაშე, თუმცა რუსული გავლენით გამოწვეული ცვლილებები ერის აზროვნებასა და განვითარებაში გაცილებით მძიმედ დაილექა და მისი განვითარება სულ სხვა კუთხით წარიმართა. მართალია რუსეთთან კავშირმა საქართველოს გარეშე მტრისგან დაცვა და ნაწილობრივ სტაბილურობა მოუტანა, მაგრამ სამაგიეროდ, იმპერიალისტური მართვის შედეგად, ერის შიგნით სოციალურმა კრიზისმა არა მხოლოდ კულტურული, არამედ პოლიტიკური განვითარებაც შეაფერხა. გამოიკვეთა პრო და ანტირუსული დამოკიდებულება და თუ ადრე იგივე მუსულმანი დამპყრობი საზოგადოების ყველა ფენისთვის იყო მიუღებელი, ამ შემთხვევაში

გამოვლინდა მასა, რომელიც თავის კეთილდღეობას მხოლოდ მეფის ხელისუფლების მხარდაჭერაში ხედავდა. ალბათ ამავე მიზეზით, როცა ''1901 წელს შესრულდა რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების 100 წელი, კავკასიის კოლონიურმა ადმინისტრაციამ და მისმა ქართულმა არისტოკრატიამ ზარზეიმით აღნიშნა ''იუბილე.'' რუსული პოლიტიკური პრესა, ხოტბას ასხამდა ქართველობას, რომელმაც ''ნებაყოფლობით'' გაუხსნა კავკასიის კარი რუსეთის მხედრობას'' (საქართველოს 2003: 19). თბილისის ადმინისტრაციის მიერ გატარებული ღონისძიებანი ''იუბილეს'' ზარ-ზეიმით ჩასატარებლად, ქართველი ინტელიგენციის ნაწილის მხრიდან დიდი პროტესტით აღინიშნა. ნაციონალ-დემოკრატებმა და ''ცნობის-ფურცლელებმა'' იმპერიის წინააღმდეგ პროკლამაციები გაავრცელეს, სადაც იგმობოდა რუსთა საქმიანობა საქართველოში. მთავარი კი ის იყო, რომ 1903 წლის მაისში გამოსულმა გაზეთმა ''საქართველო''-მ წამოაყენა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა. ავტონომიისთვის ბრძოლა თავის უმთავრეს მიზნად დაისახა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა ბლოკისტურმა პარტიამ (1904). ეს იმას ნიშნავდა, რომ ქართველმა ერმა ავტონომიის მოთხოვნით ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა დაიწყო. ეროვნული ძალები შეეცადნენ სოციალური ბაზის გაფართოებას და ეროვნული სახელმწიფოებრიობის იდეით, მოსახლეობის ფართო ფენების დაინტერესებას.

რთულ სოციალურ ვითარებაში მყოფ მასებს შოის, არა მხოლოდ ახლებური პოლიტიკური იდეოლოგიის, არამედ თვით რელიგიური სექტანტიზმის დანერგვაა ძალზედ იოლი. სოციალური თემით მანიპულირება და მითუმეტეს სოციალიზმის იდეების ქადაგება მასებში გასაგებ ენაზე, აქტიური გასვლითა და მათთ ნ მჭიდრო ურთიერთობით, თავისთავად მოიტანდა ადრე თუ გვიან ამ ახალი იდეოლოგიის პოპულარიზაიას. ერთადერთი ფენა, რომელიც ყველანაირ სოციალურ კრიზისს მოთმინებით ხვდებოდა და ანალოგიური მოთმინებისაკენ თავის მრევლსაც მოუწოდებდა, სამღვდელოება იყო, რომლის შემწყნარებლობა რელიგიური წიაღიდან მომდინარეობდა. მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში მხოლოდ ეროვნულ იდეოლოგიას ემსახურებოდა, მიუხედავად იმისა რომ, ეკონომიკურ კრიზისს თავადაც განიცდიდა. ეროვნულ ეკლესიას კარგად ჰქონდა გაცნობირებული თავისი როლი ქარველი ერის და სახელმწიფოს მომავალი განვითარების საქმეში.

ქართული ეროვნული იდეოლოგიის აღორძინებისა და პოპულარიზაციის საქმეს უძველესი დროიდან ემსახურებოდა მართლმადიდებელი ეკლესია და მოგვიანებით კი ის პოლიტიკური პარტიები, რომელთა თვალსაჩინო წარმომადგენლები უდიდეს საფრთხეს ხედავდნენ რუსულ და პრორუსულად მოაზროვნე ძალებში. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა რომ აუცილებელი იყო, ესმოდათ არა მხოლოდ ეროვნულ ძალებს, არამედ მათაც, ვინც უბრალოდ მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ ისევ რუსულ სოციალისტურ სახელმწიფოსთან აქტიურ თანამშრომლობაში ხედავდა მომავალს. ამ მიზეზით მოხდა ის, რომ სოციალ-დემოკრატთა ძირითადი მიმდევრები, რომელთა შორისაც იყვნენ ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე და სხვანი, ილია ჭავჭავაძესა და ქართველ სამოციანელებს დაუპირისპირდნენ იდეოლოგიურად. ამავე დროს შეუძლებელია არ ითქვას, რომ ''ნოე ჟორდანიას დამოკიდებულება ნაციონალური საკითხისადმი თვით ქართველ სოციალ-დემოკრატთა შორის იწვევდა აღშფოთებას. ნაშრომმა ''ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი'' სავსებით სამართლიანად აღაშფოთა ქართული საზოგადოებრიობა. ნოე ჟორდანიას შეხედულებანი აშკარად დაგმო ვლადიმერ დარჩიაშვილმა'', რომელიც ნაციონალურ საკითხს ნოე ჟორდანიასგან განსხვავებით უფრო ფრთხილად ეკიდებოდა'' (გურული 1999: 21). სწორედ ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ სოციალ-დემოკრატთა ნაწილის არაეროვნული იდეოლოგია ეროვნულად განწყობილი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის აღშფოთებას იწვევდა. იმდროინდელი პოლემიკა საგაზეთო ფურცლებზე, სრულყოფილ სურათს გვიხატავს და თვალსაჩინოს ხდის ქართველი ერის ისტორიის კიდევ ერთ ნაწილს. ''ივერიელთა'' წინააღმდეგ ბრძოლა, თითქოსდა სოციალ-დემოკრატთა უპირველეს მიზნად იქცა. იგივე შეტევას არც არჩილ ჯორჯაძის ''საერთო მოქმედების ნიადაგი'' გადაურჩა. ამას ისიც დაერთო, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ 1903 წლის II ყრილობაზე საერთოდ უარყო ავტონომიისა და ფედერალიზმის იდეა და მხოლოდ ცენტრალიზმის პრინციპი და მისთვის დამახასიათებელი მართვის სისტემას მიანიჭა პრიორიტეტი. ამგვარ მიზანსწრაფვში კარგად ჩანს მომავალი, ახალიმპერიული მიზნები. ამგვარი განაცხადი რა თქმა უნდა ეროვნულ ძალებსა და ავტონომიის მოთხოვნას უკიდურესად უპირისპირდებოდა. დაპირისპირების მაგალითები ამ ორ ძალას შორის, კარგად ჩანს ორივე მხარის პუბლიცისტურ ნაშრომებში. ''1904 წელს თბილისში გამოქვეყნდა იოსებ ჯუღაშვილის ნაშრომი ''როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი''. ჯუღაშვილის პოზიცია ცალსახაა და მას საერთო არ აქვს არანაირ

ეროვნულ საკითხთან და ეროვნულ იდეოლოგიასთან, უფრო მეტად თვით სიტყვა ''ნაციონალური'' მკვეთრად განსხვავდება იმ კონტექსტისგან, რასაც არსით სიტყვა ეროვნული გამოხატავს. ჯუდაშვილისეული კრიტიკა ყველა იმ პოლიტიკურ ძალებს მისწვდა, რომლებიც ავტონომიის იდეით გამოდიოდნენ და პროლეტარიატის წარმომადგენლებს მათთან შეურიგებელი ბრძლოლისაკენ მოუწოდებდა, რათა რუსული პროლეტარიატის ერთიანობას საფრთხე არ შეჰქმნოდა. პარალელურად, მეფის ხელისუფლების შესუსტების პროცესი საკმაოდ ინტენსივობით მიმდინარეობდა. იმპერიის გართულებული საგარეო პოლიტიკას 1904 წელს იაპონიასთან ომი დაერთო, რამაც სოციალური კრიზისი კიდევ უფრო გაამწვავა. ამავე მიზაზითა და სოციალ-დემოკრატთა დიდი მონდომებით, რუსეთში რევოლუცია დაიწყო, რასაც მონარქიის მხრიდან უკიდურესი სადამსჯელო ღონისძიებები მოჰყვა. სისხლში ჩახშობილი საპროტესტო აქციების მიუხედავად, რევოლუციური გამოსვლები მთელს იმპერიას თანდათან მოედო და საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მუშათა კლასიც ჩაება მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში. აღნიშნულ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, რომ არა ერთი მცი9რე დეტალი, ასეთი მოძრაობის იდეოლოგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთა იყო, რომელიც ეროვნული საკითხისადმი ნიჰილისტური მიდგომით, წინა პლანზე სოციალურ საკითხებს სწევდა და ამით მანიპულირებდა; ვერც მთავარმართებელთა ხისტმა რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ (გოლიცინი, ვორონცოვ-დაშკოვი), ვერც საშინაო პოლიტიკის შერბილებამ, რაც ''1905 წლის 6 აგვისტოს ნიკოლოზ II – ის მიერ გამოცხადებული ''უმაღლესი მანიფესტით'' გამოიხატა და ამით რუსეთის ხალხს არჩევითი სათათბირო უბოძა, ვერ შეანელა იმპერიის ნგრევისკენ მიმართული პროცესები. რომანოვების მართველობის ხანა განწირული იყო და ვერანაირი რეფორმები ამ პროცესს ვეღარ შეაფერხებდა. მოვლენების განვითარება დამოკიდებული იყო არა მხოლოდ შიდა, იმპერიის მოწინააღმდეგე ძალებზე, არამედ უცხოური აგენტურის იმ ფართო ქსელზე, რომლებიც იმ დროისათვის ერთადერთი დრომოჭმული იმპერიის დამხობის გეგმას ახორციელებდნენ. ამავე მიზეზით, როცა 1905 წელს, რუსეთის იმპერია საყოველთაო გაფიცვამ მოიცვა და თვით ნიკოლოზ II – ის ბრძანებით 17 ოქტომბერს გამოიცა მანიფესტი ''სახელმწიფოებრივი წესრიგის სრულყოფის შესახებ'', შედეგი უმნიშვნელო იყო თვით ხელისუფლებისათვის, რადგან ამით, ''ფაქტიურად დასრულდა აბსოლუტური მონარქიის ეპოქა რუსეთში'' (გადაიდგა პირველი ნაბიჯი კონსტიტუციური მონარქიის დამყარებისკენ'' (საქართველოს 2003: 26),

ამ შემთხვევაში, მენშევიკი სოციალ-დემოკრატები პარლამენტარიზმისა და არჩევითობის მომხრეებად მოგვევლინნენ და ბოლშევიკთა მხრიდან ჯეროვან წინააღმდეგობას წააწყდნენ. ასეთ ვითარებაში, მნენშევიკური მთავრობა მეფის ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმის ირიბ მხარდამჭერად წარმოჩნდნენ. იმპერია ყველა ამბოხებას ახშობდა, ამან რევოლუციური განწყობის დაღმავლობა განაპირობა. თანდათან იკვეთებოდა მენშევიკური და ბოლშევიკი სოციალ დემოკრატთა შორის არსებითი უთანხმოება და განსხვავებული დამოკიდებულება მთელი რიგი საკითხებისადმი. ამგვარი პერიპეტიები რაღა თქმა უნდა მოსახლეობის უმეტეს და აქტიურ ნაწილზე გავლენას ახდენდა. მენშევიკთა ქართველი წარმომადგენლები ავად თუ კარგად, მოსახლეობაში საკმაო გავლენითა და მხარდაჭერით სარგებლობდნენ, მათ მიერ გამოცემული პერიოდული პრესა ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა. 1905 წლის თებერვალში, საქართველოში დაბრუნებულმა ‘’ნოე ჟორდანიამ გამოსცა გაზეთი ‘’სოციალ-დემოკრატი’’. რევოლუციის წლებში სოციალ-დემოკრატები ერთმანეთის მიყოლებით სცემდნენ გაზეთებს: ‘’სხივი’’, ‘’გზა’’, ‘’გრიგალი’’, ‘’ლამპარი’’, ‘’სიმართლე’’, ‘’დილა’’, ‘’ლახვარი’’, ‘’საყვირი’’ და სხვა. უფრო მცირე იყო ბოლშევიკური გამოცემების რაოდენობა: ‘’პროლეტარიატის ბრძ ლა’’, ახალი ცხოვრება’’, ‘’ჩვენი გზა’’, ‘’კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ’’ (საქართველოს 2003: 27). ამრიგად, თვით პერიოდული გამოცემების არაერობლიობა გამოხატავდა მენშევიკებისა და ბოლშევიკების შორის არსებულ დაპირისპირებას. ბოლშევიკური ფრთა ხელისუფლების დამხობის მხოლოდ ძალისმიერი პროპაგანდით იყო დაკავებული და ამგვარი იდეებით რუსეთის ცენტრსა და მთელს რუსეთშიც გაცილებით მეტი პოპულარობით სარგებლობდა, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე, სადაც ხალხში ჯერ კიდევ ცოცხლობდა იდეა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ავტონომიისა. მენშევიკთა ლიდერები კი მართალია არ გამორიცხავდნენ ტერორს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედარებით დემოკრატიული ნაბიჯებით სასურველი მიზანი მიუღწეველი იქნებოდა. სწორედ ეს განსხვავება მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის, ხალხში, რომელიც ტერორსა და ხელისუფლებასთან ხშირი შეტაკებების გამო, ისედაც სულს ღაფავდა, მენშევიკების მიმართ უფრო ნდობას აღვივებდა. ყოველ შემთხვევაში მენშევიკთა მიერ იქნა ორგანიზებული საქართველოს სხვადასხვა მხარეებში გურია-სამეგრელოსა თუ იმერეთში გაჩაღებული სახალხო მოძრაობა. საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობაში სხვებ თან ერთად ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, ნიკოლოზ ჩხეიძე, სევერიან ჯუღელი და ბენია ჩხიკვიშვილიც შედიოდნენ.

ქართველ მენშევიკებს საქართველოში მუშათა კლასის ლიდერის პოზიცია ეკავათ. 1905 წელს ფინეთის კონფერენციით მოხდა მენშევიკთა და ბოლშევიკთა გაერთიანება, თუმცა შემდგომში 1906 წლის სტოკჰოლმის გამაერთიანებელ რსდმპ IV ყრილობაზე თუ 1907 წლის ლონდონის V ყრილობაზე, ინიციატივა კვლავ მენშევიკთა მხარეზე იყო. თვით კონფერენციის მსვლელობაში ბოლშევიკთა უმცირესი ნაწილი მონაწილეობდა, რომელთა შორის იყო იოსებ ჯუღაშვილიც. ქართველი სოციალ-დემოკრატების აქტიურობა, საზღვარგარეთ ჩატარებული კონფერენციები და სოციალური იდეოლოგიით გაჟღენთილი ლოზუნგები სოციალურად დაუცველ და დაბალ ფენებში დიდ ნდობას აღძრავდა. ეს ესმოდათ ბოლშევიკებს, რომლებიც ამიერკავკასიაში მარცხისდა მიუხედავად, ცდილობდნენ პოლიტიკურად გააქტიურებას და იქიდან გამომდინარე რომ რსდმპ ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის არჩევისას 1906 წელს, ბოლშევიკები უმცირესობაში მოხვდნენ, მათ სცადეს შეექმნათ დამოუკიდებელი ცენტრი ''თბილისის ბოლშევიკების ლიტერატურული ბიურო'', რომელშიც ჯუღაშვილთან ერთად ფილიპე მახარაძე, სტეფანე შაუმიანი, პროკოფი ჯაფარიძე და სხვები იღებდნენ მონაწილეობას. მიუხედავად მცდელობისა, ბოლშევიკების აქტიურობა საქართველოში 1921 წლის რუსეთის არმიის ინტერვენციამდე მაინც შესუსტდა. ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარება სულ სხვა კუთხით მიმდინარეობდა. ის რომ სოციალ-დემოკრატთა მენშევიკურმა ფრთამ მუშათა კლასის ნდობა მოიპოვა, თავისთავად პრიორიტეტულს ხდიდა ამ პოლიტიკურ მოძრაობას. პარალელურად გაცილებით ეროვნულ პოზიციებზე მდგომი ძალები, ცდას არ იშურებდნენ რომ ხალხში ეროვნული იდეოლოგიის პროპაგანდით, ავტონომიის იდეა მოემწიფებინათ. მეფის ხელისუფლება წინააღმდეგობის გაწევას თითქმის ვეღარ ახერხებდა. პროცესები სტიქიურად მიმდინარეობდა, მაგრამ ეროვნული ძალები გაცილებით მეტ პრესს განიცდიდნენ ვიდრე სოციალისტურად განწყობილი ძალები, რომლებსაც ეროვნულ-ნაციონალური საკითხი სრულებით განსხვავებულად ესმოდათ. აღსანიშნავია ფედერალისტების პოლიტიკური ნაბიჯები, რომლებიც ხედავდნენ რა რევოლუციური მოძრაობის გააქტიურების აუცილებლობას, არ ერიდებოდნენ თვით იარაღის შემოტანასაც კი საქართველოში საზღვარგარეთიდან. ''1905 წლის შემოდგომაზე, საზღვარგარეთ მყოფმა ფედერალისტებმა, შვიდი ათასი თოფით დატვირთეს და მათ მიერვე შეძენილი ჰოლანდიური გემი ''სირიუსი''. გემის ეკიპაჟი შედგებოდა ფრანგი და ჰოლანდიელი ანარქისტებისაგან, რომლებსაც მეთაურობდა ვარლამ ჩერქეზიშვილის მეგობარი, ჰოლანდიელი ანარქისტი ქრისტიან კორნელისენი.

1905 წლის ნოემბერში, იარაღით დატვირთული ''სირიუსი'' ფოთს მოადგა. იარაღის ნაწილი, მართალია პოლიციას ჩაუვარდა ხელში, მაგრამ დიდი ნაწილი რევოლუციურად განწყობილ მოსახლეობას დაურიგეს. ამ აქციას ხელმძღვანელობდა ფედერალისტური პარტიის ერთერთი თავკაცი გიორგი დეკანოზიშვილი, მასში მონაწილეობდნენ თედო სახოკია, გიორგი სიხარულიძე და სხვანი. 1906 წლის აპრილში, სოციალისტ-ფედერალისტებმა დუშეთის მაზრის ექსპროპრიაცია მოახდინეს და 315 ათასი მანეთი გაიტაცეს'' (საქართველოს 2003: 29), ამგვარი აქციები მართალია ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის ელფერს ატარებდა, მაგრამ საბოლოო შედეგი ამით არ მიიღწეოდა. პარტიის ერთიანობა დაირღვა და ამას თავისი ახსნა აქვს; ფედერალისტების იდეოლოგიური მტრის, ფილიპე მახარაძის დასკვნით, ''ფედერალისტები ერთსა და იმავე დროს იცავდნენ ქართველი სამღვდელოების (განსაკუთრებით მაღალი სამღვდელოების), ქართველი თავადაზნაურების, ქართველი ბურჟუაზიისა და ასე წარმოიდგინეთ, ქართველ მუშებისა და გლეხების ინტერესებს'' (მახარაძე 1924: 113). ამგვარი შეფასება ბოლშევიკი მოღვაწის მხრიდან, პოლიტიკური პარტიის დისკრედიტაციას ახდენდა. ''ფილიპე მახარაძე განგებ ამუქებდა ფერებს და ჩქმალავდა იმას, თუ რის საფუძველზე იყვნენ გაერთიანებულნი ეს სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები ერთ პარტიაში'' (შველიძე 1993: 249);

ავტონომიისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. პარტიათა შორის ძირითად საკითხში ერთიანობა, ხოლო რიგ ასპექტებში განსხვავებულობა და ამის გამო არაერთიანი პლათფორმა მიზანს თითქმის მიუღწეველს ხდიდა. ''პოლიტიკური პირდაპირობით ეროვნულ-დემოკრატები ფედერალისტებზე შორს მიდიოდნენ, ისინი მოურიდებლად უწოდებდნენ თავიანთ თავს ქართველ ნაციონალისტებს'', მიუთითებდნენ კიდეც მის მავნებლობას ''ქართველი ერის'' ინტერესებისათვის. მარქსიზმთან და სოციალ-დემოკრატებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, ფედერალისტები, რომლებიც ამავე დროს სოციალისტებად იყვნენ, ვეღარ ეგუებოდნენ ეროვნულ-დემოკრატთა ზეკლასობრივ პლათფორმას'', გარდა ამისა თვით არჩილ ჯორჯაძე წერდა: ''ჩვენ პარტიაში, - აღიარებდა იგი – სოციალიზმი ძლიერ სუსტობს და ნაციონალ დემოკრატიზმს დიდი გავლენა აქვს. ამ გარემოებას უთუოდ ბოლო უნდა მოვუღოთ. ნაციონალ-დემოკრატებს უნდა დავშორდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი ყოველთვის წინააღმდეგი იქნება ჩვენი'' (შველიძე 1993: 251). მეორე წერილში, რომელიც გიორგი დეკანოზიშვილისადმი

იყო გაგზავნილი, არჩილ ჯორჯაძე წერდა: ‘’ჩვენს პარტიაში დომხალივით ირევა სხვადასხვა სჯულის ხალხი, ვინც ავტონომიას თანაუგრძნობს, სულ ჩვენს პარტიაში შემოვიდნენ და საქმე ძლიერ გაგვიფუჭეს, რადგან ეს ხალხი სოციალიზმის წინააღმდეგია’’ (1905 წლის 21 ივნისი) (შველიძე 1993: 251-252). ვფიქრობთ, ამგვარი დამოკიდებულება სწორედაც რომ განაპირობებდა ეროვნული ძალების არაერთსულოვნებას და თვით ფედერალისტები ხედავდნენ ნათლად სოციალისტური იდეების პოპულარობასა და სიძლიერეს მასაში, მაშინ ნათელი ხდება თუ რა გზით მოიპოვეს მენშევიკებმა და მათმა ლიდერებმა პირველობა და უკვე მთელი რიგი პროცესების შემდგომ, 1918 წელს, დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში მოექცნენ. მაშინაც კი, როცა ანარქისტული ფრთა ჩამოსცილდა ფედერალისტებს და თბილისში 1907 წელს სოციალისტ-ფედერალისტთა III კონფერენცია შედგა, რომლის შედეგადაც ფედერალისტებმა ‘’დამფუძნებელი’’ პროგრამის რატიფიცირებისას მეთოთხმეტე პუნქტად გამოკვეთეს ‘’საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის’’ მოთხოვნა, მათი გადაწყვეტილების ქმედითუნარიანობა ძალზედ სუსტი იყო, ვინაიდან, ავტონომიას ებრძოდა ოფიციალური ხელისუფლებაც და ის ძალებიც, ვინც ამ ოფიციოზის უშუალო მოწინააღმდეგე იყო. ავტონომიის იდეას და მისი განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეს ისე არავინ ემსახურა, როგორც ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი. ‘’ავტონომიის მოთხოვნას მხარს უჭერდნენ ქართველი ინტელიგენციის წვრილბურჟუაზიული ფენები, მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა, ლიბერალური თავადაზნაურობა და ბურჟუაზია’’ (საქართველოს 2003: 30), ანუ, უმეტესწილად ის ფენები, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა სოციალიზმის იდეოლოგთა მთავარ დანიშნულებად იქცა. თბილისში შემდგარი სათავადაზნაური კრების შედეგიც, ავტონომიის მოთხოვნა იყო.

ამგვარად, იდეა რომელიც ქართველი ერის წიაღიდან მომდინარეობდა და რუსული თვითმპყრობელური რეჟიმის ქვეშ მყოფ საქართველოში წლების მანძილზე ითრგუნებოდა, ეროვნულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწეთა დიდი მუშაობის შედეგად, თანდათან ფეხს იკიდებდა მოსახლეობის აქტიურ ფენებში. ამ მხრივ შეუფასებელია ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა, რომლის ნოვატორული აზროვნება და იმ დროინდელი ვითარების სწორი აღქმისა და შეფასების არნახული უნარი, სოციალისტთა მენშევიკური და ბოლშევიკური დაჯგუფებების შეშფოთებას იწვევდა. განსაკუთრებით საშიში ეროვნული აზროვნებისათვის მემარცხენე ექსტრემიზმის

წარმომადგენლები, ანუ ''ბოლშევიკები'' იყვნენ. პარალელურად, მეფის ხელისუფლების სადამსჯელო აქციები ეროვნული მოღვაწეების თუ ახალი პოლიტიკური მოძრაობების წინააღმდეგ, არცთუ მცირე კვალს ტოვებდა და აფერხებდა კიდეც ყოველგვარ პროცესებს. ეჭქვეშ იდგა არა მხოლოდ საქართველოს ავტონომიის საკითხი თუნდაც ''გეორგიევსკის ტრაქტატის'' (1783) საფუძველზე, არამედ ქართული სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის იდეაც მიუღწეველი რჩებოდა.

მეფის ხელისუფლების მიერ საქართველოში გატარებულ პოლიტიკას შეეწირა ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც ცნობილი იყო როგორც ავტოკეფალისტების ლიდერი. მას ყველაზე მძიმე ბრალდება, ადამიანის მკვლელობა წაუყენეს და გაასამართლეს ანტიქართული საქმიანობით დიდად განთქმული ეგზარქოსის, ნიკონის სიკვდილისთვის. ყველაზე მძიმე კი ქართული საზოგადოებისთვის დიდი ეროვნული მოღვაწისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრიობის იდეის სულისჩამდგმელის, ერის მამის, ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული დაღუპვა იყო, რის მიღმაც, კარგად ჩანს იმდროინდელი სოციალისტების კვალი. ''ილიას გლოვის დღეებში, როცა მთელი ქართველი ერი შეძრწუნებული და თავზარდაცემული იყო, გამოჩნდნენ ისეთებიც, ვინც ჩვენი ქვეყნისათვის ამ მძიმე ჟამს გესლიანად ასისინდნენ და ერთგვარი კმაყოფილებაც ვერ დაფარეს. ესენი ძირითადად სოციალ-დემოკრატიული პარტიის მესვეურები იყვნენ'' (მინაშვილი 1995: 55). ამგვარად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ის იდეა, რომელსაც მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ილია და მისი დასი ავითარებდნენ, ბედის უკუღმართობით საფრთხის ქვეშ დადგა, ხოლო ის ძალები, რომლებიც პოლიტიკური მოძრაობის ავანგარდში მოექცნენ, სრულებით განსხვავებულად ხედავდნენ სახელმწიფოებრივი მოწყობის შესაძლო ვარიანტებს.

მეფის ხელისუფლების მიერ გატარებულმა აქციებმა გაჭრა და 1905-1907 წლის რევოლუცია დამარცხდა. ამ ეტაპზე, სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის უფრო მეტი ავტორიტეტი სოციალ-დემოკრატებს ჰქონდათ, ბოლშევიკები პოპულარობით ამიერკავკასიის სხვა რეგიონებსა და ქალაქებში, მაგალითად ბაქოსა და ერევანში უფრო სარგებლობდნენ. იმ ძალებს, რომლებსაც ეგონათ, რომ ქართული სახელმწიფოებრივი ავტონომიის მოთხოვნა ილია ჭავჭავაძის სიკვდილთან ერთად მინელდებოდა, იმედი გაუცრუვდათ. მართალია ეროვნულ საკითხში ქართული ძალების ერთიანობა დარღვეული იყო და ისინი ცალცალკე მოქმედებდნენ, მაგრამ იმ დროისთვის უმნიშვნელოვანესი გახლდათ რუსეთის სათათბიროში ქართველ სოციალ-

დემოკრატი დეპუტატის, აკაკი ჩხენკელის გამოსვლა, რომელმაც რუსიფიკატორული პოლიტიკის გაკრიტიკებასთან ერთად, საქართველოს ეროვნულ-კულტურული ავტონომია მოითხოვა, ამას დაემატა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტის, ვარლამ გელოვანის თამამი განცხადება საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით, შეიქმნა ''ქართველი ხალხის უფლებების დაცვის კავშირი'', რომლის უშუალო წევრები: არჩილ ჯორჯაძე, გერონტი ქიქოძე, კიტა აბაშიძე, პეტრე სურგულაძე და საზღვარგარეთ მყოფი მიხაკო წერეთელი და ვარლამ ჩერქეზიშვილი, ქართული სახელმწიფოს ავტონომიის მოთხოვნას საერთაშორისო დონეზე ახმოვანებდნენ. იმდენად მძიმე და აუტანელი იყო რუსული თვითმპყრობელური რეჟიმი, რომ თვით პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას, როცა რუსეთს ''ანტანტა'' და მისი მოკავშირეები დაუპირისპირდნენ, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ავტონომიის მოთხოვნის იდეამ სხვა მიმართულება მიიღო. მათ რუსეთის წინააღმდეგ ომის დროს აჯანყების შემთხვევაში, იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების გამოყენების იმედი ჰქონდათ. ამ იდეის ერთერთი მოთავის, ''საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის'' წევრის, გიორგი მაჩაბელის ინიციატივა, ქართველი სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელმა ნოე ჟორდანიამ და სხვებმა არარეალურად მიიჩნიეს. ომის შედეგად გამოწვეულმა ცვლილებებმა და ზარალმა, სხვადასხვა პოლიტიკური ძალების აქტიურობაში და მოთხოვნებშიც მრავალფეროვნება შეიტანა, ასე გამოჩნდა ''თვითგამორკვევის'' ახლებური იდეა. მალე, ''ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მხარი დაუჭირეს რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას, ქართველი სოციალ-დემოკრატების აზრით, საქართველო ვერ იქცეოდა უშუალოდ რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალ ავტონომიურ ერთეულად. საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს უნდა შეექმნა ამიერკავკასიის ავტონომია, რომელიც შევიდოდა რუსეთის სახელმწიფოში ცალკე ავტონომიურ ერთეულად '' (საქართველოს 2003: 44).

ვფიქრობთ, ქართველი სოციალ-დემოკრატების სახელმწიფოებრივი მოწყობისადმი დამოკიდებულება გამოწვეულია მათთვის დამახასიათებელი პოლიტიკური ორჭოფობითა და რადიკალური ქმედებების დეფიციტით. სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური ნაბიჯები დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ხანაშიც ძალზე შენელებული და ზოგჯერ უდროოც კი იყო. ყოველ შემთხვევაში, რომ არა რადიკალური ძალები საქართველოში, რომელთაც ისარგებლეს რუსეთში

კერენსკის მთავრობის გამარჯვების შემდეგ 1917 წლის 25 ოქტომბრის ბოლშევიკური კონტრრევოლუციური გადატრიალებით, მენშევიკური მთავრობა ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტს ალბათ არც გამოაცხადებდა. საქართველომ არ სცნო ბოლშევიკური ხელისუფლება, ამიერკავკასიაში კვლავაც რთული ვითარება სუფევდა, იმ დროისათვის შექმნილმა ამიერკავკასიის კომისარიატმა შექმნა პრეცედენტი, რომლის შედეგადაც "ამიერკავკასია ოფიციალურად გაემიჯნა საბჭოთა რუსეთს. ამავე დროს გამოცხადდა, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი ხელისუფლების სამხარეო ორგანოს როლში გამოვიდოდა რუსეთში კანონიერი ხელისუფლების აღდგენამდე. ესეიგი ხაზი გაესვა იმას, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ გამოცხადდებოდა" (საქართველოს 2003: 50). ბოლშევიკური მთავრობისათვის, რომელიც მოძალადეობრივი მეთოდებით მოვიდა ხელისუფლებაში, ამიერკავკასიის ასეთი დაუმორჩილებლობა ყოვლად მიუღებელი იყო. ამიერკავკასიის ერთიანობის აუცილებლობა საქართველოსთვის დღითიდღე მნიშვნელოვანი ხდებოდა, რადგან უმთავრეს აგრესორად საქართველოსთვის თურქეთი რჩებოდა. მეფის რუსეთის მიერ გუბერნიებად დაშლილ საქართველოში, ერთიანი საზღვრების არარსებობა მრავალეროვან ქვეყანაში სეპარატიზმისკენ უბიძგებდა ცალკეულ ერებს, რაც ასევე საშიში იყო ქვეყნის მომავლისათვის. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას რუსეთში ამ სახით, არავინ ელოდა. ძალიან მოკლე ხანში განვითარებულმა მოვლენებმა, მეფის ხელისუფლების დამხობამ და სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიერ მართვის სადავეების ხელში აღებამ, რუსულ საზოგადოებრიობაში გამოიწვია ვნებათა ღელვა. ძალაუფლება, რომელიც საბჭოებმა აიღეს ძალიან ბევრის კეთილდღეობას აყენებდა ეჭქვეშ. პროგრესული ძალები რუსეთშიც და მის საზღვრებს მიღმაც, დემოკრატიის გამარჯვების იმედით სულდგმულობდნენ და საქართველოს მომავალს ასეთი დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში ხედავდნენ, რათქმაუნდა ყოველგვარი თვითმმართველობისა და დამოუკიდებელი განვითარების უფლებით. ნოე ჟორდანია, რომელიც 1917 წლის 19 ნოემბერს, საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის თავმჯდომარედ აირჩიეს, თავისი რეზოლუციის პირველ პუნქტში, საქართველოს მომავალ განვითარებას ისევ "რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე ხედავს", იყვნენ ძალები, რომლებიც ამ დებულებას ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ საქართველოში სოციალ-დემოკრატთა დიდი გავლენა და ურთულესი გეოპოლიტიკური ვითარება რადიკალურად განწყობილ ეროვნულ ძალებს გარკვეული დათმობებისკენ უბიძგებდა. მათაც, მაინც რუსეთში დემოკრატიის გამარჯვების იმედი ჰქონდათ. უდიდესი

მნიშვნელობისაა საქართველოში 1917 წლის 22 ნოემბერს ეროვნული საბჭოს ჩამოყალიბება, რომლის თავმჯომაედ ნოე ჟორდანია აირჩიეს. ათეული წლების მანძილზე, რუსეთის იმპერიის ტოტალური მმართველობის შემდეგ განხორციელებული თითოეული ნაბიჯი მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის გარანტი უნდა ყოფილიყო. იმ დროს მოღვაწე პოლიტიკურ ძალებს შორის არსებობდა ერთმანეთისგან განსხვავებული პროდასავლური და პრორუსული ორიენტაცია. თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ ანტანტას ქვეყნების წარმომადგენლები და მათი მომხრეები ერთიან და განუყოფელ რუსეთს სცნობდნენ და თვით თურქეთის აგრესიის შემთხვევაში ვერანაირი დახმარების იმედს ვერ აძლევდნენ საქართველოს, აგრეთვე იმ საფრთხეს, რომლის შედეგადაც 1918 წლის იანვრის დამდეგს, საბჭოთა რუსეთმა საქართველოსა და ამიერკავკასიის ოკუპაცია სცადა კავკასიის ფრონტიდან მოხსნილი ამიერკავკასიის საჯარისო შენაერთებით, ქართველი ერი მარტო იყო ახალ და საფრთხით აღსავსე პოლიტიკურად არასტაბილურ სივრცეში. მართალია ამ შემთხვევაში რუსეთის ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო.

რუსეთის იმპერიაში მიმდინარე ცვლილებები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. მალევე განხორციელდა რევოლუციურად და მოძალადეობრივად განწყობილი ბოლშევიკური ძალების მიზნები. 1918 წლის 6 იანვარს ბოლშევიკებმა გარეკეს რუსეთის დამფუძნებელი კრება. მათ მიერ განხორციელებული სადამსჯელო ღონისძიებები თავისთავად შიშს იწვევდა მოსახლეობაში. მიუხედავად რადიკალური განწყობისა, რუსეთის რთულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, ბოლშევიკთა ლიდერი ვლადიმერ ლენინი იძულებული გახადა დაედო ხელშეკრულება ბრესტ-ლიტოვსკში (1918 წლის 3 მარტი), რომლის შედეგადაც, საქართველომ ბათუმის ოლქი დაკარგა. ტერიტორია თურქეთს გადაეცა. ამიერკავკასიის კომისარიატთან შეუთანხმებლად გადადგმული ეს ნაბიჯი, საქართველოსა და მის მეზობლებს მეტად რთულ ვითარებაში აგდებდა. მაშინდელი აქტიური მსოფლიო პოლიტიკური ძალები არ სცნობდნენ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას, თურქეთი საქართველოს ზავის პირობების შესრულებას სთხოვდა და საპასუხოდ საომარ მოქმედებაზე გადავიდა. ქართველი ერი რეალურად საფრთხის წინაშე იდგა. ერთის მხრივ ჯერ არშემდგარი და ჩამოუყალიბებელი სახელმწიფო და მისი საზღვრები, მეორეს მხრივ კიდევ უფრო დანაწევრების საფრთხე. ტრაპიზონში აკაკი ჩხენკელის მიერ წარმოებულ

მოლაპარაკებას შედეგი არ მოჰყოლია. რამდენიმე ხანში შედგა ამიერკავკასიის სეიმი, რომლის მსვლელობისას კიდევ ერთხელ გახმაურდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის იდეა და შედგა მთავრობა სხვადასხვა პოლიტიკურ-ეროვნული შემადგენლობით. ამიერკავკასიის ეროვნულმა სიჭრელემ და პოლიტიკოსების სწორმა ხედვამ იმის შესახებ, რომ ასეთი განსხვავებული ინტერესების ერთა ნებაყოფლობითი გაერთიანება შეუძლებელი იყო, დააჩქარა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ამ მხრივ, განუხრელი პოზიცია ეროვნულ-დემოკრატებს ეკავათ, სოციალ-დემოკრატების პოზიცია მერყევი იყო, თუმცა სოციალ-დემოკრატთა მესვეურნი, კარგად ხედავდნენ რომ ბოლშევიკური რუსეთისა და მეორეს მხრივ აგრესორი თურქეთის კლანჭებიდან საქართველოს გამოხსნა მხოლოდ დამოუკიდებლობის გამოცხადებაში იყო. ამიერკავკასიის სეიმის წევრთა არაერთგვაროვანი ორიენტაცია და პოზიცია არ ამხოლოდ პოლიტიკურ-იდეური, არამედ კულტურულ-რელიგიური მრწამსითაც იყო განპირობებული. საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება გერმანიის ფაქტორზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკური კურსით" ხელმძღვანელობდა. "საქართველოს - გერმანია სჭირდებოდა თურქეთის აგრესიისგან თავდაცვისათვის, ხოლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, დამოუკიდებლობის გარანტად. გერმანიას - საქართველო სჭირდებოდა თავის აღმოსავლური პოლიტიკის ფორპოსტად" (საქართველოს 2003: 56). სწორედ ასეთ ვითარებაში, უდიდესმა პოლიტიკურმა ფიგურამ, აკაკი ჩხენკელმა დიდი ღვაწლის შედეგად, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას რისკთან და გადარჩენასთან თანაბრად აკავშირებდა, საქართველოს ეროვნულ საბჭოს მოსთხოვა დამოუკიდებლობის აქტის შემუშავება, დრო არ ითმენდა, თუ ადრე თურქეთი გერმანიის მოკავშირე იყო, საქართველოს შემთხვევაში ეს კავშირი ირღვეოდა. თურქეთი ბრესტ-ლიტოვსკის ზავით, რუსეთის მიერ გადაცემულ ქართულ ტერიტორიებს არ თმობდა. ასეთ ვითარებაში საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი ფაქტი დაფიქსირდა. 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ნოე ჟორდანია ხელმძღვანელობდა, "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი" გამოცხადა. შედგა კოალიციური მთავრობა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ამ დროისათვის ურთულეს საგარეო თუ საშინაო ვითარებაში, განვითარების განსხვავებულ გზას დაადგა. მოგვიანებით, დამფუძნებელი კრების არჩევნებში, უპირატესობა ისევ სოციალ-დემოკრატებმა მოიპოვეს.

ამ დროისათვის კარგად ჩანს, რომ ეროვნულმა ნიშანმა განსაზღვრა ქართველი ერის, თუნდაც ხანმოკლე პერიოდის მანძილზე, დამოუკიდებლობის მოპოვება და ამ პროცესში ადგილი არ ჰქონია ბოლშევიზმის არანაირ გამოვლინებას. უფრო მეტიც, სოციალ-დემოკრატიის ამ ფრთის ხელმოცარულმა წარმომადგენლებმა, თავიანთი იდეების რეალიზება რუსეთის პოლიტიკურ სივრცეში ჰპოვეს. ამითვე აიხსნება მომავალში ბოლშევიკური ძალაუფლების დამყარების შემდგომ, პრორუსულად ორიენტირებული ქართველების სიმრავლე საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებაში;

საბოლოოდ, როგორც იქნა აღსრულდა ილია ჭავჭავაძისა და მისი დასის დიდი ხნის ოცნება და ქართულმა სახელმწიფომ უმრავლესობის სურვილისამებრ თანდათან დაიბრუნა ძირითადი სახელმწიფო რეგალიები: დროშა, გერბი და ჰიმნი. დაიწყო ქვეყნის სამართლებრივი მოწყობა. მთავრობამ განახორციელა საკუთარი ფულადი ნიშნის, ბონების ემისია. მენშევიკი სოციალ-დემოკრატები ევროპაზე ორიენტირებდნენ, თუმცა მათი სოციალისტური მრწამსი, ბევრ საკითხს, მათ შორის რელიგიასთან დამოკიდებულებას შესაბამისად საზღვრავდა. დემოკრატიული საქართველოს არსებობის ხანა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობისათვის, მაგრამ 1918-1921 წლებში მნიშვნელოვანი საფუძველი ჩაეყარა საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ განვითარებას. ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც, საქართველოს და ქართველ ერს, წამყვანი როლი ეკავა და ეს ფაქტორი ბევრ შემთხვევაში ამძიმებდა დამპყრობლურ რეჟიმს; 1918 - 1921 წლებში, არაერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი შეიქმნა ხელისუფლების მიერ. მათ შორის იყო პირველ რიგში ''საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 1918 წლის 26 მაისს მიღებული, ასევე საქართველოს ეროვნულ საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მიერ 14918 წლის 28 ივნისს მიღებული კანონი ''სახელმწიფო კონტროლის თანამდებობის დაარსების შესახებ'', საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 2 ივლისის კანონი ''ჯაშუშობის საქმეთა კომისიის გაუქმებისა'', საქართველოს ეროვნულ საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 5 ივლისის კანონი ''სიკვდილით დასჯისა ზოგიერთ უმძიმეს ბოროტმოქმედებისათვის'', კანონი სამოსამართლო პალატის შტატების შემცირებისა'', საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 2 აგვისტოს კანონი ''რუსეთის საერთო

დაწესებულებათა და მათ განყოფილებათა ლიკვიდაციისა", კანონი "საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციისა", "სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსების" შესახებ კანონი, 1918 წლის 3 სექტემბრის კანონი "ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადებისა", კანონი "ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში", "მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა", 1918 წლის 1 ოქტომბერს კანონი "საქართველოს სახელმწიფო ენისა", ასევე, 1918 წლის 26 ნოემბრის კანონი "საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებისა", დებულება "აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისა". ასევე საინტერესოა მენშევიკური მთავრობის მიერ უკვე 1919 წელს მიღებული სამართლებრივი აქტები, მათ შორის: 3 იანვრის კანონი "სამეფო გვარეულობის წევრთა ქონების კონფისკაციისა", "ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისა", ასევე, 17 ივნისის კანონი "უქმე დღეების შემცირებისა", რომლებზეც ქვემოთ გვაქვს დაწვრილებით საუბარი, 1920 წლის 28 მაისს დეკრეტი "აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებული დავა განხილვის წესისა". ასევე საინტერესოა 1921 წლის საკანონმდებლო აქტებიდან "ამნისტია საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის აღსანიშნავად", მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 11 თებერვალს და 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული "საქართველოს კონსტიტუცია", რომლის განხორციელებასა და აღსრულებას განვითარებული მოვლენების გამო, დამოუკიდებელი საქართველო ვეღარ მოესწრო;

ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამართლებრივ განვითარებას წინ არაფერი უნდა აღსდგომოდა, რომ არა მსოფლიო ტერიტორიული გადანაწილების ახალი ტალღა. რუსეთის იმპერიის რეაქციული ძალები ვერაფრით ეგუებოდნენ ადრე ერთიანი რუსეთის, თუნდაც მეფის რუსეთის სივრციდან დამოუკიდებელი ერთეულების წარმოშობას და ცალკე სახელმწიფოდ არსებობას. მითუმეტეს, რომ ერთიანი რუსული სახელმწიფოსა და იმპერიის აღორძინების ახლებური იდეით ახლა ბოლშევიკი რუსები მოქმედებდნენ. "1921 წლის 2 იანვარს, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს წევრებმა გ.კ. ორჯონიკიძემ და ს.მ. კიროვმა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნეს მოხსენება, რომელშიც დაყენებული იყო საქართველოს გასაბჭოების საკითხი. "1921 წლის 20 იანვარს გ.ვ. ჩიჩერინი სწერდა ვ.ი. ლენინს: საქართველო ისე გათავხედდა, რომ შეიძლება იძულებული გავხდეთ გავასაბჭოოთ იგი" (თოიძე 1991: 59). გ.კ.ორჯონიკიძე და ს.მ. კიროვი მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ აღმოეჩინათ დახმარება

საქართველოს მშრომელებისათვის, რომელნიც ამტკიცებდნენ ისინი, იბრძოდნენ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ (თოიძე 1991: 58).

სამართლებრივი აქტებისა და სახელმწიფოებრივი მოწყობისათვის გადადგმული ნაბიჯების გარდა, უდიდესი მნიშვნელობა საქართველოს განვითარებაში 1921 წლის კონსტიტუციის მიღებას ჰქონდა. მასში ცხადად გამოიკვეთა, რომ ''საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა'' (საქართველოს 1995: 458). საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს, მეზობელი რუსეთი მეტად აგრესიული პოლიტიკით პასუხობდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა იმ დროინდელი საერთაშორისო მოლაპარაკება-ხელშეკრულების წყალობით ეჭქვეშ იდგა, რუსეთის მხრიდან მიზანმიმართულად ხდებოდა საქართველოში მცხოვრებ ერებში, მათ შორის აფხაზებსა და იმ დროისათვის მცირერიცხოვან ოსებში სეპარატიზმის გაღვივებას. სწორედ ამიტომ, კონსტიტუციაში ეროვნულ უმცირესობათ საკითხიც მკვეთრად გაიმიჯნა. ევროპული სახელმწიფოები, რომელთა დიდმა ნაწილმა საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო, აღიარებდნენ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ მდებარეობას და ქვეყანას განიხილავდნენ როგორც ბუნებრივ-გეოგრაფიულ დერეფანს, ანუ ''სატრანზიტო'' წერტილს. მართლაც, ევროპისათვის ვერც იმდროინდელი აზერბაიჯანი და ვერც სომხეთი, დასაყრდენი ვერ იქნებოდა, ასეთი ხედვა და შორსმიმავალი გეგმები ჰქონდა რუსეთსაც, ამიტომ, უფრო დროის მოგების მიზნით, 1920 წლის 7 მაისს, რუსეთის ხელისუფლებამ სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა დეფაქტოდ და სამართლებრივ სუბიექტადაც. აღნიშნულ ხელშეკრულებას წინ ვერსალის 12 იანვრის გადაწყვეტილება უსწრებდა, რომლის შედეგად, საქართველოს იმდროინდელი ვითარება გაუმჯობესდა. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის წლებში, ძალები, რომლებიც მოვლენების ასეთ განვითარებას არ მოელოდნენ, მალე ჩაერთვნენ ანტისახელმწიფოებრივ მოძრაობაში. უკვე 1921 წლის 26 იანვარს რკპ(ბ) ცენტრალური პლენუმის სხდომაზე, რომელზეც ულიანოვმა საქართველოს საკითხთან დაკავშირებით პროექტი წარადგინა ვკითხულობთ: „დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გააჭიანუროს ურთიერთობის გაწყვეტა საქართველოსთან და ამასთან სისტემატიურად შეკრიბოს ზუსტი მასალა მის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შესახებ. შეეკითხოთ კავკასიის ფრონტს, რამდენად მომზადებულნი არიან ჩვენი არსებული სამხედრო ძალები

საქართველოსთან დაუყოვნებლივი მოახლოვებული ომისათვის. მივცეთ დირექტივა რესპუბლიკურ საბჭოს და კავკასიის ფრონტს, თუ საჭირო იქნა მოემზადონ საქართველოსთან ომისთვის" (თოიძე 1991: 66). „12 თებერვალს მოულოდნელად რეგულარული არმიის ნაწილები სომხეთის მხრიდან, თავს დაესხნენ ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს ბორჩალოს მაზრაში" (თოიძე 1991: 102). იდეის სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები ისევ და ისევ ბოლშევიკები იყვნენ, საქართველოში არსებული კავკასიის სამხარეო კომიტეტი და ცენტრალური კომიტეტის ბიურო, რომლის სათავეში მყოფი ფილიპე მახარაძე, სერგეი კიროვი, სტეფანე შაუმიანი, სერგო ორჯონიკიძე და მრავალი სხვა წევრი მეხუთე კოლონის როლს ასრულებდნენ. „რუსეთის მეხუთე კოლონა საქართველოში ჩამოყალიბებას იწყებს 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ და ინტენსიურად მოქმედებს 1921 წლის თებერვლამდე – საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ საქართველოში მცხოვრებმა რუსებმა ცხადად იგრძნეს, რომ მათ პრივილეგირებულ მდგომარეობას რუსეთის დროებითი მთავრობა ვეღარ დაიცავდა. ასეთ ვითარებაში, ამიერკავკასიაში მცხოვრები რუსების ინტერესების დაცვის მიზნით იქმნება თავისი ხასიათით შავრაზმელური ორგანიზაცია „ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო", რომლის ცენტრალური მმართველობა თბილისში იმყოფებოდა. „ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს" წამყვან ძალას წარმოადგენდა რუსი სამღვდელოება, ოფიცრობა და ჩინოვნიკები" (გურული 1998: 3). კავკასიის სამხარეო კომიტეტი და ცენტრალური კომიტეტის ბიურო, რომლის სათავეში მყოფი ფილიპე მახარაძე, სერგეი კიროვი, სტეფანე შაუმიანი, სერგო ორჯონიკიძე და მრავალი სხვა წევრი მეხუთე კოლონის როლს ასრულებდნენ. „რუსეთის მეხუთე კოლონა საქართველოში ჩამოყალიბებას იწყებს 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ და ინტენსიურად მოქმედებს 1921 წლის თებერვლამდე – საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ საქართველოში მცხოვრებმა რუსებმა ცხადად იგრძნეს, რომ მათ პრივილეგირებულ მდგომარეობას რუსეთის დროებითი მთავრობა ვეღარ დაიცავდა. ასეთ ვითარებაში, ამიერკავკასიაში მცხოვრები რუსების ინტერესების დაცვის მიზნით იქმნება თავისი ხასიათით შავრაზმელური ორგანიზაცია „ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო", რომლის ცენტრალური მმართველობა თბილისში იმყოფებოდა. „ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს" წამყვან ძალას წარმოადგენდა რუსი სამღვდელოება, ოფიცრობა და ჩინოვნიკები" (გურული 1998: 3).

აღნიშნული ''მეხუთე კოლონის'' აქტიური წარმომადგენლობა თავიანთ აღშფოთებას არ ფარავდნენ მაშინ, როცა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია აღსდგა 1917 წლის 25 მარტს, აგრეთვე ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, ცდილობდნენ წაეხალისებინათ სეპარატიზმი ქვეყნის შიგნით. 1921 წლის 28 თებერვალს ''ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულმა საბჭომ'' შეწყვიტა თავისი არსებობა, რასაც წინ უძღოდა საქართველოში მეთერთმეტე არმიის შემოჭრა. მენშევიკურმა მთავრობამ ხანმოკლე პერიოდში ყველაზე მწარედ იგემა ''მეხუთე კოლონის'' დამანგრეველი საქმიანობა, რომელიც ბოლშევიკურ რუსეთს თავისი არსით საქართველოს ოკუპაციის გზებს უიოლებდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუსეთის არმიამ ლენინის ბრძანებით აზერბაიჯანი დაიკავა, აზერბაიჯანის შემდეგ ჯერი სომხეთზე მიდგა. რუსეთის ხელისუფალთა მიზნები საქართველოს მიმართებაშიც ანალოგიური იყო, საქართველოს ახლადშექმნილი ხელისუფლება უძლური აღმოჩნდა აგრესორის წინააღმდეგ ბრძ ლაში, ევროპისაგან მხარდაჭერამაც დაიგვიანა და შედეგად, 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველო და მისი დედაქალაქი მე-11 წითელმა არმიამ დაიკავა. საქართველოს სახალხო გვარდიისა და საჯარისო ნაწილების წინააღმდეგობის მიუხედავად, ქართული სახელმწიფოს ბედი, ''რუსული'' არმიის სასარგებლოდ გადაწყდა. რუსეთის ფარული წახალისებით, აჭარის რეგიონში თურქებმაც საქართველოს წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა. ორ ფრონტზე ომის ძალა საქართველოს მთავრობას არ შესწევდა, ამიტომ, საქართველოში რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა. დემოკრატიული სახელმწიფოს მთავრობა, ემიგრაციაში წავიდა. ქართველი ერისა და სახელმწიფოს განვითარება სრულიად განსხვავებულ ფაზაში შევიდა. დიდი ძალისხმევის შედეგად მოპოვებული დამოუკიდებლობა ახლა უკვე საბჭოთა რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებს შეეწირა. ახალი პოლიტიკური წყობის ქვეშ იძულებით გაერთიანებული სხვადასხვა სახელმწიფოები იმ წყობილებას უნდა დასთანხმებოდნენ, რომელსაც ათეული წლების მანძილზე ბოლშევიკური რუსეთი ახვევდა თავს.

საქართველო 1921 წლის თებერვალში დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. მას ჰყავდა ქართული საბჭოთა მთავრობა. საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო საბჭოთა რუსეთმაც 1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულებით. საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობა დადასტურებულია საქართველოს სსრ კონსტიტუციაში, რომელიც 1922 წლის მარტში მიიღეს. ამავე კონსტიტუციამ

საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ქართული გამოაცხადა (სხვა საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციებში მაშინ სახელმწიფო ენაზე მითითება საერთოდ არ იყო) (თოიძე 1990: 3)

§2. საბჭოთა მთავრობა - მენშევიკური ხელისუფლების ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკის მემკვიდრე და ამ პოლიტიკით მიღებული შედეგები

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე საქართველოში მრავალი საკითხი დადგა ეჭქვეშ. ბოლშევიკთა ლიდერები, რომელთა პოლიტიკური მრწამსი და მოქმედების თავისებურებანი მკვეთრად ემიჯნებოდა აქამდე არსებულ ყველა პოლიტიკურ ძალებს, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იძულებით შესულ ყველა სახელმწიფო ერთეულს განსხვავებულ პირობებში აყენებდა. რუსეთის კომუნისტური მთავრობის კურსი ერთიანი, ძლიერი, მთლიანი სახელმწიფოს მშენებლობის გზას დაადგა. ამავე დროს, კომუნისტებმა აშკარა ბრძოლა გამოუცხადეს ყველა ძველ სტერეოტიპს, ახალ გაერთიანებაში შესულ ერებს მრავალ ღირებულებებზე მოუწევდათ უარის თქმა, ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნულ-რელიგიური მრწამსი იყო. აღნიშნული პირობა ხომ კომუნისტური და ბოლშევიკური რუსეთის ძირითადი და განუხრელი მიმართულება გახლდათ.

ახალი იდეოლოგიის მამამთავართა, მარქსის, ენგელსის, ლენინის შეხედულებანი რწმენა-წარმოდგენებზე მკვეთრად რადიკალურია. მოძღვრება, რომელიც თავისი ეკონომიკური საფუძვლიდან გამომდინარე, კაცობრიობის უმთავრეს მონაპოვარს, რელიგიურ აზროვნებას დაუპირისპირდა, ფრანგი მატერიალისტების შეხედულებებს დაესესხა. "ფრანგმა მატერიალისტებმა ნაწილობრივ რელიგიის წარმოშობის სოციალური ფესვები შენიშნეს. "XVIII საუკუნის მატერიალისტები ლამეტრი (1709-1751), ჰელვეციუსი (1715-1771), დიდრო (1713-1784) და ჰოლბახი (1723-1789), აკეთებდნენ ათეისტურ დასკვნებს და მკაცრად აკრიტიკებდნენ თეოლოგიას" (დედაბრიშვილი 1961: 18-21). თუმცა არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ მათი აღმსარებლობა მიუხედავად ქრისტიანობისა, ფეოდალიზმის ეპოქის საფრანგეთისათვის იყო დამახასიათებელი და არაფერი საერთო არ აქვს მართლმადიდებელ სახელმწიფოსთან; შედეგად, საფრანგეთის რესპუბლიკა იყო სამაგალითო ქვეყანა საბჭოეთისათვის, რომელიც თავისი პოლიტიკური წყობილების გამართლების მიზნით, მოგვიანებით გაემიჯნა რელიგიას. ან-

ტირელიგიური ლიტერატურის არაერთი ფრანგული ვერსია ითარგმნა რუსულად, რათა „განმანათლებლების" სამშობლოდ ცნობილი ქვეყნის ანტისაეკლესიო პოლიტიკა გარკვეული ნიმუში და გამართლება ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლების მეთაურთა ხელში. თვით მოციქული პავლე, რომლის კანონმემკვიდრედ კათოლიკური ეკლესია გვევლინება, ფრანგი ერნესტ რენანის წიგნში „მოციქული პავლე", ყველაზე მკრეხელური მეთოდით გაქილიკებულია მთელს ქრისტიანულ მოძღვრებასთან ერთად. რუსი ათეისტები დიდი ენთუზიაზმით ეკიდებოდნენ მათს თარგმნას. საგულისხმოა წიგნში არსებული მონაკვეთი, რომელიც მოგვითხრობს რომ: „არსებობს წერილი დიონისე არეოპაგელის სახელის, რომელშიც იგი მოუთხრობს წმინდა პოლიკარპს, ჯვარცმის დროს მზის დაბნელებაზე, რომელსაც თითქოს თვითონ შეესწრო. თუმცა წერილს მხედველობაში არ იღებენ არც ისინი, ვინაც თავად იძიებენ ნაწერებს, რომლებიც დიონისე არეოპაგელს ეკუთვნის" (EPHCT 1899: 396);

მასების მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ვლადიმერ ლენინი და მისი დასელები ღონეს არ იშურებდნენ, აქტიურად იყენებდნენ თავიანთ სასარგებლოდ მარქსისა და ენგელსის მოძღვრებებს, რათა ახალი იდეოლოგიის დანერგვას მაღალმეცნიერული საფუძველი ჰქონოდა. კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის პოპულარიზაცია მეფის უზურპატორული ხელისუფლების პირობებში არცთუ ძნელი იყო. მათივე მოძღვრებით, მონარქიული სახელმწიფოს მოძველებული შუქ-ჩრდილი, ანუ რელიგია, ახალ სახელმწიფო წყობას არ უნდა მისდგომოდა. მითუმეტეს, რომ უზარმაზარ ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ ეკონომიკური ვითარების გამოსწორება, მარტო მთავრობის შეცვლით არ მოხერხდებოდა, სოციალიზმის აპოლოგეტებმა კი ნამდვილად არ იცოდნენ წელში გაწყვეტილი და ცარიზმის პოლიტიკით დაძაბუნებული მრავალრიცხოვანი მოსახლეობა გაუძლებდა თუ არა ახალ ექსპერიმენტებს. ამიტომ აირჩიეს საბჭოებმა ტერორის გზა და პირველი იერიში, მათივე სუბიექტური აზრით ცარიზმის უკანასკნელ გადმონაშთზე, რელიგიასა და ეკლესიაზე მიიტანეს. ანტირელიგიური პროპაგანდა სოციალიზმის ბოლშევიკი ლიდერების თანმხლები გახლდათ. მათი ლიდერების მიერ შესაბამისი ინტერპრეტაციით მოხდა სოციალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის მთავარი იდეოლოგების ფრიდრიხ ენგელსისა (28.09.1820, ბარმენი - 5.08.1895 ლონდონი) და კარლ მარქსის (5.05.1818, ტრირი - 14.03.1883, ლონდონი) მოძღვრებათა მასებში დანერგვა. აი რას წერს ვ.ი. ლენინი ენგელსის შესახებ – „იმ დროს, გერმანულ ფილოსოფიაში გაბატონებული იყო ჰეგელის მოძღვრება და ენგელსიც მიმდევარი გახდა, თუმცა თვითონ ჰე-

გელი, პრუსიის თვითმპყრობელური სახელმწიფოს თაყვანისმცემელი იყო და ის სამსახურში იმყოფებოდა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორად, ჰეგელის მოძღვრება რევოლუციური იყო" (გურული 1999: 7-8). 1844 წლიდან, პარიზში ერთმანეთს დაახლოებულმა ენგელსმა და მარქსმა „წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის სხვადასხვა მოძღვრებასთან მკაცრი ბრძოლის გზით, შეიმუშავეს რევოლუციური პროლეტარული სოციალიზმის, ანუ კომუნიზმის თეორია და პრაქტიკა". „მარქსისტული ათეიზმის საფუძვლების შექმნა XIX ს-ის 40-იან წლებიდან დაიწყო. ამ საფუძვლების შემუშავება დაკავშირებულია პროლეტარიატის დიდი ბელადის კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის სახელებთან. შრომებში „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის," „ბრუნო ბაუერი და ადრეული ქრისტიანობა", „კაპიტალი", „ანტი დიურანგი," „ბუნების დიალექტიკა" და ა.შ. მარქსმა და ენგელსმა მეცნიერული ათეიზმის საფუძვლები ჩამოაყალიბეს" (გეგეშიძე 1986: 24).

უარყვეს რა რელიგია და რწმენა, კომუნისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თვით კომუნიზმია არა მხოლოდ იდეოლოგია, არამედ რწმენის ახალი, რეალური სახეობა. მათივე თქმით, იყო კომუნისტი ნიშნავს გწამდეს ახალი მიმდინარეობის, რომელიც ახალ საზოგადოებას გარკვეული რწმენის საფუძველზე აყალიბებს. ამასთანავე, ეს სიახლე არ უკავშირდება არაფერს სებუნებრივს, უფრო მეტიც, მკაცრად ემიჯნება მას და შედეგად ამყარებს სამოთხეს დედამიწაზე. უმთავრესი მოტივი, რითაც საბჭოთა კავშირი თავის ანტისარწმუნოებრივ პოლიტიკას ამართლებდა, რაღათქმაუნდა მეცნიერულად დასაბუთებული და მასისთვის მისაღები უნდა ყოფილიყო. ბოლშევიკებმა ხელისუფლებაში მოსვლამდე ურთულესი გზა გაიარეს და გვამებზე გადავლით თვითმპყრობელური რეჟიმმის დამხობის შემდეგ, პოზიციები გაიმაგრეს. ამას სამეფო ხელისუფლების დრომოჭმულობამაც შეუწყო ხელი. ბოლშევიკები იოლად ახდენდნენ მასობრივი გაფიცვებისა და მსვლელობების ორგანიზებას საერთო კრიზისულ-ეკონომიკურ ფონზე. მეფის ოხრანკის მიერ დაიხვრიტა და დაისაჯა არაერთი დემონსტრაცია, მაგრამ წინააღმდეგობა ძლიერდებოდა. იმ დროისათვის პერიოდული გამოცემების ტირაჟის გაზრდას, ხელისუფლება მკაცრ ცენზურას უპირისპირებდა, მაგრამ მასა, რომელიც მძაფრ სოციალურ კრიზისს განიცდიდა დიდი სისწრაფით ითვისებდა ახალ მოძღვრებას.

სოციალიზმის აპოლოგეტებმა, ანუ ბოლშევიკებმა, რუსეთში გაცილებით მეტ პოპულარობას მიაღწიეს. აღნიშნული მოძრაობის მომხრენი, დიდი რისკის ქვეშ, თვით

არმიის შიგნით აყალიბებდნენ სამხედრო-რევოლუციურ ორგანიზაციას. მიუხედავად ამისა, პირველ 1905-1907 წლების რევოლუციას სამეფო ხელისუფლების მხრიდან რეპრესიები მოჰყვა, შეთხელდა პარტიის რიგები. ''პეტერბურგში 1907 წელს ითველბოდა პარტიის თითქმის 8 ათასი წევრი, 1908 წელს კი მხოლოდ 3 ათასამდე; ეკატერინბურგში 1070 წევრის ნაცვლად დარჩა 250, ივანოვო ვოზნესენსკში 2 000-დან არაუმეტეს 600-სა. პარტიულ ორგანიზაციებს შორის კავშირი შესუსტდა'' (სსრკ 1973: 158). პარალელურად, ''გაძლიერდა უცხოეთის კაპიტალის მოზღვავება რუსეთში, 1914 წლისათვის აქციონერულ-სამრეწველო საზოგადოებაშია ძირითადი კაპიტალის დაახლოებით მესამედი და რუსეთის მთავარი ბანკების ძირითადი, 40 პროცენტზე მეტი კი დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიას ეკუთვნოდა. უცხოელი კაპიტალისტები ბატონობდნენ ეკონომიკის ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგებში, როგორიცაა ქვანახშირის, ნავთობის მოპოვება, ლითონის დამუშავება. ისინი ყოველწლიურად იღებდნენ ასეულ მილიონობით მანეთს სესხის, პროცენტებისა და მოგების სახით. გაიზარდა მეფის რუსეთის დამოკიდებულება დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმზე'' (სსრკ 1973: 187). პირველ მსოფლიო ომში რუსეთის მონაწილეობამ დააჩქარა ბოლშევიზმის აღმავლობა. ალბათ ამიტომაც, სათავეში მოსვლისთანავე, ბოლშევიკების მიერ გამოცხადდა ეგრეთწოდებული დეკრეტი ზავის შესახებ'', ეს იყო საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პროგრამული დოკუმენტი. ისტორიაში პირველად, მან გამოაცხადა დაპყრობითი ომი ''უდიდეს დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ'' (ქართული 1977: 450);

ბოლშევიკთა ლიდერების კლასობრივი ბრძოლის ქადაგება და ანტიბურჟუაზიული განწყობა რომ ყველა ''პრივილეგირებულ'' ფენას და მათ შორის სამღვდელოებასაც სწვდებოდა უკვე სიახლეს არ წარმოადგენს. ''რელიგია არის ჰაერი დათრგუნული ლეშისა, გული უგულო მსოფლიოსი, რელიგია ოპიუმია ხალხისთვის'', წერდა კარლ მარქსი და ასკვნიდა, რომ რელიგია სხვა არაფერია თუ არა ადამიანის გონებაში მთელი ცხოვრების მანძილზე ასახული ფანტასტიური წარმოდგენები, რომლებიც თანდათანობით, მიწიერიდან არამიწიერში გადადიან. ''რელიგიას, რომელმაც დაიმორჩილა რომის მსოფლიო იმპერია და 1800 წლის მანძილზე ბატონობდა კაცობრიობის ცივილიზაციის უმეტეს ნაწილზე, ვერ გაუსწორდები მხოლოდ იმით, თუ მას უბრალოდ გამოგონილ და მოჩმახულ სიყალბედ გამოაცხადებ, რომ გაუსწორდე მას, პირველ რიგში უნდა შეძლო მისი წარმოშობის აუცილებლობის ახსნა, აგრეთვე უნდა აიხსნას მისი ისტორიული განვითარება და ის პირობები, რითაც რელიგიამ

გავლენა მოიპოვა და დაიმკვიდრა. ეს განსაკუთრებით ეხება ქრისტიანობას, ვინაიდან უნდა გადაწყდეს საკითხი და გამოვიკვლიოთ, როგორ მოხდა რომ რომის იმპერიის სახალხო მასებმა უპირატესობა ქრისტიანობას მიანიჭეს ყველა სხვა უაზრო მოძღვრებათა შორის" (О РЕЛИГИИ 1963: 50-60).

საბჭოთა ხელისუფლება დღიდან ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა, უპირველეს მიზნად რელიგიასთან ბრძოლას ისახავდა. ამ მიზნით კოლოსალური შრომა აქვთ გაწეული ბოლშევიკებს. მთელი რიგი სამეცნიერო შრომებითა და ამ დარგის სპეციალისტთა მომზადებით, ჩამოაყალიბეს არა ერთი ანტირელიგიური მიდგომა, რომელიც მათი მოძღვრების და ათეიზმის გამართლებას ემსახურებოდა. მათთვის მნიშვნელოვანი იყო სალექციო კურსის მომზადება, რომელიც ანტირელიგიურ ქადაგებას უპირისპირებდა ქრისტიანულ მოძღვრებას ჯერ კიდევ დასაბამიდან. ლექციების მიზანი იყო დაემტკიცებინათ ქრისტიანობის აღმოცენების კლასობრივი არსი, ქრისტიანობის ანტისამეცნიერო იდეოლოგია და მისი შეუთავსებლობა მარქსიზმ-ლენინიზმთან. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით აქტუალური XX საუკუნის 30 –იანი წლების შემდეგ გახდა. სამეცნიერო კრებულებში, რომლებსაც ანტირელიგიური ჯგუფი გამოსცემდა, მუშაობდა სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითისთვის, სალექციო კურსი მოიცავდა შემდეგ თემატიკას: "რომის იმპერიის სოციალური წყობა", "ანტიკური მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური გონებრივი და მორალური რღვევა – როგორც სოციალური წანამძღვრები ქრისტიანობის წარმოშობისა", "ქრისტიანობის თავდაპირველი კლასობრივი არსი", "მითი ქრისტეზე და მისი არ არსებობის მეცნიერული დასაბუთება", "ქრისტიანობის გადაქცევა რომის გაბატონებულ რელიგიად" (ПРОИСХОЖДЕНИЕ1940: 2) და ასე შემდეგ. იგივე სალექციო კურსი მოიცავდა რომის იმპერიის ისტორიულ ანალიზს და მოგვითხრობდა რომ, რომის იმპერიის პოლიტიკური საფუძველი იყო მონობა, მონების ხარჯზე ცხოვრობდა იმპერიის თავისუფალი მოსახლეობა. "მონათა შრომა, რომელზეც იდგა რომის იმპერიის ეკონომიკა, გამოირჩეოდა დაბალი წარმოებით, რაც მეტად იზრდებოდა რომის იმპერია, მასში ჩართულ ერებს ნაკლებად ჰქონდათ შანსი განთავისუფლების. აი რატომ იყო მათი ყურადღება მიპყრობილი ზეცისკენ. რომსა და იმპერიის სხვა დიდ ცენტრებში, სხვადასხვა რელიგიური რწმენა-წარმოდგენები იყო გავრცელებული, სხვადასხვა ღმერთები, კერპები, ჩვეულებები და რელიგიური რიტუალები ერთმანეთში ირეოდა. ასე შეერწყნენ ერთმანეთს ეგვიპტური ღვთისმშობლის სახე იზიდა რომაულ ვენერას, ხოლო

ღმერთი სერაფისი კი ეგვიპტურ ზევსს. ფრიდრიხ ენგელსი ''ლუდვიგ ფეიერბახში'' აღნიშნავს, რომ ძველი ხალხები შეერწყნენ რომის იმპერიას ისევე, როგორც მათი ღმერთები. მიუხედავად ამისა იმპერიას სჭირდებოდა ერთიანი კულტი, რათა ცალკეულ სეპარატიზმთან ბრძოლა გაიოლებულიყო და საბოლოოდ აღმოფხვრილიყო ნაციონალიზმი, რომლის სული ჯერაც ცოცხლობდა ნაციონალურ რელიგიებში. თუმცა, იმპერატორთა დეკრეტებით შეუძლებელი იყო ახალი რელიგიის გამოცხადება. იმ დროისათვის ქრისტიანობა ფეხს იკიდებდა რომის იმპერიაში, რომელიც აღმოცენებული იყო ებრაული და ბერძნული ვულგარული ღვთისმეტყველებიდან. ქრისტიანობა ჩაისახა ებრაელთა დიასპორაში, სწორედ იმ ებრაელთა წრეში, რომლებიც გამოძევებულნი იყვნენ პალესტინიდან სავარაუდოდ მცირე აზიაში. თავდაპირველად იგი სხვადასხვა სექტებით იკვებებოდა, რომელნიც საბოლოო ჯამში მესიის რწმენაში გაერთიანდნენ, განსაკუთრებით კი ''აპოკალიფსის'' და ''გამოცხადების'' მაგალითზე მსჯელობით. ქრისტიანული მოძღვრება გამყარებული იყო სამყაროს დასასრულის რწმენით ადამიანთა შორის. მესიაში რწმენა იუდაისტური წარმომავლობის იყო, რომელიც განიცდიდა თანამედროვე ფილოსოფოსთა გავლენას და ყველაზე მეტად კი სტოიციზმის. გარდა ამისა ქრისტიანობა უკვე I საუკუნის ბოლოს განთავისუფლდა იუდეური მესიანიზმის ეროვნული შეზღუდვისგან და შეიძინა კოსმოპოლიტური ხასიათი. ''ქრისტეს შობიდან'' ათვლა, რომელიც ცივილიზებულმა მსოფლიომ აიტაცა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ცნობილია ქრისტეს დაბადების თარიღი. არამედ იმიტომ რომ ერთი რელიგიური კუტლმსახური დიონისე მცირე, არაფერზე დაყრდნობით აცხადებდა რომ ქრისტე მის დაბადებამდე ასი წლით ადრე უნდა დაბადებულიყო'' (ПРОИСХОЖДЕНИЕ1940: 3-15). ანტირელიგიური პროპაგანდა და სწავლება ხსნიდა რა ქრისტიანობის, როგორც რომის იმპერიის მთავარ რელიგიად გამოცხადების მიზეზებს, ასკვნიდა რომ რომის იმპერატორები ადრე თუ ქრისტიანებს დევნიდნენ, მოგვიანებით გააცნობიერეს ამ რელიგიის, როგორც სახელმწიფოსთვის სასარგებლო კავშირი ჯერ კიდევ კონსტანტინეს (273 – 337 ჩვ. წ აღ) დროს, რომელიც მათივე თქმით დარწმუნდა რა ამ რელიგიის გამოყენების შესაძლებლობებში, 313 წელს გამოსცა დეკრეტი, რომელიც ისტორიაში ''მილანის ედიქტით'' არის ცნობილი და რომლის თანახმად ეკლესია განთავისუფლდა თავდასხმებისგან. ეკლესიას მიენიჭა მემკვიდრეობის უფლება და სხვა პრივილეგიები. მართალია კონსტანტინე არ მონათლულა და სიცოცხლის

ბოლომდე არ წყვეტდა კავშირს რომაულ კერპებთან, მაგრამ მისი მართვის პერიოდში ეს შეღავათები მიიღო ქრისტიანობამ (ПРОИСХОЖДЕНИЕ1940: 24).

ამავე პროპაგანდისტული სამეცნიერო ნაშრომით, რომელსაც მოგვიანებით წარმატებით იყენებდა ''მებრძოლ უღმერთოთა კავშირი'' დადგინდა, რომ ''ქრისტიანული რელიგიის მამამთავრები რომის იმპერატორის წახალისებით დაუპირისპირდნენ კერპთაყვანისმცემლობასთან ერთად ძველი მსოფლიოს ხელოვნებასა და ფილოსოფიურ მოძღვრებებსაც. ამ პერიოდში მათ მიერ არაერთი ხელოვნებისა და ლიტერატურული ძეგლი განადგურდა, არაერთი მეცნიერი და ფილოსოფოსი გამოესალმა სიცოცხლეს. ფრიდრიხ ენგელსის აზრით ''ქრისტიანობამ, რომელიც პირველი მსოფლიო რელიგია იყო, ჩაანაცვლა და გააგრძელა მსხვერპლშეწირვის სისხლიანი ტრადიცია. მათვე, მართალია აკურთხეს და დაუშვეს მხოლოდ ერთცოლიანობა, თუმცა ხელი შეუწყეს ქალის დამონებას და ოჯახში არასახარბიელო მდგომარეობის ტრადიციის გაგრძელებასაც'' ((ПРОИСХОЖДЕНИЕ1940: 25-26);

ეგვიპტური ღვთაებების, რომაული მითოლოგიისა და იუდაისტური რელიგიის პარალელების გარდა, საბჭოთა ანტისარწმუნოებრივი პროპაგანდა პარალელს ქრისტიანულ მოძღვრებასთან, მითრაიზმშიც ეძებდა. მათი თქმით, ''ირანული ღვთაების, მზისა და სიცოცხლის, მითრის კულტი, რომელიც თქმულების თანახმად მკვდრეთით აღსდგა, ასევე ფართოდ იყო გავრცელებული მასებში და მათ შორის რომის იმპერიის ვრცელ ტერიტორიაზე და სწორედ აქედან აიღეს პირველმა გამავრცელებლებმა მითი ქრისტეს აღდგომისა. თავდაპირველად, პირველ ორ საუკუნეში ქრისტიანობაში არ არსებობდა ქრისტეს ინდივიდუალური გამოსახულება. კატაკომბებში აღმოჩენილ მრავალრიცხოვან ფრესკებსა და ისტორიულ ძეგლებში, რომლებიც ქრისტიანულ კულტურას ასახავენ და მოიცავენ ჩვენი წელთაღრიცხვით I-II საუკუნეებს, ქრისტეს გამოსახულება არ აღმოჩენილა'' (ПРОИСХОЖДЕНИЕ1956: 14 – 36); სამეცნიერო კვლევები და ანტირელიგიური გამოცემები მრავლად ასახავენ იმ ეპოქას.

ამრიგად, კომუნიზმისა და სოციალიზმის ბელადებმა თვით ქრისტიანობაში დაინახეს ანტიკური საზოგადოების დაშლის მიზეზები, მივიდნენ დასკვნამდე, რომ ქრისტიანობის სოციალური პრინციპები ამართლებს მონობას, ქადაგებს კლასთა არსებობის აუცილებლობას და რომ რელიგია სხვა არაფერია თუ არა იარაღი ჩაგრული მასების წინააღმდეგ გაბატონებული კლასების ხელში. აღნიშნული იდეოლოგია იოლად

დასანერგი იყო რუსეთის სინამდვილეში, რადგან აქ დაპყრობილი ქვეყნებისადმი და ერებისადმი კოლონიალური და უზურპატორული რეჟიმი არა მხოლოდ სამეფო ხელისუფლების, არამედ თვით რუსული უმაღლესი სამღვდელოების მიერ წარმოებული პოლიტიკის ნაწილი იყო. აღნიშნული პოლიტიკის მაგალითები და შედეგები საქართველოსა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში უხვადაა წარმოდგენილი. ქართველ ერში მიმდინარე პროცესები პირდაპირ აისახებოდა რელიგიურ აღმსარებლობაზე და მრევლში. რუსული კოლონიური მმართველობის დროს დაკარგული ავტოკეფალიის აღდგენისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის პრივილეგიების ნაწილობრივ დაბრუნების შემდეგ, სწორედაც რომ სოციალისტური იდეებით ნაკვებმა ქართველმა მენშევიკებმა ვერ განსაზღვრეს ქრისტიანობის როლი ერის სინამდვილეში და ხისტი პოლიტიკით უდიდესი ზიანი მიაყენეს მას. რაოდენ გასაკვირი არ უნდა იყოს, ბოლშევიკური პერიოდის საქართველოში ხელისუფლების მხრიდან წარმოებული ანტირელიგიური კამპანია, ქართული სამღვდელოებისათვის, რომელიც მთელი თავის არსებობის მანძილზე მრევლში დამოუკიდებლობის იდეების გარდა, ქრისტიანული ფასეულობებიდან გამომდინარე, მაღალზნეობრივი მოწოდებებით გამოდიოდა, მენშევიკური მთავრობის ლიდერთათვის მაინც მოწინააღმდეგე მხარეს აღმოჩნდა.

მენშევიკურ მთავრობას რამდენიმე კათალიკოს-პატრიარქი მოესწრო, კირიონ II (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1917-1918 წლებში, ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი) და ლეონიდე (1919-1921, ერისკაცობაში ლონგინოზ სოლომონის ძე ოქროპირიძე). ორივე კათალიკოს-პატრიარქი პირუთვნელად ემსახურებოდნენ ქართულ სამოციქულო ეკლესიას და ხედავდნენ, რომ ერის გადარჩენა არა მხოლოდ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძირეულ ცვლილებებში, არამედ სულიერ აღორძინებაში იყო. საბედნიეროდ, რუსული მმართველობის სპეციფიკა, ეკლესიის მესვეურთ ყურადღების მოდუნების საშუალებას არ აძლევდა, უფრო მეტიც, სასულიერო პირნი თავიანთი მოღვაწეობის განმავლობაში, პერიოდულ გამოცემებში თუ თეოლოგიურ მასალებში, მკვეთრად აფიქსირებდნენ თავიანთ პოზიციას და დღენიადაგ ეროვნული ცნობიერების გაღვივების საქმეს ემსახურებოდნენ. მართლაც, იმ დროს, „საუბედურიდ ქვეყნისა, განმრავლდნენ უღმერთო პირნი და ვითომ ისწრაფვიან აღგავონ ქვეყნის პირიდან სარწმუნოება და ესეც არის აღიმაღლეს ხმა და ღვთის არსებობის აღსარება ხომ ადამიანის დამღუპველად და განათლებათა წინმსვლელობის მტერად

გამოაცხადეს. ხოლო უღმერთოება კი ერთად ერთ წყაროდ ქვეყნის ნეტარებისა" (ალექსი ბერი 1919: 4). დამძიმებული სოციალური პირობებითა და რუსული ტოტალური რეჟიმით დათრგუნულ ქართულ ცნობიერებას თვით სასულიერო სემინარიებში 1872 წლიდან მშობლიურ ენაზე სწავლების გარდა, 1875 წლიდან საქართველოს ისტორიის სწავლებაც აეკრძალა, ქართველი სამღვდელოება მეტად რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. ყოველივე ამას, ადგილი მეფის რუსეთის ტოტალური მმართველობის ხანაში ჰქონდა და ახლანდელი გადასახედიდან მიზეზი ნათელია, მაგრამ ეროვნული ძალების ნაწილობრივი კონსოლიდაციისა და ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში მენშევიკური მთავრობის მხრიდან მართლმადიდებელ ეკლესიაზე მიტანილი იერიში ნაწილობრივ გაუგებარია, თუმცა ახსნა შესაძლებელია. გარკვეულია მოტივიც – სოციალიზმის იდეური დანიშნულება, რომელიც სათავეშივე ებრძვის ყოველგვარ კერძო და დამოუკიდებელი მეურნეობის მწარმოებელ კლასს, სწორედ ასეთი იყო სამღვდელოება.

ქართველი მენშევიკებისა და ბოლშევიკების სარწმუნოებისადმი დამოკიდებულების ფესვები ასევე რუს რევოლუციურ-დემოკრატთა ათეისტურ შეხედულებებშია საძიებელი, რომელთა "ათეიზმი მარქსამდელი ათეისტური თეორიის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს." როგორც არაერთგზის აღინიშნა, "საქართველოში ყველაზე ძლიერ ძალას, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მენშევიკური ფრთა წარმოადგენდა, მართალია ზემოაღნიშნული პარტია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საქართველოს კომიტეტის როლს ასრულებდა და მისი დანიშნულება უნდა ყოფილიყო ქართულ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობასთან დაპირისპირება, რაც ფაქტობრივად ახალი რუსეთის იმპერიული ინტერესების შენარჩუნებას უნდა მომსახურებოდა საქართველოში, მაგრამ აღმოჩნდა რომ, "მესამე დასის" ფართო ბურჟუაზიულ დემოკრატიული პლატფორმა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების გატარებისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას, ეროვნული ინტერესების დაცვას. მართალია თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე "მესამე დასელებმა" ვერ შეძლეს საპროგრამო მოთხოვნათა დაცვა, მაგრამ ღირსეულად ებრძოდნენ რუსული სოციალ-დემოკრატიის დამპყრობლურ მსოფლმხედველობას. პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის მარცხის შემდეგ, ქართული სოციალ-დემოკრატიის ორივე მიმდინარეობა ეროვნულ საკითხში ძველ პოზიციაზე იდგა, ხოლო 1908 წლიდან, მენშევიკურ მიმართულებაში უთანხმოება დაიწყო ეროვნული საკითხის გამო, რომელმაც

განვითარების ეტაპები განვლო: 1908 წლიდან 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე და 1918 წლის 26 მაისამდე გაგრძელდა. პროფესორ ვახტანგ გურულის მიერ გამოთქმული აზრით, ეს უთანხმოება უნდა განვიხილოთ როგორც ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის, როგორც ქართული საზოგადოებრივი აზროვნების შემადგენელი ნაწილი. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ქართველ სოციალ-დემოკრატ მენშევიკთა აზროვნებაში აშკარად შეინიშნება ზოგადად სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობის ტენდენციურობა ეროვნული საკითხის მიმართ. ცნობილია, რომ ქართველ მენშევიკთა ლიდერის, ნოე ჟორდანიას ეროვნული პროგრამის კრიტიკაში აშკარად შეინიშნება ეროვნულ საკითხზე წინ სოციალური საკითხის დაყენება. აღნიშნული კი იმით იყო განპირობებული, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან დაპირისპირება შეასუსტებდა მათ გავლენას საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში და გამოიწვევდა ბოლშევიკური ფრთის სწრაფ აღმავლობას საქართველოში. ოქტომბრის რევოლუციამ ზემოაღნიშნული პრობლემა მოხსნა დღის წესრიგიდან, რადგან მიმდინარე მოვლენებმა დაარღვია'' (პავლიაშვილი 2000: 117).

ისტორიულმა რეალობამ განაპირობა ის, რომ ქართველიმენშევიკები მასების ნდობის შედეგად დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში მოექცნენ. კომუნიზმისა და სოციალისტური საკითხებისადმი მიდგომა ბოლშევიკებისა და მენშევიკების დაპირისპირების მიზეზი არ ყოფილა, მენშევიზმის ლიდერები ბოლშევიკთა მხრიდან ეგრეთწოდებული ეროვნული ''გადახრის'' გამო იკიცხებოდნენ. ჯერ კიდევ 1893 წელს, თავის სამოქმედო პროგრამაში, ნოე ჟორდანია წერს: ''თუკი პიროვნება უნდა იყოს თავისუფალი, თუ მთელი საზოგადოება თავის თავს უნდა მართავდეს, რატომ ერი, როგორც დიდი ეთნიკური საზოგადოება არ უნდა მართავდეს თავის თავს, არ ჰქონდეს თავისი სახელმწიფო'' (ჟორდანია 1990: VIII-IX). თავისთავად, ეროვნული საკითხის ასე წინა პლანზე წამოწევა მენშევიკების მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. მითუმეტეს მაშინ, როცა ნაციონალური საკითხისადმი, ისევე როგორც რელიგიურისადმი მიდგომა ბოლშევიკთა ლიდერს ლენინს, დოქტრინის სახით ჰქონდა ჩამოყალიბებული: ''თუ ჩვენ გვსურს ჩავწვდეთ ერთა თვითგამორკვევის მნიშვნელობას ყოველგვარი იურიდიული დეფინიციის გარეშე და ყოველგვარი აბსტრაქტული განსაზღვრების გარეშე, ანუ განვიხილავთ ეროვნული მოძრაობის ისტორიულ-ეკონომიკურ პირობებს, მაშინ მივალთ დასკვნამდე: ერთა თვითგამორკვევაში იგულისხმება ცალკეული ერების გამოყოფა დანარჩენი ეროვნებისაგან, ამავე დროს ახალი, დამოუკიდებელი ეროვნული

სახელმწიფოების ჩამოყალიბება'' (ЛЕНИН 1956: 5).სხვა საკითხია იყო თუ არა ლენინი მზად საკითხის ასე დასმისთვის და რამდენად მისაღები იყო მისთვის საკითხის ასე დასმა, ანუ საუბარი ერების ისეთ თვითგამორკვევაზე, როგორსაც სრული დამოუკიდებლობა უნდა მოეტანა სხვადასხვა ქვეყნებისთვის, რომლებიც ბოლშევიკებმა ისევ და ისევ ძალის გამოყენებით ''მოძმე რესპუბლიკების კავშირში'' გააერთიანეს. როგორც ვნახეთ, ''როცა ყველა არარუსი ხალხი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ თვითგამორკვევის უფლებით იმპერიის შემადგენლობიდან გავიდა, ლენინმა ისინი უკან დააბრუნა იარაღის მუქარით. ფაქტიურად თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობას ლენინი ყველა სხვა იმპერიების შემადგენლობაში მყოფ ერებში სცნობდა გარდა რუსეთის იმპერიისა. ლენინმა ნაციონალურ პოლიტიკაში ისეთი ტაქტიკური სვლა მოიფიქრა, როგორსაც ვერცერთი მაკიაველიზმით მიმდევარიც ვერ მოიფიქრებდა. მან თავისი თანამებრძოლი ბოლშევიკები ორ ნაწილად გაყო და ერთს, ბოლშევიკებს დაავალა ''არარუსი ერებისათვის თვითგამორკვევის ქადაგება'', მეორე არარუს ბოლშევიკებს კი პირიქით, ''არარუსი ერებისათვის'' ერთიანი რუსეთის შემადგენლობაში გაერთიანება ახალი სახელმწიფოს მშენებლობისათვის'' (АВТОРХАНОВ 1988: 17-18). გარდა ამისა, ლენინისეული მოძღვრებით, რომელიც ერების შერწმყასთან ერთად ერთიანი ენისა და კულტურის არსებობას უშვებდა საბჭოთა კავშირის სინამდვილეში ასეთ ენად მხოლოდ რუსულს ენას მოიაზრებდა. როცა მისი მოძღვრება გაკრიტიკდა, ლენინი თავის მოწინააღმდეგეებს ასე პასუხობდა: ''ასიმილაციის წინააღმდეგ მხოლოდ ებრაელი რეაქციონერი მემამულეები გამოდიან, რომლებიც ისტორიის ბორბალის უკან დაბრუნებას ლამობენ'' (АВТОРХАНОВ 1988: 19). ყველა ეს მიზანი მაშინ განხორციელდებოდა საბჭოთა სინამდვილეში, როცა მარქსიზმი ბოლომდე გაიმარჯვებდა. ბოლშევიკთა მიერ მაკიაველისეული დებულება ''მიზანი ამართლებს საშუალებას'', ყველა სფეროს აქტიურად შეეხო, ამიტომ, რა გასაკვირია რომ მენშევიკურ ფრთაში არსებული ''ნაციონალური საკითხისადმი მათი მიდგომა მკვეთრად ნეგატიურია.

ამრიგად, მენშევიკთა და ბოლშევიკთა შორის არსებული განსხვავება სახეზეა. მაგრამ საკითხი მხოლოდ ნაციონალურ სფეროს არ ეხება. საქართველოს მენშევიკთა ლიდერს, ნოე ჟორდანიას მიაჩნდა, რომ ბოლშევიკებმა უღალატეს ყველა ძირითად მოძღვრებას. ''ბოლშევიკებს ჩვეულებრივად დასჩემდათ თავისი რუსული სიბრიყვით აალაპარაკონ ინტერნაციონალური სოციალიზმის მამამთავარნი მარქსი და ენგელსი და

ნამდვილი, კლასიკური კომუნიზმის სახელით გამოიტანონ სლავიანოფილურ-ნაროდნიკული ობშჩინური კომიუნიზმი. ისინი არიან ყალბი კომუნისტები. და ასე, არსებობს ორი კომუნიზმი: ნამდვილი – მარქსის კომუნიზმი და ყალბი, ლენინის კომუნიზმი'' (ჟორდანია 1991: 77). მენშევიკთა ლიდერის მიერ ბოლშევიკთა დადანაშაულება ნამდვილად უსწრებს დროს, რომელმაც ყველა პარამეტრით დაამტკიცა ბოლშევიკებისეული კომუნიზმისა და მათ მიერ დამყარებული წყობილების აბსურდიზმი. ნოე ჟორდანია, რომელსაც არ დაუკარგავს დემოკრატიული საქართველოს აღდგენის იმედი, ნამდვილად ვერ ივარაუდებდა თვით სოციალისტური სისტემისა და თუნდაც ნამდვილი კომუნიზმის იმ სახით რღვევას, როგორიც ეს ისტორიულმა სინამდვილემ განაპირობა. თუმცა, მისი ასეთი მიდგომა მოგვიანებით გამოიკვეთა, მანამდე როგორც ჭეშმარიტი სოციალისტი, იგი განუხრელად ემსახურებოდა ძირითად დებულებებს, რომლებიც ანტისარწმუნოებრივ რეფორმებსაც ითვალისწინებდნენ. ''მენშევიკმა ქართველებმა მართალია მოიპოვეს საზოგადოების სოლიდური ნაწილის ნდობა, მაგრამ ერთი ნაწილისთვის მათი ეგრეთ წოდებული ''სოციალისტობა'' ამოუცნობი რჩებოდა და ვერ ხსნიდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს სათავეში სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ყოფნას. საზოგადოების ზემოაღნიშნული შეხედულება მალე გამოაშაკრავდა.. დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველი პარტიის დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი აშკარად თავს იჩენს ქართულ ეკლესიასთან მიმართებაში. ქართველი მენშევიკები გამოდიან ლენინ-სტალინის ნაციონალური საკითხის მწვავე კრიტიკით, უარყოფენ ეროვნული საკითხის საერთო დემოკრატიულ საკითხებთან ერთად გადაჭრის შესაძლებლობას, მაგრამ ამავდროულად კიდევ უფრო აღრმავებენ ამ აზრს და რელიგიის ადგილს ეროვნულ საკითხს უთმობენ, ესეიგი ერთმანეთისაგან მიჯნავენ სარწმუნოებისა და ეროვნულობის საკითხს: ''და აი დღეს, როცა რელიგიური კითხვა ჩამოშორდა სოციალურს და განმარტოვდა, მისი ალაგი დაიჭირა ნაციონალურმა კითხვამ''; ესეიგი ამ შემთხვევაში ზემოთქმულის განმცხადებელმა ნოე ჟორდანიამ ეროვნული საკითხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას გაუსვა ხაზი სარწმუნოებრივ საკითხთან შედარებით'' (საქართველოს 1995: 159).

''ქართველ მენშევიკებს, რომლის მებაირაღედ ყოველთვის ნოე ჟორდანია იყო, არ სწამდათ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესაძლებლობა. ქართველ მენშევიზმს ახასიათებდა ''ზიზღი ყველაფერი ქართულისადმი, ეს ზიზღი მიდიოდა იქამდის, რომ მენშევიკური პრესის ტერმინოლოგიიდან, სავსებით გამოდევნილი იყო

სიტყვები ''საქართველო'' და ''ქართველი'' და ეს სავსებით პათოლოგიური მოვლენა ახასიათებდა ქართულ მენშევიზმს რუსეთის იმპერიის არსებობის მთელ სიგრძეზე ვიდრე 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდის და ერთხანს მის შემდეგაც'' (ჯავახიშვილი 1984: 182). მენშევიკური აზროვნების ნაკლოვანი მხარეები სხვა არაფერია თუ არა თვით სოციალ-დემოკრატიის, როგორც არასრულფასოვანი პოლიტ-ეკონომიკური მიმდინარეობის გამოძახილი. მათ მიერ ჩამოყალიბებული ყველა პროგრამა, რომელიც იდეალური სახელმწიფოს მშენებლობას გულისხმობდა და მარქსისა და ენგელსის მოძღვრებაზე დაყრდნობით უნაკლო წეს-წყობილების დამყარებას ითვალისწინებდა, ფაქტიურად განუხორციელებელი აღმოჩნდა. ამის ცოცხალი მაგალითი თვით საბჭოთა რუსეთის ნგრევაა, რაც წყობილების დრომოჭმულობამ და ეკონომიკურმა კრიზისმა ერთდროულად დააჩქარა. ამასთანავე, არ მოხერხდა ერთიანი რუსი ერის ჩამოყალიბების პროცესი, ვერც ათეიზმის ქადაგებამ აღმოფხვრა სხვადასხვა ერებში გაბატონებული კონფესიები, რომელთა კულტურულ განვითარებას უნდოდათ თუ არა კომუნისტებს, სწორედაც რომ რელიგიური ნიშან-თვისებები ასაზრდოებდა. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც სახელმწიფოსა და ხალხს შორის სულიერი ერთიანობის გარანტი იყო, მენშევიკთა ლიდერების მხრიდან მათივე პოლიტიკური კურსის შესაბამისად დევნა-შევიწროების საგნად იქცა.

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 26 ნოემბრის კანონის საფუძველზე, ნაბრძანები იყო საღვთო სჯულის სწავლების გაუქმება სასწავლო დაწესებულებებში. კანონი შემდეგ პუნქტებს ითვალისწინებდა: 1. ყოველი ტიპისა და საფეხურის სახაზინო და კერძო უფლებიან სკოლაში გაუქმდეს საღვთო სჯულის სწავლება და საღვთო სჯულის მასწავლებლების თანამდებობა. 2. ხსენებულ სკოლებში დაიხუროს კრედიტი, რომელიც გახსნილი იყო საღვთო სჯულის მასწავლებელთა ჯამაგირისათვის. 3. შტატს გარეშე დატოვებულ საღვთო სჯულის მასწავლებელთ მიეცეთ ჯილდო, რომელიც დაწესებულია 1918 წლის ივლისის 5-ის კანონით. 4. იმ მშობლებს, რომლებიც მოისურვებენ თავის შვილებს თავის ხარჯით ასწავლონ საღვთო სჯული, დაეთმოთ სკოლის შენობა იმ საათებში, როდესაც ეს ხელს არ შეუშლის სხვა საგნების სწავლებას. 5. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა მთავრობის ორგანო „საქართველოს რესპუბლიკა''-ში (საქართველოს 1995: 110).

ამრიგად, მენშევიკური მთავრობის სათავეში მოსვლიდან უმოკლეს ვადაში გადადგმული ნაბიჯი და ქართულ მართლმადიდებლურ სწავლებასა და ეკლესიასთან დაპირისპირების იგივე პროცესი ბოლშევიკური მთავრობის მხრიდან მხოლოდ იმით განსხვავდება რომ ის ლოიალური არ ყოფილა და მორწმუნე მასას არჩევანის საშუალებას არ უტოვებდა. მართლმადიდებელი ეკლესია და მისი უმთავრესი მონაპოვარი - ავტოკეფალია, ურთულეს პირობებში უკვე მენშევიკების დროს აღმოჩნდა. იმის ნაცვლად, რომ მეფის რუსეთის გამთიშველი პოლიტიკის წყალობით მიღებულ ისედაც მძიმე მემკვიდრეობასთან ერთად ნანატრ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის მოპოვებას, ეკლესიის აღორძინება მოჰყოლოდა, მოხდა პირიქით. მენშევიკებმა ვერ დაინახეს უძლიერესი ფაქტორი ეკლესიისა, რომელსაც ქვეყნის გაერთიანების ძალა შესწევდა. სოციალიზმის მენშევიკ ლიდერებს, ალბათ მაინც დემოკრატიულობის პრინციპიდან გამომდინარე მთლად მართებულად არ მიაჩნდათ ეკლესიისა და სარწმუნოების დევნა-შევიწროება. ისინი თვლიდნენ, რომ რელიგიის გადალახვას ისტორიული პერიოდი ესაჭიროებოდა. აღნიშნული მიდგომა ისევ და ისევ მარქსისეული თეზისის გამოძახილია, რომლის დეფინიციით: „რელიგია გაქრება იმდენად, რამდენადაც განვითარდება სოციალიზმი". საღვთო სჯულის სწავლების აკრძალვის გარდა, მენშევიკთა მიერ 1918 წლის 3 დეკემბერს ეკლესიას ჩამოერთვა სამოქალაქო რეგისტრაციის აღსრულების უფლება. გარდა ამისა, 1918 წლის 31 დეკემბრის კანონის მიხედვით, მენშევიკთა მიერ სამოქალაქო უქმე დღეების დაწესებისას კვლავ ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკის კვალია: მათ მიერ განისაზღვრა „სამოქალაქო უქმე დღეები ახალი სტილით: ა) ახალი წელიწადი - იანვრის პირველი; ბ) რუსეთის დიდი რევოლუციის პირველი დღე - მარტის 12; გ) ინტერნაციონალის დღესასწაული – მაისის პირველი; და დ) საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე მაისის 26" (საქართველოს 1995: 197-198). რელიგიური დღესასწაულები თავისთავად იგნორირებული იყო. როგორც ჩანს, ამგვარ რეფორმას მაინც მოჰყვა დაუმორჩილებლობა, რაც სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან თვით მეფის რუსეთი, რომელიც სხვა ერებში რელიგიური ჩაგვრის პოლიტიკას აწარმოებდა, თვითონ ძალიან დიდი ერთგულებით იღებდა მონაწილეობას ყველა საეკლესიო დღესასწაულებში; უკვე 1919 წლის 17 ივლისის კანონით, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ „სამრეწველო შრომის წესდების 198 მუხლსა და ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ 1917 წლის ნოემბრის 29-ს გამოცემული რვა საათის სამუშაო დღის დეკრეტის მე-20 მუხლში ჩამოთვლილი უქმეებიდან, როდესაც მუშაობა არ უნდა სწარმოებდეს, გამოირიცხა: მირქმა უფლისა – თებერვლის 15, დიდი პარასკევი, აღდგომის მესამე დღე-

სამშაბათი, მეორე დღე სული წმინდის მოფენისა, ფერისცვალება უფლისა – აგვისტოს ცხრამეტი, მიძინება ღვთისმშობლისა აგვისტოს 28, ჯვართამაღლება – სექტემბრის 27 და ტაძრად მიყვანება – დეკემბრის 4'' (საქართველოს 1995: 273-274).

ძნელი წარმოსადგენი არაა მრევლში არსებული უკმაყოფილება მთავრობის მიერ კანონში შეტანილი ანტისაეკლესიო რეფორმების გამო, თუმცა სოციალ-დემოკრატმა მენშევიკებმა, ეკლესიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება წარსულში ეროვნული საკითხისადმი საეჭვო მიდგომას ჩაანაცვლეს. ვფიქრობთ, ბოლშევიკების მიერ წარმოებული ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკის მიზეზები მენშევიკების მსგავსად მათივე პოლიტ-ეკონომიკურ წარმომავლობაშია საძიებელი. გარდა ამისა, ბოლშევიკური მთავ-რობა, რომელიც დიდი საბჭოთა ერის შექმნისკენ მიმართულ ნაბიჯებს დგამდა, რელი-გიაზე იერიშის მიტანით, ყოველგვარ ეროვნულობასაც ებრძოდა და ნებისმიერ მოძღვრე-ბას ამ კუთხით, შოვინიზმის ასპექტში განიხილავდა. სოციალისტურ სახელმწიფოში სადაც კოლექტივიზაცია უნდა განხორციელებულიყო, იდევნებოდა ყოველგვარი კერძო საკუთრება, ამიტომ ეკლესია, თვითმპყრობელობის ერთერთ უკანასკნელ გადმონაშთად გამოცხადდა კულაკურ ფენასთან ერთად, რადგან ორივე, დიდი სიმდიდრის, მიწის მეპატრონე იყო, ეს ფაქტი კი სოციალიზმის ყველა დებულებას ეწინააღმდეგებოდა ბოლშევიკური გაგებით. „1917 წლის 26 ოქტომბრის მიწის დეკრეტით, მთელი სამონასტრო და საეკლესი მიწა ნაციონალიზებულ იქნა, ეკლესია მონასტრებს ჩამოერ-თვათ მთელი კუთვნილი ქარხნები, სასტუმროები, საავადმყოფოები, სარძეო და საფუტკრე მეურნეობები, 7 მლნ.-ზე მეტი ფულადი კაპიტალი; 1917 წლის 11 დეკემბრის სახკომსაბჭოს დეკრეტით, ეკლესიასა და სამღვდელოებას ჩემოერთვა ყოველგვარი უფლება მონაწილეობა მიეღო ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების პროცესში. 1918 წლის 1 იანვრიდან სკოლებში გაუქმდა ყველა საღვთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობა, ეკლესიებს შეუწყვიტეს სახელმწიფო სახსრები. დეკრეტი ხორციელდებოდა მძაფრი კლასობრივი ბრძოლის, სასტიკი სამოქალაქო ომის პროცესში. სამღვდელოების მნიშვნელოვანი ნაწილი გააფთრებით, წინ აღუდგა მის გატარებას ცხოვრებაში. სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის ლენინის პირადი განკარგულებები მღვდლების უმკაცრესი დასჯის, მათი დახვრეტის შესახებ. ლენინის უშუალო მითითებით, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 18 მაისის პლენუმმა მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლის ძალითაც პარტიის წევრები, რომლებიც დაარღვევდნენ პარტიის პროგრამის მე-13-ე პუნქტს (იგი განსაზღვრავდა პარტიის

წევრების დამოკიდებულებას რელიგიისადმი), მკაცრად დაისჯებოდნენ, თვით პარტიიდან გარიცხვითაც კი (როგავა 1994: 9-10).

ეროვნული დანიშნულების აღიარების მაგივრად, სოციალ-დემოკრატებმა, ბოლშევიკების მსგავსად ერთგვარი ექსპერიმენტები ჩაატარეს ეკლესიის წინააღმდეგ. მთელი რიგი კანონ-პროექტების მიღებით, ქართულ სამოციქულო ეკლესიას მენშევიკური მთავრობა ერთის შეხედვით დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე იმ იდეოლოგიის გათვალისწინებით დაუპირისპირდა, რომელსაც სოციალიზმის ეს წარმომადგენლები განეკუთვნებოდნენ. „მათ დემოკრატიული საზოგადოებისა და სახელმწიფოს შექმნისათვის ეროვნულ ეკლესიასთან გამიჯვნის აუცილებლობამიაჩნდათ; სახელმწიფო აპარატს ანთავისუფლებდნენ ეროვნულ ეკლესიასა და მის სასულიერო კრებულზე ზრუნვისაგან და ნაცვლად იმისა, რომ გამოეყენებინათ მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილება და სახელმწიფო კონსტიტუციაში დაეფიქსირებინათ საგანგებო მუხლი სახელმწიფო ეკლესიის, ანუ „ეროვნული" ან „სახალხო" ეკლესიის შესახებ, საქართველოს ეკლესია საერთოდ გმიჯნეს სახელმწიფოსგან. საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ მთავრობის ცენტრალური ორგანოების კომპეტენციას მრავალ სხვა საკითხთან ერთად, ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის უფლება მიანიჭა. ქართველმა მენშევიკებმა ხმამაღლა განაცხადეს, რომ აუცილებელი იყო ეკლესიის სახელმწიფოსგან ჩამოცილება მხოლოდ ეროვნულ ნიადაგზე – „საქართველოს ავტოკეფალია დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ეროვნული ცხოვრებისათვის, თუმცა ის პოლიტიკური თვალსაზრისით არც რევოლუციას ნიშნავს და არც სოციალიზმს" (პავლიაშვილი 2000: 167). სავალალო ფაქტია, რომ მენშევიკთა მხრიდან, ქართული ეკლესიის ბრძოლა თვითმპყრობელური რუსეთის წინააღმდეგ მას შემდეგაც არ დაფასდა, რაც რევოლუციის გზით დაემხო მეფის ხელისუფლება, დაიხვრიტა სამეფო ოჯახი, სათავეში ოპორტუნისტური ბოლშევიკური ძალა მოვიდა და მათ მიერ უზურპირებული ხელისუფლების პირობებში კვლავაც არადემოკრატიული და საშიში რუსეთი საქართველოს დაუპირისპირდა. რეალურად ხომ საქართველოში არსებული რუსული თვითმპყრობელური რეჟიმის გადმონაშთი ანუ კავკასიის საეგზარქოსო თავისი საქმიანობით ქართული ეკლესიის ერთიანობას ეწინააღმდეგებოდა და საფრთხეს უქმნიდა, მაგრამ მენშევიკური მთავრობის მიერ მიღებული კანონი, სხვა კანონებისგან განსხვავებით რომელიც ანტისახელმწიფოებრივი წარმონაქმნებისა და სხვა ქვეყნის ოფიციალური გადმონაშთების ლიკვიდაციას ითვალისწინებდა, რეალურად

გვიან ამოქმედდა. კანონით მოხდა ნაწილობრივი ან სრული ლიკვიდაცია საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი რუსეთის, კავკასიის ან ამიერკავკასიის საერთო დაწესებულებებისა (1918 წ). ანუ ეს დებულება შეეხო კავკასიის საეგზარქოსოსაც, რომელიც ამ დრომდე აწარმოებდა თავის დანაშაულებრივ საქმიანობას საქართველოს არათუ ეკლესიის, არამედ სახელმწიფოს წინააღმდეგ. საეგზარქოსომ 1920 წლამდე იარსება და როგორც ჩანს მოასწრო რუსეთისათვის სასარგებლო საქმიანობა, არაქართველ მოსახლეობაში ანტიქართული განწყობილების დანერგვა (აფხაზები, ოსები), „პარალელურად გაცხოველებული დავა მიმდინარეობდა ქართული და რუსული საეკლესიო ქონების გადანაწილების ირგვლივ, რომლის მიზეზითაც შექმნილი უსიამოვნო ექსცესები კიდევ უფრო ამძიმებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობას". გარდა ამისა, კავკასიის საეგზარქოსოსა და სინოდალური კანტორის მუშაობა, საერთო მართლმადიდებელი საეკლესიო კანონმდებლობით, ერთიდაიგივე ტერიტორიაზე ორი მართლმადიდებელი ეკლესიის, რუსულისა და ქართულის არსებობა დაუშვებელი იყო (პავლიაშვილი 2000: 177). მითუმეტეს მაშინ, როცა ქართული სახელმწიფო დემოკრატიული განვითარების დამოუკიდებელ გზას დაადგა და იმპერიული რუსეთის უკანასკნელი გადმონაშთის, ამიერკავკასიის საეგზარქოსოს მიერ წარმოებული საქმიანობა ყოველივე ამას უხეშად ეწინააღმდეგებოდა. არაქართველი მრევლი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობით 1920 წ. 17 აგვისტოს გადაწყვეტილებით საქართველოს ეკლესიას დაექვემდებარა №7 „გ" მუხლით (პავლიაშვილი 2000: 178). საეგზარქოსოს გაუქმებით, ქართული ეკლესიის იურისდიქციის აღდგენა მთელს ტერიტორიაზე მოხდა. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის ბრძოლა დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანებისათვის თვით საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებებში ჩანს, რომ არაფერი ვთქვათ საქმიანობაზე, მენშევიკთა მიერ გადადგმული ამ იძულებით ნაბიჯის შემდეგ, შედარებით უკეთეს პირობებში აღმოჩნდა. შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მენშევიკებმა ეს ნაბიჯი მართლმადიდებლობის აღორძინების გამო გადადგეს, მაგრამ მათ მიერ წარმოებული პოლიტიკა ასეთ მოკლე ხანში ეკლესიის მიმართ ურთიერთსაპირისპირო გადაწყვეტილებების მთელი კასკადით ამ აზრს გამორიცხავს. განა მენშევიკებმა არ მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს, ანუ მატერიალურად დამოუკიდებლად არსებობის უფლება მიენიჭა. თავად სახელმწიფო არ ერეოდა საეკლესიო საქმეებში. დემოკრატიულმა მთავრობამ, 24 პუნქტისაგან შემდგარი პროექტი შეიმუშავა. პროექტი ყველა მოქალაქეს თავისუფალი არჩევანის საშუალებას აძლევდა, ყველა მოქალაქეს უნდა აერჩია ის

რელიგია, რომელიც მის სულიერ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა. ასეთი მიდგომით მენშევიკებმა პრიორიტეტი არცერთ რელიგიურ აღმსარებლობას არ მიანიჭეს, მათ შორის არც მართლმადიდებლობას. ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შედეგად კი საქართველოს ისედაც მრავალეროვან მოსახლეობაში და რელიგიის უსუსური კანონის პირობებში სულ უფრო მძლავრობდა ყველა რელიგიისა და სახელმწიფოსათვის საშიში, თითქმის მეხუთე კოლონა, სექტანტიზმი. გარდა იმისა, რომ ეკლესიას სახელმწიფოსაგან გამოყოფის შემდეგ, თვითუზრუნველყოფა უნდა მოეხდინა, როგორც პროფესორი ქ. პავლიაშვილი აღნიშნავს, სამღვდელოებას „ევალებოდათ სახელმწიფო ხაზინაში გადასახადის სახით კუთვნილი თანხის შეტანა, ანუ ისინი სხვა ორგანიზაციების მსგავსად, სახელმწიფო ბიუჯეტის დაკომპლექტების მონაწილენი იყვნენ. შედარებით მკაცრნი იყვნენ ამ გადაწყვეტილების იდენტური ბრძანების ბოლშევიკი ავტორები. მათ მიერ ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის კანონმა და სამღვდელოების წარმომადგენლების წინააღმდეგ კონტრრევოლუციური ბრალდების წაყენებამ, ამ ფენის რეპრესიები და ათასობით მსხვერპლი მოიტანა. მენშევიკებმა აგრარული რეფორმის გატარების საბაბით ეკლესისას მთელი უძრავ-მოძრავი ქონება დაუკანონეს გარდა მიწისა. ანალოგიური დეკრეტი რუსეთში საბჭოების მეორე ყრილობამ 1917 წლის 26 დეკემბერს მიიღო, საქართველოში კი ეს კანონი პროექტის ძალაში შესვლისთანავე დაკანონდა და განხორციელდა რამდენიმე ხანში. მენშევიკები არ წასულან ისე შორს, როგორც ბოლშევიკები, რომლებმაც ტაძრების ძალზე მცირე ნაწილს კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა მიანიჭეს, დანარჩენი კი ან გაანადგურეს, ან დანიშნულებისამებრ გადააკეთეს კინო-კლუბებად, თავლებად, და აბანოებადაც კი. ამის თაობაზე თემის განხილვისას არაერთგზის გვექნება საუბარი. ამასთანავე, იმპერიის მიერ სინდისის თავისუფლებისა და თავისუფალი რელიგიური აღმსარებლობის გამოცხადება იგივე პრინციპით მოხდა, მაგრამ ყოველივე ეს, ისევე როგორც მრავალი სხვა გადაწყვეტილება მმართველი ძალის ხელში მანიპულირების საგანი იყო და არა ხალხისთვის სასიცოცხლო აუცილებლობა. ბოლშევიკური მთავრობის ეს გადაწყვეტილება ასახულია რუსეთის კომპარტიის VIII ყრილობაზე, რომელიც 1919 წლის 18-23 მარტს კონსტიტუციაში შეტანილი მუხლითაც გამყარდა. „შედეგად, ხელისუფლება აღიარებდა ყოველი მოქალაქისათვის სრულ სარწმუნოებრივ თავისუფლებას და დაუშვებლად მიიჩნევდა ამ უფლების შეზღუდვა ძალდატანებას (სკკპ 1954: 577). ნიშანდობლივია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად გატარდა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ" (პავლიაშვილი 2000: 165).

ბოლშევიკები მიიჩნევდნენ, რომ რელიგია ადამიანთა პირადი საქმეა, კანონი ცხოვრების ამ სფეროში არ ერევა. არა ეკლესია, არა აღმსარებლობა, არა კულტი, არ უნდა ერთიანდებოდეს სახელმწიფოსთან. მათ უნდა გააჩნდეთ საკუთარი ბიუჯეტი. ეკლესია უნდა გამოეყოს სახელმწიფოს, ეკლესიას არ უნდა მიეცეს სასწავლო-სასკოლო საქმეში ჩარევის უფლება... ყველა ტაძარი, ქონება და სიმდიდრე დაუყოვნებლი უნდა მოექცეს სახელმწიფო საკუთრებაში'' (ДЕЯТЕЛИ 1968: 12). ასეთი გადაწყვეტილება ნიშანდობლივია იმპერიალისტური გეგმების მქონე სახელმწიფოსათვის, მაგრამ მენშევიკური ხელისუფლებისათვის, რომლის სათავეში მოსვლის პერიპეტიები ცნობილია საყოველთაოდ და რომელიც საბედისწერო გეოპოლიტიკური მდებარეობის მქონე ქვეყანას მართავდა, მართლმადიდებელი ეკლესიისადმი არაეროვნული და უფრო მეტიც, მტრული მიდგომა დამღუპველი აღმოჩნდა. ისინი არ დევნიდნენ ბოლშევიკური მეთოდებით, მაგრამ არც მფარველობდნენ მათს მსგავსად. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია იძულებული იყო უკვე მათი ხელისუფლების პირობებში დაეწყო ბრძოლა გადარჩენისათვის. მენშევიკური მთავრობის მიერ თუნდაც ახალი სახელმწიფოს მშენებლობისათვის გადადგმული სხვა მნიშვნელოვანი ნაბიჯები და რეფორმები ნაწილობრივ ფერმკრთალდება ეკლესიასთან მიმართებაში დაშვებული შეცდომების ფონზე. მართლმადიდებელი რელიგიის არაპრიორიტეტული მდგომარეობა მაშინ, როცა სახელმწიფოს მოსახლეობის ძირითადი უმრავლესობა ამ აღმსარებლობის წარმომადგენელია და ეგრეთწოდებული „რელიგიური თავისუფლების'' დამყარება არა მხოლოდ სხვა ქვეყნების აგენტურას აძლევს მანიპულირების საშუალებას, არამედ თვით ერში იწვევს გარკვეულწილად აარასრულფასოვან დამოკიდებულებას რელიგიისადმი. მენშევიკური მთავრობის კრახი და ემიგრაციის გამომწვევი მიზეზები არაერთგზის აიხსნა თანამედროვე საქართველოს ისტორიოგრაფიაში, თუმცა ის, რომ მაინცდამაინც მენშევიკები იყვნენ ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკის დამნერგავები ქართულ სინამდვილეში, სოციალისტურ იდეოლოგიიდან გამომდინარე, რთული აღსაქმელია. მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ტრადიციის მქონე „ნაციონალურ'' სახელმწიფოში დღესდღეობითაც არარსებული გამოკვეთილი კანონი რელიგიის შესახებ, რომელიც ძირეული აღმსარებლობის პრიორიტეტულობას უნდა აღიარებდეს, მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურთ კვლავაც არ აძლევს ყურადღების მოდუნების საშუალებას. მენშევიკებს რუსი სოციალისტების მიერ გატარებული რეფორმები გადმოჰქონდათ ქართულ სინამდვილეში მხოლოდ ნაწილობრივი სახეცვლილებით. „ეკლესია როგორც სოციალური ინსტიტუტი, რომელიც ყოველთვის ეროვნული მსოფლმხედველობის გაცნო-

ბიერების საქმეს ემსახურებოდა „კონტრრევოლუციურ" ძალად გამოცხადდა, მის წინააღმდეგ ბრძოლა კი პარტიის ერთერთ და უპირველეს ამოცანად იქცა" (ბენდელიანი 200: 16).

ვფიქრობთ, მენშევიკური მთავრობის მიერ საქართველოს ისტორიაში შეტანილი წვლილი ქართული საზოგადოების იმ უდიდეს ნაწილთან ერთად, რომელმაც ქართველ ერს თუნდაც ხანმოკლე დამოუკიდებლობა მოუტანა 1918-1921 წლებში, ნამდვილად დასაფასებელია, მაგრამ ის ფაქტი, რომ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნება არ მოხერხდა სწორედ ამ მთავრობის მიერ წარმოებული პოლიტიკით, რომლის ნაკლოვანი მხარეების ძიებაში ეკლესიისადმი დამოკიდებულება არ დგას უკანა პლანზე, დასაფიქრებელი და უდაოდ გასათვალისწინებელია. ბოლშევიკური მთავრობის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ წარმოებული აქტიური ანტირელიგიური საქმიანობა ცხადად აისახა იმ ორგანიზაციის მუშაობაში, რომელსაც „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი" ერქვა და რომლის მოღვაწეობაც ჩვენი კვლევის საგანია.

თავი II.

„მებრძოლ უღმერთოთა კავშირი"

§1. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" შექმნის პრეისტორია და მისი დაარსება

ანტისარწმუნოებრივი იდეოლოგიის გავრცელების გენეზისი სათავეს ჯერ კიდევ გასული საუკუნეების ევროპაში იღებს. ევროპული ქვეყნების ისტორია მხოლოდ რენესანსი და კულტურული რევოლუცია როდია, მასში შემავალმა ერებმა საბოლოო სახის ფორმირებამდე, დემოკრატიის დამყარებისათვის საჭირო ბრძოლის ყველა ეტაპი საკმაოდ მტკივნეულად განვლეს, გადალახეს არაერთი სიძნელე და საბოლოო ჯამში განვითარების ისეთ ეტაპზე მივიდნენ, რომელიც სამაგალითოა თუნდაც უძველესი ცივილიზაციისა და ისტორიის მქონე ქვეყნებისათვის და მათ შორის საქართველოსთვის. ევროპელ ხალხებში დომინანტ, რომის კათოლიკურ ეკლესიას, თანაცხოვრება ქრისტიანული რელიგიის სხვა პროტესტანტულ განშტოებებთან უწევს. ბუნებრივია კონფესიებს შორის არსებული განსხვავება მათ შორის ურთიერთდაპირისპირების საბაბად იქცა. სწორედაც რომ რომის კათოლიკური ეკლესიის წიაღში წარმოიშვა XIII საუკუნეში ინკვიზიცია და ამ პროცესმა XIX

საუკუნემდე გასტანა. იტალიაში დიდხანს არსებობდა ორგანიზაცია, რომელიც არსებითად ინკვიზიციის ტრადიციის გამგრძელებელია და მიზნად თვით კომუნიზმთან ბრძოლასაც კი ისახავს (ქსე 1980: 164-165). რაც არ უნდა იყოს რელიგიური ბრძოლა და ურთიერთდაპირისპირება თვით ეკლესიის წიაღში რასაც არნახული მსხვერპლი მოჰყვა სავალალოა. ინკვიზიტორები ებრძოდნენ ერესსა და საპირისპირო იდეოლოგიას, ფიზიკურად უსწორდებოდნენ მოწინააღმდეგეებს. ინკვიზიციის სახელოთ განხორციელებული აუტოდაფე 1826 წელს გაიმართა ვალენსიაში, რომლის შედეგად ათასობით ადამიანი სიცოცხლე მოისპო. ზემოაღნიშნულის საფუძველი გარკვეულწილად ხსნის ანტისარწმუნოებრივი იდეოლოგიის ევროპულ საზოგადოებრივ წიაღში აღმოცენებას. მიუხედავად იმისა რომ, ცალკეული ფენები მოიცვა რელიგიისადმი მტრულმა დამოკიდებულებამ, არცერთი ევროპული ქვეყნის ისტორიაში ესა თუ ის ქვეყანა ათეისტურად არ გამოცხადებულა. უღმერთობის აზრი პოპულარული ვერ გახდებოდა, ვინაიდან ევროპული ქვეყნების კაპიტალისტური წყობილება ამას არ საჭიროებდა.

საბჭოთა წყობილების დამყარების პერიპეტიები და მისი ლიდერების იდეოლოგია პირდაპირ კავშირშია ყოფილი იმპერიის სინამდვილეში არსებული „მებრძოლ უღმერ-თოთა კავშირის" შექმნასთან. საბჭოეთის ბოლშევიკურმა ლიდერებმა ევროპული ათეისტური აზროვნების ასპექტები სახელმწიფო იდეოლოგიის დონეზე აიყვანეს და მიხვდნენ, რომ სოციალიზმის განვითარება რელიგიური, ანუ "თვითმპყრობელური" გად-მონაშთები შეუთავსებადი იყო.

ნებისმიერი რელიგია, თუნდაც ძალზედ ჰუმანური ქრისტიან-მართლმადიდებლობა, ამასთანავე იუდაიზმი, ისლამი, ბუდიზმი თუ სხვა, საბჭოურ სისტემასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. ყველაზე მეტად, კომუნისტური წყობა თვით რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას დაუპირისპირდა. ამის მიზეზი არა მხოლოდ პარტიის სოციალისტური მოტივებით, არამედ როგორც არაერთგზის აღინიშნა, საერთო რუსული იდეით იყო განპირობებული, რომლის დედააზრი ახალი, სრულიად განსხვავებული სახელმწიფოს მშენებლობას ითვალისწინებდა. მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც სამეფო ტრადიციის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მსგავსად, გაცილებით ადრეული დროიდან ახერხებდა მასებზე ზემოქმედებას, კომუნისტურ მენტალიტეტზე ზემოთ იდგა, ამიტომ მისი დაკნინებით, ან სრულიად განადგურებით, ბოლშევიკური ხელისუფლება უკვე ისტორიულ კანონზომიერებად ქცეულიტრადიციის მოშლით, თავად ცდილობდა

მისი ადგილის დაკავებას. მოგვიანებით მხოლოდ იოსებ ბესარიონის ძე სტალინის მიერ მოხდა მართლმადიდებლობაში იმ ძალის დანახვა, რომელიც რუსეთს „მესამე რომად" აქცევდა, თუმცა ქართველ ბოლშევიკს, მისი განხორციელება არ დასცალდა, ხოლო მისი შემცვლელის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ, ფაქტიურად დააჩქარა საბჭოთა კავშირის რღვევა და საერთოდ სოციალიზმის კომუნიზმში განხორციელების იდეასაც წერტილი დაუსვა.

თავდაპირველად, ბოლშევიკი ლიდერების მიერ კარგად გააზრებულ, ზოგჯერ ევროპის ანტისარწმუნოებრივი პუბლიცისტიკიდან ნასესხებ ლოზუნგებს, უბრალო მასებში პროპაგანდა სჭირდებოდა. სწორედ ამ მიზნით, სათავეში მოსვლიდან მცირეოდენ ხანში, შესაბამისი ბაზის მომზადების შემდეგ, რუსეთის ისტორიაში გაჩნდა ორგანიზაცია „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი" შემოკლებით „მუკი" (რომელსაც კარგად შეესაბამება ქართულ თარგმანში სიტყვა–ტანჯვა), რომლის მოღვაწეობა და რელიგიისადმი მტრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე ნამდვილად აჭარბებს რამდენიმე საუკუნოვან ინკვიზიციურმოძრაობას ევროპის ქვეყნებში. ბოლშევიზმის მეთაურები ძალაუნებურად ათვითცნობიერებდნენ ეკლესიის როლს ფართო მასებში.ეკლესია ხომ ის ძალა იყო, რომელიც ბოლშევიკების მიერ მეფის ოჯახისადმიგანხორციელებულ ამაზრზენ ფაქტს დუმილით ვერ შეხვდებოდა და აუცილებლად დაგმობდა. ამიტომ, გაჩნდა პირველი ანტისაეკლესიო განწყობის დანერგვის მიზეზი რუსულ სინამდვილეში. ეკლესიამონარქიის დასაყრდენად გამოცხადდა და დასაბუთდა კიდეც მათი ვერსიით ესდასაყრდენი. ახალმა სახელმწიფომ, ახალი იდეოლოგიის ჩამოყალიბება ეკლესიისა და რელიგიის დისკრედიტაციით წამოიწყო. ამ მიმართულებით საჭირო გზების ძიება სახელმწიფო პოლიტიკის ერთერთ სტრატეგიულ გეგმად იქცა. გარდა ამისა, რადგან ქრისტიან-მართლმადიდებელი ეკლესიისლური შემწყნარებუ სახე და უდიდესი ავტორიტეტი, ამასთანავე ეროვნულ-იდეოლოგიური დანიშნულება, სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის პროცესში ცალსახად საწინააღმდეგოდ მუშაობდა, საჭირო გახდა მისი ყოველმხრივი დისკრედიტაცია. ასე ჩნდებოდა სხვადასხვა პუბლიკაციები, რომელიც ანტირელიგიური იდეოლოგიის დასანერგად გამიზნული პერიოდული გამოცემების ფურცლებიდან მოსახლეობას აწვდიდა ინფორმაციას. ასე მაგალითად, სტატიაში „ცოტა რამ პროსტიტუციისშესახებ", ავტორი ხატავს რუსეთის სინამდვილეში არსებულ პრობლემას ამ საკითხთან დაკავშირებით და ასკვნის, რომ „თუკი რუსულ სასულიერო პირთა და მონასტერთა

როლი ჯერ კიდევ არაა გამორკვეული, უნდა ითქვას, რომ ამ საკითხში რუსული ეკლესია არ ჩამორჩებოდა დასავლურს და არათუ ანადგურებდა, არამედ ხელს უწყობდა ქალთა მორჩილების ქადაგებით ექსპლუატატორებს და ამით პროსტიტუციის ფუძემდებლად გვევლინებოდა" (უღმერთო №12 1929: 17). რაოდენ პარადოქსული არ უნდა იყოს, ალბათ არ არსებობს საკითხი, რომელსაც ყველა რელიგიური აღმსარებლობა, და განსაკუთრებით მართლმადიდებლობა, ისე მძაფრად გმობს, როგორც ხორციელ ვნებას და მცნებათა შორის უმთავრესს, მრუშობის ცოდვას, თუმცა ანტირელიგიური პროპაგანდის გასაძლიერებლად და იმ ძირითადი ბრალდების დასამტკიცებლად, რომლის თანახმადაც რელიგია გაბატონებულ კლასთა იარაღია, უღმერთონი არც ამ ბრალეულობის მიყენებას იშურებდნენ. მართლმადიდებელი ეკლესია და ქრისტიანული რელიგიის უდიდესი კულტურული დანიშნულება ჩვენთვის სადაო არაა, მაგრამ კომუნიზმის მიმდევართათვის ყოველივე ამის იგნორირება და უარყოფა სირთულეს არ წარმოადგენდა, მრავალი წლების მანძილზე, სარწმუნოების მამამთავართასაგანმანათლებლო მოღვაწეობის შედეგად საქართველოს კულტურას ჰიმნოგრაფიული შედევრები და ხშირ შემთხვევაში ისტორიის კვლევისათვის საჭირო წყაროები შემოუნახა. ის რომ მართლმადიდებლობა და ქრისტიანობა მწიგნობარი რელიგიაა, კომუნისტების მხრიდან ნაკლებად დასაფასებელი გახლდათ, რადგან იკარგებოდა საერთოდ რელიგიების საწინააღმდეგო ბრძოლის იდეა. რელიგია, როგორცარაპროგრესული და დრომოჭმული მოვლენა, ხალხისთვის საზიანოდ მიიჩნიეს. „ღმერთი მხოლოდ ბავშვური კონცეფციაა, გამოწვეული შიშის გრძნობით". ესპანელი რევოლუციონერის, ფრანცისკო ფერერის ეს სიტყვები ვოლტერისეულ „გავსრისოთ არამზადას" ეხმიანება, რომელიც არამზადაში რელიგიას გულისხმობს. ევროპის ქვეყნებში არაერთგზის ემიგრაციაში ყოფნის დროს ვ.ი. ლენინს უამრავი საშუალება ჰქონდა იქაურ ანტისარწმუნოებრივ იდეოლოგიას გასცნობოდა. "ქრისტიანობა, ეს არის უწესო მკრეხელობა უფლის წმინდა სახეზე..". გერმანელი მოღვაწე კ. ფონ გოგერნი „Фреимауэр Цайтунг"- ში 1866 წლის 15 დეკემბრის გამოშვებაში წერს: „მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დადგება დრო, როცა ათეიზმი საერთოსაკაცობრიო პრინციპად იქცევა". ასევე მნიშვნელოვანია„ანტისარწმუნოებრივი დოქტრინა უაზრობაა სინდისის თავისუფლების აღიარების გარეშე. ეს აღიარება ანტირელიგიურობაში ეკლესიასთან მტრულ დამოკიდებულებას აღზრდის, რადგან ეკლესია არსებითად სინდისის თავისუფლების აღიარებისმოწინააღმდეგეა. „ენერგიულად დავუჭიროთ მხარითითოეულში სინდისის თავისუფლებას, მაგრამ განუხრელად გამოვუცხადოთ ომი ყველა რელიგიას, რადგან ისინი არსით მთელი კა-

ცობრიობის მტრები არიან"„სინდისის თავისუფლება არის ძირითადი იდეა მასონობის", მასონობის მიზანი ათეისტური რესპუბლიკაა" (АКАЦИЯ 1903: 186).

ევროპული ქვეყნების საზოგადოებრიობის გარკვეული ნაწილის ანტირელიგიურმა განწყობამ, ვერ ჰპოვა მხარდაჭერა ოფიციალურ ხელისუფლებაში. სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფის საკითხი კანონით გათვალისწინებული ნორმებით მხოლოდ საფრანგეთში მიიღეს თავის დროზე, მაგრამ არა იმ სახით, როგორც საბჭოთა კავშირში. მიუხედავად ამისა ათეისტური პროპაგანდა ჩავარდა. ქვეყნის მშენებლობისადმი დამოკიდებულება და ქვეყნის მაღალზნეობრივი, სამართლებრივი მოწყობა, ადამიანთა უფლებების დაცვის უზენაესობა, მათთვის უმთავრესი პრიორიტეტია. სამაგიეროდ, ის რაც ევროპამ და დანარჩენმა მსოფლიომ გაიარა და გადალახა, კარგად აითვისა და გამოსცადა თვითმპყრობელური რეჟიმიდან ფსევდო-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში ჩაფლულმა სოციალისტ-კომუნისტებმა. დადგა საკითხი ერთიანი სარწმუნოებრივი პოლიტიკის ჩამოყალიბების შესახებ არა მხოლოდ რუსეთის, არამედ მთელი საბჭოთა იმპერიის ტერიტორიაზე. „ქართველი ერის ცხოვრებაში დაიწყო მისი როგორც სოციალისტურ ერად ჩამოყალიბების პროცესი. იგი სხვა ერებთან ერთად საბჭოური ცხოვრების ხვედრს იზიარებდა. ამიერკავკასიის და კერძოდ საქართველოს ხალხების საბჭოთა სისტემაში შემომტკიცების საკითხს, პარტია მეტად ფრთხილი და წინდახედული ფორმით ანხორციელებდა. თავის დროზე, ლენინი სტატიებსა და დირექტივებში აფრთხილებდა საქართველოს კომუნისტებს, რომ ელემენტარულ შეცდომებს ამ მეტად რთული საქმის მოგვარებაში შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოჰყოლოდა" (ბენდელიანი 2000: 99). პარადოქსია, მაგრამ ქვეყანაში მართვის სისტემა ისე რეალიზდებოდა, რომ ტერორისა და რეპრესიები საზოგადოების განვითარებისა და ფორმირებისათვის აუცილებლობად ცხადდებოდა. თეოლოგიის საწინააღმდეგო იდეებზე დაფუძნებულმა მარქსიზმმა, კომუნისტური საზოგადოების ჩამოყალიბებაში ლომის წილი იქონია. ანტირელიგიური იდეოლოგიით გაჟღენთილმა დარვინისტულმა თეორიამ, რომელიც ევროპულ სინამდვილეში უკვე მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში იგნორირებული იყო, კომუნისტებისათვის სავსებით მისაღები აღმოჩნდა. „დარვინი, რომელსაც ახლაც ვკითხულობ, ბრწყინვალეა; ამ სფეროში არ იყო დანგრეული თეოლოგია და დარვინმა ეს მოახერხა. გარდა ამისა, აქამდე ასეთი გრანდიოზული მცდელობა ბუნების განვითარების დამტკიცებისა, არ ყოფილა ასეთი წარმატებული. უხეში ინგლისელის მეთოდთან შეგუება აუცილებელია" (О РЕЛИГИИ 1963: 330). „ჩვენ, ვამბობთ რომ ეს ხლა-

მია, ეს არის გახრწნილი ნაგვის გროვა, ჩვენ არ გვწამს და ვიცით, რომ ვდგავართ სწორ გზაზე,'' – წერს ერთერთი ავტორიტეტული კომუნისტი ა. ლუნაჩარსკი, თავის სტატიაში „რატომ არ შეიძლება გწამდეს ღმერთის''. მოგვიანებით, როცა ანტისარწმუნოებრივი ტალღა ჩაცხრა, მაგრამ განახლდა ნიკიტა ხრუშჩოვის დროს, ეს უკანასკნელი აღნიშნავდა: „მეცნიერება და ზებუნებრივ ძალთა რწმენა, ყოვლად შეუთავსებელი და ურთიერთგამომრიცხავია(О РЕЛИГИИ 1963: 382). „რელიგიურ ცრურწმენასთან მეტად ფრთხილი ბრძოლაა საჭირო. რელიგიურ რწმენასთან შეურაცხყოფით ბრძოლას, მეტად სავალალო შედეგი მოაქვს. რელიგიური ცრუ-რწმენის საფუძველი გაუნათლებლობა და სიღარიბეა. ამ სიბოროტეს უნდა ვებრძოლოთ სწორედ'' (О РЕЛИГИИ 1963: 478). თუ რა სახით ებრძოდნენ გაუნათლებლობასა და სიღარიბეს, ან როგორ იყენებდნენ ამისთვის ეკლესიიდან ამოღებულ დიდძალ ქონებას, ამას კარგად დავინახავთ, თუ „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის'' ისტორიას მივყვებით. თავად ის პრეცედენტი, რომ საჭირო გახდა მსგავსი ორგანიზაციის შექმნა საბჭოთა სინამდვილეში, ბევრ რამეზე მეტყველებს.

„რელიგიური იდეოლოგიის გადასალახავად და ათეისტურ მსოფლხედველობის გასავრცელებლად მშრომელთა რიგებში, დიდი როლი ითამაშა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის'' მასობრივმა, ნებაყოფლობითმა ორგანიზაციამ, რომელიც წარმოიშვა თავად მშრომელთა ინიციატივით... ათეისტური აღზრდის მრავალი მეთოდი, რომელსაც ახლაც ვიყენებთ, „მუკში'' მომუშავე უფროსმა თაობამ გამოიმუშავა, ათეისტური მოძრაობის მთავარი ვალია გამოინახოს და შეიმუშაოს უკეთესი საშუალებანი ათეისტური პროპაგანდისათვის (ОКИЛОВ 1967: 63).'' უკვე 1921 წლის მარტში ჩატარდა X ყრილობა, რომლის ცენტრალურ ამოცანად დაისახა კომუნისტთა საერთო დონის ამაღლების მიზნით აგიტაცია პროპაგანდის გაძლიერება უპარტიოების მიმართ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილებულიყო მოსწავლე ახალგაზრდებთან ანტირელიგიურ პროპაგანდაზე, ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნამ ხომ თავისთავად გამიჯნა სკოლა რელიგიური სწავლებისაგან, ასე რომ, დაიწყო ახალი თაობის აღზრდა ათეისტური მეთოდებით სკოლის მერხიდან. საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე დაიწყო ანტირელიგიური წრეების, სემინარებისა და ლექციების ჩატარება. რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი 1921 წლის ბოლოსთვის ქმნის სპეციალურ კომისიას, რომლის სათავეშია ემილიან იაროსლავსკი, მას კი ევალება უხელმძღვანელოს საეკლესიო

პოლიტიკას, როგორც ცენტრში, ამავე დროს რეგიონებში, აგრეთვე გამოიმუშაოს დირექტივები ბეჭდვითი და ზეპირი პროპაგანდისათვის (ОКИЛОВ 1967: 64);

აგიტაციური სამუშაოები არნახული მასშტაბით გაიშალა ყველა რესპუბლიკაში და მათ შორის, უძველესი მართლმადიდებელ-ქრისტიანული ტრადიციის მიმდევარ საქართველოში. საქართველოს იმდროინდელმა კათალიკოს პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ არაერთი „დოკუმენტი გააგზავნა სხვადასხვა ინსტანციაში, სადაც უკმაყოფილებას გამოთქვამდა ეკლესიის მიმართ გაჩაღებული დევნის, ქართული ენის უფლებების შეზღუდვისა და ისტორიული მიწების სხვათა განკარგულებაში გადაცემის თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ"(მეტრეველი 2000: 191-192). მოგვიანებით, 1922 წელს, ამბროსი ხელაიამ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1921-1927 წლებში) წითელი ჯარის გაყვანისა და რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით, იტალიის ქალაქ გენუაში ჩატარებულ კონფერენციას მიმართა, რომელსაც 23 ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა. აღნიშნული მომორანდუმი კონფერენციამ არ განიხილა, საბჭოთა ხელისუფლებამ კი კათოლიკოს-პატრიარქი საკათალიკოსო საბჭოს 9 წევრთან ერთად დააპატიმრა, შედგა სასამართლო პროცესი, რომლითაც პატრიარქს მემორანდუმის გაგ-ზავნაში, საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცული საგანძურის გადამალვაში და საეკლესიო ქონების სააღრიცხვო წიგნების არასწორ წარმოებაში ედებოდა ბრალი. ამბროსი ხელაიას 7 წლით, 9 თვით და 23 დღით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. უსა-მართლო გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა პატრიარქმა სასამართლოს ასე მი-მართა: „სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული საქართველოს, გვამს კი რაც გნებავთ ის უყავითო" (მეტრეველი 2000: 193). კათოლიკოს-პატრიარქი 1924 მხოლოდ წლის ამი-ნისტიის შედეგად იბრუნებს პატრიარქის ფუნქციებს, თუმცა, ახალ რეჟიმთან ბრძოლით დაღლილი ამბროსი ხელაია 1927 წლის 29 მარტს გარდაიცვალა. ან-ტირელიგიური პერიოდის საქართველოში მოღვაწე სამღვდელოების მიერ გაწეული ღვაწლი ცალკე თემაა, რომელშიც რაღათქმაუნდა გამოკვეთილია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთა ღვაწლი და თავდადება; ამბროსი ხელაიასთან მიმართებაში ბოლშევიკური ხელისუფალი რომ შეუვალი იქნებოდა ცალსახაა, ვინაიდან თვით რევოლუციის ბელადის, ლენინის აზრით მხოლოდ კაპიტალისტურ, ანუ მჩაგვრელ კლასს ესაჭიროება თავისი ბატონობის დასაცავად ჯალათის ფუნქცია და ხუცესის ფუნქცია. ერთი მათგანი სჯის აღელვებულ მასას, მეორე მათგანი ანუგეშებს. "რელიგია იცავდა ანტიკურ მონობას, შუა საუკუნურ ბატონობას, ხოლო მათი დაცემის შემდეგ კი

მთელი თავისი ავტორიტეტის ძალით თანამედროვე კაპიტალისტურ წყობილებას იცავს.'' (რელიიგიის 1957: 6);

ანტირელიგიური პროპაგანდის სრულყოფილ წარმოებას, შესაფერისი ანტირელიგიურ-ათეისტურ-კომუნისტური პერიოდული ორგანო ესაჭიროებოდა, რომლის მეშვეობითაც მასებში გაჩაღდებოდა პროპაგანდისტული სამუშაოები. ამ მიზნით დაარსდა გაზეთი „უღმერთო'' და იგი 1922 წლის დეკემბრიდან 1941 წლის ივლისამდე გამოდიოდა, სამამულო ომის დაწყებამ ამ ორგანოს საქმიანობა, ისევე როგორც მთლიანად ქვეყნის ბედი მკვეთრად შეცვალა. გაზეთი არ გამოდიოდა 1935-1938 წლებს შორის პერიოდში, სამაგიეროდ მის საქმიანობას უკვე კარგად ჩამოყალიბებული, ილუსტრირებული და საკმაოდ პოპულარული ჟურნალი „უღმერთო'' აგრძელებდა და საბჭოთა მუშა არ განიცდიდა ათეისტური სიტყვის ნაკლებობას. გაზეთს განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობას აწვდიდნენ, ვინაიდან აქ ახალ ინფორმაციას და იდეოლოგიას წინააღმდეგობა ნაკლებად შეხვედროდა მაშინ, როცა დღის წესრიგში უმთავრესი, კოლექტივიზაციის საკითხი იდგა და გლეხობის ყურადღების აქცენტიც ამ მიმართულებით იყო გადატანილი. ბ.ნ. კონოვალოვი, თავის სტატიაში „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი'', პირდაპირ მიუთითებს, გაზეთი შუქს ჰფენდა ეკლესიის მესვეურთა ანტირევოლუციურ მუშაობას, ეკლესიის როლს მეფის ხელისუფლების პერიოდში და მას შემდეგ. საგაზეთო სტატიებით შუქდებოდა რელიგიური ორგანიზაციების მდგომარეობა საზთვარგარეთ, კაპიტალისტურ ქვეყნებში. ცხადია სოფლად მცხოვრები ხალხი რომელთა დიდი ნაწილი მოკლებული იყო სრულფასოვან განათლებას და მათი ცოდნა თვით რელიგიის საკითხებში ძირითადად მწირი იყო, იოლად ეგებოდა ანტირელიგიური პროპაგანდის ანკესზე. მეტადრე მაშინ, როცა ტერორისა და დაშინების პოლიტიკასთან ერთად, სამღვდელოების კომპრომენტირების კამპანია გაშლილი იყო ქვეყნის მაშტაბით. გაზეთი „უღმერთო''-ს გამოსვლა რამდენიმე ხნით ადრე მოხდა ვიდრე თვით „მუკი'' ჩამოყალიბდებოდა. რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ მზადდებოდა ერთგვარი ნიადაგი საზოგადოებაში ანტისარწმუნოებრივი იდეოლოგიისათვის და საამისოდ, შესაბამისი ორგანიზაციის გაფორმებისთვის. გაზეთის გავრცელება საზოგადოების ყველა ფენაში მიმდინარეობდა. განსაკუთრებით დიდი პოპულარულობა გაზეთმა წითელ არმიელთა შორის მოიპოვა, რომლის შემადგენლობაში ყველა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანები იყვნენ. შემდგომში მუკის აქტიური წევრი, ვინმე ი. ინცენტოვი წერდა: „მახსოვს საჯარისო შენაერთებში სადაც მე ვმსახურობდი,

გაზეთი „უღმერთო" ხელიდან ხელში გადადიოდა. გაზეთი არ გვყოფნიდა მეორე ნომრის გამოსვლამდე და ფაქტიურად ხელიდან ხელში გადასვლით ისე იფლითებოდა, რომ მისი წაკითხვა შეუძლებელი ხდებოდა" (უღმერთო 1930 №5;). ამიტომ საჭიროებამ მოითხოვა გაზეთის კოლექტიური წაკითხვა, შედეგად კი უღმერთოს მეგობართა წრეების შექმნა დაიწყო. სახელმწიფოს ხელშეწყობითა და ხალხის „სურვილით", „ნებაყოფლობითი" ათეისტური ორგანიზაციების საჭიროება დამტკიცდა. ყველაზე პირველი ოფიციალური ათეისტური „ანტირელიგიური პროპაგანდისა და აგიტაციის საზოგადოების სახით", ქალაქ ვორონეჟში დაფუძნდა. 1923 წელს უკვე მოსკოვში ჩამოყალიბდა „მოსკოვის უღმერთოთა კავშირი" რომელიც გაერთიანდა ახალი ჟურნალის „უღმერთო დაზგასთან" გარშემო. გაზეთი მოსკოვის პარტიული კომიტეტის პატრონაჟით გამოდიოდა. როგორც ჩანს სოციალურად დაუცველ და გაღატაკებულ ფენებში არსებული ბოღმა და სიძულვილი მეფის ხელისუფლების მიმართ, ამ უკანასკნელის ყველაზე საზარელი მეთოდით დასჯის შემდგომ, ძალზე დიდი მონდომებით, მთლიანად სამღვდელოებისა და რაღათქმაუნდა რელიგიის წინააღმდეგ წარიმართა. თუმცა რუსულ სინამდვილეში ეს სავსებით დასაშვები და ადვილად ასახსნელია, მაგრამ ათეისტური იდეოლოგიის ძალზედ მავნე გავლენა ქართველი ერის წიაღში რომ დაინერგა, უდაოდ პარადოქსულია. ამავდროულად, თუ ახსნას ვეცდებით, მიზეზი უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის მმართვის სპეციფიკაში უნდა ვეძიოთ. მრავალათასიანი მსხვერპლითა და რეპრესიებით განაწამები ქართული საზოგადოება, რუსული გავლენის შედეგად ათეისტური იდეებით საზრდოობდა. ერი, რომელიც ყველა სახის დამპყრობელს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა სარწმუნოებისა და მამულის დასაცავად, სრულიად დეგრადირებული და უძლური აღმოჩნდა კომუნისტური იდეოლოგიის წინაშე. აღნიშნული დეგრადაციის გამომწვევი მიზეზი, უპირველეს ყოვლისა იმ პერიოდში უნდა ვეძიოთ, როდესაც თვითმპყრობელური რუსეთი, ყველა ძალით ცდილობდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დაკნინებას, მისი უმთავრესი დატვირთვის, ეროვნული ნიადაგისა და ერის გამთლიანებისაკენ მიმართული საქმიანობის აღმოფხვრას, თავისი უპირატესობის წარმოჩენის მიზნით. თვითმპყრობელური რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა მიმართული იყო საერთო ტენდენციისკენ, რომელსაც შედეგად მართლმადიდებელი ერების გარუსება უნდა დაეჩქარებინა, მითუმეტეს რომ მართლმადიდებელი რელიგია დომინანტი რელიგია იყო იმპერიის საზღვრებს შიგნით. მეფის ხელისუფლება ვერასგზით ვერ წარმოიდგენდა თავის ფატალურ დასასრულს. ვერც რუსული ეკლესიის წარმომადგენლები ივარაუდებდნენ ახალი ხელისუფლების მხრიდან ესოდენ მტრულ დამოკიდებულებას, თუმცა

მათი პოლიტიკა სხვა ერებთან მიმართებაში ნამდვილად აჩქარებდა ხელისუფლების ცვლილებისაკენ მიმვავალ პროცესებს; რუსეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ყველა ათეისტური ორგანიზაცია თანდათან აგროვებდა საჭირო გამოცდილებას. პარალელურად საქართველოსა და დანარჩენი ქვეყნების ტერიტორიაზე სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობასთან ერთად, ანტირელიგიური კამპანია მიმდინარეობდა. 1924 წ. რუსეთში, სევეროდვინის რაიონში ჩამოყალიბდა საზოგადოება „ათეისტი", იგი 3500 წევრს აერთიანებდა თუმცა რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ასე ქაოსურად და სტიქიურად შექმნილი ანტირელიგიური ორგანიზაციების მუშაობა კომუნისტური პარტიის ლიდერების კრიტიკას იმსახურებდა, მათ წევრებს ლენინური პრინციპებიდან გადახვევის საბაბით ხშირად აპატიმრებდნენ და სასტიკად უსწორდებოდნენ, ჩვენთვის ცნობილია ლენინური პრინციპები, რომელთა საბოლოო სახედ ჩამოყალიბებას არაერთი სისხლიანი აქცია და ავანტურა უსწრებდა წინ. რსდმპ-ს მეოთხე, გაერთიანებულ ყრილობაზე ჯერ კიდევ 1906 წელს, მენშევიკებისა და ბოლშევიკების უმრავლესობის მიერ მკაცრად დაიგმო და აიკრძალა ლენინისეული მოსაზრება და რათქმაუნდა პრაქტიკა, რომელიც პარტიული სახსრების მოპოვების მიზნით „მებრძოლ ჯგუფებს" ძარცვა-გლეჯის უფლებას ანიჭებდა და ავალებდა. ერთადერთი, ვინც ლენინს მხარი დაუჭირა, მისთვის უკვე კარგად ცნობილი კავკასიელი კობა ჯუღაშვილი იყო. „კავკასიური ფსიქოლოგიის ბრწყინვალე მცოდნე სტალინმა, სახელი კობა საყოველთაოდ ცნობილი აბრაგის, ყაზბეგისეული გმირისგან აიღო, მაგრამ მალე, თავისი ლიტერატურული გმირის დიდებას, დაჩრდილავს კიდეც" (АВТОРХАНОВ 1988: 30). ამრიგად, ლენინისეული პრინციპების განუხრელი კურსით, 1924 წლის 27 აგვისტოს, გაზეთ „უღმერთოს" რედაქციაში შემდგარ კრებაზე, დამსწრეთა მიერ მიჩნეულ იქნა მძლავრი ორგანიზაციის შექმნა. მიიღეს წესდება, აირჩიეს ცენტრალური საბჭო მართვის ყველა უფლებით, ასე ჩაეყარა საფუძველი საბჭოთა კავშირის „მებრძოლ უღმერთოთა კავშირს", ხოლო თავმჯდომარედ, უკვე სტაჟიანი უღმერთო ათეისტი ემილ იაროსლავსკი მოექცა. იაროსლავსკი ემილიან მიხაილოვიჩის ნამდვილი სახელი მინეი იზრაილოვიჩ გუბელმანია, რომელიც 1878 წლის 19 თებერვალს, ქალაქ ჩიტაში დაიბადა. პროფესიით ისტორიკოსი, პარტიის წევრი და გამოცდილი ათეისტი, არაერთი გაზეთის სათავეში იდგა. მათ შორის „სოციალ-დემოკრატის", „სოფლის სიმართლის", „უღმერთოს", „პრავდის", „ბოლშევიკის" (ПРОХОРОВ 1978: 558). ორგანიზაციის დღის წესრიგში ახალი წევრების მოზიდვის საკითხი დადგა, შედეგმაც არ დააყოვნა და 1925 წლისათვის მათმა რიცხვმა საკავშირო მაშტაბით 100 ათასს გადააჭარბა. 1925 წლის 26 აპრილს, უკვე გაზეთ

„უღმერთოს" კორესპონდენტთა პირველი ყრილობა შედგა. კორესპონდენტები არა მხოლოდ შესაბამისად ინსტრუქტირებული, არამედ ის თავისუფალი ადამიანები იყვნენ, რომელნიც საბჭოთა კავშირის ვრცელ ტერიტორიაზე მიმდინარე ანტირელიგიური საქმიანობის ინფორმაციასაც კრებდნენ. თავის გამოჩენისა და დაწინაურების საშუალებას ბევრი ხელიდან არ უშვებდა. კორესპონდენტთა ყრილობაზე საბოლოო სახით მიიღეს წესდება, აირჩიეს ცენტრალური საბჭო 40 წევრის შემადგენლობით. მათ შორის იყვნენ იაროსლავსკი, სკვარცოვი, კრასიკოვი და სხვა საპატიო პირნიც. ყრილობამ საბოლოოდ დაამტკიცა ორგანიზაციის სახელწოდება უკვე ცნობილი სახით და მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, იწყებოდა იდეური ბრძოლა ნებისმიერი სახის რელიგიურ იდეოლოგიასთან, განსაკუთრებით კი მართლმადიდებლობის ხაზით, რომლის სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები არაერთგზის ავხსენით. არანაკლები პრესის ქვეშ მოექცნენ სხვა კონფესიები, თუმცა ის ფაქტი, რომ მართლმადიდებლობა დომინირებული რელიგია იყო და თავისი პროგრესულობითა და წიგნიერებით გაცილებით მეტ საფრთხეს წარმოადგენდა, გაცილებით მეტადაც იდევნებოდა. ამასთანავე, ხელისუფლებაში არსებული წამყვანი ძალების ტროცკისტული ფრთა, თავიანთი მასონური იდეოლოგიით, სწორედაც რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში ხედავდნენ მოწინააღმდეგეს, რომელიც მძაფრად ეროვნული დატვირთვის გამო, მსოფლიო გაერთიანებასა და ეკუმინიზმს ყველაზე მეტად შეეწინააღმდეგებოდა. დანარჩენ კონფესიებში ურთიერთდაპირისპირების მაგალითები გაცილებით მეტი იყო. მეფის ხელისუფლების პირობებში, რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ მართალია წაახალისა სექტანტიზმი, მაგრამ ძირეულ მართლმადიდებელ ერებში მთლიანად მათი დანერგვა მაინც ვერ მოხერხდა. მართლმადიდებლობის გავლენა მაინც დიდი იყო. საუკუნეების მანძილზე, რუსული ეკლესიის წიაღში დაგროვილი ქონება და კულტმსახურებისათვის საჭირო ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ნივთები კონფისკაციას დაექვემდებარა. რუსი ისტორიკოსი მ. ი. პილაევი, თავის ნაშრომში „ისტორიული ზარები" მოგვითხრობს მებრძოლ უღმერთოების მიერ საეკლესიო ზარების წინააღმდეგ გაშლილი კომპანიის შესახებ: „1917 წლის ოქტომბრის შემდეგ, საეკლესიო ზარები რუსეთში თავდასხმის ობიექტებად იქცნენ, მათ წინააღმდეგ ორი ფაქტორი მოქმედებდა, იდეოლოგიური და ეკონომიკური. პირველივე საბჭოთა დეკრეტით აიკრძალა ზარების რეკვა იმ მიზეზით, რომ არ მომხდარიყო ბოლშევიკების საწინააღმდეგო, ე.ი. საეკლესიო ზარების რეკვით წირვაზე მოწვევის საშიშროება. ბოლშევიკებმა ზარებში არა მხოლოდ იდეოლოგიური, ანტიბოლშევიკური ძახილი, არამედ ფერადი მეტალის უდიდესი მარაგიც

დაინახეს. უკვე 1919 წელს, აღმასრულებელი კომიტეტები მოსკოვის ზარების გადადნობას მოითხოვდნენ, რათა სასადილოებისათვის ქვაბები ჩამოესხათ. ამ მხრივ პირველი კოსტრომის ოლქის ბოლშევიკები იყვნენ, რომლებმაც გეგმის განხორციელება დაიწყეს. „მოსპროდცვეტმეტალის" აგენტების მიერ მოძიებულ ზარებს შორის ბევრი XVI საუკუნის შემდგომი პერიოდის ზარი იყო. ათეისტური „ზარებთან ომის" დასაწყისში, თავისუფალი ზარების რაოდენობა შეზღუდული იყო. ზარები მხოლოდ დახურული ეკლესიების სამრეკლოებიდან იხსნებოდა. ამიტომ გახდა საჭირო 20-იან წლებში ეკლესიების სახსრების მოძიების მიზნით, ცენტრალური ხელისუფლების თუ სახალხო კომისარიატების მიერ, ეკლესიების დახურვის იდეის სტიმულირება-ეკონომიკური სარჩულით. სწორედ ამის შემდგომ, დაიწყო რელიგიური კულტის ნივთების ამოღება ეკლესიებიდან, რომელთა ნაწილი სახელმწიფო საცავში, ნაწილი კი სახელდახელოდ შექმნილ მუზეუმებში ხვდებოდა. საცავში მოხვედრილი ნივთებიდან, რომელთა უდიდესი ნაწილი ძვირფას მეტალს წარმოაგენდა, შესაბამისად რეალიზდებო-და, ხოლო ამოღებული თანხა ადგილობრივ ბიუჯეტში ირიცხებოდა. „ზარებთან ომში" მალე იუსტიციისა და შინაგან საქმეთა კომისარიატები ჩაერთვნენ, რომელთა დადგენი-ლებით, აიკრძალა ზარების რეკვა იმ მოტივით, რომ აღნიშნული გარემოება ქალაქის მოსახლეობის ცხოვრებისეულ რიტმს არღვევდა. აკრძალვა ეხებოდა დიდ დღესასწაუ-ლებსაც, როგორიცაა აღდგომა, შობა და სხვა მრავალი. მოხსნილი ზარების უმრავლესობა ნადგურდებოდა, გადარჩენილთა ნაწილი მეხანძრეების საკუთრებაშიც კი ხვდებოდა." 1928-1929 წლები რუსეთისა და საერთოდ საბჭოთა კავშირის ისტორიაში ანტირელიგიურობის თვალსაზრისით ძალზედ მძიმეა, ამ დროისათვის ეკლესიათა ნგრევამ, მასიური ხასიათი მიიღო. ქვეყანა, რომელმაც „ინდუსტრიალიზაცია" და კულ-ტურული რევოლუცია გამოაცხადა და ამავე დროს ნედლეულის მოპოვებაში ჯერ კიდევკრიზისს განიცდიდა, აქტიურად ისწრაფოდა ზარების მოპოვების მიზნით ეკლესიების უტილიზაციისაკენ. აღნიშნული აქციის ინიციატორი იყო ემილიან იაროსლავსკი, მუკის თავმჯდომარე და ლიდერი. იგი თავის მოხსენებაში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე „ხუთწლიანი მუშაობის გეგმა" 1930 წელს, სიამაყით აღნიშნავდა, რომ „რამდენიმე წლის წინ ჩვენ ძალიან მორცხვად ვგეგმავდით ზარების რეკვის საწინააღმდეგო აქციებს და აღნიშნული ქმედებების განსახორციელებლად კანონის მიღებას და ამ მხრივ მხარდაჭერის მოთხოვნას ვაპირებდით, მაგრამ, მოგვიანებით, ჩვენი მუშაობით, ამ ყველაფერმა ჩვენდა სასარგებლოდ სტიქიური ხასითაი მიიღო. მთელ რიგ ქალაქებში მიებულ იქნა

დადგენილებები არა ცალკეული, არამედ განურჩევლად ყველა ზარის მოხსნის შესახებ. რეგიონალური გაზეთები გაივსო რეზოლუცია-დადგენილებებით, რომელთა მიხედვითაც, ზარების გადადნობის შედეგად ტრაქტორები და სხვა მძიმე მრეწველობის ერთეულები უნდა დამზადებულიყო (1920-1930), რათა ინდუსტრიალიზაციას გასაქანი ამ მხრივაც მისცემოდა.'' ბოლშევიკური მთავრობის შემოსვლას საქართველოში დიდი მსხვერპლი მოჰყვა. მართლმადიდებელი ერის ფსიქიკაზე დამანგრეველად და დამთრგუნველად იმოქმედა ახალი იდეოლოგიის რადიკალურად ანტირელიგიურმა ქმედებებმა. მაგალითისთვის, მორწმუნეთა თვალწინ, „მაუზერებს ესროდნენ ეკლესიის გუმბათზე აღმართულ ჯვრებს, მირონით იწმენდნენ ჩექმებს, აქაოდა ღმერთი რომ არსებობდეს ამისთვის სასტიკად დაგვსჯიდაო'' (ომეგა 2002: 21). სხვა პოლიტიკური აქციები ფერმკრთალდებოდა ქვეყანაში ერთბაშად ატეხილი მასობრივი ტერორით ეკლესიებისადმი. მებრძოლი უღმერთოები შავ საქმეს ასრულებდნენ, თუმცა მათი შეფასება არაერთგვაროვანი მთავრობის მხრიდან და კრიტიკდებოდა. მაგალითად „თბილისში, მთაწმინდის უბანში მცხოვრებ რამდენიმე მხცოვანს ახსოვს, სიონის ტაძრიდან ზარი როგორ ჩამოაგდეს''(სარკე 2004: 120). ქალაქ ქუთაისში მდებარე, ძველად ალექსანდრე ნეველის, შემდეგ კი აღმაშენებლის სახელით ცნობილი ტაძრის, განადგურებაში მონაწილე ოციანი წლების აქტიურ კომკავშირელი ს. უგულავა იხსენებს: „სობორიდან 1923 წლის შემოდგომაზე გამოვიტანეთ ხატები და დავყარეთ ბაღის კიდის წინ. ფეხებით დავდიოდით ზედ კომკავშირელები. ხატებს ბევრი მტვერი ჰქონდა და იმხელა ბდღვირი დადგა, რომ მთლიანად დაიბურა იქაურობა. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა ვალია ბახტაძე – ქუთაისის სამაზრო რევკომის პირველი მდივანი და ვანო სტურუა, რომელიც სამრეკლოზე იდგა და ძირს შეკრებილ ხალხს უყვიროდა: აქაურობას ნაცრად ვაქცევთ, თუ არსებობს ღმერთი, მოვიდეს და გვიჩვენოს თუ რამე შეუძლიაო''. სამაზრო პრეზიდიუმის 1924 წლის 30 იანვრის დადგენილებით, ქუთაისის საკათედრო ტაძარი დაანგრიეს. თვრამეტ წელიწადს შენდებოდა ოთხ წელში მიწასთან გაასწორეს. 1927 წელს ნატაძრალზე ლენინის ძეგლი წამოჭიმეს'' (ომეგა 2002: 26-27).

დაიწყო მასიური რეპრესიები ღვთისმსახურების მიმართ. თვალსაჩინოების მიზნით, პერიოდული პრესის ფურცლებზე არაერთგზის ჩნდებოდა სოციალიზმის მტრებად შერაცხული მღვდლების ფოტო მასალა. რეჟიმი ცდილობდა გაემართლებინა თავისი ქმედებები, რომლებზეც ხმამაღლა არავინ ლაპარაკობდა, ქვეყანა სდუმდა, თუმცა ყველამ იცოდა რეპრესიების შესახებ, რომელიც მონაცვლეობით და რიგითობით,

ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე, ხან განსასჯელის, ხან კი მსაჯულის თავზე ტრიალდებოდა. მაგალითისთვის, „ყარაჩაევოში გასამართლდნენ მღვდლები, რომლებსაც ბრალი დაედოთ საეკლესიო ნივთების ხელყოფაში, ღირებულებით 5 ათასი მანეთი. მათ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული ვადით. ჟურნალში წარმოდგენილი „ქონების დამტაცებელთა" სახის ჩვენება, ისევ და ისევ სამღვდელოების დისკრედიტაციისკენ იყო მიმართული (უღმერთო №20, 1928 13).

სპონტანურად მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად, უღმერთოთა მიერ თბილისში, ისევე როგორც სხვა ქალაქებში, არაერთი ტაძარი განადგურდა. ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი აბანოდ გადაკეთდა, კალოუბნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ადგილზე, ახლა რუსთაველის სახელობის კინოთეატრია აშენებული. ვერის ბაღის წმინდა ნიკოლოზის სახელობის დედათა მონასტერში, სადაც ივერიის ღვთისმშობლის ხატია დაბრძანებული, კომუნისტებმა საავადმყოფო მოაწყვეს. ისინი ღვთისმშობლის ხატს საოპერაციო მაგიდად იყენებდნენ და ერთერთმა მათგანმა ხატს სახე დაუსერა, რაც დღემდე ატყვია კიდეც. 20-30-იან წლებში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გაშლილი ანტირელიგიური აქციის შედეგად უამრავი ტაძარი დაინგრა და განადგურდა, გაცილებით მეტი ვიდრე აღმოსავლეთ და და დანარჩენ საქართველოში იმ მიზეზით, რომ იქ ეკლესიები ძირითადად ხისგან იყო ნაგები და იოლად იწვებოდა. ამგვარი ფაქტები უღმერთოთა მოღვაწეობის განმავლობაში არაერთია. ლენინის მიერ მოხდა ეკლესიიდან ქონების ამოღების დაკანონებაა უკვე 1922 წელს. დაიწყო რელიგიური უსამართლობის კოლექტიური განცხადებების მოთხოვნის საფუძველზე განხილვა და დაკმაყოფილება. ამით ესა თუ ის აქცია იურიდიულად კანონიერად ცხადდებოდა. გაწეული შრომის საფუძველზე, „მუკი" ახალ-ახალ წევრებს მთელი ქვეყნის მაშტაბით იძენდა. ეკლესიიდან ამოღებული ქონება ახალშექმნილ მუზეუმებში უკეთეს შემთხვევაში, ხვდებოდა, უარეს შემთხვევაში კი ნადგურდებოდა. ანტირელიგიური პროპაგანდისათვის შესაბამისი პრესა და ლიტერატურა გამოდიოდა. ანტირელიგიური მუზეუმებში, რომლებიც საგანმანათლებლო დანიშნულებით გაიხსნა, 1930 წლიდან შესვლა ფასიანი გახდა, სახსრების მოძიების მიზნით. „მუკი" ფინანსურ კრიზისს განიცდიდა ხშირ შემთხვევაში, როგორც საქართველოს დედაქალაქში ასევე მის რაიონებში. ყოველ შემთხვევაში მუშაობის შემაფერხებელ გარემოებად სწორედ დაუფინანსებლობა სახელდებოდა. „საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე. სოფელში გაფორმდა და გაძლიერდა კომპარტია, კომკავშირი, უღ-

მერთოები და უპარტიონი. ყველა ეს ჯგუფი ერთად შეადგენდნენ მნიშვნელოვან კადრებს სოფლად, რომელნიც რელიგიის საწინააღმდეგოდ იყვნენ განწყობილნი" (ДЕЯТЕЛИ 1968: 43), წერს აქტიური კომუნისტი და აგიტატორი კალინინი. მაგრამ მისი საუბარი ტენდენციური და ცალმხრივია. ქუთაისის ოლქში მოგზაურობისას იგი სოფელ კუხის მაცხოვრებლებს შეხვდა, რომლებმაც საუბრისას აღნიშნეს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, სოფელში არსებული ეკლესია კინოთეატრად გადაკეთდა, მრევლი თავისთავად ღვთისმსახურების გარეშე დარჩა და ამ მიზნით 7 კილომეტრით დაშორებულ მეზობელი სოფლის ეკლესიაში უწევდა სიარული. კუხის ეკლესიის კედლები თეთრად შეიღება, ზედ ანტირელიგიური განცხადებები გაიკრა. კომკავშირელები ანტირელიგიურ შეკრებებს აწყობდნენ ეკლესიის შიგნით. თავად მღვდელთმსახურები, წირვის შესრულების შემთხვევაში იმ ერთადერთ ლეგალურ სარჩოს, ანუ მიწას დაკარგავდნენ რომელიც ჰქონდათ. კალინინმა დამსწრე საზოგადოებას შორის კენჭისყრაზე დააყენა საკთხი ეკლესიის გახსნაზე, ამით იგი აქტიურ მრევლსაც გამოავლენდა, ძნელი მისახვედრი არაა თუ რატომ აღმოჩნდა მრევლი უმცირესობაში. კალინინმა ურწმუნოთა სიმრავლის მიზეზით მიიჩნია, რომ თეატრი ეკლესიის შენობაში უფრო მნიშვნელოვანი იყო. ამავე დროს საბჭოური პოლიტიკის სპეციფიკის მიხედვით, კომკავშირელებს არა ძველის მითვისებისკენ, არამედ ახლის აშენებისკენ ჯერ კიდევ ლენინი მოუწოდებდა. სხდომას ესწრებოდნენ შეიარაღებული პირები, რომლებიც ხალხში შიშს იწვევდნენ. ერთერთ სხდომაზე დამსწრეთაგან, სოფელ კუხის მცხოვრები ანდრიაძე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნავდა: „საჭიროების შემთხვევაში თუ მღვდელთან წავალ, ისინი ვინაც განუწყვეტლივ მითვალთვალებენ, აუცილებლად დამაკისრებენ ზედმეტ გადასახადებს" (ДЕЯТЕЛИ 1968: 49). სოფლის ერთერთი მკვიდრი კოსტავა ამბობს: კენჭისყრა ჩატარდა ეკლესიის დახურვაზე. მე მინდოდა საწინააღმდეგო აზრით გამოსვლა, ჩემნაირი ბევრი იყო, მაგრამ გვეშინოდა.. მერე როცა ხონში გაიხსნა ეკლესია და იქ დავიწყეთ სიარული თითქოს ნება დაგვრთეს, მაგრამ მკაცრად გაგვაფრთხილეს, რომ ჩვენს სოფელშიც არ გვეთხოვა ეკლესიის გახსნა. და თუ მაინც გავბედავდით, დაგვემუქრნენ, რომ ყოველგვარი პირადობის მოწმობის გარეშე დავრჩებოდით, ჩვენი ბავშვებიც ისევე დაისჯებოდნენ როგორც ჩვენ. მენშევიკების გამოსვლისას არ იკმარეს, ციხეში ჩამსვეს, როგორც კონტრრევოლუციონერი (ДЕЯТЕЛИ 1968: 112). კალინინმა თავის მხრივ დაგმო აღნიშნული ფაქტის მონაწილენი და კვლავ ლენინური გზდან გადახვევად მიიჩნია, ეს კი მაშინდელი გაგებით, კომუნისტურ პარტიას აკნინებდა. იგი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ პარტი-

ულობა პრივილეგიას არ ნიშნავდა. რათქმაუნდა ერთისმხრივ ასეც იყო, ვინაიდან დას-მენისა და პარტიული შეცდომების გამო, არაერთი ყოფილი კომუნისტი ხალხის მტრად გამოცხადდა. ძნელი წარმოსადგენი არაა რა ბედი ეწეოდათ იმ თავისუფალ მოქალაქეებს ვინც ჯერაც არ იყო პარტიის წევრი.

რუსეთისა და დანარჩენი რესპუბლიკების ბედი გადაჯაჭვული იყო, ამიტომ, როცა 1921-1922 წლებში რუსეთი მოუსავლიანობამ შეიპყრო და შიმშილობამ ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, პირველი ინიციატივა მათს დასახმარებლად რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ აიღო და მრევლში შემოწირულობები ააგროვა მთელი რუსეთის მაშტაბით. ამგვარი აქცია ეკლესიის ავტორიტეტზე დადებითად მოქმედებდა, სათანადო დაკვირვებით, ბოლშევიკები მიხვდნენ, რომ ეკლესიას ჯერ კიდევ შესწევდა ძალა არათუ თავის, არამედ სხვების სარჩენად და ააგორეს კიდევ ერთი ტალღა მის წინააღმდეგ. თავად ბოლშევიკებმა შექმნეს ე.წ. პომგოლები („помощь голодающих''), რომელთა მოვალეობაში ნებისმიერი სახით, სახსრების მოძიება შედიოდა. მათთვისვე შესაბამისი დეკრეტით, „23 თებერვალს განისაზღვრა საყოველთაო აღწერა და ქონების ამოღება საკავშირო მაშტაბით, დეკრეტის ზუსტი არსით და ინსტრუქციით კონფისკაცია ეხებოდა ყველა სახის ძვირფასეულობას ეკლესიის წიაღში, განსაკუთრებით იმათ, რაც ძვირფასი მეტალით იყო დამზადებული და რაც შეიცვლებოდა სხვა ნაკეთობით. ხელისშემშლელები ეკლესიის მხრიდან, მიიჩნეოდნენ კონტრრევოლუციონერებად (ДЕЯТЕЛИ 1968: 112). გარდა ანტირელიგიური მუშაობისა, საბჭოთა მთავრობას უამრავი შიდაეკონომიკური თუ საგარეო პოლიტიკური პრობლემა და კრიზისი ჰქონდა მოსაგვარებელი. მიუხედავად ამისა, ანტირელიგიური კამპანია არასოდეს შეფერხებულა. ამავე მიზნით საგაზეთო ფურცლებზე მოხვედრილი ნებისმიერი სტატია სააგიტაციო მნიშვნელობას იძენდა. „საბჭოთა ქვეყანა პირველია მსოფლიოში, რომელმაც გამოაცხადა შეურიგებელი ბრძოლა რელიგიასთან, თანაც ძველი მსოფლიოს საერთო თეორიით'' (უღმერთო 1935, №1: 33). ეს თეორია კი იმაში მდგომარეობდა, რომ თუნდაც „იესო ქრისტე, როგორც ისტორიული პირი სინამდვილეში არასოდეს არსებობდა, ესაა მითი, რომელიც ქრისტეანობამ იუდეური სექტანტიზმისაგან, ნაწილი კი სხვა რელიგიე-ბისაგან ისესხა. 12 აპოსტოლატიც უბრალოდ ნასესხებია ძველებრაული რელიგიური ტრადიციიდან'' (УРСЫНОВИЧ 1930: 22).

ასევე, სოციალიზმის იდეის მხარდასაჭერად, კომუნისტური პრესა ავრცელებდა დაწვრილებით ინფორმაციას, მათ შორის არცთუ უმნიშვნელოა სახელფასო

მონაცემების გამოქვეყნება, რომლის მიხედვითაც, თუ „1924 წლისათვის იგი სულ რაღაც 77 მანეთამდე გაიზარდა, უკვე 1933 წლისათვის 127 რუბლს მიაღწია, ძველი დროისაგან განსხვავებით, მუშები აღარ შიშობენ შიმშილის გამო. საბჭოთა მშრომელი აღარ ლოცულობს ხვალინდელი დღისათვის" (უღმერთო №1 1935,: 3).

საინტერესოა კინოხელოვნების ის ნიმუშები, რომლებიც ანტირელიგიური თვალსაზრისით თვით თავისი სათაურით აღძრავს ინტერესს. ასე მაგალითად, გადაღებული იქნა ფილმი „იუდა" და „ოპიუმი" რომელთა დანიშნულებაც ცალსახაა (უღმერთო №2 1929: 23), ასევე, რუსეთის ერთერთ ქალაქში დაიდგა ძეგლი იუდას საპატივსაცემოდ; ათეიზმის პროპაგანდის მიზნით, ანტირელიგიურად განწყობილი უღმერთონი, ჯერ კიდევ 1928 წლისათვის საკმაოდ მაღალმხატვრულ დონეზე გამოცემულ ჟურნალში „უღმერთო", ყველა გზებით ცდილობდნენ წარმოეჩინათ ქრისტიანობა როგორც იარაღი, მჩაგვრელთა ხელში ჩაგრულთა წინააღმდეგ. განსაკუთრებით საინტერესოა, როცა ერთერთი კორესპონდენტი მ. შეინი, ქრისტიანულ სიმბოლოს, ჯვარს, წარმოადგენს ფაშიზმის სიმბოლოდ. ფაშიზმი, როგორც ულტრანაციონალიზმის, ანტისემიტიზმის და საერთოდ შოვინიზმის იდეოლოგი, საბჭოეთის მხრიდან ყოველთვის იდეურ მოწინააღმდეგედ მიმოიხილებოდა. საბჭოთა ერის მშენებლობის საქმეში რუსები თავის მხრივ ყოველგვარი ეროვნულობის გამოვლინებას შოვინიზმის ასპექტში განიხილავდნენ და სწორედაც რომ ფაშიზმზე მიუთითებდნენ, „კაპიტალიზმის მოდარაჯე ძალებმა, ფაშისტებმა, ჯვარი თავიანთ წმინდა ნიშნად აირჩიეს, ჯვრის ნიშნით ფაშისტები არბევენ მშრომელთა მოძრაობებს, კლავენ ადამიანებს, რომლებიც არ აწყობთ გაბატონებულ კლასებს. რამდენიმე ხნის წინ, რომში, ძველი ცირკის ნანგრევებზე, ფაშისტურმა ხელისუფლებამ აღმართა ჯვარი ნიშნად ეკლესიისა და ფაშიზმის ერთიანობისა". რუსეთის სამოქალაქო ომის დროს, კონტრრევოლუციაც სწორედ ჯვრის ნიშნის ქვეშ გაერთიანებული გზით მიდიოდა, ჯვარი არა მხოლოდ ქადაგების იარაღია, არამედ ტანჯვისა და ფაშიზმის, მილიტარიზმისა და მონარქიისა..." (უღმერთო №7 1928: 4-5).

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახული მიზნები იმპერიის დაარსებიდან რამდენიმე ხანში, ცალსახად გამოიხატა. მთავრობამ, რომელმაც მეფის მიერ ხელისუფლების „ნებაყოფლობით" დათმობის შემდეგ საკუთარი ერის მონარქის ოჯახი დახვრიტა 1918 წლის ივლისის თვეში, ბუნებრივია არ იქნებოდა ლოიალური არცერთი მოწინააღმდეგე თუ კლასობრივი მტრის წინაღმდეგ, განსაკუთრებით

რელიგიისა და მისი მსხახურების მიმართ. მათ მიერ განხორციელებულ ანტირელიგიურ კამპანიას, გარდა პარტიული მრწამსისა, ეკონომიკური სარჩულიც ედო. ეკლესიისა და ებრაელებისგან ამოღებული ქონებით, შესაძლებელი ხდებოდა, რომ არათუ ლენინისეული „კულტურული რევოლუცია,'' არამედ სოციალიზმის უმთავრესი გეგმა და სოციალური პროგრამით გათვალისწინებული, სოფლის მეურნეობის სრული კოლექტივიზაცია განხორციელებულიყო.

კოლექტივიზაციის გამარჯვების უზრუნველსაყოფად და მასების სოციალიზმის ფერხულში ჩასაბმელად შეიქმნა კავშირი „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის' სახით, რომელიც ლენინისეული „კულტურული რევოლუციის'' უმთავრესი შემადგენილი ნაწილი იყო და რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

§2. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის'' იდეოლოგიის ევოლუციური გზა და მუშაობის მეთოდოლოგია

„მებრძოლ უღმერთოთა კავშირის'' შექმნის პრეისტორიაში მეტნაკლებად გამოიკვეთა ის ძირითადი იდეოლოგიური ასპექტები, რომელთა დახმარებითაც აღნიშნული ორგანიზაცია საბჭოთა კავშირის ვრცელ ტერიტორიაზე, ანტირელიგიურ პოლიტიკას აწარმოებდა. რადგან მთავარ წარმმართველ ძალას რუსეთი და საბჭოური იმპერიის ცენტრი მოსკოვი აწარმოებდა, საჭიროა გავითვალისწინოთ თვით ამ ქვეყნის ისტორიკოსების მიერ რუსეთის ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაცია, რომელშიც იკვეთება შემდეგი: 1) კიევის პერიოდი 862-1240 წ.წ. 2) მოსკოვის პერიოდი ანუ 1240-1700წ.წ. 3) პეტერბურგის პერიოდი, 1700-1917 წ.წ. 4) ე.წ. „უღმერთო პერიოდი'' 1917-1991 წ.წ. ანუ სრული 74 წელი. და მათთვის ახალი ათვლა ანუ 5) 1991 წლიდან იწყება. ნიშანდობლივია რომ „მუკის'' მიერ რუსეთის ისტორიაში დანერგილი უღმერთო პერიოდი 1991 წლამდე გრძელდებოდა. საქართველოსთან რუსეთის ურთიერთობა თუ რა პერიოდს განეკუთვნება ცნობილია, მაგრამ განსაკუთრებულ დატვირთვას ორი ქვეყნის ისტორიაში მესამე, მეოთხე და მეხუთე პერიოდი იღებს, რუსეთის ერთმორწმუნეობას შეფარებულმა საქართველომ ისევე როგორც ნებისმიერი იმპერიის მსხვერპლმა, მის

შემადგენლობაში ყოფნისას ყველა ის ეტაპი გაიარა, რომელსაც რუსეთის მოსახლეობა გადიოდა. მხოლოდ, რუსიფიკატორული პოლიტიკა ერის მენტალიტეტზე გაცილებით მძიმედ აისახა. ძნელია იმაზე საუბარი თუ რა ბედი ეწეოდა საქართველოს, მეფის რუსეთი უფრო დემოკრატიული და თუნდაც 1783 წლის ტრაქტატით ნატვირთი მოვალეობების შემსრულებელი რომ ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ისტორიულმა სინამდვილემ და კიდევ იმან, რომ რუსი ერის მისწრაფებები ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში მხოლოდ იმპერიალისტური იყო, საქართველოს ბედიც განსხვავებულად წარმართა;

„მუკი" 1924 წელს დაკანონდა და 1947 წელს გაუქმების შემდეგ, მისი წევრები საზოგადოება „ცოდნის" გარშემო შემოიკრიბნენ. მანამდე განვლილ პერიოდში „მუკის" ორგანიზაციაში შემავალი წევრები, ძალზედ დაბალი დონის არგუმენტაციას უპირისპირებდნენ ღვთისმეტყველებას. მათივე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით „მუკის" საბჭოურმა ხელმძღვანელობამ საჭიროდ ჩათვალა 1928 წლისთვის შეექმნა მოსკოვის ანტირელიგიური უნივერსიტეტი, რომელიც განსახილველ 24 თემას მოიცავდა ანტირელიგიურ ჟანრში და კადრების ინფორმირებას უზრუნველყოფდა. თემები თავდაყირა აყენებდნენ რელიგიურ დოგმებს, აყალბებდნენ ბიბლიურ სინამდვილეს, უარყოფდნენ კულტმსახურებას. ანტირელიგიურ მუშაობაში ჩართეს რადიო გადაცემებიც. თუკი ჯერ კიდევ XVI საუკუნის რუსეთის სინამდვილეში, მცნება „ცენზურითა" და 1721 წლის სინოდის დადგენილებით აიკრძალა მართლმადიდებლური რელიგიისა და თვითმპყრობელური წესწყობილების საწინააღმდეგო თხზულებები, ხოლო აღნიშნული წესების დარღვევა კანონით ისჯებოდა" (ქსე 1987: 194), ამჯერად ეკლესიისა და რელიგიის წინააღმდეგ სტიქიურად დაწერილ წიგნებსა და ბროშურებს ბოლო არ უჩანდათ. თუ გადავხედავთ იმ დროის გამოცემებს, განსხვავებას დავინახავთ, რომლის შედეგადაც საბჭოთა მთავრობამ ეგრეთწოდებული „მეცნიერული ათეიზმი მიიღო". „ის ვინც შეეცდება დაინახოს ბიბლიაში ზნეობრივი ჭეშმარიტებების გულახდილობა და ამავე დროს უარს იტყვის შეიტანოს მასში თავის საკუთარი წარმოდგენები სიკეთესა და ბოროტებაზე, სასტიკად იმედგაცრუებული დარჩება. ბიბლია მას ვერაფერს ასწავლის გარდა იმისა, რაც მისთვის უკვე მის გარეშეცაა ცნობილი" (ПРОИСХОЖДЕНИЕ 1925: 56). კვალიფიციური კადრების მომზადების საჭიროებას ის ეკონომიკური კურსი განაპირობებდა, რომლის დანერგვას საბჭოთა კავშირი რელიგიური იდეოლოგიის აღმოფხვრის გარეშე ვერაფრით მოახერხებდა. ამავე მიზეზით, მეორე მსოფლიო ომის დროს

ეკლესიისადმი ძველი სემინარიელის ლოიალური პოლიტიკა სასტიკად დაიგმო ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ და ანტირელიგიური ფრონტი კვლავ გაიშალა მთელი საბჭოეთის ტერიტორიაზე იგივე, თუ გაცილებით მწვავე მეთოდებით. ნიკიტა ხრუშჩოვმა გაუმართლებლად მიიჩნია „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" გაუქმება. საბჭოთა დამახასიათებელი ლოზუნგების აქტუალურობა ახალმა მიზანმა განსაზღვრა და საბოლოოდ, ჩამოყალიბდა იდეით: „დავეწიოთ და გავასწროთ ამერიკას".

საქართველოს ისტორიაში უღმერთობისა და რელიგიასთან ბრძოლის პერიოდიზაცია მთელი ისტორიის ლაიტმოტივია. ქვეყანა, რომელიც ქრისტეანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების (IV) დროიდან, სარწმუნოებრივი მტრების თავდასხმის ობიექტი გახლდათ, რუსეთის იმპერიასთან 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე ყველა პარამეტრით დაცვის სანაცვლოდ, იმპერიალისტური ქვეყნის რუსიფიკატორულ პოლიტიკას იღებს, ხოლო ეკლესია ავტოკეფალიას კარგავს. მეფის რუსეთის ერთმორწმუნეობამ ვერ იხსნა საქართველოს სამოციქულო ეკლესია დევნა შევიწროებისაგან, შედეგად რუსეთის იმპერია დამთრგუნველი პოლიტიკით, თვითონ მივიდა ნგრევამდე და სათავეში მათს წინააღმდეგ განწყობილი ბოლშევიკები მოვიდნენ. 1918 წელს, საყოველთაოდ ცნობილი მოვლენებით მოპოვებული სახელმწიფო დამოუკიდებლობა სოციალისტ-მენშევიკების ანტირელიგიური პოლიტიკითა და სარწმუნოებრივი საკითხებისადმი უდაოდ არასწორი დამოკიდებულებით აღინიშნა, რამაც ეკლესია დააზარალა. მენშევიკური მთავრობის დამხობა და სახელმწიფო დამოუკიდებლობის დაკარგვას ბოლშევიკების მიერ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მოჰყვა 1921 წლიდან და ისტორიაში უდიდესი მასშტაბით გაიშალა რელიგიური დევნა შევიწროება საქართველოში და სხვა რესპუბლიკებში. უღმერთო პერიოდი 1921-1941 წლამდე არნახული სისასტიკით გამოირჩევა, იგი შერბილდა 1941-1943 წლებში ვიდრე 1947 წლამდე, როცა „მუკი" გაუქმდა. საზოგადოება „ცოდნა" იგივე უფლებებით აღარ სარგებლობდა და თითქმის არავინ ისჯებოდა კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის; სიტყვა უბრალოდ ფაშისტური გერმანიის აგენტებად, ან სამშობლოს მოღალატეებად, შეიცვალა და რეპრესიების რელიგიური საბაბით წარმოებაც საჭირო აღარ იყო. ნიკიტა ხრუშჩოვისათვის დამახასიათებელი სტალინის პოლიტიკისადმი კრიტიკა, ლენინური გზიდან გადახვევის ბრალდებით, ანტირელიგიური საქმიანობის შესუსტებასაც გულისხმობდა. მის დროს ათეისტური ლიტერატურის გამოცემათა ტირაჟი გაიზარდა, გადაიხედა სამღვდელოებისადმი ერთის შეხედვით ლოიალური დამოკიდებულება.

„არადამაკმაყოფილებლად არიან დაკავებულნი ანტირელიგიური საქმიანობით საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტრო. ლექციები და მოხსენებები ათეისტურ თემატიკაზე ძალზე მწირია. ამიტომ, ცკ კპსს ადგენს: 1. დაევალოს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს, რაიკომებს და საოლქო კომიტეტებს, რომ ბოლო მოეღოს ანტირელიგიური კამპანიის სუსტად წარმართვას, განსაკუთრებით მშრომელთა იმ მასებში, რომლებიც ამ მხრივ განსაკუთრებით დაბალი დონით გამოირჩევიან" (О РЕЛИГИИ 1963: 73-74). დადგენილება გამოტანილი იყო 1954 წლის 7 ივლისს, როცა ანტისტალინური კამპანია ხრუშჩოვის ხელისუფლების ქვეშ თანდათან ძალას იკრებდა. თუკი რუსი ისტორიკოსები რელიგიური დევნის პერიოდს 1991 წლამდე სწევენ, ამაში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის განთავისუფლებაც იგულისხმება. ბელოვეჟის ხელშეკრულებით დაშლილმა საბჭოთა კავშირმა, მართალია სხვადასხვა აღმსარებლობ ებს ღვთისმსახურების თავისუფლებაც მიანიჭა, მაგრამ თითოეულ მათგანს უმძიმესი მემკვიდრეობა ერგოთ წილად. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია უღმერთო პერიოდში ლავირებისა და თავგამოდებული ბრძოლოს შედეგად, მაინც ახერხებდა მრევლის მობილიზებას, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის ეზოში შესული თითოეული ადამიანი უშიშროების შესაბამისი უწყების მიერ კონტროლდებოდა. ანტირელიგიურობის პერიოდში თითოეული ქართველი კათოლიკოს-პატრიარქის ღვაწლია დასაფასებელი, ანტისარწმუნოებრივი ეპოქის კათოლიკოს-პატრიარქები, კირიონ III (1917-1918წწ), ლეონიდე (1919-1921წწ), ამბროსი (1921-1927წწ), ქრისტეფორე III (1927-1932წწ), კალისტრატე (1932-1952წწ), მელქისედეკ III (1952-1960წწ), ეფრემ II(1960-1972წწ), დავით VI (1972-1977წწ) ძალისხმევას არ იშურებდნენ და ხელთ არსებული ყველა საშუალებით ცდილობდნენ ქართველ ერში ძველი რწმენის გაღვივებას. პროცესი დღითიდღე რთულდებოდა. საბჭოური ხელისუფლების მიზნები, თანდათან, სახეცვლილებას განიცდიდა, რომელიც თავდაპირველად რწმენისა და რელიგიის აღმოფხვრისაკენ იყო მიმართული, ხოლო მას შემდეგ, რაც ამ იდეის შეუძლებლობა გამოიკვეთა, მდგომარეობა შეიცვალა. კერძოდ, იოსებ სტალინმა რელიგიის, უფრო ზუსტად კი მართლმადიდებელი ქრისტეანობის სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება განიზრახა, კერძოდ, ერთიან რუსული მართლმადიდებელ ეკლესიას, მთელი საბჭოეთი უნდა ემართა, ყოველ შემთხვევაში რიცხობრივად ყველაზე მეტი მართლმადიდებელი მრევლი. სწორედ ამიტომ, ქართველი კათოლიკოს-პატრიარქებისა და სამღვდელოების წინაშე, ამ შემთხვევაში არა მხოლოდ რელიგიისთვის ბრძოლის, არამედ ინდივიდუალობისა და ავტოკეფალურობის დაკარგვის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლა უწევდათ. ამიტომ იყო საჭირო ეკლესიის

გადარჩენის მიზნით დათმობებზე წასვლა, ლავირების გზების ძიება და ამასთანავე მრევლის მოზიდვა. თითოეული კათალიკოს-პატრიარქის საეკლესიო პოლიტიკა სწორედ ამ მიმართულებით ვითარდებოდა, თუმცა მხოლოდ საქართველოს ამჟამინდელი კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II ხელში მოხერხდა არათუ ეპარქიების აღდგენა, რომელთა რიცხვი ამჟამად 40-ზე მეტია, არამედ მათი გავრცობა საქართველოს საზღვრებს მიღმაც. ილია II უდიდესმა გამჭრიახობამ ისტორიული პერიოდი საქართველოს ეკლესიის სასარგებლოდ შემოტრიალდა. შედეგად, მრავალი მართლმადიდებელი ეკლესიისაგან და მათ შორის რუსეთისაგან განსხვავებით მრევლის სიმრავლე და საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების აღორძინება მივიღეთ. ქართული მრევლის „დაბერება'' საბედნიეროდ არ მომხდარა.

ამრიგად, ''მუკის'' იდეოლოგია ევოლუციურ გზას იმ პერიოდის მიხედვით განიცდის და მოქმედებს, როგორც მას პარტიული კურსი განსაზღვრავდა. ათეისტური კადრების მომზადების მიზნით არაერთი ლექცია სემინარი ტარდებოდა და თუ 1927 წ. საკავშირო მასშტაბით 68 სემინარი ჩატარდა, მოეწყო 9 დღისა და 1 საღამოს კურსები, არსებობდა 1 ანტირელიგიური სკოლა, 1939 წლისათვის ორგანიზაციას 484 სემინარი ემსახურებოდა 12 662 მსმენელით. ხოლო 1940 წელს 662 სემინარებსა და კურსებს უკვე 10968 მსმენელი ისმენდა, ათეისტების ინიციატივით 20-იან წლებში ათეისტური უნივერ-სიტეტების ორგანიზება დაიწყო. მოსკოვის ანტირელიგიური უნივერსიტეტის მაგალითზე, მსგავსი უნივერსიტეტები გაიხსნა დიდ ქალაქებში, მათ შორის სარატოვში, ნიკოლაევში, ორიოლში და თბილისში (ОКИЛОВ 1967: 76-77). „ათეისტური მოძრაობის ისტორიაში, საბჭოთა კავშირში გაჩნდა ისეთი წარმონაქმნი როგორიცაა „უღმერთო სოფლები'', „უღმერთო დაბები'', შემდეგ კი „კოლექტივები'' (ОКИЛОВ 1967: 88). „ანტირელიგიური აგიტაციის თავისებურ ფორმას იმ ისტორიულ პირობებში, წარმოად-გენდა „კომკავშირული შობისა'' და „კომკავშირული აღდგომის'' ჩატარება ახალგაზრდობის ინიციატივით 20-იანი წლების დასაწყისში. ყველა შეცდომისა და ხარ-ვეზების შედეგად, რომლებიც ამ აქციის ჩატარებისას მოხდა, (კომკავშირელების გადამეტებული მონდომება შეურაცხყოფდა მორწმუნეთა რელიგიურ გრძნობებს, სავარაუდოდ იგულისხმება თუნდაც ის ფაქტი, რომ ისინი მსვლელობებში პლაკატებზე რევოლუციურ ლიდერებს შარავანდედით გამოხატავნენ, მინიშნებით იმაზე, რომ ისინი ახალი ღმერთები იყვნენ). შედეგად გაღვივდა რელიგიური გრძნობები და დამოკიდებულება ეკლესიისადმი მკვეთრად შეიცვალა, ერთერთი გავრცელებული

ფორმა ანტირელიგიური აგიტაციისა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში იყო საჯარო დისპუტი რელიგიურ წარმომადგენლებთან, რომლებიც სათანადო დამუშავების შემდეგ ხშირად იხდიდნენ ანაფორას და ანტისარწმუნოებრივ საქმიანობაში ერთვებოდნენ (ОКИЛОВ 1967: 65). თუ გავითვალისწინებთ, რომ ანტირელიგიური პროპაგანდის წარმოებისას მრავალი გადაცმული და ანაფორიანი ათეისტიც კი იღებდა მონაწილეობას, მაშინ გასაკვირი არაა ამგვარი ფაქტი. მუშაობის მეთოდ-ხერხებიდან ერთერთი გავრცელებული ფორმა „მუკისათვის" ანტირელიგიურ თემაზე პიესის დადგმაც იყო სოფლისა თუ ქალაქის კლუბის სცენაზე. ერთერთი პიესის ხმამაღალი სახელწოდება ცნობილია როგორც „ღმერთის სასამართლო", რომლის ავტორი, ჟურნალ „უღმერთოს" პირველ ნომერში ტ. ბუხარინის სიტყვას წინასიტყვაობად იყენებს, ეს არის ერთგვარი პროგრამა უღმერთოთათვის: „ზეცაში თვითმპყრობელობის გაუქმება, ბოლო მოეღოს ყველა ჩინს, ორდენს, ჯილდოს და სხვას. გამოვაძევოთ ღმერთები ეკლესიებიდან, გადავიყვანოთ ისინი სარდაფებში, მათ შორის ყველაზე ბოროტები კი კონცლაგერებში, პროლეტარიატის ტრიბუნალის სასამართლოს გადაეცეს ყველა მთავარი ღმერთი, როგორც ყველა უბედურების გამომწვევი." მოგვიანებით, ამ სიტყვების ავტორი ბუხარინი, ანტირელიგიური ფრონტის პროვოკატორად, შპიონად, და ხალხის მტრად გამოცხადდა ანტირელიგიურ საქმიანობაში მსგავსი ულტრარადიკალიზმით მემარცხენე იდეოლოგიის დანერგვის მცდელობის საბაბით, რაც მორწმუნეთა დაპირისპირებას იწვევდა ხელისუფლებისადმი. ახალგაზრდები, რომლებიც ეკლესიაში მორწმუნეთათვის ღვთის არარსებობისდასამტკიცებლად ხატებსა და სიწმინდეებს შეურაცხყოფდნენ, ღვთიური სასჯელით დაუსჯელობის, უფლის არარსებობის დემონსტრირების მიზნით, სასტიკად გაიკიცხნენ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მოსკოვის მართლმადიდებელი უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ანდრეი ბორისის ძე ზუბოვი აღნიშნავს: „ანტირელიგიური პროპაგანდის ნიმუშების შელამაზებული სიტყვების მიღმა, იმ დროს ერთდროულად იხვრიტებოდნენ ათასობით მღვდელთმსახურები, ათობით ეპისკოპოსები ცოცხლად იმარხებოდნენ მიწაში, იწვებოდა ეკლესიები და მათთან ერთდად ბერმონაზონები, ამის შესაბამისი მასალები არსებობს. ყოველმა ადამიანმა, ვინაც ამას თავის თვალს ადევნებდა იცოდა, რომ სიტყვებისა და არგუმენტების მიღმა მიმდინარეობდა შემზარავი და დაუნდობელი ბრძოლა ღმერთის, ეკლესიისა და მისი მსახურების წინააღმდეგ. შელამაზებული აგიტაცია ამ სახელმწიფოს ვიტრინა იყო, რომლელიც ფარის როლს ასრულებდა იმ წლებში რელიგიისა და ეკლესიის განადგურების შესანიღბად." („მასალები წარსულიდან". რადიო თავისუფლება.

რედაქტორი და წამყვანი ვლადიმერ ტოლცი. მოსკოვი 2004 წ. 26/06.). რუსი პატრიარქებიდან ერთერთი ყველაზე თამამი, ტიხონი, მრევლის წინაშე კომუნისტების კრიტიკით გამოვიდა, რაც იმ დროისათვის არცთუ ხშირი იყო. ბოლშევიკები ხედავდნენ მრევლის ძალას. მტრის ხატის ძიება, მათთვის სირთულეს არ წარმოადგენდა. კონსტიტუციური მუხლებით დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლებას ქადაგებდნენ, რითიც პირობითი დემოკრატია მხოლოდ მათთვის ხორციელდებოდა, ვინც საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ქმედებებში არ იყვნენ მხილებულნი, ასეთების რიცხვი კი მთელი რესპუბლიკების მასშტაბით დღითიდღე კლებულობდა. საბჭოთა კავშირის 50-ე მუხლით: „ხალხის ინტერესების შესაბამისად, მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების თავისუფლება" (საბჭოთა 1974: 25). სინამდვილეში, განსხვავებული აზრის დაფასების თავისებური მეთოდი ბოლშევიკებმა ჯერ კიდევ მენშევიკური მთავრობის დამხობის შემდგომ გამოიყენეს. „მენშევიკურმა ნაძირლებმა და მათმა დამქაშებმა საქართველოს ბევრ მაზრაში 1924 წლის აგვისტოში ანტისაბჭოური გამოსვლების პროვოცირება მოახდინეს.." (ინაური 1987: 15)„მენშევიკურმა მთავრობამ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდგომ შეინარჩუნა თავისი ძალები და შეუდგა გამძაფრებულ ბრძოლას არსებული წყობილების წინააღმდეგ.. „პარტიული კომიტეტის" თავმჯდომარეობით ჩეკისტურმა ორგანიზაციებმა მძლავრი დარტყმა აგემეს მენშევიკურ იატაკქვეშეთს. ...დააპატიმრეს მენშევიკური კონტრდაზვერვის უფროსი ჩიქოვანი.." (ინაური 1987: 62-63). „საქართველოს ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების თვითლიკვიდაციის პროცესი 1923 წლის შემოდგომამდე გაგრძელდა. აღსანიშნავია, რომ ანტისაბჭოთა პარტიების თვითლიკვიდაციის პროცესს უშუალოდ წარმართავდა საქართველოს კომუნისტური პარტია, ამიტომაც პოლიტიკური პარტიები არ სცნობდნენ თვითლიკვიდაციის შედეგებს და განაგრძნობდნენ არალეგალურ საქმიანობას" (თოიძე 1999: 409). ამიტომ, 1924 წლის აჯანყება საქართველოში მარცხის მიუხედავად, აშკარად უნდა მივიჩნიოთ ამ აზრის დადასტურებად.

ამრიგად, მუკის ოფიციალურ ჩამოყალიბებამდე, მწმენდავის როლში საბჭოთა ჩეკა გვევლინებოდა, რომელიც საბჭოური კურსის გადახვევის ნებისმიერ გამოვლინებას ლიკვიდაციას უკეთებდა. ჩეკისტურ საქმიანობაში ჩართული ქართველებიდან გამოირჩევა საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის, ტიტე ლორთქიფანიძის საქმიანობა, რომლის დამსახურებით „თანამიმდევრულად განადგურდა

და მოისპო 7 ტროცკისტული არალეგალური ცენტრი, დააპატიმრა ტროცკისტული აქტივის 800 მონაწილე; მოსპო აგრეთვე ტროცკისტული სტამბა. დაპატიმრებული ტროცკისტების საერთო რაოდენობიდან 600 კაცზე მეტი სათანადო დამუშავების შემდეგ მოარჯულეს, მხოლოდ 164 შეურიგებელი მტრის გადასახლება გახდა აუცილებელი" (ინაური 1987: 103). ჩეკა, რომელიც თავისი მუშაობის არსს ძალზედ კვალიფიციურად ასრულებდა, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის კონტროლის მიზნით, ბუნებრივია ანტირელიგიურ სფეროსაც ვერ შეითავსებდა. სწორედაც ამიტომ „მუკის" სახით შეიქმნა მისი ე.წ. ფილიალი, რომელიც ხალხთან ურთიერთობასა და საჯაროობაშიც არ იყო შეზღუდული და მასების ანტირელიგიურ, სააგიტაციო შრომას სწევდა, რათა საბჭოთა კავშირში, ლენინისეული „კულტურული რევოლუცია" განხორციელებულიყო. „თავად ფრაზა „კულტურული რევოლუცია" ლენინმა პირველად იხმარა თავის შრომაში: „კოოპერაციის შესახებ" 1923 წელს. ეს არის „სოციალისტური საზოგადოების სულიერი გარდაქმნის რევოლუციური პროცესი, სოციალისტური მშენებლობის არსებითი შემადგენელი ნაწილი, მსოფლიო კულტურის უმაღლესი საფეხურის – სოციალისტური კულტურის შექმნა, კულტურის მონაპოვრად გადაქცევა მშრომელთა საკუთრებად. კულტურული რევოლუციის მთავარი მიზანია ყველა მშრომელის ჩაბმა კულტურულ-ისტორიულ პროცესში. მათი სოციალისტური აქტივობის მაქსიმუმამდე გაზრდა, ახალი ადამიანის ჩამოყალიბება. კულტურული რევოლუცია სოციალისტური მშენებლობის ერთერთი მნიშვნელოვანი კანონზომიერებაა.. იგი უკუაგდებს ძველი კულტურის შინაარსიდან ყოველივე მოძველებულსა და რეაქციულს, ინარჩუნებს, ამტკიცებს და ავითარებს კაცობრიობის ისტორიული განვითარებით შექმნილ მაღალ-კულტურულ ღირებულებებს და ახალი საზოგადოების საკუთრებად აქცევს მათ. მისი მიზანია აგრეთვე ბურჟუაზიული ინტელიგენციის ხელახალი აღზრდა და ახალი სოციალისტური ინტელიგენციის შექმნა. სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი სოციალისტური მორალის, ათეისტური მსოფლმხედველობის, ახალი ყოფის ფორმირება, კომუნიზმის გამარჯვებისათვის საჭირო აუცილებელი იდეოლოგიური და კულტურული პირობების შექმნა" (ქსე 1983: 69). სწორედ ამგვარ „კულტურულ რევოლუციას" შეეწირა არაერთი ძველი კულტურის გადმონაშთი ჯერ რუსეთში, (მაგალითისთვის, გაიცა ბრძანებამ რომ აეფეთქებინათ ყველა ტაძარი, რომელიც არაუადრეს XV საუკუნისაა) შემდეგ კი უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის მქონე საქართველოსა და დანარჩენ რესპუბლიკებში.

თავი III. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი და „კულტურული რევოლუცია" საქართველოში.

§1. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის თვისობრივი ხასიათი და მუშაობის თავისებურებანი საქართველოში

საქართველო, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყანა, საბჭოური ხელისუფლების ყურადღების ცენტრში მოექცა დღიდან მათი ძალაუფლების დამყარებისა და მისი ბედი თავდაპირველადვე ისე გადაწყდა, როგორც ამას ბოლშევიკი სოციალისტები და მისი ლიდერები ხედავდნენ. მეტადრე მაშინ იყო საშიში ყურადღების მოდუნება საქართველოში, რომ პოსტკომუნისტური ხელისუფლება მენშევიკების სახით, მიუხედავად სოციალიზმის პრინციპების აღიარებისა, ევროპისა და განსაკუთრებით გერმანიაზე ორიენტირებდნენ. ისტორიამ ცხადყო, თუ რა განსაკუთრებული მეთოდებით ებრძოდნენ „დემოკრატიულ" სახელმწიფოში განსხვავებულ აზრს. ერთი ხელით გასცემდნენ და მეორეთი ართმევდნენ ცალკეულ ერებს თავისუფლებას. მართალია საბ-ჭოთა კავშირმა საქართველოს სახელმწიფო საზღვრები აღადგინა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ავტონომიების ჩამოყალიბებითა და სეპარატისტული იდეოლოგიის წახალისებით, მუდმივი მანიპულირების შესაძლებლობა დაიტოვა. საქართველოს ჩამოეჭრა ისტორიული მნიშვნელობის ტერიტორიები მეზობელი რესპუბლიკების სასარ-გებლოდ. მიუხედავად ამისა, გარეგნულად საქართველო აღმშენებლობისა და „კულტურული რევოლუციის" გზას განუხრელად დაადგა. ამავე დროს, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მასობრივი ტერორისა და მსოფლიო ომის შემდეგ, საქართველოს ცხოვრებაში მართლაც დადგა მოჩვენებით სიმშვიდე, თუმცა შინაგანი მღელვარება ქართველ ერს, მუდამ თან სდევდა. ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ, რომელიც საკმაოდ დაზა-რალდა საბჭოთა კავშირის მიერ შექმნილი „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" საქართველოს უჯრედის გამო.

„მუკის" საჭიროება საქართველოში თავიდანვე გამოიკვეთა. ქვეყანა, რომელმაც თუნდაც მცირე დროით 1918-1921 წლამდე მაინც იგემა დამოუკიდებლობა და რომელიც უძველესი ქრისტიანული კულტურის მიმდევრობასთან ერთად ყოველთვის ეოვნული

იდეოლოგიის მაღალი აქტივობის გამომხატველი იყო და რომლის წარმმართველ ძალად იმთავითვე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გვევლინებოდა, მკვეთრად გამოხატული ოფიციალური, ანტირელიგიური ორგანიზაციის გარეშე, ბუნებრივია ვერ გარდაისახებოდა. ვერც ქართველი ერი გახდებოდა ათეისტურობისა და ანტირელიგიურობის მაგალითი, აქედან გამომდინარე „კულტურულ რევოლუციასაც" ვერ აუწყობდა ფეხს, შესაბამისად, „ახალი ადამიანის" ფორმირება გაჭიანურდებოდა. „მუკის აქტივისტების მუშაობა საქართველოში ოფიციალურ რეგისტრაციამდე გაცილებით ადრე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გამომჟღავნდა. პარტიული კურსისა და მიზნის შესაბამისად მოქმედი ბოლშევიკური მთავრობა უბრალოდ ანადგურებდა საწინააღმდეგო აზრს, „კოლექტიური წერილებითა" და მოთხოვნებით „მშრომელთა მასა" მიმართავდა ხელისუფლებას სოციალიზმისათვის ამა თუ იმ მავნე გამოვლინების აღკვეთის მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნებით ქართული კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი განადგურდა. ეკლესიების დახურვას მასიური ხასიათი მთელი საბჭოეთის მასშტაბით 1923 წლიდან მიეცა. ეკლესიების სიმრავლიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ეს მოვლენა დაეტყო საქართველოს. ეკლესიების დახურვის გარდა, საბჭოთა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაიცა ბრძანება წმინდანთა ნაწილების ამოღების შესახებ. ქრისტეანობა, რომელიც ღვთისმსახურების გარდა ხატწერის, ჰიმნოგრაფიის, ჰაგიოგრაფიის ანუ წმინდანთა ცხოვრების, საგალობლების, ჭედური ხელოვნების კულტურის ფუძემდებელია, განადგურების საფრთხის წინაშე დადგა. კომუნისტების მიერ, დეფინიცირებული დებულება ყველა რესპუბლიკისთვის მკაცრად საზღვრავდა ანტირელიგიურ პოლიტიკას: სიწმინდეები, „ეს მოოქროვილი კუბოები, სავარაუდოდ „უხრწნელი" სხეულებით ძველი დროის კლასთა მმართველი წარმომადგენლებისა, აუცილებელი იყო როგორც მასების დაგიპნოზებისათვის ვითომდაც რელიგიური მიზნებისათვის. ამიტომ: 1) ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები შესაბამისი აგიტაციის გატარების შედეგად აწარმოებენ გეგმაზომიერ და სრულ ლიკვიდაციას „უხრწნელი სხეულებისა". 2) აღმასრულებელი კომიტეტები უნდა დაეყრდნონ მშრომელი მასების რევოლუციურ აზროვნებას, ამასთანავე გამორიცხონ ყოველგვარი ორჭოფობა აღნიშნული აქტების განხორციელებისას (О РЕЛИГИИ 1965: 106).

დასავლეთ საქართველოს კულტურული მობილიზება, უძველეს ისტორიულ დედაქალაქში, ქუთაისში ხდებოდა. რევოლუციური აქტივობით გამორჩეულიი, ისტორიული მხარე გურია, ფაქტიურად ეკლესიის გარეშე დარჩა. ანტირელიგიური

განწყობა მენშევიკების შემდეგ ბოლშევიკთა მხრიდან დაინერგა ხალხში და ეკლესია-მონასტრების ნგრევა-განადგურებაში აისახა. ერთერთი ქართველი პატრიოტი, ყოფილი ეროვნულ-დემოკრატი, ქუთაისის ეთნოგრაფიული მუზეუმის დამაარსებელი, სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის რწმუნებული, ტრიფონ ჯაფარიძე, მოგვიანებით 1937 წ. რეპრესიების მსხვერპლი გახდა, მანამდე, როცა „1923 წლისათვის საქართველოში მასიურად დაიწყეს ეკლესიების დაკეტვა, საშიშროება შეექმნა მათში დაცულ ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუშებსა და უნიკალურ ხელნაწერ წიგნებს. ტრიფონ ჯაფარიძემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სამოქმედო ზონაში არსებულ ეკლესიებში დაცული ეროვნული სიმდიდრე გადაერჩინა. „რადგან ქალაქშიც და სოფლებშიც დაიწყეს ეკლესიების კეტვა და ნივთების გამოტანა, წერდა იგი ვუკოლ ბერიძეს, მე ვაცნობე აღმასკომს ჩემი მოვალეობა-დანიშნულება და მოვსთხოვე მთელ მაზრაში ყველა თემისათვის ეცნობებია, რომ ნივთები პასუხისმგებელ პირებს ჩაბარებოდა და ჩვენს უნახავად არაფერი დაკარგულიყო. დავუსახელე ეკლესიები, საიდანაც ნივთების გარდა თვით შენობებია ფრესკებიანი დასაცავი და არ წაეხდინათ. გელათის არქიმანდრიტს მივეცით დასაცავი ქაღალდი. მოწამეთას ნივთები ჩამოიტანეს პროფკავშირში. იქ მივედი კონდაკოვის წიგნით ხელში და მოვსთხოვე ყოველივე ჩემთვის გადასარჩევად ეჩვენებინათ (მუმლაძე 1993: 41). ეკლესიის გადასარჩენად ტრიფონ ჯაფარიძე საეკლესიო მუზეუმის შექმნის საბაბით, ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართავდა, რათა მუზეუმი ქალაქის ცენტრში მდებარე საკათედრო ტაძარში განთავსებულიყო, მართალია ტაძარი ქვაშვეთის ტაძრისგან განსხვავებით, სადაც აბანოს მოწყობა უნდოდათ კომუნისტებს, განადგურებას ვერ გადაურჩა, მაგრამ, ქუთაისის მუზეუმს ეკლესიის კუთვნილი არაერთი სიმდიდრე გადაეცა. ტრიფონ ჯაფარიძის მიერ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებით მოპოვებულმა წერილობითმა საბუთმა გადაარჩინა გელათის მონასტერში არსებული ჭედური ხელოვნების ნიმუშები, ხელნაწერები. დღევანდელ დროშიც, მათი ხილვა ქუთაისის ეთნოგრაფიულ მუზეუმშია შესაძლებელი. „ჯაფარიძემ გადაურჩინა შთამომავლობას არგვეთის მთავრების, წმინდა მოწამეთა დავით და კონსტანტინეს ნეშთი, რომელიც 1923 წელს „უღმერთოებმა" მოწამეთა მონასტრიდან გამოიტანეს და შეურაცხყვეს" (მოწამეთა 1990;). ასეთ მოქმედებას წინ უსწრებდა 1923 წლის 4 მარტს გაზეთ „მუშა და გლეხში" რუბრიკით „ბრძოლა ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ" დაბეჭდილი საექიმო კომისიის ოქმი დავით და კონსტანტინეს ნეშთების გახსნის შესახებ. ოქმის მიხედვით, 18 თებერვალს, ქუთაისის ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების წევრთა მიერ, მოხდა ნეშთების დათვალიერება რათა

დადგენილიყო მათი სასწაულმოქმედების უნარი. კომისიის მიერ გამოტანილი დასკვნით, ნეშთებს არავითარი სასწაულმოქმედი დანიშნულება არ აღმოაჩნდა'' (მუშა 1923;). წმინდა ნეშთი სასწაულებრივად გადარჩა და გადაეცა მუზეუმს'' (მუმლაძე 1993: 43). აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის კომუნისტური პარტიის მეორე ყრილობაზე, მოხსენებით გამოსული სერგო ორჯონიკიძე აღნიშნავს: „საქართველოში, ქუთაისთან ახლოს, მოწამეთას მონასტერში, სადაც დავით და კონსტანტინეს ნეშთები ინახებოდა, ქუთაისელებმა შეკრიბეს ყველა მაზრიდან მოხუცი ქრისტეანები, სამღვდელოება, ექიმები, გახსნეს ნეშთი და იქ აღმოაჩინეს მხოლოდ ფერფლი ძვლებისა, ქრისტეანებზე ამ ფაქტმა დიდი გავლენა იქონია (ВТОРОЙ 1923: 22). ამასთანავე, სერგო ორჯონიკიძე სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართველობაში ჯერ კიდევ ცოცხლობს რელიგია და, რომ მთელი რიგი ეკლესიების დახურვა მხოლოდ პირველი ნაბიჯია ათეიზმის დასანერგად. ამგვარი დამოკიდებულება, სამღვდელოებას იმ დროისათვის გმირობის ტოლფას თავგანწირვას აიძულებდა. მაგალითისთვის: ქუთაისის მთავარანგელოზის სასაფლაოს ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი ა.შანიძე, არქეოლოგიური ნაშთების გამგეს, ჯაფარიძეს მიმართავს: „გაცნობებთ, რომ ჩემდამი რწმუნებულის, ქუთაისის სასაფლაოს მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში ყოფილ ძველი ეკლესიის ნაშთს ანგრევენ წითელარმიელები, რაზედაც წარმოადგინეს ქუთაისის აღმასკომის ნებართვა. ნაშთის ქვები უნდა გაიხმარონ გზის მოსაკენჭათ'' (ქცსსა 8659;). საქართველოს მასშტაბით, ბოლშევიკების მიერ გაიშალა აღწერითი სამუშაოები, რომლის მიხედვითაც, სხვადასხვა ეკლესიების დახურვამდე ან დახურვის შემდეგ, ფინანსურ კომიტეტს ანგარიში ბარდებოდა ზუსტი მონაცემებით, თუ რამდენი, მათთვის საინტერესო ძვირფასი ლითონის ნივთი იმყოფებოდა. ასეთი სახის მოთხოვნები, ქალაქის საბჭოს მდივნის, ვინმე ქემხაძის მიერ სრულიად საიდუმლოდ, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეებს ეგზავნებოდათ; „წინადადება გეძლევათ ამის მიღებისთანავე გვაცნობოთ, რამდენი მოქმედი სამლოცველო შენობებია თქვენს სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე /ეკლესიები და სხვ/. რამდენი სამლოცველო შენობები არის გამოყენებული სხვა საჭიროებისათვის /კლუბები, სამკითხველო, თეატრი/. ერთერთი პასუხით ირკვევა შემდეგი: ქუთაისის ქალაქის საბჭოს, ჭოგნარის სასოფლო საბჭო პასუხად თქვენს მომართვაზე გაცნობებთ, რომ ჩვენს თემის ტერიტორიაზე არის ორი ეკლესია, ერთში წარმოებს წირვა-ლოცვა, მეორე კი უკავია სიძველეთა დაცვის კომიტეტს. მხოლოდ არც ერთში და არც მეორეში კულტ-საგნები, როგორიც არის ოქრო-ვერცხლი და სხვა,

ასეთები არ არის (ქცსსა 8659 ფ1 E 192: 19-20). ასევე თანახმად თქვენი დავალებისა, ამასთანავე წარმოგიდგენთ 10 ცალ აღწერილობის ნუსხას ქუთაისის ქალაქად მყოფ მწირავ ეკლესიებში მოთავსებული ძვირფასი ნივთებისა ოქროულისა და ვერცხლეულისა. სახელდობრ 1) საფიჩხიის ამაღლების ეკლესია, 2 ფურცელი. 2) პეტრე-პავლობის ეკლესიის 1 ფურცელი, 3) მთავარანგელოზის ეკლესიის 1 ფურცელი. 4) კათოლიკეთა ეკლესიის 1 ფურცელი. 5) საღორიის ეკლესიის 1 ფურცელი. 6) მწვანე ყვავილის მთავარანგელოზის ეკლესიის 1 ფურცელი. 7) მეორე მთავარანგელოზის ეკლესიის 1 ფურცელი. 8) ქუთაისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის 1 ფურცელი. 9) წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის 1 ფურცელი (ქცსსა, ფ149, საქმე 380: 20). იმ ეკლესიებიდან, საიდანაც ნივთები არ იყო ამოღებული, კომუნისტებს ერჩიათ მორწმუნეებს ევლოთ, რათა მათი წინასწარ დატაცება არ მომხდარიყო. ამის მა-გალითად: არაერთი გრიფით საიდუმლო წერილი ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ვინმე გველესიანის მიერ: „როგორც შემოსულ ცნობებიდან ჩანს, თქვენთან მორწმუნეები მო-სულან განცხადებით ადგილობრივ მთავარანგელოზის ეკლესიაში წირვა ლოცვის ნება-რთვის შესახებ, რაზედაც თქვენ შეუფერებლად მიგიმართავთ მათთვის და უარი გითქ-ვამთ, რომ თუ ეკლესია მოქმედია და მისი ნივთები არ ყოფილა გამოტანილი, თქვენ არავითარი უფლება არ გაქვთ მსურველ გლეხებს აუკრძალოთ ეკლესიაში სიარული (ქცსსა, ფ149, საქმე 381: 21) იქვე არის მეორე მიმართვა მიტროპოლიტ სიმეონ ქუთათელ-გაენათელისა: ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარის მიმართ: „დღეს, 16 აგვისტოს, ჩემთან გამოცხადდნენ ქუთაისის რაიონის ოფუჩხეთის თემის, სოფელ გუმათის მორწმუნეთა წარმომადგენლები და განაცხადეს, რომ მათ მოუტანიათ ადგილობრივი თემის აღმასკომის თავმჯდომარესთან გუმათის მორწმუნეთა ხელმოწერილი განცხადება თავისი რელიგიური წესებისა და ამ მარიამობის მარხვაში, ჩვეულებრისამებრ, წირვა ლოცვის ნებართვისათვის ადგილობრივ მთავარანგელოზის ეკლესიაში, რომელიც როგორც განაცხადეს, მორწმუნეთა განკარგულებაშია. საბჭოთა ხელისუფლებისაგან გადაცემული. თემაღმასკომის თავმჯდომარეს, ძნელაძეს, ეს განცხადება წაურთმევია, დაულანძღავს ისინი, შეუგინებია მათი სარწმუნოებრივი გრძნობდა და გამოუგდია. ამის უფლება მას, საბჭოთა ხელისუფლებისგან გამოცემული კანონმდებლობათა მიხედვით არ ჰქონდა”(ქცსსა, ფ149, საქმე 381: 21).

ამგვარი ქმედებების შედეგად, ქუთაისის მაზრაში უკვე 1935 წლის 9 იანვრის მონაცემით, როცა შემდგომში გამოცხადებული უღმერთო ხუთწლედი თავის პიკს

აღწევდა, სულ 58 სამლოცველოა, აქედან 16 მოქმედია, 31 დაკეტილია, 5 კლუბია, ხოლო 6 საწყობია. 20-30 წლებში, „მუკის" და საბჭოური პოლიტიკის წყალობით, არაერთი კლუბად, თუ თეატრად გადაკეთებული ტაძარი, დღესდღეობითაც სადაოს ხდის საკითხს, უნდა დაუბრუნდეს თუ არა ამა თუ იმ საკულტო დანიშნულების შენობას პირვანდელი სახე. მათ შორის არის ქალაქ ფოთში არსებული თეატრის შენობა. „1936 წლიდან, ბერიას ბრძანებით, საკათედრო ტაძრისათვის, რომელიც აია სოფიას შემცირებული ასლი გახლავთ, საკურთხეველი მოუნგრევიათ, საპარადო მინაშენები გაუკეთებიათ და შიგ თეატრი შეუსახლებიათ" (ქცსსა, ფ149, საქმე 381: 4). როგორც ჩანს, „კულტურული რევოლუციის" განხორციელების დიდი სურვილისდა მიუხედავად, 30-იანი წლების მიწურულს, როცა საბჭოთა მთავრობასა და დაზვერვას ჰქონდა ინფორმაცია მომავალი ომის საშიშროების შესახებ, ახალი თეატრის აშენებისათვის ხარჯების გაწევა საჭიროდ არ მიიჩნიეს, ასე გადაურჩა ეს უნიკალური შენობა ფიზიკურ განადგურებას.

1917 წლისათვის საქართველოს ტერიტორიაზე 1500 ეკლესიას 1600 მღვდელი, დიაკონი და მედავითნე ემსახურებოდა, 1921 წლისათვის მათი რიცხვი 2000 აღწევს, 1930 წელს 1050 ეკლესია და სამლოცველო სახლია, 1200 მეტი რელიგიური კულტმსახურით, უკვე 1937 წლისათვის მოქმედი ეკლესიები 187-დე შემცირდა. 1940 წლისათვის კი 78-ს არ აღემატებოდა, ხოლო მღვდელი მხოლოდ 128 კაცი. ანტირელიგიურმა სამუშაომ ნაყოფიერად ჩაიარა ნგრევის თვალსაზრისით, თუმცა ხალხი სულიერ შიმშილს ყოველთვის განიცდიდა. ათეისტური მეთოდოლოგია ღვთის არარსებობის დასამტკიცებლად „მუკის" ყველა უჯრედისათვის იდენტური იყო. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენდა. ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც „მუკის" საქართველოს ფილიალის ამოქმედების თარიღს ეკუთვნის, დაცულია საქართველოს სახელმწიფო არქივში. მასში ნათქვამია: „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი საქართველოში ჩამოყალიბდა 1928 წელს, მის მოვალეობას შეადგენდა სისტემატური ბრძოლა პროპაგანდისა და აგიტაციის გზით ყოველგვარი რელიგიისა და ცრუმორწმუნეთა წინააღმდეგ. საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირი იზრდებოდა და მტკიცდებოდა ყოველწლიურად. მას ქონდა თავისი ბეჭდვითი ორგანო „უღმერთო" და შემდგომ „მებრძოლი ათეისტი". ცენტრალურ საბჭოსთან არსებობდა ანტირელიგიური გამომცემლობა. გამოშვებულია რამდენიმე ათეული წიგნები და ბროშურები (აქვე, „მუკის" საბჭოს თავმჯდომარის მიერ აღნიშნულია მუკის წევრთა რაოდენობა, რომელიც ვფიქრობთ

არაზუსტია, კერძოდ სამამულო ომის დაწყებამდე ორგანიზაციაში ითვლებოდა 15000 მუკის წევრი, რაც რეალურ რიცხვზე ბევრად ნაკლებია). საქართველოს „მუკის ცენტრალურ საბჭოში შედიოდა აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და 60-დე მუკის რაისაბჭოები'' (სუიცა ფ1547 საქმე 165: 2). ასევე მნიშვნელოვანია: „საქართველოს „მუკის'' ცენტრალური საბჭო დაარსებულია 1929 წელს და შედის სსრ კავშირის მუკის ცენტრალური საბჭოს სისტემაში. მის მოვალეობას შეადგენს აწარმოოს პროპაგანდა რელიგიის წინააღმდეგ. საარქივო დოკუმენტური მასალები ადგილზე ინახება 1935 წლიდან, განტვირთვა ვადაგასული მასალებისაგან ხდება მეორეჯერ, მოსასპობად განზრახულია 100 ერთეული საქმე, რომელსაც ჯერ არა აქვს არავითარი პოლიტიკური საცნობარო, ისტორიული და ოპერატიული მნიშვნელობა'' (სუიცა ფ1547 საქმე 165: 3).

ანტირელიგიური მუშაობამ რომელიც საქართველოს კომუნისტების მიერ როგორც დავინახეთ უკვე 1921 წლიდან გაიშალა, თავის აპოგეას სწორედაც რომ 1928 წლისათვის აღწევს, როცა ორგანიზაციას უფრო მეტი დამაჯერებლობისათვის ოფიციალური სახე მიეცა, გამოეყო მასობრივ-საინფორმაციო ორგანო გაზეთის სახით და მათში დაწინაურებულთა პრივილეგირება საერთო გაჭირვების ფონზე, გამოიხატა. იდეური მამები რათქმაუნდა საქართველოს მუკისთვის რუსეთის მუკის მესვეურები იყვნენ, რომლებიც თავიანთ ოფიციალურ სამუშაოებს უკვე 1925 წლიდან ახორციელებდნენ. მათი მუშაობის შედეგების შეფასებისას, 1929 წელს II ყრილობაზე რუსეთში, როცა ოფიციალურად დაერქვა ორგანიზაციას მებრძოლ უღმერთოთა კავშირი 10 ივლისის გადაწყვეტილებით, კავშირის მუშაობა მაინც არადამაკმაყოფილებლად შეფასდა. ყრილობამ გააკრიტიკა კავშირის მიერ წარმოებული ანტირელიგიური კამპანია. „მუკის'' კორესპონდენტები, ათეისტურ გამოძიებას აწარმოებდნენ სხვადასხვა ფენებში, ადგენდნენ სტატისტიკურ მონაცემებსაც. ამ დროის ჟურნალ „ანტირელიგიოზნიკის'' მონაცემებით, არმიის გამოკითხულთა 49% მორწმუნეა, 22% მერყეობს, 29% ურწმუნოა. ხალხში ჯერ კიდევ არსებობს რწმენა და ტრადიციების აღსრულების სურვილი. ყოველ შემთხვევაში, მებრძოლ ათეისტების არადამაკმაყოფილებელმა დასკვნამ, II ყრილობაზე, ანტირელიგიურ მუშაობაში ახალი გეგმები დასახა და უკვე 1932 წლისათვის გამოცხადდა „უღმერთო ხუთწლედი'' „დანაკლისის ასანაზღაურებლად''. 30-იანი წლები რეპრესიებისა და დეპრესიის წლებია. გამოცხადებული „კულტურული რევოლუციის'' მიღმა ყველაზე უკულტურო და არაცივილური წესით მიმდინარეობდა მასობრივი წმენდა საზოგადოების ყველა ფენაში. 1937

წლისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ საყოველთაო აღწერა ჩაატარა, რომლის სტატისტიკური მონაცემებით, რუსეთის მოსახლეობის კონფესიური შემადგენლობაც გამოვლინდა, ვინაიდან მასში რელიგიური საკითხიც შეიტანეს. შედეგად, კიდევ 8000 ეკლესია დაიხურა, რელიგია როგორც ჩამორჩენილობის სიმბოლო და კოლმეურნეობისა და სხვა პროგრესის შემაჩერებელი, კვლავ გაცხოველებული ძალით იდევნებოდა. ვინც კი 1937 წლამდე, მაინც ბედავდა რელიგიურობის გამომჟღავნებას, განადგურდა. ეკლესიის მსახურთა უმრავლესობა ხალხის მტრად გამოცხადდა, ამავე დროს, თაობა რომელიც უღმერთო კომუნიზმის დროს ზრდასრულ ასაკში შევიდა, იძულების წესით აღიზარდა ყოველგვარი რელიგიური ცოდნის გარეშე. ამას დაემატა სკოლებში, პატრიოტული სულისკვეთების ჩასახშობად, ეროვნული ისტორიის ნაცვლად, ახალი, საბჭოური ისტორიის სწავლება და თავსმოხვევა. აღმოჩნდა, რომ ცალკეული ერების ისტორია მეტნაკლები განსხვავებით რუსეთთან ურთიერთობით იწყებოდა და ასევე გრძელდებოდა. ეკლესიის მსახურთა ისტორიული ცოდნა თითქმის ისტორიკოსთა ცოდნას უტოლდებოდა, რადგან წმინდანთა ცხოვრების ისტორია არაერთ ისტორიულ და მნიშვნელოვან ფაქტებს შეიცავდა. მათი მოსპობითა და საეკლესიო ხელნაწერების განადგურებით, კომუნისტურმა მთავრობამ არაერთი ისტორიული მნიშვნელობის საბუთი გაანადგურა. რუსულ საარქივო მასალებში მოცემულია ფაქტები, რომლებიც მოგვითხრობენ, თუ როგორ აიძულებდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში მორწმუნე მრევლს მარხვის დროს ძალით „ჭამას". დასცინოდნენ და ამათრახებდნენ მათს რელიგიურ გძნობებს. ერთერთ სტატიაში ვინმე პუშკინი „მონათვლის წესი და ბავშვთა ჯანმრთელობა" ერთერთ ქრისტიანულ საიდუმლო წესს, უგულვებელჰყოფს. მოყვანილია ლენინის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგის, ვინმე ცარეგორდიევის დასკვნა, რომელიც წერს, რომ ყაზანის ტაძარში (ვოლგოგრადი) ერთიდაიმავე წყალში მონათლული 100 ბავშვიდან არაერთი დაავადდა ფურუნკულიოზითა და რესპირატორული დაავადებით იმის გამო, რომ 1 სმ^3 წყალში, 17,5 მლნ. ბაქტერია აღმოჩნდა. „ნათლობის წესი პირველყოფილ საზოგადოებაში არსებულ, წყლით მაგიურ განწმენდის ველურ ხერხს უტოლდება" (ДЕЯТЕЛИ 1968: 128-129). გარდა ამისა, მებრძოლი ათეისტების მიერ, დაიწყო წმინდანთა საფლავების მასიური გახსნა, რომელიც მას შემდეგ განხორციელდა, რაც 1918 წელს, ალექსანდრე სვირის მონასტრის კვლევისას, ვერცხლის ჭურჭელში „უხრწნელი" ნაწილების ნაცვლად, ცვილის თოჯინა ღმოჩნდა. ეს ამბავი მალე გავრცელდა და გამოიწვია საზოგადოების აღშფოთება. მოითხოვეს ყველა წმინდა ნაწილების შემოწმება, ჩატარდა 60 შემოწმება და ყველგან ძვლები და მუმიფი-

ცირებული გვამები აღმოჩნდა" (КОНОВАЛОВ 1974: 14).ანტირელიგიური იდეოლოგიის გასამყარებლად, ყველაზე მკრეხელური მეთოდით, ხდებოდა ისეთი სიწმინდეების შეურაცხყოფა, როგორიცაა მართლმადიდებელ სამყაროს უდიდესი სიმბოლო ხატი. მაგალითისთვის, უღმერთო კორესპონდენტები წერდნენ: „ხატები ძველ რუსეთსა და ახლაც, ღვთისმშობლის გამოსახულებით, უდიდეს დანიშნულებას ატარებდნენ. დროთა მანძილზე, სულიერმა მამებმა, გამოიმუშავეს არაერთი ხრიკი, რომელთა დახმარებით, მასების ბრმა და ბნელი რწმენაგარდაიქმნებოდა ოქროს შემოსავლის წყაროდ. ხატებთან სრულდებოდა წირვები. შემდეგ ეს ხატები, როგორც სასწაულთმოქმედი ძალის მატარებელი, იგზავნებოდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში" (უღმერთო, №15, 1928: 3) ხატები, რომელთა სასწაულთმოქმედი თუ წმინდარელიგიური დანიშნულება მორწმუნეთა შორის მოწყალების სურვილს აღვივებდა, ანტირელიგიურ ჟურნალებში სიბნელის გამოვლინებად ფასდებოდა: ჟურნალ „უღმერთოს" ერთერთ ნომერში ნათქვამია: „ე.წ. სასწაულთმოქმედი ხატი ისაკიევსკის ტაძარში, ქალაქ ლენინგრადში, აგროვებდა ათიათას მანეთს თვეში" (უღმერთო, №18, 1928: 19). აგიტაციით, რომელიც მიმართული იყო სამღვდელოების დისკრედიტაციისკენ, იმ ფონზე, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილსა და სოციალურ კრიზისს განიცდიდა, ანტირელიგიური პროპაგანდა მიზანმიმართულად, მცირედმორწმუნეთა რელიგიურ შეგნებაზე თამაშობდა და ხელს უწყობდა ათეისტური იდეოლოგიის გამყარებას. "კომპარტია ხელმძღვანელობს რა სინდისის თავისუფლების მარქს-ლენინური გაგებით, მისთვის ასევე უცხოა რელიგიასთან ბრძოლის ადმინისტრაციული მეთოდები, რასაც გვთავაზობენ მარქსიზმის ვულგარიზატორები და მისი ყოველგვარი ჯურის სხვადასხვა მტრები" (რელიგიის 1957: 8); "რელიგია უარყოფს რა ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონებს, მოძრაობისა და განვითარების წყაროდ სთვლის ღმერთს, მაშინ როდესაც დიალექტური მატერიალიზმი მოძრაობისა და განვითარების წყაროდ სთვლის შინაგან წინააღმდეგობას, რომელიც სინამდვილის განვითარების საყოველთაო ობიექტური კანონია. რელიგია არ სცნობს განვითარებაში ახალს, პროგრესულს, მზარდს, რომელიც განვითარების მსვლელობაში უარყოფს ძველს, ამიტომ, რელიგია უარყოფს განვითარების იდეას და ქადაგებს დოგმატიზმს. მარქსიზმის თეორია კი ყოველგვარი დოგმატიზმის მტერია" (რელიგიის 1957: 33);

საქართველოში ეკლესიები და შენობა-ნაგებობები 1920 წლის მიწისძვრის შედეგად ისედაც დაზარალდა. 1922 წლისათვის, დაზიანების გამო გაპარტახდა

ზედაზნის მონასტერიც. სოციალისტური სახელმწიფო, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მეფის რუსეთის მიერ დატოვებული მძიმე მემკვიდრეობის გამოსწორება ხანმოკლე პერიოდში ნამდვილად არ ხელეწიფებოდა, მითუმეტეს არ მიაქცევდა თუნდაც მათთვის რაიმე ღირებულების საეკლესიო-საკულტო ნაგებობებს. თვით მოსკოვში არსებული არაერთი ეკლესია შეეწირა ფართო გზების მშენებლობას. 1931 წელს, „იესო ქრისტე, მხსნელის" ტაძარი უბრალოდ ააფეთქეს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ „მუკის" პერიოდულ პრესაში, დიდი ყურადღება ეთმობოდა ტაძრების ლიკვიდაციის ამსახველ ფოტომასალას, ხოლო ამ ფაქტების კომუნისტური მორალის მხარდამჭერი იდეოლოგიის დანერგვის მიზნით, პარალელურად იბეჭდებოდა სურათები, რომლებზეც ძველ ნატაძრალზე აგებული ფაბრიკა-ქარხნები ან შესაბამისი კულტურული დანიშნულების შენობა-ნაგებობები იყო გამოსახული. სწორედ ამ დროს, მიტროპოლიტმა სერგიმ, უცხოელ კორესპონდენტთან ინტერვიუში, დააფიქსირა საბჭოთა კავშირის ანტი-რელიგიური კურსით გამოწვეული უკმაყოფილება. მითუმეტეს, რომ უცხოური პრესა, კომუნიზმს, ისევე როგორც ფაშიზმს, საკმაოდ კრიტიკული თვალით უყურებდა. როგორც ჩანს ქრისტეს მსახურმა ვერ განსაზღვრა მოსალოდნელი საფრთხე, ან თავი გადადო. ჯერ კიდევ 1929 წელს, ვიაჩესლავ მიხაილის ძე მოლოტოვის მიერ ინიცირებული ცეკას დადგენილებით, გაუქმდა უღმერთოთა კავშირის სპეციალური კომისია, რომლის მოვალეობაშიც, ე.წ. სიძველეთა შესწავლა შედიოდა, რათა გამორიც-ხულიყო ყოველგვარი ლოიალურობა და ანტირელიგიური საკითხი მთლიანად და ეს პრიორიტეტი არა მეორადი ორგანიზაციის, „მუკის", არამედ ძირითადი ხელისუფლების ხელში ყოფილიყო.

1929 წლის პირველ ივნისს, ქ. თბილისში სრულიად საქართველოს „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" I ყრილობა გაიხსნა. ყრილობას გამოცდილი ათეისტი ციხელაშვილი წარუძღვა. მისივე მიმართვაში დელეგატებისადმი ნათქვამია: „ამხანაგებო, ის ფაქტი, რომ ჩვენ შევქმენით სპეციალური კავშირი, ის ფაქტი, რომ ჩვენ მოვაწყეთ ამ კავშირით პირველი ყრილობა, ნათლად აჩვენებს თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდა პარ-ტია დღეს ანტირელიგიურ ფრონტს, ჩვენს ამ კავშირის დაარსებას და ამ ყრილობის მოწვევას. პარტია თავის ყურადღებას უკავშირებს დასახულ ამოცანებს, ე.ი. საკითხებს, ერთის მხრივ სოციალისტურ მსშენებლობის და მეორეს მხრივ, საკითხს კულტურულ რევოლუციისას. თქვენ კარგად იცით, რომ ოქტომბრის რევოლუცია სათანადოდ და საფუძვლიანად შეეხო რელიგიურ საკითხს, ფარდა ახადა და გამოააშკარავა

კონტრრევოლუციური ბუნება ეკლესიისა და ყოველგვარი სარწმუნოებისა (აქ მომხსენებელი ნამდვილად არ საუბრობს საქართველოს ეკლესიაზე, არამედ ზოგადად რუსეთის სამღვდელოების „როლს" მიმოიხილავს საბედისწერო მოვლენებში). მაგრამ სანამდე რევოლუციურ პროცესს არ გარდაუქმნია ჩვენი მეურნეობა სოციალისტურ ნიადაგზე, სანამდე კიდევ არის დაქუცმაცებული ინდივიდუალური გლეხთა მეურნეობა, სანამ რელიგიას, ესეიგი ცრუმორწმუნეობას კიდევ ექნება ადგილი, კიდევ დიდხანს დაგვჭირდება ბრძოლა.. ანტირელიგიურ დარგში. საჭირო არსი რომ მუშათა კლასმა ისეთი ენთუზიაზმი გამოიჩინოს, რომ გლეხები გამოიყვანონ ამ საქმეში. ზოგი ფიქრობს, რელიგიას ხელს ნუ ვახლებთ, იმიტომ რომ სოციალისტური მშენებლობა თვით აღმოფხვრის მას ძირიან ფესვიანათო, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ანელებს ჩვენი ამოცანების სირთულეს, რომელსაც სპეციალურად ანტირელიგიური პროპაგანდა ეწოდება" (სუიცა ფ1547 საქმე 3: 3). იქვე მომხსენებელი ამბობს, ჩვენ ერთხანობას გატაცებული ვიყავით ეკლესიის დახურვით და ადმინისტრაციული ზომების მიღებით, შემდეგში, როდესაც ამან არ მოგვცა კარგი შედეგები, მოგვიხდა უკან დახევა, ეკლესიები ზოგიერთ ალაგს დავუბრუნეთ და ყველა ის ორგანიზაციები რომლებიც აწარმოებდნენ მუშაობას სულიერად დაეცნენ. ჩვენი კლასიური მტრები წამოდგნენ ფეხზე და ამ მხრივ მოგველის დიდი მუშაობა". საინტერესოა თავად ფაქტი, რომ მიუხედავად კულტურული და რელიგიური წარმომავლობის მრავალფეროვნებისა, მუკი ყველა რელიგიურ კონფესიასთან მთელი 15 მოკავშირე რესპუბლიკის შიგნით, ერთიდაიმავე პრობლემებს წააწყდა. სოციალური კრიზისის მოგვარების შემთხვევაშიც, შეუძლებელია სულიერებაზე უარის თქმა, ვინაიდან ადამიანში სულის არსებობა თავისთავად განსაზღვრავს საკითხს. კომუნისტებმა უარყვეს სულის არსებობაც ყველაზე მკრეხელური ფორმით. სწორედ ასეთი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ყრილობაზე გამომსვლელი მალაქია ტოროშელიძე ამბობს რომ: „რელიგიის წინააღმდეგ საბრძოლველად რამდენიმე დაკვრითი კომპანია არ ამოსწურავს საკითხს, არამედ საჭიროა სისტემატიური და გეგმიანი მუშაობაო" (სუიცა ფ1547 საქმე 3: 11). რელიგია დღეს მართლაც უკულტურო ნაშთს წარმოადგენს, ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში ძლიერდება რელიგიური საზოგადოებები, მარტო გერმანიაში რევოლუციის შემდეგ აშენდა 800 ეკლესია. იზრდება სასულიერო სკოლების რიცხვი, სადაც ბატონობენ ხუცები.. ანტიქრისტეს სარწმუნოება არის ბოლშევიზმი.." (სუიცა ფ1547 საქმე 3: 15). ყრილობის დელეგატი ჭელიძე აღნიშნავს რომ ყველაზე მეტად, პროპაგანდა სოფლად მოიკოჭლებს, სადაც ხალხში რწმენა გაცილებით მეტადაა გამჯდარი. „ანდა, თუ

შევეხები თბილისს, რატომ ხდება რომ აქაც პირველი ყრილობაა უღმერთოთა და არა მეორე ან მეოთხე, ანდა რატომაა მოსკოვში მეორე ყრილობა და არა მერვე და მეათე.. ასე მიყრუება რელიგიის საკითხისა როგორც ეს არის სოფლად, შეუძლებელია. ჩვენ უნდა ვეცადოთ მთელი 100%-ით ვიმუშაოთ ამ დარგში და შევაგნებინოთ მასას რელიგიის სიცრუე. ამ საქმეს უფრო კარგად წაიყვანს ის ამხანაგი, რომელიც იქნება დაქირავებული" (სუიცა ფ1547 საქმე 3: 46). ამ სიტყვებით კარგად ჩანს რომ მიუხედავად ასეთი აღტკინებისა, გარკვეული გასამრჯელოს გარეშე მუშაობა, მუკის წევრებსაც არ სურდათ. გასამრჯელო კი სავარაუდოდ ხარისხს უზრუნველყოფდა და სოციალურად ისედაც გაჭირვებაში მყოფ თუნდაც „მუკის" წევრს წაახალისებდა. თან გაიზრდებოდა დაინტერესება ამ მხრივ. უფრო შორს მიდის მომხესნებელი ვინმე აირაპეტოვი, ირკვევა, რომ „რელიგიურ ჩამორჩენილობას ყველაზე მეტად ადგილი აქვს ხელოსანთა კლასში. რომლებიც ამბობენ რომ არ სჭირდებათ „მუკი", ეს ის ხალხია ვინაც ჯერ კიდევ იწერს ჯვარს და აცხადებს, რომ არ სჭირდება კულტურული რევოლუცია. რამდენიმე სიტყვა თვით კომკავშირელებზე: იყო ერთი შემთხვევა, კომკავშირელმა 1 მაისს დემონსტრა-ციაზე გადაიცვა ანაფორა, მეორე დღეს ჰკითხეს, თუ რატომ ან რისი თქმა სურდა, პასუხი ვერ გაგვცა. მიზეზი ისაა, რომ ის ვერ ერკვევა ასეთ საკითხებში. აქ საუბარი იყო სკოლებზეც; ჩვენთან ერთერთ სკოლაში სწავლობს მასწავლებელი, რომლის ვაჟი დაიხვრიტა კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის, ვფიქრობთ ასეთები უნდა ამოვ-ძირკვოთ სკოლებიდან, რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, ვფიქრობთ მათში უნდა შევიტანოთ თუნდაც რამდენიმე ანტირელიგიური საკითხი, ასევე უნდა ამოვიღოთ ხმარე-ბიდან კალენდრები, სადაც ძველი დღესასწაულების ნუსხაა. რაც შეეხება გაზეთ „უღმერთოს", კავკასიში იგი მინიმუმ სამ ენაზე უნდა გამოდიოდეს, უნდა გაიხსნას ანტირელიგიური სემინარები" (სუიცა ფ1547 საქმე 3: 47).

ყრილობის დელეგატთა უმეტესობა, აუცილებლობად თვლიდა ანტირელიგიური საქმიანობისა და აგიტაციის გლეხობასა და ქრისტიანთა შორის განსაკუთრებულად დანერგვას, რადგან ისინი არ ყოფილიყვნენ სოციალიზმისა და კოლექტივიზაციის შემაფერხებელნი. აქ იკვეთება ერთი რამ. ისევე როგორც ანტირელიგიურობა, ასევე კოლექტივიზაცია, რომელიც კულტურული რევოლუციის შემავალი ნაწილია საზოგადოების ყველა ფენისთვის არ იქნებოდა მისაღები, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც რაიმე ქონება მაინც გააჩნდა. ამიტომ გამოაცხადეს კომუნისტებმა კლასთა ბრძოლისადმი დაუნდობლობა და ყველა კლასის განადგურება დაისახეს მიზნად. ეს

საფრთხე განსაკუთრებით „კულაკებს” შეეხო, რომლებიც რათქმაუნდა სოფლად ცხოვრობდნენ. დელეგატებმა მოითხოვეს რელიგიასთან, ადმინისტრაციული სასჯელთდაკისრებით ბრძოლის დაწესებაც. 1929 წლის I ყრილობას წესით უნდა აღმოეფხვრა გარკვეული გათიშულობა უჯრედებს შორის და მოეხდინა საქმიანობის ცენტრალიზება ფინანსებისა თუ სხვა ხარჯების ზომიერი გადანაწილების მიზნითაც. ეს პრობლემა რომ იდგა ორგანოს შიგნით აშკარაა. ერთერთი გამომსვლელი გურიიდან ამბობს: „მართალია ისიც, რომ ამ უჯრედს არ აქვს გარკვეული ხელმძღვანელობა და თუ რაიმე მუშაობას აწარმოებს ეს უჯრედი გურიაში, ეს მიეწერება თითო-ოროლა ამხანაგების აქტიურობას, რომლებიც ხელმძთვანელობენ ორგანიზაციას თავისი ნებით. წიგნების შესახებ: სახელმძღვანელოებს მე ვიტყოდი რომ წიგნები მოდის. მაგალითად ასე, ჩვენ გამოვიწერეთ 10 მანეთის რაოდენობის წიგნები, მოდის ნახევარი ამ რიცხვისა. მაგრამ უწყებაზე წერია იმდენი ფული, რამდენი წიგნიც იყო მოთხოვნილი. თუმცა წიგ-ნების ნახევარს ვღებულობთ. ე.ი. ჩვენ გვიხდება წიგნებში ორჯერ მეტი ფულის გადახდა, ვიდრე იგი ღირს. რაც შეეხება იმ აზრს, რომელიც გავრცელებულია ოზუ-რგეთში განსაკუთრებით პარტიულ ამხანაგებს შორის, თუთქოს „მუკი” არაა საჭირო, ეს ჩემი აზრით შეცდომაა. ორი წლის განმავლობაში გურიის სინამდვილეში დადასტურ-და შემდეგი გარემოება, როგორც ეს გამოირკვა კომუნისტური უჯრედის მიერ ისე სათემო მასშტაბით, აღმოჩნდა, რომ თვით კოკავშირელები დადიან ხშირად სარწმუნოებრივ დღესასწაულებზე, მონაწილეობენ ქელეხებში და სხვ. ჩვენ ისინი გვეუბნებუან, რომ არის ესეთი თაობა, რომელსაც ჭამს ძველი დოგმები, და ამიტომ მათ ჩვენ თავისუფლებას ვაძლევთო. ეს არ არის სწორი. სასკოლო მუშაობის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ მოწაფეს, რომელსაც უხდება სკოლაში ყოფნა რამდენიმე საათის განმავლობაში, აქ უფრო ნაკლებია სკოლის გავლენა მასზე, ვიდრე მაშინ როცა ის სახ-ლშია მშობელთან, ამიტომ გამგეობამ მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს ამასთან დაკავშირებით დახმარება გაგვიწიოს ლიტერატურის სახით. ოზურგეთის მაზრა უღარიბეს მაზრად ითვლება, ჩვენ ფული არა გვაქვს, ამას გარდა ჩვენ არ ვიცით თუ როგორ უნდა გადავახდევინოთ საწევრო ფული უჯრედის წევრებს, ამაზე არ მოგვსვლია სათანადო მითითებანი. გარდა ამისა სასკოლო მუშაობაში საჭიროა ანტირე-ლიგიური ელემენტი ყოველი საგნის პროგრამაში ჩავრთოთ. საჭიროა მასწავლებელთა რიგების გადასინჯვა, ამ ამხანაგებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივცეთ საშუალება, რომ მომავალი თაობა, რომელზეც პარტია და ხელისუფლება ამყარებს, აღზარდონ მათ ძველი ადათებით” (სუიცა ფ1547 საქმე 3: 51-52). დელეგატთა გამოსვლას

ტაში თან ახლდა ყოველთვის. უკვე I ყრილობის მსვლელობისას გამოიკვეთა „მუკის" ხარვეზებთან ერთად სოციალისტ-ბოლშევიკური ახლებური გაგება, რომელიც შენიღ-ბული დემოკრატიითა და კოლექტიური ნებასურვილით, ახალ სახელმწიფოს აშენებდა. რამდენადაც იკვეთება პრობლემები, ჩანს რომ 1929 წლისათვის ორგანიზაციული საკითხების მოუგვარებლობა, მუკის საქართველოს ფილიალს აწუხებდა, მაგრამ მხოლოდ დღის წესრიგში დაყენება პრობლემას ვერ მოაგვარებდა. ორგანიზაციის წევრები აკრიტიკერბდნენ იმდროინდელ პრესას, რომელიც დიდად არ ინტერესდებოდა თუნდაც I ყრილობით და მხოლოდ გაზეთი „კომუნისტი" აღწერდა გაკვრით მიმდინარე პროცესებს (სუიცა ფ1547 საქმე 3: 55). ასევე არ ექცეოდათ ყურადღება ჩამორჩენილ ერებს, რომლებსაც რელიგიური წარმოდგენები საკმაოდ მყარად ჰქონდათ. მომხსენებელი ქუთაისის მაზრიდან აღნიშნავს: „გარდა ამისა, მე უნდა დავადასტურო, რომ ლიტერატურა ანტირელიგიური განსაკუთრებით, ნაციონალურ ენებზე არ არის. როდესაც ჩვენ გვეუბნებიან მუშაობის დაწყების შესახებ, ჩვენ უხერხულობას განვიცდით. არავითარი ფინანსური საშუალება არ მოგვეპოვება და რასაკვირველია უფულოდ რაიმეს დაწყება თუნდაც ჩვენს დარგში, ყოვლად შეუძლებე-ლია (სუიცა ფ1547 საქმე 3: 58). დელეგატების გამოსვლაში ირკვევა რომ მიუხედავად რიგი პრობლემებისა, თბილისის ორგანიზაციის რიგები 1929 წლისათვის ორჯერ გაი-ზარდა, 106 უჯრედი 11 000 წევრს მოიცავდა. ამდენად, ზემოთ აღნიშნული ფაქტი იმის შესახებ, რომ სამამულო ომის დაწყებამდე საქართველოს უღმერთოთა რიცხვი 15000 არ აღემატებოდაო, ნამდვილად უზუსტობაა. როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს მუკის წევრები, ორგანიზაციის კომპრომენტირების აცილების გამო გმობდნენ რეაქციულობას, მაგრამ კანონის არცერთი მუხლი მათს თავნებობას რელიგიის დარგში რათქმაუნდა არ დევნიდა. „მაგალითად ერთერთმა პირმა გამოიტანა ეკლესიიდან ხატები, ამოიღო რევოლვერი, დაუმიზნა ამ ხატებს და დაუწყო სროლა, და თან ძახილი: აბა თუ ძალა გაქვს გამოიჩინე" რასაკვირველია ამისთანა ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ ყოვლად დაუშვებელია. ხატის დახვრეტით ჩენ ვერაფერს ვერ მივიღებთ" (სუიცა ფ1547 საქმე 3: 62). მიუხედავად ამისა, ქვეყანა რომელიც ანტირელიგიური ფრონტის გაშლისას ყველა სფეროს თვით გასართობ საშუალებებსაც კი ამ მიზნითვე იყენებდა, ჟურნალ „უღმერთოს" ფურცლებზე, თვალსაჩინოების მიზნით, წარმოადგენდა „ანტირელიგიური ტირისთვის" განკუთვნილ „მიზანს", რომელზეც მუსულმანთა მოლა, ქრისტიანთა მღვდელი, კათოლიკე პადრე და ებრაელი რაბინი იყვნენ გამოსახულნი (უღმერთო, №18, 1928: 19). ყრილობაზე გამომსვლელთაგან მნიშვნელოვანია ერთერთი დელეგატის

მოხსენება, მან დასვა საკითხი, რომ „ცეკამ თითოეული პარტიის წევრი უნდა აიძულოს იყოს უღმერთოს წევრი" (სუიცა ფ1547 საქმე 3: 63). მათივე დაკვირვებით, ყრილობის დამსწრეთა თითზე საქორწილო ბეჭდის არსებობა, რელიგიურობის მანიშნებელი იყო. ყრილობის დელეგატები საქართველოში მრევლის არსებობას და საკმაო რაოდენობითაც არ უარყოფდნენ, და ამბობენ რომ მათ რიცხვს ბევრად ჩამორჩება ურწმუნოთა რიცხვი და ისინიც, ვინც ურწმუნო კადრებს უნდა ამზადებდნენ (სუიცა ფ1547 3: 63). მართლაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველი ანტირელიგიური უნივერსიტეტი სულ რაღაც 1928 წელს თვით მოსკოვში დაარსდა და ამის შემდეგ გაჩნდა აზრი სხვაგანაც დაარსებისა, მათ შორის თბილისში, გასაკვირი არაა კადრების ნაკლებობა „მუკის" შიგნით. ისევ კომუნისტები სოციალიზმის ქადაგებასთან ერთად, ანტირელიგიურობასაც ითავსებდნენ და ალბათ ამიტომაც თვლიდნენ ზედმეტად „მუკის" არსებობას. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც 1929 წლის საქართველოს „მუკის" I ყრილობამ მიიღო, ორგანიზაციული ნაკლოვანი მხარეების აღმოფხვრის მიზნით, წესდების შემოღება იყო, რომელსაც წევრების უსიტყვო მორჩილება უნდა მოეტანა. გამოცხადებული „უღმერთო ხუთწლედი" საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას მოიცავდა. საბჭოთა კავშირის ეკონომიკური მდგომარეობა მთელი რიგი პრობლემების გამო საკმაოდ არასტაბილური იყო. ათეისტურ მუშაობას რუსეთი ანტირელიგიური კომისიის გაუქმებით, მართლაც რომ მებძოლ უღმერთოთა კავშირისათვის კონტროლს უწესებს. ახალი ეკონომიკური პოლიტიკა და „კულტურული რევოლუცია" ყველა დარგს მოიცავდა, რათა ხალხში კოლექტივიზაციის საკითხის პოპულარულობა მოეტანა. მაგრამ უბრალო მასას არ ესმოდა კოლექტიური მეურნეობის არსი. „მუკის" წევრებს კი შესაბამისი ინსტრუქტაჟის შემდეგ, მარტივი წესითა და ხალხთან მუშაობის გამოცდილებით, შეეძლოთ მისი არსის მასისთვის გაცნობა. ლენინური დაკვეთით ეკლესიიდან ამოღებული ფული ახალი საბჭოთა ტიპის ადამიანის აღზრდას უნდა მოხმარებოდა, რომელთა შორის უამრავი ექიმი, არქიტექტორი, ინჟინერი, აგრონომი და ასობით სხვა პროფესიის წარმომადგენელი იქნებოდა. საბჭოეთის ერთერთი მონაპოვარი, კულტურული რევოლუციის შემადგენელი ნაწილი, უდაოდ არის უმაღლესი საგანმანათლებლო ჰუმანიტარულ, ტექნიკურ თუ ქიმია-ბიოლოგიური უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების და საერთოდ საუნივერსიტეტო ტრადიციის განახლება, აღორძინება. ახალი თაობის აღზრდის საქმეში, „მუკი" სვამდა პრობლემას და ამბობდა: „საქართველოში ბავშვთა შორის მებრძოლი უღვთოობის დანერგვას შემთხვევითი ხასიათი აქვს" (საქართველოს №1 1930: 4). უკვე 1930 წლისათვის, მუკის II ყრილობის

დროს, მთელი რიგი პრობლემებიდან ისევ ფინანსური პრობლემა და აგიტაციური მუშაობის არაინტენსიურობა იკვეთება. საინტერესოა ყრილობის მიერ მიღებული დადგენილება, რომლის მიხედვითაც „მუკის" რიგებში შემსვლელთა ასაკის დაბალი ზღვარი 14 წლით განისაზღვრა. სწორედ ამ ასაკიდან შეეძლო მოსწავლე-ახალგაზრდას კომკავშირის რიგებში შესვლა ოქტომბრელისა და პიონერთა რიგების გავლის შემდეგ. „მუკის" უჯრედების ქსელის ფართოთ გაშლისას, ამ უჯრედების მოწყობა უნდა ითავონ უპირველეს ყოვლისა სკოლების, პიონერ-პოსტებმა და პიონერკოლექტივებმა. სკოლებში "მუკის" უჯრედების მოწყობის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რომ უჯრედში იღებდნენ ისეთ ბავშვებს, რომლებიც უღმერთოებად თვლიან თავს და სურვილი აქვთ აქტიურად იმუშაონ უჯრედში. სოციალისტური შეჯიბრი მუკის სასკოლო უჯრედების და ნორჩ უღმერთოთა ჯგუფებს შორის ფართოდ უნდა ოყოს გამოყენებული. ამან უნდა უზრუნველჰყოს საუკეთესო შედეგები, განამტკიცოს ინტერნაციუნალური შედუღება ბავშვთა წრეებში, აქტიური ბრძოლის დროშის ქვეშ აწარმოოს ომი ყველა ჯურის მორწმუნესთან, კლასიკური სიფრთხილით შეურიგებელი ბრძოლა გაუწიოს ყოველ უცხო გავლენას და შექმნას უღმერთოთა ახალი კადრები" (საქართველოს №1 1930:8-9). თავად პიონერი, საბჭოთა კავშირში ისევ ლენინისეული დადგენილებით 1922 წელს დადგინდა მოსწავლეთათვის. ეს იყო გარდამავალი პერიოდი კომკავშირის რიგებამდე, რომლის შემდგომ, აუცილებელი კომუნისტური მანდატის მოპოვება ხდებოდა შესაძლებელი. თუ ვერ იქნებოდა მოსწავლე კარგი პიონერი, შესაბამისად ვერ გახდებოდა კომკავშირელი და შემდეგ კომუნისტი, მისთვის ყველა კარი იკეტებოდა. 1930 წლის ზაფხულში ჩატარებული მეორე ყრილობის მიღწევებს შორის, ჟურნალი „საქართველოს უღმერთო წერს: „1 ივნისს, უღმერთოთა კავშირის I ყრილობის მომენტში, 19 000 წევრი გვყავდა, ამჟამად მუკს ჰყავს 68 000 წევრი და 19 000 წევრი ნორჩი უღმერთო, რაც ერთი წლის განმავლობაში ორგანიზაციის 200%-ით გაზრდას ნიშნავს (სუიცა ფ1547 საქმე 3: 1). „მუკის" ცენტრალური საბჭოს მიერ ამჟამად დადგა საკითხი გამოარკვიოს, სრული და სწორი აღრიცხვა წევრებისა, სადაც ნაჩვენები იქნება წევრების სოციალურ-ნაციონალური მდგომარეობა, სქესი და პარტიულობა. შემდეგი ამოცანაა ანტირელიგიური კადრების მომზადება, მესამე ამოცანაა უღმერთო ბეჭდვითი სიტყვის გავრცელება „მუკის" წევრების მასებში შემდეგი ლოზუნგით: „მუკის" არცერთი წევრი არ უნდა დარჩეს ისე, რომ ჟურნალ „საქართველოს უღმერთოს" არ იწერდეს.." (საქართველოს №2-3 1930: 2) საქართველოს „მუკის" ფინანსური მდგომარეობა ამ დროისათვის კვლავ არადამაკმაყოფილებელია, რაც

ქვეყნის შიგნით არსებულ სოციალურ კრიზისს ასახავს. თუმცა რელიგიური ბრძოლა ქვეყნის შიგნით კლასობრივ ბრძოლაზე არანაკლები სიცხარით მიმდინარეობდა და შესაძლოა „მუკი" ფინანსური პრობლემებით ამ მხრივ წარუმატებლობის შენიღბვას ცდილობს. ყოველ შემთხვევაში, რუსეთის „მუკი" ამ მხრივ კრიზისს ნამდვილად არ განიცდიდა. უღმერთოთა კავშირი ისევ საჯაროობისა და დემოკრატიულობის პრინციპიდან გამომდინარე კრებდა საწევროებს, როგორც ჩანს, მასიური გაწევრიანების მიღმა, ორგანიზაციას იდეოლოგიური ბიძგი ესაჭიროებოდა და მოვალეობას თავის წევრებს სხვადასხვა ხერხით აკისრებდა. ჟურნალი „მებრძოლი უღმერთო" მოწოდებით მიმართავს თავის წევრებს: „საქართველოში არ უნდა დარჩეს არცერთი მშრომელი წყალქვეშა ნავის, „მებრძოლი უღმერთოს" ასაგებ ფონდში თავისი წვლილის გაუღებლად" (მებრძოლი №1, 1930: 1). იგივე თემის ირგვლივ, იმავე საგაზეთო პუბლიკაციიდან ირკვევა: „წყალქვეშა ნავის „მებრძოლ-უღმერთოს" სახსრების შემგროვებელი სრულიად საკავშირო ცენტრალურ შტაბის თავმჯდომარეს, ამხანაგ ოლეშჩუკს, ქვემოთ მოყვანილი ტელეგრამა, რომლიდანაც ჩანს რომ, მთელს საბჭოეთში სახსრების მოპოვების მუშაობაში, საქართველომ პირველი ადგილი დაიკავა. „საქართველოს უღმერთოებმა აჩვენეს, თუ როგორი ტემპით უნდა იმუშაონ უღმერთოებმა, რათა უფლება მოიპოვონ ატარონ მებრძოლების სახელწოდება და თუ როგორ უნდა განგვიმტკიცონ ჩვენი სოციალისტური ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა (მებრძოლი №1, 1930: 11). კომუნისტური წყობილების მიერ დასახული ეგრეთწოდებული ხუთწლედები, ხანდახან ოთხწლედში დასრულებას ისახავდა მიზნად. „დავაჩქაროთ უკლასო საზოგადოების აგება, ამ ამოცანას სჭრის ხუთწლედის 4 წელში დასრულება და მეორე ხუთწლიანი გაგმის გამომუშავება განხორციელება" (მებრძოლი №3, 1932: 1). ანტისაღდგომო კამპანიის თეზისებში (სუიცა ფ1547 საქმე 165: 1) გადაწყვეტილებების თანახმად „მუკის ორგანიზაციები ანტირელიგიური კამპანიის ჩატარების დროს მომსახურეობდნენ უმთავრესად უღმერთოებს იმ დროს, როდესაც მათ მთავარი ყურადღება უნდა მიექციათ მორწმუნეებისათვის, კერძოდ განსაკუთრებით ახალმუშებისათვის, კოლმეურნეობისათვის და ქალებისათვის. ქალთა შორის ჩატარებულ უნდა იქნას სპეციალური მასიური მუშაობა საუბრების, მხატვრული და საოჯახო საღამოების და სხვა მოწყობის სახით. ანტისაშობაო კამპანია უნდა ჩატარდეს ორგანიზაციულად, სოციალისტური შეჯიბრის გაშლის ადგილებზე კამპანიის მსვლელობის რაც შეიძლება ხშირად შემოწმების ნიშნის ქვეშ. უჯრედებმა ყურადღება უნდა მიაქციონ დღესასწაულებში და მათ შემდგომ დღეებში, დამკვრელ ბრიგადების და დამკვრელი კოლმეურნეობების, საბ-

ჭოთა მეურნეობების, რადიო-დადგმების, ქოხ-სამკითხველოების მოწყობას. ახალი წევ-რების სკოლაში 100%-იან დასწრებას, როგორც სკოლაში, ისე სახლში, სააღდგომო მზადება-მოწყობაზე უარის თქმას" (ჯავახიშვილი 1984: 2). უღმერთოები მი-მოიხილავდნენ ქრისტიანულ და სხვა მნიშვნელოვან რელიგიურ დღესასწაულებს, რის შედეგადაც მაგალითად აღდგომაზე წერენ: „აღდგომა, რომელიც გარდამავალი დღესას-წაულია და იგი დღენიადაგ ხეტიალობს" (მებრძოლი №4, 1932: 3) და აღინიშნება მარხვით, აღსარებითა და ზიარებით, თანამედროვე მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ იესო ქრისტეს დედამიწაზე არასოდეს უცხოვრია და მაშასადამე მას არ შეეძლო მომკვდარიყო და გაცოცხლებულიყო. რადგან იესო ქრისტე არ ყოფილა მაშასადამე არ ყოფილა მისი შესვლაც იერუსალიმში, ე.ი. ბზობის დღესასწაულიც ავტომატურად უქმდება." თეზისების მიხედვით ყველა დროისა და ერის ისტორიის ზნეობრივი კრიტე-რიუმების ამოსავალი წერტილი, უძველესი ათი მცნება, ანუ სულიერი კოდექსი, ქილიკისა და დაცინვის საგანია. ერთერთ „ანტისაშობაო მასალებში" რომელსაც „მუკი" გამოსცემდა, გარდა იმისა რომ გაყალბებულია ბიბლიური თარიღები, ქრისტიანული მო-ძღვრება საერთოდ ანტიმეცნიერულ და საშიშ წარმონაქმნადაა მიჩნეული. „არ შეიძლება იყოს ისეთი რელიგია, რომელიც არ აფერხებდეს მეცნიერულ წარმოდგენათა განვითარებასა და მშრომელთა განათლებას" (ქრისტიანობა 1936: 69). იქვე: „ეს იყო პირ-ველ ყოვლისა მონების რელიგია, ქრისტეანობა კერძო საკუთრების წინააღმდაგ არ ამხედრებულა, პირიქით, იგი ადასტურებდა და მხარს უჭერდა მას. იესოს მოძღვრებაც სავსეა წინააღმდეგობებით, და არეულია, ერთის მხრივ იესო დახატულია როგორც ბოროტების არამოწინააღმდეგე, როგორც უდიდესი შემთანხმებელი, მეორეს მხრივ, იგი ბრძოლას ქადაგებს. „მათესაგან სახარებაში იესო ამბობს: „ნეტარ არიან მშვიდობოს მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდნენ" (V. 9). „არა წინააღუდგე ბოროტებას" (V. 31) და იქვე უმატებს: „მოვედ არა მოფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა" (X. 34). ამ წინააღმდეგობა შეუსაბამობათა და შეცდომათა გამო, ცხადია სახარებას ვერ მივიჩნევთ ისეთ დოკუმენტად, რომლის მიხედვით, შეგვეძლო გვეთქვა, რომ ქრისტე ნამდვილად არსებობდა" (ქრისტიანობა 1936: 103-104). კონტექსტიდან ამოგ-ლეჯილი, სახარების სულიერი შემეცნების ნამდვილი გამომჟღავნების მაჩვენებელი ასეთი დასკვნა ბევრს ვერაფერს მეტყველებს, მაგრამ ნაკლებად გათვითცნობიერებული და რეალურად წერაკითხვის უცოდინარი დაბალი ფენა, იოლად ექცეოდა გავლენის ქვეშ.

მებრძოლ უღმერთოთა კავშირის მუშაობა მთლიანად იყო დამოკიდებული იმ პოლიტ-ეკონომიკურ პროცესებზე, რომლებიც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა. რაც მთავარია 20-30-იან წლებში, ორგანიზაციაში ჩართულთა რაოდენობა, მაინც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ქვეყანაში პარალელურ რეჟიმში „კულტურული რევოლუციის შემადგენილი ნაწილი, სოციალისტური განვითარებისათვის აუცილებელი და იდეურად ყოველგვარი კერძო საკუთრების საწინააღმდეგო ეკონომიკური პროგრამა, კოლექტივიზაცია, განხორციელებულიყო.

§2. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი" და კოლექტივიზაციის საკითხი

„კულტურულ რევოლუციაში" „მერძოლ უღმერთოთა კავშირის" როლი სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, უპირველეს ყოვლისა საყოველთაო საბჭოთა კოლექტივიზაციის პროცესის გაშლამ განსაზღვრა, რომელიც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ვინაიდან კავშირი ძველ ტრადიციულ რელიგიებს უპირისპირდებოდა და ახალი ადამიანის, აზროვნებისა და წყობილების დამყარებას ემსახურებოდა, ბუნებრივია, განზე ვერ დადგებოდა ამ პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპის – კოლექტივიზაციის განხორციელების მუშაობის საქმეში.

საყოველთაო საბჭოთა კოლექტივიზაციის გაშლამ განაპირობა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე იმ კავშირის არსებობა, რომელიც თავისი არსით, უპირისპირდებოდა ძველ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს, ამიტომაც იგი ვერ იქნებოდა ცალკე, კოლექტივიზაციის განხორციელების საკითხში, უფრო მეტიც „მუკი" სწორედაც რომ ის იარაღია, რომელმაც გააიოლა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესი საბჭოთა ერების სინამდვილეში. სხვადასხვა ერებს შორის არსებული განმასხვავებელი რელიგიური აღმსარებლობა ხომ არა მხოლოდ კულტურულ-ისტორიულ, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ ფონზეც რეალურ გავლენას ახდენდა. შესაბამისად, თამამად შეიძლება საუბარი ამ ორგანიზაციის, როგორც სოციალური რეფორმის გატარების, ასევე საბჭოთა კავშირის ძირითადი, ანტირელიგიური კურსის დანერგვის უდაოდ მნიშვნელოვან და წარმატებულ საშუალებაზე.

საბჭოთა პრესა ხშირად აღნიშნავდა, რომ გლეხობის ჩამორჩენილობა, რწმენა–ელვის, წვიმისა და გვალვის ღვთიურ წარმომავლობაზე და როგორც მოვლენილ

სასჯელზე, ხელს უშლიდა საბჭოთა სოფლების მეურნეობის განვითარებაში კვალიფიციურ აგრონომებისა, თუ სხვა პროფესიის წარმომადგენელთა მონაწილეობას. საბჭოთა მთავრობა, იქიდანგამომდინარე, რომ კონკურენცია საბაზრო ეკონომიკისა და თვით კაპიტალისტური წყობის ამოსავალი წერტილია, უარყოფდა მას, თუმცა თავად, სოციალისტური პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად, სოცშეჯიბრებსა და სხვადასხვა გარდამავალ ორდენებს იგონებდა, ჯილდო წამახალისებელი ფაქტორი უნდა გამხდარიყო ყველა სახის მეურნეობაში და განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის დარგებში. იდგომა, „ხუთწლედი ოთხ წელში" ყველა სფეროს ეხებოდა. „ობშჩინური" დამოკიდებულებით, რაოდენობა, საბჭოთა პროდუქციის უმეტესი ნაწილის ხარისხზე, ნამდვილად არ მეტყველებდა. სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი აზროვნების დანერგვით, ერებში სამოქალაქო აზროვნების უნარი დაიკარგა და საერთო საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება ჩამოაყალიბა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, მიწის ნაციონალიზაციის შედეგად, რუსეთის გლახობამ უსასყიდლოდ მიიღო 150 მილიონი ჰექტარი მიწა. მხოლოდ მემამულეთა მიწების გადასვლა გლეხების ხელში საკმარისი არ იყო. „გამოსავალი – წერდა ლენინი, – მხოლოდ მიწის საზოგადოებრივი დამუშავებაა. კომუნები, საარტელო დამუშავება, გლეხთა ამხანაგობანი, აი სად არის ხსნა წვრილი მეურნეობის არახელსაყრელობისაგან, აი რა არის მეურნეობის, ძალთა ეკონომიისა და კულაკობის, მუქთახორებისა და ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება" (ლენინი ტ. 2-ე, 1962: 201-203). ლენინისეულმა მოწოდებამ შედეგი გამოიღო, ძალით თუ ნებით, ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს დაიწყო ბრძოლა სამიწათმოქმედო კოლექტიური მეურნეობის შესაქმნელად, ჩამოყალიბდა კომუნები, 1927 წლისათვის სსრკ კოოპერატივებში გაერთიანებული იყო 9468,2 კაცი, სოფლის მეურნეობაში კი გლეხური მეურნეობის 32%-ი (ლენინი ტ. 2-ე, 1962: 480-481). მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, საქართველოში 1921 წლისათვის სულ 2 კომუნა, 33 მშომელმწარმოებელთა ამხანაგობა, 1338 კომლით და 1475 დესატინა მიწით. მატერიალურ ტექნიკური ბაზის არარსებობდა ამხანაგობის დაშლას იწვევდა, თუმცა 1926 წლისათვის ამხანაგობათა რიცხვმა 58-ს მიაღწია (ლენინი ტ. 2-ე, 1962: 481). ამგვარი დანაწევრება პროგრესს ვერ უზრუნველყოფდა, ამიტომ პარტიის მიერ აღებული კურსით, XV ყრილობაზე გადაწყდა, რომ გლეხები ნებაყოფლობითგაერთიანებულიყვნენ მსხვილ, კოლექტიურ მეურნეობებად. გაჩნდა შესაბამისიდაინტერესება, დაიწყო კოლექტივების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა სასოფლო სამეურნეო ტექნიკით. გამოცხადდა პირველიხუთწლედი. აღნიშნული ხუთწლედი 1929 წელს, მებრძოლ

უღმერთოთა კავშირის მიერ გამოცხადებულ „უღმერთო ხუთწლედს" ემთხვევა. თავად „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" ლიდერები, რომლებიც პირნათლად ემსახურებოდნენ თავიანთ საქმეს, პერიოდულ პრესაში მნიშვნელოვან წარმატებებზე საუბრისას აღნიშნავდნენ: „მშრომელთა დიდი ნაწილი სსრკ-ში არ შეხვდება შობას, რადგან, გარდა იმისა, რომ იციან ქრისტეს არარსებობის შესახებ, მათ გაიუმჯობესეს თავიანთი მატერიალური პირობები და აღარ საჭიროებენ რელიგიას. ჩვენ ვაქარწყლებთ შობის ლეგენდას იმიტომ, რომ დავეხმაროთ მშრომელებს თავიანთი მიზნების განხორციელებაში, რათა მათგან ნამდვილი სოციალისტი დადგეს. ძირს ცრუ და ფარისევლური შობის ლეგენდა. გაუმარჯოს ბრძოლას საერთაშორისო პროლეტარიატისთვის. სტალინისა და კომუნისტური ინტერნაციონალიზმის ხელმძღვანელობით წინ მსოფლიო სოციალიზმის გამარჯვებისაკენ" (უღმერთო, ნოემბერი, 1934: 3).

ქვეყნის ახალმა კურსმა და „კულტურულმა რევოლუციამ" სხვა საბრძოლო ამოცანებთან ერთად, კლასთა ბრძოლაც დაისახა მიზნად და შეუდგა კულაკობის, როგორც სოციალური ფენის ლიკვიდაციას. მეფის რუსეთის მიერ გატარებული საგლეხო რეფორმის შედეგად 1861 წლის შემდეგ, სოციალური ფენა ანუ კულაკობა როგორც ძველი წყობილების გადმონაშთი, კოლექტივიზაციის მთავარ შემაფერხებელ ძალად გამოცხადდა. მითუმეტეს რომ ეს ფენა საკმაოდ დიდ სიმდიდრეს ფლობდა, მონაცემების მიხედვით, კულაკებზე, როგორც ექსპლუატატორებზე მოდიოდა სასაქონლო პურის წარმოების 50%-ი, ისინი ფლობდნენ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს, ფუნდუკებს, ეწეოდნენ მევახშეობას. სტოლიპინისეული რეფორმით მათი მდგომარეობა გამყარდა(ქსე 1983: 64-65), სამაგიეროდ კი წარმოიქმნა მცირემიწიანი და უშემოსავლო გლეხობა, რომელიც იძულებული იყო ექირავა მიწა და ეხადა გადასახადები. ბუნებრივია კომუნისტების მოსვლის შემდეგ, კულაკები როგორც „ექსპლუატატორები" და სოციალიზმისათვის საშიშნი, ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათი საერთო ფენისგან განსხვავებული მატერიალური კეთილდღეობა სოციალიზმს ეწინააღმდეგებოდა. კულაკი, როგორც დამქირავებელი, ვერაფრით გახდებოდა კომუნისტური წყობილების შემადგენელი ნაწილი. ლენინისეული მოწოდება გავანადგუროთ კულაკობა, ბუნებრივია მათს ფიზიკურ ლიკვიდაციას გულისხმობდა. სხვანაირად კულაკთა ქონება ექსპროპრიატორ კომუნისტებს ხელში ვერ ჩაუვარდებოდათ. ამიტომ, გაჩნდა კლულტურულ რევოლუციაში პუნქტი, რომელიც ყველა იმ ფენის „აღზრდას"

ისახავდა მიზნად, ვინც სოციალიზმის მშენებლობას სავარაუდოდ თავისი წარმომავლობის გამო იდეურად დაუპირისპირდებოდა. მათ შორის მოხვდა ეკლესია და სამღვდელოება. მატერიალურად უზრუნველყოფილ კულაკობას, ისევე როგორც სამღვდელოებას კომუნისტების წინააღმდეგ კონტრრევოლუციურ ბრძოლაში დასდეს ბრალი. მითუმეტეს, რომ პურის წარმოების მონოპოლმა, კულაკურმა ფენამ 1927-1929 წლებში მოაწყო პურის გაფიცვა და სახელმწიფოს მისთვის სასურველ ფასში არ მიაწოდა პურ-პროდუქცია. ქვეყანა შიმშილმა მოიცვა. როგორც ჩანს კულაკები, რომლებიც რევოლუციამდე 80 მლნ ჰა მიწას ფლობდნენ, რევოლუციის შემდეგ კი 30 მლნ. ჰა მიწა დარჩათ, კერძო წარმოების შესაბამისად მაინც ახერხებდნენ ქვეყანაზე ეკონომიურ პროცესებში გავლენის მოპოვებას. მათი ასეთი ქმედების კონტრრევოლუციურად და ანტისაბჭოურად გამოცხადებას წინ არაფერი აღუდგებოდა. ქვეყნის მაშტაბით, დამშეული გლეხობა, რომლებმაც სასურსათო ბრიგადებიც კი ჩამოაყალიბეს პროდუქტების ნებისმიერი სახით მოპოვების მიზნით, კულაკობის მხრიდან შეიარაღებულ წინააღმდეგობას იღებდნენ. კოლექტივიზაცია კულაკობისთვის მიუღებელი იყო. სახელმწიფომ მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც 1930 წლიდან აიკრძალა იჯარა და დაქირავებული შრომა, კულაკების ქონება კონფისკაციას დაექვემდებარა, კულაკები კი „მოურჯულებლობის" შემთხვევაში ლიკვიდირებას. 240 ათასი ოჯახი გადასახლებულ იქნა, მათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ 1936 წელს მიენიჭათ. გადასახლებიდან დაბრუნებული კულაკობა იძულებით ჩაება კოლექტიურ მეურნეობაში(ქსე 1983: 64). მათ მიერ დაგროვილი თანხა ინფლაციას შეეწირა, რაც ახალმა ფულის რეფორმამ მოიტანა. ეს კი კომუნისტური მთავრობის კარგად ნაცად ხერხს წარმოადგენდა.

საქართველოში, დემოკრატიულმა მთავრობამ ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, თავის დროზე მოახერხა ქართული ეროვნული ფულის, ბონის ემისია. თუმცა, როცა საბჭოთა რუსეთმა ქვეყნის ოკუპაცია მოახერხა, ქართულ ბონებს მანეთი ჩაუნაცვლა, რის შედეგადაც, უკვე „იძულებით გასაბჭოების წლისთავისათვის, ქართული მანეთის კურსი 100-ჯერ დაეცა" ამის შესახებ მაშინდელი პრესა წერდა: „ფულის გაიაფება საქართველოს რესპუბლიკაში საშინელია. ამ დებულებას ვერავინ ვერ უარყოფს. მის შედეგებს თითოეული მოქალაქე ყოველდღე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობსო", წერდა დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ყოფილი მოადგილე სიმონ ავალიანი. ''1922 წლის მიწურულიდან, საბჭოთა რესპუბლიკებმა ვეტო დაადეს ევროპასთან ვაჭრობას. მთავარი მიმწოდებლის

პრეროგატივა საბჭოთა რუსეთმა იგდო ხელთ, ამან გამოიწვია საქართველოს, როგორც სატრანზიტო სახელმწიფოს თვალსაჩინო როლის ნიველირება სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის და საბოლოო ჯამში, ქართული მანეთის გაუფასურების ტემპის დაჩქარება" (ომეგა' №8, 2000: 91).

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველო, რომელიც ბოლშევიკური მთავრობის დადგომამდე განსხვავებულ პერსპექტივებს ფლობდა, თანდათან კარგავდა ყველა განმასხვავებელ ნიშანს და სოციალიზმის მშენებლობაში იმ როლს კისრულობდა, რომელსაც მას ბოლშევიკური მოსკოვი მიაკუთვნებდა. მითუმეტეს, ლენინის მთავრობას, კოლექტივიზაციის სახით ახალი ეკონომიკური კურსი და გეგმა გააჩნდა. შესაბამისად, დაიწყო მისი გეგმაზომიერი განხორციელება, რომელსაც ლენინის გარდაცვალების შემდეგ, უკვე სტალინი ახორციელებდა. საქართველო, როგორც ისტორიული ქვეყანა, რომელმაც განვითარების ყველა ეტაპი გამოიარა გაცილებით მეტად საჭიროებდა უზურპატორულ დამოკიდებულებას და საბჭოთა ხელისუფლება გეგმაზომიერად ახორციელებდა აღნიშნულ პოლიტიკას. სხვანაირად ქართველი ერის მართვა გაჭირდებოდა და ვერც უძველესი მიწათმოქმედი ერის შეგნებაში დაილექებოდა ახალი, სოციალისტური იდეით განპირობებული საერთო-კოლექტიური სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების აუცილებლობა.

„სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციით (1927-1933) და ახალი სოციალური უჯრედის – კოლექტიური მეურნეობის შექმნით, იოსებ სტალინმა თავისი სოციალური სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი აქცია რეალობად. 1) ეკონომიკურად და სოციალურად გათანაბრებულ სოფელში სოციალური აფეთქების საფრთხე მოიხსნა, რუსული სოფელი დაწყნარდა და მისთვის დამახასიათებელ მშვიდ ცხოვრებას შეუდგა. 2) მოისპო ეკონომიკური საფუძველი ახალი სოციალური დიფერენციისათვის, ე.ი მოისპო სოფლად ახალი სოციალური კონფრონტაციის საფუძველი. 3) შიმშილობისათვის განწირული გლეხობის მრავალმილიონიანმა მასამ მიიღო მყარი სოციალური გარანტია: სამუშაო ადგილი და არსებობისათვის აუცილებელი ეკონომიკური სახსარი. ასევე სხვა სოციალური გარანტიები (გურული 2000: 55).

კოლექტივიზაცია, როგორც მოვლენა, საბჭოთა კავშირის ისტორიის მიხედვით აბსოლუტური წარმატებით დაგვირგვინდა. უკვე 1937 წლისათვის, კოლმეურნეობები აერთიანებდნენ გლეხური მეურნეობის 93%-ს კოლექტიური მეურნეობის დამსახურებად

ცხადდება ასევე მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვება. საბჭოური ის-ტორიის ტენდენციურობას, არაერთი ფაქტი ადასტურებს. კლასობრივ ბრძოლას, ისევე როგორც ანტირელიგიურ პროპაგანდას მსხვერპლის გარეშე არ ჩაუვლია. გადასახლებულებისა და დახვრეტილების ოჯახები რეაბილიტაციის გარეშე საზოგადოების მხრიდან ირიყებოდნენ. სტალინი, რომელიც, კულაკების, როგორც სოცი-ალური ფენის მოსპობის საკითხს აყენებს, თვლიდა, რომ ამ პროცესში სწორედ ქრის-ტიანობას და გლეხობას უნდა ეთამაშა გადამწყვეტი როლი.

აგიტაცია-პროპაგანდისტურ ლიტერატურით აღჭურვილ ''მებრძოლ უღმერთოთა კავშირის'' უჯრედის მუშაკებსა თუ სხვა უწყებებს, მათ შორის საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებასა და ''საქართველოს ურწმუნოთა საზოგადოებას'', ევალებოდათ მიზანმიმართული ანტირელიგიური კამპანიის წარმოება. აღნიშნული ორგანიზაციის მუშაკებისთვის შექმნილ ბუკლეტებსა და გამოცემებში მთელ რიგ ანტირელიგიურ სააგიტაციო მასალას ვკითხულობთ: ''რელიგია აფერხებს კულტურულ მშენებლობას'', მორწმუნე გლეხი უარს ამბობს აგრონომის დახმარებაზე და რჩევას სთხოვს ხუცესს, მორწმუნე ავადმყოფი არ იღებს ექიმს, არამედ იწვევს მკითხავს, ამრიგად, რელიგია ქმნის სიღატაკეს, სიბინძურეს, ცრურწმენას და უმეცრებას''.

„საკოლმეურნეო მოძრაობის გაშლის პერიოდიდან დაწყებული მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ორგანოების მუშაობა განსაკუთრებით დაძაბული ხდება... 1931 წლის დასაწყისისთვის, სამხრეთ საქართველოს რაიონების (ბორჩალოს, ლუქსემბურგის, ბაშკიჩეთის, ყრაიაზის, იორ-მუღანლოს) კულაკების უარყოფითი პოლიტიკური განწყობილებები განსაკუთრებულ საშიშროებას ქმნიდა, ვინაიდან ამ ადგილებში დიდი რაოდენობით ჰქონდათ უნებართვო იარაღი. ამ პერიოდისათვის კულაკებისა და სხვა ანტისაბჭოური ელემენტების საქმიანობა გამოიხატა განსაკუთრებით საშიშ ფორმებში, აშკარად მოუწოდებდნენ შეიარაღებული ამბოხებისაკენ''(ინაური 1987: 103-105). კულაკების წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი პოლიტიკური კურსი იყო. 1931 წლის იანვარ-თებერვალში, საქართველოს სამხრეთულ რეგიონებში, კულაკური მღელვარების ჩასახშობად, მთავრობამ სპეციალური რაზმები მიავლინა. განხორციელდა „აღნიშნული რაიონების ბანდიტების განიარაღების ოპერაცია. შეკრებილი მასალით აქ იარაღის 3500 ერთეული და დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა იყო თავმოყრილი. გარდა ამისა, საჭირო იყო

635 კონტრრევოლუციონერისა და ანტისაბჭოთა ელემენტების შეპყრობა, 7 პოლიტიკური ბანდის ლიკვიდაცია. ოპერაცია სრული წარმატებით დასრულდა. რესპუბლიკის სამხრეთ რაიონების გლეხობის განწყობილებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. საშუალო გლეხობა გამოითიშა ბანდიტურ-კულაკური ელემენტების გავლენისაგან, მოხდა აქტივიზაცია მოსახლეობის ღარიბულ-მოჯამაგირული ფენისა, რომელიც დაიძრა კოლმეურნეობისაკენ და ხელისშემწყობი გახდა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტის განმტკიცებისა. აღნიშნული ოპერაცია ასეთი შედეგით დასრულდა: მოსპეს 7 ბანდა, ამოიღეს იარაღის 3911 ერთეული, გაანეიტრალეს 639 კონტრრევოლუციონერი და ანტისაბჭოთა ელემენტი. აქედან 523 გადაასახლეს, 30 მოკლეს სროლის დროს, 84 დააპატიმრეს''(ინაური 1987: 105-107).

ამგვარი ოპერაციები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეც ერთდროულად მიმდინარეობდა, სათავეში ედგა საქართველოს მთავარი პოლიტიკური სამმართველო, რომელსაც ტ.ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა. პარტიული კურსის განხორციელების მიზნით, იგი „ყველგან აწარმოებდა ოპერაციებს, რომელიც მიზნად ისახავდა „ღარიბი და საშუალო გლეხობის მოწყვეტას კულაკურ-ბანდიტურ ელემენტებისაგან'' (ინაური 1987: 107). საბჭოური ჩეკას ჩართვა კოლექტივიზაციის განხორციელების საქმეში შემთხვევითი როდია, იქ სადაც „მუკის'' სააგიტაციო მუშაობა არ ჭრიდა, რაღათქმაუნდა ძალისმიერ ჩარევას საჭიროება მოითხოვდა. შედეგად, მიღებულ წარმატებას საბჭოური პერიოდის ისტორიოგრაფია ასე მიმოიხილავს: „ამ პერიოდისათვის საბჭოთა კავშირში უკვე არსებობდა საკმაო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იმისათვის, რომ ბოლო მოღებოდა კულაკობას და მისი წარმოება შეცვლილიყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით'' (საქართველოს 1976: 524). ამიერკავკასიისა და მოსკოვის ოლქები საბჭოთა მთავრობამ კოლექტივიზაციის განხორციელების ტემპების მიხედვით მესამე კატეგორიაში შეიყვანა. როგორც ამ რეგიონების სოციალური ფენების სიჭრელე და აქედან გამომდინარე მოსალოდნელი წინააღმდეგობა, საბჭოთა ხელისუფლებას სიფრთხილეს აიძულებდა, თუმცა დასახული ხუთწლედები ყველა რეგიონისათვის იდენტური იყო. ამიტომ „მუკის'' ხუთწლედის არანეკლებ გააქტიურება, კავკასიის კოლექტივიზაციის ხუთწლედს ჩაენაცვლა. საქართველოში ისევე როგორც სხვა ნაყოფიერ რესპუბლიკებში, კულაკების პარალელურად გლეხთა საშუალო ფენაც არსებობდა, რომელიც დანარჩენებთან შედარებით არსებობისათვის საჭირო

სახსრებს მეტად ფლობდა. ამის გამო, მთელ რიგ რაიონებში, ერთმანეთში ურევდნენ კულაკსა და საშუალო გლეხს, რის შედეგადაც ხშირად განკულაკების მსხვერპლი ხდებოდა საშუალო გლეხი" (საქართველოს 1976: 527). მაგრამ თუ გავითვალისწინებით, რომ თვით ჩეკას მიერ დასახული მიზნით, ღარიბი და საშუალო გლეხობა უნდა მოწყვეტილიყო კულაკურ ბანდიტურ ელემენტებს" (ინაური 1987: 107), შესაძლოა განკულაკების ეს ელემენტი, მიზანმიმართული იყო საერთოდ გლეხობისა და ქრისტიანების დასაშინებლად.

პარალელურად „მუკი" თავის სააგიტაციო მუშაობას ეწეოდა, რომელიც არცთუ უმნიშვნელო იყო. მალაქია ტოროშელიძე თავის გამოსვლაში აღნიშნავდა „რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი, ჩვენს პირობებში, „კულტურული რევოლუციის საკითხია, მხოლოდ რადგანაც თვით კულტურული რევოლუციის საკითხიც არ დგას განყენებულად, არამედ წარმოადგენს თვით საბჭოთა მშენებლობის შედეგს და ამავე დროს, მის პირობას, აშკარაა რომ ანტირელიგიური საქმიანობა ორგანული ნაწილია ერთ მთლიან კულტურულ ფრონტისა და სოციალისტური მშენებლობისა" (სუიცა ფ1547 საქმე 3: 8). „დღეს კაპიტალისტურ ქვეყანაში, კულტურულად მაღლა მდგომ ფენებში რელიგია არ სუსტდება და ამნაირად მარტო კულტურა რელიგიის შესუსტებას არ შველის. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ვის ხელშია ეს კულტურა" (სუიცა ფ1547 საქმე 3: 13).

„მებრძოლ უღმერთოთა კავშირი" კოლექტივიზაციისა თუ კულტურული რევოლუციის წარმართვის საკითხში იდეოლოგიური ფრონტის წარმმართველ ძალად გვევლინება. სხვანაირად ვერ აიხსნება ასეთი ორგანიზაციის არსებობა საბჭოთა კავშირის ძალოვანი სტრუქტურების პარალელურად. კონფესიური სიჭრელე, საქართველოში მუშაობას გაცილებით რთულს ხდიდა. მაგალითად კათოლიკური სამ-ყარო, რომელიც საბჭოთა კავშირის იდეური მტერი იყო კაპიტალისტური წყობიდანაც გამომდინარე, გარკვეულ მხარდაჭერას უცხადებდა საქართველოს სამხრეთ რეგიონში მცხოვრებ კათოლიკეებს, ამიტომ საჭირო იყო მასებამდე ამ სამყაროს ანტისაბჭოური განწყობილების გამომზიურებაც. „კათოლიკეთა სამღვდელოება საქართველოში იდეოლოგია კულაკობის და წვრილ-ბურჟუაზიისა და მასთან ერთად გამოდის გლე-ხობის სამეურნეო ცხოვრების რეკონსტრუქციის წინააღმდეგ. კათოლიკეთა სამღვდელოება აღფრთოვანებული იყო ვატიკანის მხრივ იდეური და ფულადი დახმარებით, მეტადრე 1929 წელში, როცა ასეთი დახმარება უფრო გაუდიდდა, ხარბად

იტენავდა ჯიბეს დოლარებით და სპეკულაციას ეწეოდა შავ ბაზარზე. იყო შემთხვევები, როცა ხუცები ურჩევდნენ გლეხობას უარი ეთქვათ თავიანთ დადგენილებაზე კოლექტივიზაციაზე გადასვლის შესახებ. სამღვდელოების კადნიერება იქამდისაც კი მიდიოდა ხანდახან, რომ ცდილობდნენ აებნივნათ კოლექტივის ცალკე ხელმძღვანელები, უღმერთოობასთან ბრძოლის მიზეზით ათასგვარ შეურაცხყოფას აყენებდნენ იმათ ეკლესიის კათედრიდან. კოლმეურნეობის წინააღმდეგ ხუცების გააფთრებული ბრძოლა კიდევ იმით აიხსნება, რომ ისინი თავის ქონებრივი მდგომარეობით კულაკები არიან, აქვთ წისქვილები, ვენახები, ჰყავთ საქონელი, ეწევიან მევახშეობას და შეუბრალებლად ჰყვლეფავენ გლეხობას" (საქართველოს №2-3: 15). უმთავრესი კურსი მთავრობის მხრიდან კოლექტივიზაციის ხაზით, ხარვეზებითა თუ უამრავი ადამიანური რესურსების დანაკლისით მაინც ხორციელდებოდა. კულაკობის, როგორც კლასის მავნებლობა საბჭოთა ლიდერებისათვის ჯერ მარტო მათ ხელში პურპროდუქტების ფლობის უდიდესი პროდუქტი შეადგენდა. მათი ხელში ჩაგდებით, საბჭოთა მთავრობამ კოლექტივიზაციისათვის საჭირო მძიმე მრეწველობის გასავითარებელი ვალუტა საზღვარგარეთიდან, სწორედ რომ პურის ექსპორტით განახორციელა(საქართველოს 2003: 133). ამიტომაც, „მუკის" ორგანიზაციის ლიდერები თვლიდნენ, რომ მის წევრებს აქტიურად უნდა ემუშავათ კოლმეურნეობაში, რათა აღმოეფხვრათ კოლექტივიზაციის უმთავრესი მტერი, რელიგია. „სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია სრულებით ცვლის თანამედროვე სოფლის სახეს. წვრილ და უწვრილეს მეორნეობებად დაჭრილ დაქუცმაცებული ჩვენი სოფლები ჩვენ თვალწინ გადაიქცევა მძლავრ სოციალისტურ მეურნეობად. მაღლა იწევს სოფლის კულტურული დონე, ისპობა გლეხობის კლასიკური დაყოფა, ამასთან ერთად ეცემა ეკლესიის მოციქულების რელიგიური გავლენა. რასაკვირველია შედის რა კოლმეურნეობაში გლეხი, მაშინვე ვერ იძენს სოციალისტურ მსოფლმხედველობას, იგი მაშინათვე და ერთბაშად ვერ თავისუფლდება მესაკუთრეობრივი ტრადიციისა და ჩვეულებისაგან, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ კოლმეურნეობის წევრი უკვე სოციალისტად გადაიქცა, მიუხედავად ამისა როგორც ამბობს ამხ. სტალინი, კოლმეურნეობები წარმოადგენენ სოციალისტურ საწარმოოს, კოლმეურნეები კი პარტიის ნამდვილ, მტკიცე დასაყრდენს სოფლად. კოლმეურნეობებში შედის გლეხობის უფრო მოწინავე, უფრო წიგნიერი ნაწილი, რომელიც ყველაზე ნაკლებ დაავადებულია რელიგიური გაბრუებით და ძველი ჩვევებით. ასეული უღმერთო კოლმეურნეობების არსებობა, რომლებმაც სრულებით გაწყვიტეს კავშირი რელიგიასთან, მჭერმეტყველურად ამტკიცებს კოლექტიურ მეუნეობების, როგორც რელი-

გიასთან ბრძოლის საიმედო გზების როლს... დიდ რელიგიურ დღესასწაულებს სულ უფრო და უფრო ნაკლებ და ნაკლებ უთმობენ კოლმეურნეობები, უკვე ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა რომ კოლმეურნეების დიდი უმრავლესობა გამოდის სამუშაოდ აღდგომის, შობის და სხვა დიდი დღესასწაულების დღეებშიც, არ მიმართავენ ხუცებს, უარს ამბობენ რელიგიურ ნათვლაზე, ქორწილზე, დამარხვაზე და პარაკლისზე, კოლმეურნეების სახლების დიდი რიცხვი იწმინდება რელიგიური ხარა-ხურიდან, სახლიდან აგდებენ ხატებს, იხსნიან მკერდის ჯვრებს, სწყვეტენ სამლოცველო სახლებში სიარულს. იშვიათი არ არის შემთხვევები, რომ კოლმეურნეობებში ბებერი დედაკაცებიც კი უარს ამბობენ რელიგიურ წესებზე" (მებრძოლი №1 1930: 6-7). საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი და ჟურნალ „მებრძოლ უღმერთოს" რედაქტორი ს. თოდრია აღნიშნავს, რომ „მუკის დამკვრელმა ბრიგადებმა სავსებით დიდი როლი ითამაშეს კოლმეურნეობის მშენებლობაში. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, სხვადასხვა კოლმეურნეობები ადგენდნენ სპეციალურ ხელშეკრულებებს, რომლებიც გარკვეული პირობების გათვალისწინებით პასუხისმგებლობას აკისრებდა თითოეულ კოლმეურნეს, ავალდებულებდა სამუშაო დღის 100%-ით დატვირთვას, შრომის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით, იკრძალებოდა დაგვიანება, გაცდენა, სამუშაოს თავის არიდება არასაპატიო მიზეზით, ვალდებულება ეკისრებოდათ მოესპოთ ყოველგვარი კულტურულ-პოლიტიკური ჩამორჩენილობა და წერა-კითხვის უცოდინრობა, ევალებოდათ ბრძოლა რელიგიისა და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ. აგრეთვე უღმერთოთა რიგებში, ახალი ამხანაგების ჩაბმა. რათქმაუნდა სხვადასხვა საწარმო შრომითი ბრიგადის ხელშეკრულებას ითვალისწინებდა და ეყრდნობოდა ამ ბრიგადის შრომითს. კომუნისტური იდეოლოგია ასევე ითვალისწინებდა მასაში დანერგილი ცრუმორწმუნეობის აღმოფხვრასთან ერთად, პარალელურად მათს დანერგვასაც. განსაკუთრებით, რელიგიურ დღესასწაულებზე მუშაობის ცოდვაში ჩათვლას. აღნიშნული დოგმატი მხოლოდ იუდაისტური კონფესიისათვისაა დამახასიათებელი და ისინი შაბათ დღეს არ მუშაობენ, მაგრამ მართლმადიდებელს რელიგია იმ შემთხვევაში აკისრებს კვირისა და უქმის შენახვას, თუ ამ დღეს თავისი სულისათვის, ნაყოფიერად, ეკლესიაში წირვაზე გაატარებს. კომუნისტური იდეოლოგიის მიერ დანერგილი ცრურწმენები დღესდღეობითაც იჩენს თავს მორწმუნე მასაში, მაგრამ არა მრევლში და ეს ძირითადად ეკლესიაში სიარულის არაინტენსიურობითა და გაუთვითცნობიერებლობითაა გამოწვეული. „რელიგიურ დღესასწაულებს სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ზიანი მოაქვთ. აგრეთვე

იმითაც, რომ მორწმუნე გლეხები ცდილობდნენ შეუფარდონ ამ დღესასწაულებს მინდვრის სამუშაოების დაწყების ვადები. რელიგიური დღესასწაულები და წესჩვეულებები ხელს უშლიან მშრომელთა ჯანმრთელ ყოფის დამკვიდრებას (ვეკუა 1962: 7-58). კოლექტივიზაციით გათვალისწინებული გეგმის შესასრულებლად, კოლმეურნეობას მიმაგრებული გლეხი იძულებული იყო მთელი ოჯახი ჩაერთო სამეურნეო საქმიანობაში. შედეგად, „გლეხკაცი, მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში, ნაკლებად გზავნის ბავშვს სასწავლებელში და თუ გზავნის, ისიც მხოლოდ ზამთრის თვეებში. შემოდგომა-გაზაფხულზე კი ჩენი სკოლა თითქმის ცარიელდება" – წერს მამია ორახელაშვილი. თავისთავად, ანტირელიგიურ პროპაგანდას მოკლებულ მომავალ თაობას ამის გამო თვით სკოლებში განესაზღვრათ მასწავლებლების მიერ შემუშავებული სპეციალური გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები კოლმეურნეობების სასარგებლოდ" (მოამბე №5, 1924: 31). წინააღმდეგ შემთხვავაში დაირღვეოდა თვით სტალინის მითითება: „დავეუფლოთ მეცნიერებას, გამოვჭედოთ ბოლშევიკ-სპეციალისტთა ახალი კადრები ცოდნათა ყველა დარგში, ვისწავლოთ, ვისწავლოთ, ვისწავლოთ ფრიად და შეუპოვრად" (საბჭოთა 1938: 671). ასეთ შემთხვევაში ისმის კითხვა, თუ რამ უფრო იმოქმედა უარყოფითად, ანტირელიგიურობამ მორწმუნე მრევლის გარდასახვის საქმეში თუ გლეხობამ და ქრისტეანობამ სოციალისტური წყობილების შენების საქმეში.

საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ კომუნისტური სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, საქართველოში განვლილმა კოლექტივიზაციამ, ისევე როგორც ანტირელიგიურმა პროპაგანდამ, არცთუ მცირე ზარალი მიაყენა ქართველ ერს. „გლეხური მეურნეობის ლიკვიდაციისა და კოლექტიური მეურნეობის შექმნის პროცესში მნიშვნელოვნად იკლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებამ, განსაკუთრებით დაზარალდა მეცხოველეობა.

ძალდატანების მიუხედავად საქართველოში სოფლის კოლექტივიზაცია ერთბაშად მაინც ვერ მოხერხდა, ამის მიზეზი გლეხობის წინააღმდეგობა იყო... მიუხედავად ამისა, XX საუკუნის 20-იანი წლებიის დასასრულიდან, 30-იანი წლების დასასრულამდე საქართველოში კერძო საკუთრებაზე დამყარებული კაპიტალისტური ურთიერთობები ლიკვიდირებულ იქნა და მის ნაცვლად დამკვიდრდა სახელმწიფო საკუთრებაზე დამყარებული სოციალური და ეკონომიკური სისტემა. საბაზრო ეკონომიკა შეიცვალა სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ეკონომიკით. ყოველივე ამას, იმხანად

მოპოვებული ზოგიერთი წარმატების მიუხედავად, არ შეიძლებოდა ეკონომიკური პროგ-რესის შეფერხება არ გამოეწვია" (საქართველოს 2003:133-134).

როგორც არაერთხელ აღინიშნა, „მუკი"-ს მიერ წარმოებული სამუშაო, რომელიც ცალსახად იყო მიმართული არა მხოლოდ ანტირელიგიური კამპანიის განსახორციელებლად, არამედ მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ფენებში, კოლექტივიზაციისა და ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დანერგვისკენ, უფრო წარმატებული სწორედ ამ მიმართულებით აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ საბჭოთა გლეხს ასე თუ ისე მაინც მოუტანა შედარებით სტაბილურობა, სამუშაო ადგილები, სოციალური დაცვა და რწმენა კომუნიზმის მშენებლობისა. განსაკუთრებით ადრეულ ეტაპზე, თავისთავად ვერავინ ივარაუდებდა თუ რაოდენ პროგრესული იქნებოდა საბჭოთა ეკონომიკური პოლიტიკა, დასჭირდებოდა თუ არა სახელმწიფოს სხვა ქვეყნებისგან ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერის მიზ-ნით ფულადი თუ სხვა სახის დახმარებები. „მუკი" როგორც არაჩვეულებრივად საჭირო სააგიტაციო ორგანიზაცია ანტირელიგიური კამპანიის წარმოების პარალელურად მორწმუნე მასას მორალურად ამზადებდა რათა გაემართლებინა მილიონობით ადამიანის მსხვერპლად შეწირვის პოლიტიკა. მართლაც,საბჭოთა კავშირის შექმნამდე, პოსტრე-ვოლუციური საბჭოთა ქვეყნები, რომლებსაც კრიზისული პერიოდიდან დამოუკიდებლად გამოსვლის შანსი არ მიეცათ, აღარც იმისთვის იყვნენ მზად, რომ დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოსულიყვნენ, ვინაიდან საკმაოდ განიცდიდნენ ეკონომიკურ ჩამორჩენილობას, ხოლო ბოლშევიკური პოლიტიკური კურსი, მიმართული ერთა თვით-გამორკვევისაკენ არანაირად არ ითვალისწინებდა გასაბჭოებული ქვეყნების განთა-ვისუფლებას. ამიტომ, „მუკმა" ხელი შეუწყო და გააკონტროლა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის საჭირო მუშათა და გლეხთა სოციალისტური აღზრდის საკითხი, რომელიც თავისთავად ითვალისწინებდა არელიგიურობასა და ძველი გადმონაშთების აღმოფხვრას თუნდაც ახალი ცრუ ტრადიციებისა და ახალი, საბჭოური ლოზუნგების დანერგვის ხარჯზე. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია გლე-ხობისთვის კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი შანსი იყო. სხვანაირად, მოწინააღმდეგე მხარე მას დაღუპვას უწინასწარმეტყველებდა.

„მუკი" როგორც იდეოლოგიური იარაღი, საბჭოთა კავშირის მიერ შედარებით განვითარების დაბალ დონეზე მყოფ მოსახლეობასთან ურთიერთობის მიზნით შეიქმდა და ვფიქრობთ, კოლექტივიზაციის გატარების საქმეში უდაოდ დიდი წვლილი შეიტანა.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ არა საერთო იმპერიული ზრახვებით განპირობებული საბჭოური პოლიტიკური კურსი მიმართული „მესამე რომის'' შექმნის იდეისკენ, ნაკლებად წარმოსადგენია მსგავსი პოლიტ ეკონომიკური კურსით საბჭოთა კავშირს იმაზე მეტ ხანს ეარსება, ვიდრე ისტორიულად უკვე აღსრულებული პერიოდი. მითუმეტეს, რომ ლენინის შემდეგ, სტალინის ხედვამ და რეფორმისტულმა პოლიტიკამ გაახანგრძლივა საბჭოთა კავშირის არსებობა, რომლის რღვევის დასაწყისი, პოსტ სტალინური ეპოქის ლიდერების, ხრუშჩოვის, ბრეჟნევის და სხვათა ხელში დაჩქარდა.

თავი IV.

„მებრძოლ უღმერთოთა კავშირის დაისი''

§1. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის კრახის წინამძღვრები და შედეგები (XX ს-ის 30-იანი წლების ბოლოს და40-იან წლების დასაწყისში)

XX საუკუნის 40-იანი წლები, საბჭოთა კავშირის ისტორიაში ის პერიოდია, როცა ძირეული სოციალისტური რეფორმები მთელი ქვეყნის მასშტაბით ან უკვე განხორციელებული იყო ან დღის წესრიგში იდგა მათი ხარვეზების ძიება-შევსება. ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა ერის ჩამოყალიბების პროცესი მასების გამოხშირვისა და რეპრესიების ხარჯზე, ნამდვილად ვრცელდებოდა. ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს, ის ფაქტიც, რომ საბჭოთა მთავრობის კურსი თხუთმეტივე რესპუბლიკებსა და მათს ავტონომიებში იდენტური იყო და არ შეიცავდა არანაირი ლავირების ელემენტებს. ასეთივე ხისტი პოლიტიკის გამტარებელი იყო „მებრძოლ უღმერთოთა კავშირიც,'' თუმცა, მოსახლეობის მრავალეროვნულობა, რელიგიური კონფესიების სიმრავლე და ამა თუ იმ ერების კულტურული სიჭრელე, დიდ სირთულეს ქმნიდა იმთავითვე.

საქართველოს მაგალითზე, „მებრძოლ უღმერთოთა კავშირს" მინი საბჭოთა მოდელთან უწევდა ურთიერთობა. როგორც ვნახეთ, საქართველოში არსებული „უღმერთოთა კავშირის" ცალკეულ უჯრედებს შორის არ იყო თანამშრომლობა. უჯრედების ხელმძღვანელები მართალია ცდილობდნენ განუხრელად მდგარიყვნენ ლენინის, სტალინის და ახლა უკვე ბერიას პრინციპებზეც, მაგრამ 30-იან წლებში მებრძოლ უღმერთოთა კავშირის შიგნით არსებული ხარვეზები, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად საქართველოს მუკის I ყრილობამ დასვა, არ აღმოფხვრილა. აქვე უნდა ითქვას, რომ საკავშირო პრესა, „მუკის" მუშაობის დაწვრილებით ინფორმაციას განათავსებდა პერიოდულ გამოცემებში, რომლის თანახმადაც, ყველა რესპუბლიკაში, ორგანიზაციის მიერ გაწეული სამუშაო არ იყო ერთგვაროვანი. ჟურნალ „უღმერთოში" გამოქვეყნებული სტატიით, ოციანი წლების მიწურულსა და 30 წლების დასაწყისში, სხვადასხვა ერებში უღმერთობასთან დამოკიდებულება მეტნაკლები პასიურობით გამოირჩეოდა, პასიურობა ეხებოდა თვით საჭირო პრესის გამოწერის საკითხს, მაგალითისთვის: როცა „26 მაისს ქარხანა „ურო და ნამგალში, ორგანიზებულ იქნა პირველი კონფერენცია გაზეთ „უღმერთოს" მკითხველებისა, რომელიც იწერდა იმაზე მეტ გაზეთის ეგზემპლიარს, ვიდრე პერმის, ურალის, რიაზანის, სმოლენსკისა და თბილისის მხარე ერთად აღებული" (უღმერთო №11, 1928: 9). ყრილობის მსვლელობისას გამოკვეთილი პრობლემა ეხებოდა ფინანსურ მხარეს, ლექცია სემინარების ჩატარების სიმცირეს, მოსახლეობაში მიუხედავად „კულტურული რევოლუციის" გავლენისა და რეპრესიებისა, რწმენის აღმოფხვრა მთლიანად მაინც ვერ მოხერხდა. კომუნიზმი, როგორც ცალკეულ ერებში დამოუკიდებელი განვითარების აღმომფხვრელი და მოწინააღმდეგე მოვლენა, მოსახლეობაში შიშს ნერგავდა, ვინაიდან მისი განხორციელების საშუალებები მკვეთრად ემიჯნებოდა ყოველგვარ ცივილურ და დემოკრატიულ მეთოდებს. იმ დროს როდესაც ევროპის ქვეყნებში ე.წ. ფაშიზმი და რევანშიზმი იკიდებდა ფეხს, საბჭოთა მთავრობა არანაკლებ „ფაშისტური" მეთოდებით ისევ ძალადობას მიმართავდა. ისინიც კი, ვინაც სტალინისა და მისი თანამოაზრეების განუხრელი მომხრეები იყვნენ, ხშირად სრულიდ უმნიშვნელო გადახრის გამო ისჯებოდნენ სიცოცხლის ფასად. საქართველოში 1931 წლიდან დაწყებული ინტენსიური რეპრესიები სწორედაც რომ ბერიას სახელს უკავშირდება, რომლის მითითებით როგორც ვნახეთ არაერთი ეკლესია განადგურდა ან გადაკეთდა; 1932 წლის 12 ნოემბერს საქართველოში „მუკის მე-5 პლენუმი გაიმართა. ძირითად საკითხებს შორის ისევ და ისევ ანტირელიგიური სწავლების საკითხია წინა პლანზე წამოწეული. მომხსენებლები

აფიქსირებდნენ, რომ ანტირელიგიური სწავლება, გამოყოფილი იყო სოციალური მშენებ-ლობის ამოცანებისაგან და მათ შორის არსებული გამოკვეთილი ერთიანობა არ იგრძნობოდა პროპაგანდის დროს. „ამხანაგებო, მე ვლაპარაკობ იმის შესახებ, რომ ჩვენი სწავლება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოყოფილ იქნეს სოცმშენებლო-ბის ამოცანებისაგან, არამედ ის უნდა იყოს დაკავშირებული პროლეტარიატის კლასობ-რივი ბრძოლის ამოცანებთან და სოცმშენებლობის ამოცანებთან მთავარი ყოფილა რელიგიის წარმომშობი მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლა და არა ისე, განაწყენებულად ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ. მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ყრილობამ წამოაყენა ლოზუნგი, რომ ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ არის ბრძოლა სოციალიზმისათვის. მე-17-ე პარტკომფერენცია ერთადერთ მთავარ ამოცანად ისახავს დაძლეულ იქნას ადამიანის შეგნებაში კაპიტალისტური ნაშთები. ეს ამოცანა გვავალებს მებრძოლ უღმერთოთა კავშირს უდიდეს როლს, საპატიო როლს" (სუიცა ფ1547, საქმე 160: 112-113). იგივე მომხსენებელი, გვარად სამარჩიანი, თავად სვავს რელიგიური პროპაგანდის არაინტენსიურობის საკითხს: „ამდენი ხანი საქართველოში ანტირელიგიური კამ-პანიები როგორ ხასიათდებოდა, როგორ ხასიათდებოდა კამპანიური სისტემა. წელიწადში ორჯერ ტარდებოდა ანტირელიგიური პროპაგანდა ეს შობა დღეს და აღდ-გომა დღეებში. იმ დღეებშიწაიკითხავდნენ ერთ მოხსენებას, დადგამდნენ კინო სურათს, შეიძლება ხანდისხან აქა იქ გაყვითლებულ პლაკატს ჩამოიღებენ და გააკრავენ მეორე ალაგს და მომავალ წლამდე ამას ხელს არავინ არ ახლებდა. /ხმა ადგილიდან: ამას ადგილი ჰქონდა, მაგრამ არა ყველგან/. ეს უნდა იქნეს აღმოფხვრილი, ამით არ მინდა ვთქვა რომ კამპანიებიდა ჩვენ ხელს ვიღებთ, მაგრამ სისტემა მუშაობისა ანტირელიგიურ დარგში ვერ იქმნა დამაკმაყოფილებელი.. მთავარი ყურადღება უნდა იქნეს გადატანილისოფელზე, აქ საჭირო არის განსაკუთრებული სიფხიზლე და სიფაქი-ზე. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ქონდეს ადგილი მორწმუნეთა რელიგიურ გრძნობებისშეურაცხყოფას,წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ არა მის გარდაქმნას უღ-მერთოთ, არამედ მის რელიგიურ გრძნობის გაღრმავებას და მის გაფანატიკოსობას" (სუიცა ფ1547, საქმე 162: 115). აქვე, მომხსენებელი სვავს საკითხს, უღმერთოთა მიერ ინდივიდუალურიანტირელიგიური პროპაგანდის წარმოებას მორწმუნეთა შორის და არა მაინცდამაინც კლუბებში ან სხვა დაწესებულებებში დანიშნულ და განსაზღვრულ დროს. საწინააღმდეგო შემთხვევაში, მათი თქმით, ამგვარ ინდივიდუალურ საუბრებს მორწმუნეთა შორის „ეწევა არა მარტო კულაკი ანაფორაში ე.ი. მღვდელი, მოლა და სხვა, არამედ ჩვეულებრივი კულაკიც" (სუიცა ფ1547, საქმე 162: 2-1). „ჩვენში ამდენხანს

უსისტემობა იყო, წრეები დაარსდებოდა სტიქიურად და სტიქიურადვე დაიშლებოდნენ, ამიერიდან კი წრეების გამოშვება გეგმიანათ უნდა ხდებოდეს, რაიონული საბჭოს წარ-მომადგენელი უნდა დაესწროს უნდა შემოწმდეს გამოშვების დროს მსმენელის მომზა-დება გამოშვებისას ერთგვარი ზეიმის ხასიათი უნდა მიეცეს. სიტყვით უნდა გმოვიდნენ პარტუჯრედის, კომკავშირის უჯრედის, რაისაბჭოს და პროფკომის წარმომადგენლები, უნდა უზრუნველყოფილიყვნენ კარგი მსმენელები და კარგი ხელმძღვანელები ჯილდოთი. ამისთვის რათქმაუნდა ცენტრალურმა საბჭომ უნდა გადასდოს სათანადო თანხა, სპეციალური ფონდი უნდა შეიქმნას ამ კარგი ხელმძღვანელების დასა-ჯილდოებლად. ჩვენ ასეთი სისტემით უნდა განვაგრძოთ მუშაობა, მასთან ერთად ავღნიშნავ, რომ იანვარში ასეთ მუშაობის გაჩაღებას ვერ დავიწყებთ. ჯერ ერთი ის რომ ჩვენი ორგანიზაცია არ არის გამაგრებული, მეორე პროგრამა არ არის და აი ეს ორი მიზეზი უეჭველად უნდა იქნეს აღმოფხვრილი იანვრამდე. არის საფეხური, რომელიც ამზადებს სასწავლებლისათვის კადრებს რაიონული მასშტაბით, ამ დარგში შეგვიძლია ვთქვათ რომ მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელი. მხოლოდ არის ერთი მიღწევა პედაგოგიურ ტექნიკუმში ანტირელიგიის განხრით, ეს არის ერთადერთი მაგალითი მთელ საქართველოში, ჯერ ერთი მსმენელთა შეგროვებას არ ჰქონია ორგანიზაციული ხასიათი. სრულიად შემთხვევით მოხვდებოდნენ, წინასწარი სურვილი მათ არ ქონიათ. /ადგილიდან: - ეს არ არის სწორი/" (სუიცა ფ1547, საქმე 160;). იგივე გამომსვლელი მიუხედავად ადგილებიდან წამოძახილებისა იმასაც აღნიშნავს, რომ საქართველოში არ გაამართლა არც ანტირელიგიურმა უნივერსიტეტმა, რომელიც მოსკოვის მაგალითზე შეიქმნა. მსმენელები კანტიკუნტად დადიოდნენ კურსებზე, აქედან გამომდინარე, „მუკის" ლიდერებისა და უჯრედების ხელმძღვანელების გარდა, ძირითადი, თუნდაც უღმერთო მასა, ვერ ფლობდა სოციალიზმის ძირითადი ლიდერების მოძღვრებებს. ძირითადი პროლემა 30-იანი წლების საქართველოს „მებრძოლ უღმერთოთა კავშირისა", კვალიფიციური კადრების არარსებობაა. საყოველთაო რეპრესიებისა და განკულაკების ფონზე, როცა მასა, რომელსაც შესწევდა ძალა მომავალი თაობისათვის ძვირადღირებული შესაბამისი განათლება მიეცა, უბრალოდ ისპობოდა, დარჩენილ მოსახლეობაში სოციალური პირობები და განათლების სისტემის დაუხვეწაობა, ამ მხრივ პრობლემას ქმნიდა. 1930-1934 წლებში საქართველოს კანონმდებლობით საყოველთაო-სავალდებულო სწავლება განისაზღვრა, 1928 წელს დაარსდა ტექნიკური უნივერსიტეტი, 1929 წელს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი, 1930 წელს სამედიცინო ინსტიტუტი, 1922 წლიდან ფუნქციონირებდა სამხატვრო აკადემია, ხოლო 1924 წლიდან

კი კონსერვატორია. განათლების კერების სიმრავლე საქართველოში და განათლებისადმი წყურვილიც, გარკვეულწილად არაპოპულარულს ხდიდა ანტირელიგიურ სემინარებს, მითუმეტეს რომ ანტირელიგიური პროპაგანდის ელემენტები, ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტებზე სწავლისას თავისთავად ჩართული იყო. გამოჩენილი ქართველი მეცნიერების ათეისტურობის ხაზგასმით, „მუკის" იდეოლოგიური მხარდაჭერა მყარდებოდა, რაც საბჭოთა კავშირს იმ დროისათვის ნამდვილად ესაჭიროებოდა. მაგალითისთვის, საინტერესოა ფაქტი, როცა თვით აკადემიკოსი ნიკო მარი, გაზეთ „უღმერთო"-ში, აღიარებული როგორც დიდი მეცნიერი, უღმერთოდაა მოხსენიებული არაერთ გამოჩენილ რუს მოღვაწესთან ერთად. ისტორიკოსი ნიკო მარის ათეიზმის წარმოჩენა, უდაოდ მაგალითი უნდა ყოფილიყო ქრისტეანობის მიმდევარ, უძველეს ქართველ ერში. გაზეთი „უღმერთო" წერდა: „უდიდესი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ნიკო მარის სამეცნიერო მოღვაწეობის 45 წლისთავს, მთელი საბჭოეთი აღნიშნავს. ეროვნებით ქართველმა, დაბადებულმა 1864 წელს ქალაქ ქუთაისში, განვლო სამეცნიერო გზის ყველა რთული ეტაპი და უდიდეს წარმატებას მიაღწია. იგი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით" (უღმერთო №1, 1934: 12). მიუხედავად „ათეიზმის მასიური ხასიათისა", რომ-ლის შესახებ საუბარი ანტირელიგიური პროპაგანდის შემადგენელი ნაწილი გახლდათ, კადრების დეფიციტი და სათანადო მოუმზადებლობა სახეზე იყო. ცენტრალური ანტი-რელიგიური ინსტიტუტები, აბიტურიენტთა მოზიდვის მიზნით, აცხადებდნენ მიღებას მასიურ, ანტირელიგიურ პედაგოგიურ ფაკულტეტებზე ვადით 1 წელი, სრულ, უფასო კურსზე (უღმერთო №9, 1935;).

ეპოქა, რომელიც საყოველთაო ათეიზმის აღზრისა და ანტირელიგიურობის პარალელურად, ეროვნული საკითხის აღმოფხვრითაც გამოირჩეოდა, ქართული საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც გადაურჩა რეპრესიებს, პროტესტს ზრდიდა. უღმერთოთა ყურადღება არც ათონის წმინდა მონასტერს მოჰკლებია, რომლის რელიგიურ პატრიოტული მნიშვნელობა არათუ ქართულ ისტორიოგრაფიაში, არამედ რუსულშიც საკმაო ადგილს იკავებს. ქართული სახელმწიფოს ძლიერების ხანის დაცემამ, უცხოეთში, ქართველთა მიერ დაარსებული არაერთი ქართული სავანის დაკარგვა გამოიწვია. შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის გარეშე, მათი შენარჩუნება შეუძლებელი იყო, ამიტომ, ქართველებს, რომლებიც ათონის წმინდა მთაზე ჯერ კიდევ X ს-ის 50-60-იან წლებში გამოჩნდნენ (ქართული 1997: 194), უღმერთო პერიოდში მასზე

ხელი აღარ მიუწვდებოდათ. გაზეთი „უღმერთოს" ცნობით, ათონის წმინდა მთა, რომელიც ანტირელიგიური სახელმწიფოს პოლიტიკის გამო უსახსროდ დარჩა, ხოლო მთაზე მოღვაწე ბერები იძულების გამო ყველა ღონეს ხმარობდნენ რათა უდიდესი კულტურული დანიშნულების კერა შეენარჩუნებინათ, თურმე „იხვეჭდნენ თანხებს შეძლებულ პირთაგან, მათი დრო წავიდა! არის ათონის მთაზე მონასტრები, რომელთა წიაღში დარჩენილი ბერები უსახსროდ არიან, მათ აღარ მისდით შესაწირები, რომლებიც ძირიტადად რუსეთიდან მიდიოდა" (უღმერთო №13, 1928: 19). ვფიქრობთ, რომ არა საერთო ანტირელიგიური განწყობა, რუსეთის იმპერია, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე თავისი პრეტენზიების აშკარა გამოხატვით, ათონის წმინდა მთის მნიშვნელობას აღიარებდა, თუმცა, ანტირელიგიური პოლიტიკის თანდათანობით სახეცვლილებასთან ერთად, მსგავსი პრეტენზიები კვლავ ამოქმედდა. საზოგადოების პროგრესული ნაწილი კარგად ხედავდა საბჭოური კურსის მცდარ მიმართულებას, მაგრამ ამის ხმამაღლა აღიარება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, შესაბამისად, პროტესტის გამომჟღავნების გარკვეულმა ფორმამ, 30-40-იანი წლების კულტურის, ხელოვნებისა და კლასიკური ლიტერატურის არნახულ განვითარებაში ჰპოვა გამოსავალი და ასახვა. „მუკის" ხელმძღვანელობის მიერ, ჩამოყალიბებული წესდების მიხედვით, ანტირელიგიური მუშაობა პროფკავშირების ხაზითაც მიმდინარეობდა. აქვე მოცემული პუნქტების მიხედვით მნიშვნელოვანია: „სასწავლო წლის დაწყებამდე, რესპუბლიკის სასწავლო პროგრამაში, და პორფესიულ სკოლებში, ჩართული იყოს ახალი საგანი რელიგიის ისტორია და ათეიზმი, ასევე ათეიზმის სწავლების მეთოდოლოგია" (სუიცა ფ1547,საქმე 158: 2). პარალელურად„მუკის" მოღვაწეობა საქართველოს ყველა კუთხეს მოიცავდა, მათ შორის აჭარასაც. ერთერთი პლენუმის გამომსვლელი ამბობს: „აჭარისტანი წარმოადგენს მრავალერიან კუთხეს. მე სიამოვნებით დავთანხმდებოდი ზუგდიდში, სენაკში, კახეთში მუშაობას ვინემ აჭარაში. იქ არიან აჭარლები, ქურთები, ლაზები, ეზიდები, ებრაელები, ქართველები, სომხები, აფხაზები, რომელი ერის ნაწილი არ გინდათ რომ იქ არ იყოს, აჭარისტანი განსაკუთრებით ჩამორჩენილი კუთხეა. აქ ანტირელიგიის შესახებ ბევრი რამ არ გაკეთებულა. სოფლები იყო თითქმის ხელუხლებელი. მაშინ როცა საჭირო არის, აჭარელი გლეხი, აჭარელი ქალი, რომელიც ნახევრად ჩადრშია გახვეული და არ დაგენახება და არ მოდის მოხსენებებზე, იქ ძალიან ძნელია მათ შორის მუშაობა, 1921 წელში მლოცველთა 100%-ი იყო იქ. 1924-1925 წლებში 60%-ი. მაგრამ ეხლა, იქ არის 15%-ი. რომ ვთქვათ მრწმენელების 100%-ს ძირი გამომპალი აქვს ეს იმას არ ნიშნავს, რომ აჭარისტანში

მორწმუნეები არ არიან. იცით თუ არა, რომ არცერთი წიგნი ისლამზე არ არის დაწერილი და ეს იცის მან ვისაც ამ ისლამის რწმენა აქვს" (სუიცა ფ1547,საქმე 162: 44). საერთოდ, „მუკის" მიერ გაწეული მუშაობა ყველა რელიგიასთან მიმართებაში მართალია ერთიდაიგივე მოტივით ხორციელდებოდა, მაგრამ რადგან მისი წევრების უმეტესობა წარსულში მართლმადიდებლები იყვნენ და სწორედ ამ მხრივ ჰქონდათ მეტი ინფორმაცია, ანტირელიგიური საქმიანობა სხვა კონფესიებთან მიმართებაში თავდაპირველად შედარებით სუსტად მიმდინარეობდა. მხოლოდ მოგვიანებით, როცა ანტირელიგიური კამპანიის კვალიფიციური წარმოების მიზნით, არაერთი ათეისტური კურსი და სემინარი გაიხსნა, დაარსდა ინსტიტუტებიც და ანტისარწმუნოებრივმა იდეოლოგიამ უფრო „მაღალმეცნიერული" დასაბუთება მიიღო, აღნიშნული პრობლემაც მოიხსნა. მანამდე, საქართველოში და სხვა რესპუბლიკებშიც, სადაც მართლმადიდებელი რელიგიის მხარდამხარ სხვა კონფესიები თანაარსებობდნენ, სიტუაცია მეტად მწვავედ იდგა. მაგალითისთვის აჭარის მოსახლეობა, რომელიც თურქთა ბატონობის შედეგად მაჰმადიანური აღმსარებლობის მატარებელი იყო, ძალზედ მტკივნეულად შეხვდა სპონტანურად წარმართულ ანტირელიგიურ კამპანიას, რომელსაც „მუკის" წევრები აწარმოებდნენ. ჯერ კიდევ 1928 წლის ნოემბერში შემდგარ აჭარის პარტიული ორგანიზაციის XI საოლქო კონფერენციას მიეღო ნაადრევი და ამდენად მცდარი გადაწყვეტილება მედრესე-მექთებეების დახურვის შესახებ. XI კონფერენციამ დაადგინა, რომ შემოღებულიყო საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლება. იგი ეხებოდა 8-14 წლის ბავშვებს და წესდებოდა 1928-1929 სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან. ამ დეკრეტის მეშვიდე მუხლი კრძალავდა ბავშვის აღზრდას საბჭოთა სკოლის გარეშე. „1929 წლის დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ, აჭარაში გაიხსნა 21 ახალი სკოლა 945 მოწაფით. სოფლად აჭარელ მოსწავლე გოგონების რიცხვმა 1400 გადააჭარბა. 1928-1929 სასწავლო წელს, განათლებაზე აქ გადადებული იყო 1403 მანეთი, რაც წინა სასწავლო წლის ბიუჯეტს 51,5 პროცენტით აჭარბებდა (სრუია საქმე 496;). მიუხედავად წარმატებებისა, აჭარის ხოჯა-მოლები იძულებულები იყვნენ წინააღმდეგობა გაეწიათ. მიუხედავად იმისა, რომ აჭარა საბჭოეთში პირველი ავტონომიური რესპუბლიკა იყო რომელმაც საყოველთაო დაწყებითი სწავლება შემოიღო. სასწავლებლებში მოსწავლე ქალების ჩარიცხვა ჩადრის გარეშე სიარულსაც ითვალისწინებდა. „1929-1930 სასწავლო წლიდან, აჭარის ყველა სკოლაში ახალი, ლათინიზირებული ანბანის ხმარებაზე უნდა გადასულიყვნენ. მარტო ექვსი დღის განმავლობაში ხულოს მაზრაში ჩადრი აიხადა კიდევ 500-დე ქალმა" (როგავა 1994: 69). „მუსულმანური ცრურწმენისაგან აჭარელი

ქალების განთავისუფლებისა და მათი პოლიტიკური და კულტურული გათვითცნობიერების საქმეში დიდი როლი შეასრულა აჭარელ და თურქ ქალთა სრულიად საქართველოს ყრილობამ, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა ბათუმის აკადემიურ თეატრში 1929 წლის 8 თებერვალს. მას ესწრებოდა 447 დელეგატი, მათ შორის 382 აჭარელი, 49 თურქი და 10 აფხაზი ქალი" (როგავა 1994: 70-71). ყრილობის მსვლელობისას დიდი ოვაცია გამოიწვია ჩადრის დაწვის პრეცენდენტმა, როცა რამდენიმე ქალმა ერთხმად მოიხადა ჩადრი და საჯაროდ ცეცხლს მისცა. რეაქციამ არ დააყოვნა. ანტირელიგიური კამპანიის ამ უდაო წარმატებას, 1929 წლის 7 მარტს, ხულოს რაიონში შეიარაღებული აჯანყება მოჰყვა, რომელიც უმთავრესად მაინც ეკონომიკური საფუძვლის გარდა, ანტირელიგიური პროპაგანდის ძალზე უხეშ ფორმებს აპროტესტებდა. გამოსვლა ლიკვიდირებულ იქნა ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე (როგავა 1994: 73-74). იგივე პრობლემები იკვეთება აფხაზეთშიც, რომლის შესახებაც თვით ჟურნალ უღმერთოს ფურცლეზე ჩნდება ინფორმაცია: „აფხაზეთში ყველაფერი რიგზე არ არის, მოვლენები ვითარდება გაგრაში, სადაც მიუხედავად იმისა რომ მოსახლეობის მოთხოვნით დაიხურა რამდენიმე ეკლესია, მაინც არსებობს რამდენიმე, აქ არ არსებობს „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი", არ ჰყავს ორგანიზაციას წევრები, არც განათლების მუშაკთა შორის, სახკომის გამომცემლობის წიგნის მაღაზიაში არ მოიპოვება ანტირელიგიური ლიტერატურა, არ იყო არც ჟურნალ „ბეზბოჟნიკის" არცერთი ნომერი" (საქართველოს №2-3 1930: 11). როგორც ჩანს, საბჭოთა ხელისუფლება ავტონომიებში მაინც, სეპარატისტული მოძრაობის გაღვივებას უფრო უწყობდა ხელს და ანტირელიგიურ კამპანიას ნაკლებ ინტენსიურობით ამიტომ აწარმოებდა. 1930-იან წლებში უღმერთოთა რიგებს რომ დაუფინანსებლობა დაეტყოთ, ეს ანტირელიგიურ მუზეუმებში ფასიან შესვლაზეც აისახა. მსგავსი მუზეუმების დაარსების პროცესი საქართველოში მხოლოდ 1937 წლიდან დაიწყო. საქართველოს ავტონომიებში არსებული პრობლემების მოსაგვარებელ გზებს მებრძოლ უღმერთოთა კავშირი ყველა გზებით ეძებდა. პარალელურად მთელი საბჭოეთის მაშტაბით გამოცხადებული კოლექტივიზაცია, ნელნელა თავის კულმინაციას აღწევდა. კულაკების ფენის ლიკვიდაციით, საბჭოთა ხელისუფლებას როგორც ვთქვით არნახული ქონება ჩაუვარდა ხელთ. საზღვარგარეთიდან აღებული კრედიტები, რომლებიც ძირითადად მრეწველობის გარდაქმნასა და განვითარებას ხმარდებოდა, საკმარისი არ იყო და რელიგიური დევნის მასშტაბებიც არ ნელდებოდა. როგორც ითქვა, საბჭოთა ხელისუფლების ერთერთი დადგენილებით, აიკრძალა ზარების რეკვა, ზარებისა და მეტალის უტილიზაციის მიზნით. ანტირელიგიური მუშაობის ეკონომიკური

სარჩული ნამდვილად არაა უმნიშვნელო საბჭოთა წყობილების პოლიტიკურ-ეკონომიკურ კურსში. ერთის მხრივ უდიდესი დადებითი მოვლენა, რომელსაც უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების დაარსების ტალღას მოჰყვა ფერმკრთალდებოდა. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ 1940 წლის 18 სექტემბრისათვის საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით, არსდება რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის კვლევის ცენტრს, რომელსაც თავისი არსებობის მანძილზე უნდა აღეზარდა კვალიფიციური კადრები ანტირელიგიური პროპაგანდის სამეცნიერო კვლევის დარგში. ასევე მოემზადებინა სპეციალური გამოცემა „მეცნიერება და რელიგია" (სუიცა ფ1547,საქმე 132: 1-2). ასეთი ქმედებით, მუკის როლი გაიზრდებოდა საზოგადოებაში, ამასთანავე, კვალიფიციური მეცნიერებისა და აგიტატორების პრობლემა, რომელიც 30-იანი წლების თანმხლებია, თანდათან აღმოიფხვრებოდა. პარალელურად, „კულტურული რევოლუციის მსვლელობისას", უკვე 1937 წლისათვის საბჭოთა ხელისუფლება აცხადებს, რომ საკოლმეურნეო მუშაობაში მოსახლეობის 93%-ი ჩაერთო. აღნიშნული გარემოება ხელისუფლების მხრიდან მკაცრად კონტროლდებოდა. „მუკის" აგიტატორები კოლმეურნეების საქმიანობას აკვირდებოდნენ, რათა მასში გადახრას ადგილი არ ჰქონოდა. ხოლო თუ მაინც ექნებოდა ასეთ ხარვეზებს ადგილი, საბჭოური მთავრობა, მათს ლიკვიდაციას რეპრესიებით ახერხებდა. „1929 წელს, დაწყებული ანტისაეკლესიო და ანტირელიგიური კამპანია, 1933 წლამდე გაგრძელდა. ამ დროისათვის ძალიან ბევრი საეკლესიო პირი გადაასახლეს, 1929 წლიდან 1933 წლამდე, დაპატიმრებულნი იყვნენ დაახლოებით 40000 საეკლესიო პირი. მარტო მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში, დაპატიმრებულთა რიცხვმა 4 000-ს მიაღწია. დაპატიმრებულთა დიდი ნაწილი დაიხვრიტა, ან კონცლაგერებში მოხვდა"(ОСИПОВА 1998: 26-17).

მასობრივი ჟლეტის პარალელურად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში აგიტაცია-პროპაგანდა მიმდინარეობდა. აჭარა, რომელიც, როგორც ვნახეთ „მუკის" აგიტატორების მიერ რთულ რეგიონად სახელდებოდა თანდათან აითვისეს: „თუ რამოდენიმე წლის წინ ანტირელიგიურ მუშაობას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და არ იყო შერჩეული ლექტორების გამოყენება, ამ მხრივ აჭარის მუკის საოლქო საბჭომ პარტიულ ხელმძღვანელობის დახმარებით დიდი გარდატეხა მოახდინა, როგორც ქალაქებში, ისე რაიონებში. ამჟამად აჭარის ოლქში არის 98 ლექტორი. 1939 წლის იანვრიდან დღემდე ჩატარებული ლექციები: ქედაში 93, ქობულეთში 78, ბათუმის რაიონში 79, ხულოში 85, რის შედეგადაც ჩვენ შევძელით, 96 კაცი მორწმუნე, გავხადეთ

ურწმუნო (სუიცა ფ1547,საქმე 162: 1). აქვე მომხსენებელი ამბობს, რომ დაქირავებული ლექტორების არსებობამ, „ფასიანმა ლექციებმა ხელი შეუწყო ლექციის ხარისხის ზრდას. მომავალში პირობას გაძლევთ, რომ ვისარგებლებ წარსული გამოცდილებით და დროულად შევუდგები ხელშეკრულების გაფორმებას, რათა ლექციის მსვლელობას მიეცეს სისტემატიური და მუდმივი ხასიათი (სუიცა ფ1547,საქმე 162: 2). ასევე, აჭარის ტერიტორიაზე, დაგვიანებით მოხდა მუზეუმებისა და გამოფენების გახსნა ანტირელიგიურ თემაზე. „თუ 1938 წლისათვის აჭარაში იყო 180 მუკის უჯრედი, სადაც გაერთიანებული იყო 97520 კაცამდის, ჩამოყალიბებული იყო 4 ანტირელიგიური წრე, და მოწყობილ იყო 11 ანტირელიგიური კუთხე, 1939 წლის მეორე, მესამე კვარტლისათვის აჭარის მუკის საოლქო საბჭომ მიაღწია იმას, რომ თვითოეულ უჯრედს როგორც ქალაქად ისე რაიონებში ქონოდა მუშაობის გეგმები, მაგრამ მაინც მიღწეული არაა დღემდის და ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაციები არ ზრუნავენ სახელმძღვანელო დადგენილებების ცხოვრებაში გატარებისათვის, რაც რათქმაუნდა უარყობით დაღს ასვამს ჩვენს მუშაობაში და ადგილი აქვს რელიგიურ გამოვლინებებს, მაგალითისათვის მიზან შეწონილად მიმაჩნია მოვიყვანო რამოდენიმემაგალითი ბათუმში ჩკალოვის ქუჩა №6 მოთავსებული მომქმედი მეჩეთი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბნელი ელემენტი, ხოჯა ისმაილ ეფენდი მიქელაძე, მან წინასწარ დაიწყო სამზადისი ბაირამობის ჩატარებისათვის რაზედაც შეაგროვა სოფლებში 3000 მანეთი და ამ მრევლს წინადადება მისცა 12 ნოემბერს გამოცხადებულიყო მეჩეთში, რომლებმაც დააკმაყოფილეს ხოჯის თხოვნა. მოსკოვის ქუჩაზე მცხოვრებ პეტრე ბურმანს სახლში მოწყობილი ქონდა რელიგიური კუთხე და ლოცვას ასწავლიდა თავის შვილის შვილს 9 წლის გოგონას. 9 მარტის ქუჩა №6-ში კერძო ბინაში „ლევბელსიუს ხახამი" მნოწყობილი აქვთ სინაგოგა, რომელიც ლოცვისას იწვევს მეზობლებს და ლოცულობენ" (სუიცა ფ1547, საქმე 162: 3-4). პროპაგანდისათვის აუცილებელი რადიოგადაცემების ხარისხიც დაბალი იყო და ნაკლებად გამოიყენებოდა, რადიოფიცირების გეგმა სხვა უამრავ პრობლემებთან ერთად მოუგვარებელი რჩებოდა განაპირა რეგიონების უმეტეს ნაწილში. გორის რაიონის ანტირელიგიურ საქმიანობაშიც უამრავი ხარვეზი აღმოჩნდა. აქ ჯერ კიდევ, 1937 წლისათვის 3600 წევრი ირიცხებოდა. წევრები დასავლეთ საქართველოს ოზურგეთის მაზრისგან განსხვავებით სისტემატიურად იხდიდნენ საწევროს. თუმცა იყო ფაქტი, თანხების დატაცებისა. კერძოდ, ერთერთი უჯრედის ხელმძღვანელმა „ტატიაშვილმა აიღო თანხა, 6000 მანეთი წიგნაკის უბეში ჩაიდო და წავიდა. ტატიაშვილი გადავიდა სხვა სამუშაოზედ, და ამის შესახებ

სრულიად შეწყდა მუშაობა. შემდეგ იყო სხვა ამორჩეული, რომელიც აღმოჩნდა ხალხის მტერი და მანაც ჩაშალა მუშაობა. მთელი საქმეები დაკეტილი იყო 8 თვის განმავლობაში (სუიცა ფ1547, საქმე 144, 1-2).” თვით ფრაზა „ხალხის მტერი”, გაზეთ „უღმერთოს” რუსულ ვერსიაში ჩნდება 1936 წელს და იგი განეკუთვნება „მუკის” ლენინგრადის ორგანიზაციის ყოფილ თავმჯდომარეს, უკვე იმ დროისათვის პატივაყრილ ზინოვიევის პირად მდივანს, ვინმე მატორინს. ორგანიზაცია „მუკის” დისკრედიტაციის თავიდან აცილების მიზნით, მოტორინს არა ანტირელიგიური კამპანიის ცუდ წარმართ-ვაში, არამედ კიროვის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერაქტში მონაწილეობაში სდებს ბრალს (პავლიაშვილი 2000: 3). რეპრესიები ძალას იკრებდა. თავად კიროვი, რომელიც კომუნისტური მთავრობის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ, ეგრეთწოდებულ ტერორისტულ აქტს შეეწირა. საბჭოთა კავშირისათვის უდაოდ დიდი დანაკლისი იყო იმ ადამიანის დაკარგვა, რომლის ნაწერები ანტირელიგიური თვალსაზრისით საკმაო პოპულარულობით სარგებლობდნენ. მის მიერ წარმოთქმული ლექციების კურსით, ანტირელიგიური უმაღლესები ხელმძღვანელობდნენ და შესაბამის კადრებს ამზადებდნენ. კიროვის, ისევე როგორც სხვა სოციალიზმის იდეოლოგების აზრით, „რელიგია ხელს უშლის სოციალიზმს, ზეციური კეთილდღეობა სიცრუეა, რელიგია მტრის სიყვარულის ქადაგებით ხელს გვიშლის, რათა კოლმეურნეობებიდან აღმოვფხვრათ მავნებლები, ასევე კულაკები” (უღმერთო №12, 1934: 2-3).

გორის რაიონში, ისევე როგორც ბევრ სხვა რაიონში, 1938-1939 წლებისათვის მუ-შაობა სრულებით დეზორგანიზებული იყო. სახსრების ნაკლებობა ანტირელიგიური მუშაობის წარმართვის თანამდევი პრობლემა გახლდათ. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი” მარცხისკენ მიექანებოდა. არ კმაროდა ცალკეული პიროვნებების ენთუზიაზმი. ვერც ეკლესიისა და სამღვდელოების დისკრედიტაციამ მოიტანა სასურველი შედეგი და სახელმწიფო მაინც იძულებული იყო ყველაზე უკიდურესი ზომებისთვის, ანუ რეპრესიებისთვის მიემართა. ეკონომიკური პროექტი და „კულტურული რევოლუცია” მთავრობას აიძულებდა სწორედ უჯრედების ენთუზიაზმზე მიეშვა ანტირელიგიური კამპანია. ამავე დროს ჩეკა და სხვა ძალოვანი სტრუქტურები, დარღვევების გამოვლინე-ბის შემთხვევაში თვით „მუკის” ორგანიზაციების ლიდერებსაც ედგნენ სადარაჯოზე. ასეთი დეზორგანიზაციული მუშაობით უკმაყოფილო მთავრობამ, საქართველოს „მუკის” თავმჯდომარე, ვინმე ანდრიაძე 1935 წლისათვის დამნაშავედ სცნო და დასაჯა კიდეც. 1936 წლის ანგარიშში ნათქვამია: „1935 წლისათვის, საქართველოს „მუკის” ორგანიზა-

ცია მისი ხელმძღვანელის, ანდრიაძის გამო, ფაქტიურად დეზორგანიზებული იყო, საბედნიეროდ, მისი ანტისაბჭოური მუშაობა დროულად გამოვლინდა" (სუიცა ფ1547, საქმე 158: 4-5). ამას ისიც დაერთო, რომ თურმე „გაზაფხულზე, ბავშვთა ეპიდემიის დროს, როცა მრავალი ბავშვი დაიღუპა, მღვდლები მოუწოდებდნენ მშობლებს მოენათლათ ისინი, რათა არ დახოცილიყვნენ მოუნათლავად(სუიცა ფ1547, საქმე 158: 6). 30-40-იანი წლების ხარვეზები „მუკის" მუშაობაში არა მხოლოდ მორწმუნე მასას, არამედ თვით უღმერთოებსაც ეხებათ. უღმერთოების მიერ, გამოვლენილი იყო კიდეც არაერთი ფაქტი, როცა თვით კომკავშირელები ნათლავდნენ თავიანთ შვილებს (ДЕЯТЕЛИ 1968: 7). სოხუმში იყო ფაქტები, როცა „აღდგომის დროს 12-18 წლის 5 ბავშ-ვი, ბერძნულ პედაგოგიურ ტექნიკუმს ესროდნენ ქვებს და ყვიროდნენ: „გაუმარჯოს აღდგომას, ძირს სკოლა" (სუიცა ფ1547, საქმე 132: 7). 1936 წლისათვის, ანტირელიგიური კამპანიის წარმოების მეთოთხმეტე წელს, „მუკის" არქივში ძიებისას, გამოვლენილია უამრავი ფაქტი საქართველოს მაგალითზე, როცა ანტირელიგიური მუშაობის პარალე-ლურად, ქართული სამღვდელოების თავგანწირული ბრძოლის შედეგად, მრევლი რომე-ლიც ვერც ეკონომიკური პრობლემების მოხსნის შედეგებს ხედავდა და აღარც მიწიერი სამოთხის, ანუ კომუნიზმის განხორციელების იმედი ასულდგმულებდა, ისევ სულიერებისაკენ იხრებოდა და მიმართავდა რელიგიას. სწორედ ამიტომ დასჭირდა სახელმწიფოს ანტისაბჭოური განწყობილების მძაფრი გამოხატულების აღმოსაფხვრელად, გართულებული საგარეო პოლიტიკისა და მოსალოდნელი ომის საშიშროების ფონზე, ანტისახელისუფლებო ძალებში რეპრესიების ახალი ტალღის გაშ-ლა. ამავე დროს, პერიოდული პრესა, ევროპაში მიმდინარე პროცესებს აშუქებდა, ბურჟუაზიული ქვეყნების კრიტიკისას არც მათივე სარწმუნოებრივი პოლიტიკის კრიტიკას ერიდებოდა, ასახავდა იმ დროის ევროპაში უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებულ ფაშიზმსა და ჰიტლერული გერმანიის მავნე ზეგავლენას. ფაშისტური სოციალიზმის, ანტირელიგიური პოლიტიკა, საბჭოთა კავშირის მხრიდან სიცრუედ და სიყალბედ ცხად-დებოდა. ფაქტების დასადასტურებლად, გაზეთის ფურცლებზე არაერთგზის დაიბეჭდა დასურათებული სტატია, რომელზეც კარგად ჩანს ჰიტლერისა და მისი თანამზრახველების კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ეკლესიისადმი. ადოლფ ჰიტლერი, რომელიც თავისი არსით ებრაულ მოსახლეობას დაუპირისპირდა და არიული რასის წარმოჩენის მიზნით უკიდურეს ზომებს მიმართავდა, საბჭოთა კავშირის მხრიდან კრიტიკულ დამოკიდებულებას ვერ გაექცეოდა. საბჭოთა კავშირში, ფაქტიურად ყველაზე მეტად ებრაულ-მასონური ფრთა ებრძოდა მართლმადიდებელ ეკლესიას, ვინაიდან იგი

ყველაზე მეტად გამოხატავდა ეროვნებასთან იდენტიფიკაციას, არ უპირისპირდებოდა სხვა კონფესიებს, ნაკლებად ინსპირირებდა შიდასაეკლესიო განხეთქილებებს, ეს კი თვით საერთო, საბჭოთა ერის ჩამოყალიბების გარანტიებს ხელს უშლიდა, ირღვეოდა მთავარი, გათიშე და იბატონეს პრინციპი, რომელიც ხელისუფლების სათავეში მყოფთ, სასურველი შედეგის მიღების საშუალებას არ აძლევდა. მიუხედავად რეფორმებისა, საბჭოთა კავშირი არ იყო ის ქვეყანა, რომელიც უცხოურ ვალებზე და ტრანშეებზე უარს ამბობდა. რეფორმების არაეფექტურობა სოციალურ ფონს კარგად ასახავდა და მთავრობა იძულებული იყო აქცენტი სხვა სახის პრობლემებზე გადაეტანა. ევროპული და ამერიკული კაპიტალიზმი მოსახლეობისთვის ისე უნდა დაეხატათ, რომ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესების ეფექტურობაში ეჭვი არავის შეეტანა. იგივე მიზნით, ფაშიზმზე და მისგან მომდინარე საფრთხეზე აქცენტირება საბჭოეთის იდეოლოგებს ხელს აძლევდა. ამრიგად, სახელმწიფოს შიგნით არსებული კრიზისი და რეფორმების კრახი არ შეიძლება არ ასახულიყო ისეთი სახის ორგანიზაციაზე, როგორიც „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი" გახლდათ. იმ ეტაპზე „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი" თანდათან წურავდა თავის ძირითად დანიშნულებას. საჭირო იყო მისი რესურსების გადამისამართება სხვა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიზნისკენ. საბჭოთა ხელისუფლებისათვის კარგად იყო ცნობილი, თუ რა იოლად ხდებოდა ერთ დროს პოპულარული და ავტორიტეტული ნებისმიერი ფენისა თუ პოლიტიკური ძალის დისკრედიტაცია. ამიტომ, ყურადღების მოდუნება არ შეიძლებოდა. მთელი რიგი საგაზეთო პუბლიკაციების თანახმად, 1935 წლისათვის, ჰიტლერული გერმანიის მტრული დამოკიდებულება ებრაული მოსახლეობისადმი უკვე ეჭვს არ იწვევდა. საბჭოთა კავშირში, მისი ლიდერის ლენინის მიერ განხორციელებული ანტიებრაული კამპანია კარგა ხნის მანძილზე იმალებოდა. სამაგიეროდ, აქცენტი კეთდებოდა გერმანიაზე, რომელიც ომისთვის მზადებასთან ერთად, ებრაელთა მიმართ განხორციელებული სადამსჯელო ოპერაციებით, საკმაო სახსრებს კრებდა. საბჭოთა კავშირი, რომელიც ცდილობდა გაეშუქებინა ამ ორ ერს შორის დამოკიდებულება, არაერთგზის წერდა, რომ „გერმანელი ფაშისტები მთელი ძალისხმევით ანხორციელებენ ებრაელთა წინააღმდეგ ეროვნულ-რელიგიურ ჩაგვრას, გაზეთ „ნოინე ციურიხერ ცეიტუნგ"-ის ვარაუდით, გერმანიას მოუწევს ყველა იმ გაზეთისა და ჟურნალის დახურვა, რომელსაც ებრაული საზოგადოება გამოსცემს, თუმცა გერმანელები არ ახლებენ ხელს ებრაულ რელიგიურ გამოცემებს, მიზეზი კი ისაა, რომ ჰიტლერისათვის სამღვდელოება მოკავშირეა ნებისმიერ რელიგიაში" (უღმერთო №5 1935: 8). ასევე, გერმანელთა პოლიტიკურ

კურსზე აქცენტირების მიზნით, საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებული მასალით ირკვევა, რომ „ფაშისტურ გერმანიაში, აეროპორტში, ქალაქ კიოლნთან, შედგა პარადი სამღვდელოების მონაწილეობით, რომელმაც აკურთხა ორი თვითმფრინავი, აგებული გერმანიის მისიონერულ ორგანიზაციის მიერ და მონათლული როგორც „პეტრე" და „პავლე" (უღმერთო №9 1935: 15). ეს კი იმ ფონზე, როცა პარალელურად, თვით საბჭოთა კავშირში, პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა სტატია, რომლის თანახმადაც, „ეკლესია როგორც პროგრესის მოწინააღმდეგე, სათავეში ჩაუდგა პირველ მიწისქვეშას და ამ პროექტის ავტორის საწინააღმდეგო კამპანიას" (უღმერთო №6 1935: 6). „ასევე, სამღვდელოება ებრძოდა ავიაციას" (უღმერთო №9 1935: 15). ანტირელიგიურმა ფრონტმა, საბჭოთა კავშირში, შენიღბულმა საერთო-ათეისტური პოლიტიკით, სხვა კონფესიებიც არანაკლებ შეარყია. განათლებული საზოგადოების დიდი ნაწილი მიუხედავად რელიგიური აღმსარებლობისა, პოლიტიკური მრწამსისა და სოციალური წარმოშობისა, ბოლშევიკებმა რეპრესიებს შესწირეს, მსგავსი პოლიტიკა გადარჩენილი მოსახლეობის მართვას აიოლებდა. მართლმადიდებლობა, როგორც ძალზედ წიგნიერი რელიგია, სხვა, თუნდაც მაჰმადიანური და იუდაისტური რელიგიებისგან განსხვავებით, შედარებით ნაკლებად თრგუნავდა ქალთა საზოგადოებას რელიგიური დოგმატებიდან გამომდინარე. მართლმადიდებლობა ქალთა საზოგადოებას არ ავალდებულებდა უსიტყვო მორჩილებას მამაკაცის მიმართ. სწორედ ამითვე აიხსნება უღმერთოთა შორის გაცილებით მეტი ყოფილი ქრისტიანი ქალბატონების რიცხვობრივი უპირატესობაც. 1937 წლის რეპრესიების შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ პიკს მიაღწია, სამეულის მიერ განაჩენგამოტანილი ადამიანები უბრალოდ ქრებოდნენ. მრავალი მათგანის რეაბილიტაცია და ოჯახისთვის ვითომდაც „მიყენებული ზარალის" ანაზღაურება მეტყველებს რეპრესიების უსამართლობაზე. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არქივის დოკუმენტებში მოგვითხრობს შემდეგ ფაქტს: „1937 წლის რეპრესიების დაწყებამდე, რუსეთის უღმერთოებმა გამოიკვლიეს უდიდესი ძალა და ავტორიტეტი ეკლესიისა, რომელთანაც უძლური აღმოჩნდა არა მხოლოდ „მუკი", არამედ კომკავშირიც. ბოლო დროის მანძილზე, ყველა ორგანიზაცია, რომელიც ანტირელიგიურ კამპანიას მართავდა, საკმაოდ სუსტად მუშაობდა. „მუკი" კრახის წინაშეა. არც კომკავშირი და არც ნარკომი არ აქცევს ყურადღებას მის მუშაობას", ანტირელიგიური გამომცემლობა ძალზედ შესუსტდა, მუკის წევრები, სახსრების მოძიების მიზნით საეჭვო კომერციული საქმიანობით დაკავდნენ. საქართველოს უღმერთოთა კავშირი მაგალითად ფლობს სავაჭრო ჯიხურებს, აბანოებს, მიღებული ზარალი

იქ 20 000-ს აღწევს. (ფონდი №1547, ამგვარ ინფორმაციას არ შეიცავს, სავარაუდოდ, თავის დროზე, იზრუნეს მათს გაქრობაზე, ან უშიშროების ისეთ საცავშია შენახული, რომელზეც ჩვენ ხელი ნაკლებად მიგვიწვდება; ე.სილაგაძე) ამხანაგები იაროსლავსკი, ლუნოჩევსკი და ოლეშჩუკი, რომლებიც სათავეში არიან, მუშაობას არ აწარმოებენ. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, კონტროლს არ უწევენ „მუკის" უჯრედებს (სუიცა ფ1879 საქმე 8: 124). ასეთი შეფასება მუკის უჯრედისათვის გამაფრთხილებელი აღმოჩნდა. მითუმეტეს რომ რეპრესიების შემდგომ პერიოდში სულ უფრო გამოიკვეთა ომის საშიშროება, რომლის შესახებაც საბჭოთა დაზვერვას ინფორმაცია ნამდვილად ჰქონდა. უკვე 30-იანი წლების ბოლოს, ხელისუფლებამ ტაქტიკა შეცვალა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლება ვერაფრით გაუმკლავდებოდა საზღვრებს გარეთ არსებულ ძირითად მოსაზრებას, რომელიც მკვეთრად უარყოფითად აფასებდა ბოლშევიკთა ანტირელიგიურ პოლიტიკას. შესაბამისად, მოახლოებული მსოფლიო ომის გამო, საბჭოთა კავშირის მთავრობა იძულებული გახდა ახლებური სტრატეგიით შეეცვალა ფუნქცია „მებრძოლ უღმერთოთა კავშირისათვის", რომელიც ამ ეტაპზე, თანდათან კარგავდა მისთვის მინიჭებულ უპირველეს ფუნქციას.

საბჭოთა კავშირის ისტორიის განვითარება, ორ ძირითად პერიოდს მოიცავს. ეს არის პერიოდი, სამეფო ხელისუფლების დამხობის შემდეგ II მსოფლიო ომამდე, და II მსოფლიო ომიდან მის შემდგომ. კომუნისტური წყობილებისადმი ზიზღმა და უამრავმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მიზეზმა და ჰიტლერულმა გერმანიამ, რომელიც ფაშიზმის განვითარებაში იმ დროისათვის აპოგეას აღწევდა, სრულებით შეცვალა იმ ქვეყნის აბსოლუტური უმრავლესობის ბედი, რომლის მეთაურიც სოციალიზმის აპოლოგეტი, წარმოშობით ქართველი, იოსებ ბესარიონის ძე სტალინი იყო. ვიაჩესლავ მოლოტოვის (საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწე, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი 1939-1949, 1953-1956 წწ.) მიერ, გერმანიასთან მშვიდობისა და საზღვრების დაცვის ხელშეკრულებამ არ გაამართლა. ყველაფრიდან ჩანდა ომის გარდაუვალობა და მოსალოდნელი საფრთხე. ომის დაწყებამდე, მილიონობით ადამიანი, რომელიც რეპრესიისაგან გამოწვეულ შიშსა და მღელვარებას, თავის თავში იკლავდა, უეცრად საჭირო გახდა თავისი ქვეყნის, ფაქტიურად თავისივე ჯალათის, „ფსევდოპატრიოტულ" ომში საბრძოლველად, ომში, რომელშიც მონაწილეობა ისეთი მცირერიცხოვანი ერისთვის როგორიც საქართველოა, გენოციდის ტოლფასი იყო. რა მოხდებოდა, II მსოფლიო ომი საწინააღმდეგო მხარის გამარჯვებით რომ დამთავრებულიყო, მხოლოდ ვარაუდი

შეიძლება. თუმცა, თავად უინსტონ ჩერჩილი, თავის ნაშრომში „მოახლოვებული ქარიშხალი", არაორაზროვნად აღნიშნავს, რომ, „ფაშიზმი გახლდათ აჩრდილი თუ მახინჯი პირმშო კომუნიზმისა. ვიდრე კაპრალი ჰიტლერი ომის მეცადინეობაში იყო, რომ გერმანელი ოფიცერებისათვის საჭირო კაცად ქცეულიყო მიუნჰენში და ამისათვის მუშებსა და ჯარისკაცებში კომუნისტთა და ებრაელთადმი სასტიკ სიძულვილს აღვივებდა – ვინაიდან სწორედ მათ სდებდა ბრალს გერმანიის დამარცხებაში, - კიდევ ერთმა ავანტიურისტმა ბენიტო მუსოლინიმ, მმართველობის ახალი წესი შესთავაზა იტალიას, რომელმაც, ვითომც იტალიელი ხალხის კომინიზმისაგან გადასარჩენად, თავად მუსოლინი აღაზევა დიქტატორ-ხელისუფლად. როგორც ფაშიზმი იშვა კომუნიზმისაგან, ისე ნაციზმი აღმოცენდა ფაშიზმისაგან. ასე აიდგა ფეხი ამ ორმა მონათესავე მოძრაობამ, განგების ნებით მალე რომ უნდა ჩაეთრია მსოფლიო კიდე უფრო საზარელ ბრძოლაში, რომელსაც მათი აღმოფხვრის მერეც კი, ვერავინ მიიჩნევდა დასრულებულად". აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ, ანექსირებულ, პატივაყრილ, დამონებულ ერებს, იმ სახელმწიფოს ერთიანობისათვის ბრძოლაში მოუწიათ მონაწილეობა, რომელშიც თვითონ მოლოდ მოძალადეობრიობის შედეგად მოხვდნენ. როგორც ვნახეთ, საბჭოური წყობა, უპირველეს მოვალეობად რელიგიური გადმონაშთებისაგან განთავისუფლებასა და ამის ხარჯზე სოციალიზმის განხორციელებას ისახავდა მიზნად. მაგრამ როგორ აიხსნება ის ფაქტი, რომ II მსოფლიო ომმა, შეცვალა საბჭოური ხელისუფლების დამოკიდებულება რელიგიური აღმსარებლობების მიმართ განსაკუთრებით კი მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებაში. ომის დაწყებისთანავე შეიცვალა სახელმწიფო იდეოლოგიის ძირითადი ასპექტები. პატრიოტიზმის გაღვივების მიზნით, გაჩნდა ლოზუნგი: „დედა სამშობლო გიხმობთ". საქართველოს მნიშვნელობა, ისევე როგორც ყველა დანარჩენი საზღვრისპირა ქვეყნებისა, მსოფლიო ომის დასაწყისისთანავე გამოიკვეთა. „30-იან წლებში, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა აღკვეთეს სსრ კავშირში, ცხადია საქართველოშიც ჯაშუშური რეზიდენტურების საქმიანობა, ჩაიფუშა ნაცისტების გეგმები, შეექმნათ „მეხუთე კოლონა" სსრ კავშირში" (ინაური 1987: 15), რომლის საშიშროება ქვეყნის შიგნით, სსრ-ს ხელმძღვანელობისთვის უცხო არ იყო. ქვეყნის სოციალურ--ეკონომიკურ განვითარებას საფრთხეს რელიგია უქმნიდა, ამიტომ მის წინააღმდეგ აგიტაციისას, „მუკის" წევრები არაერთგზის აღნიშნავდნენ, რომ ეკლესია წაახალისებს და სტიმულს აძლევს კაპიტალიზმის გადმონაშთებს, შოვინიზმს, ნაციონალიზმს, კერძო მესაკუთრეობასა და სხვა უამრავ დანაშაულს, რომელიც მიუღებელია

სოციალისტური წყობილებისათვის(სუიცა ფ1547 საქმე 138: 1). მის დაწყებასთან ერთად, საკმაოდ შეიზღუდა ანტირელიგიური გამოცემები. ბუნებრივია, „მუკის" ორგანიზაცია, რომლის მოღვაწეობაში, უკვე 30-იანი წლებისათვის არაერთი დარღვევა გამოვლინდა, რეორგანიზებას მოითხოვდა. დარღვევათა შორის, იყო მუკის უჯრედებში ხელმძღვანელობის არჩევითობის ტრადიციის უგულვებელყოფა. ისინი უბრალოდ ინიშნებოდნენ ზემდგომი ორგანოების მიერ.მუკის უჯრედების ხელმძღვანელები, ასევე ჩიოდნენ ხელფასებისა და სათანადო ტრანსპორტის არქონას გადაადგილებისათვის და დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე უარს აცხადებდნენ შედეგად როგორც ვნახეთ, უჯრედები ლიკვიდაციას განიცდიდნენ(სუიცა ფ1547 საქმე 140: 1). ამიტომ გახდა აუცილებელი, დაკანონებულიყო აქტივისტებისა და ხელმძღვანელების ხელფასი 20 მანეთის ოდენობით (სუიცა ფ1547 საქმე 1139: 2). მუკის ანგარიშებში და საქმიანობაში დარღვევების გამორიცხვის ასაცილებლად, მუკის ყველა რაიონს გაეგზავნა სპეციალური ფორმა №2-ის სახით, რომლის მეშვეობითაც უნდა ეწარმოებინათ კონტროლი(სუიცა ფ1547 საქმე 138: 15). ასეთი დარღვევეით შეიძლება ითქვას, რომ „მუკი" იყო მთლიანად საბჭოთა კავშირის მინი მოდელი, სადაც, ბიუროკრატიულობის მიღმა, უამრავ დარღვევას ჰქონდა ადგილი საწარმოო მართვის სფეროში. საბჭოური გეგმების და ხუთწლედების ოთხ ან სამ წელში გადაჭარბებით შესრულება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება ნაკლებად ნიშნავდა, წუნის შემთხვევები გაცილებით მეტი იყო. „მუკს" ვერც ხელფასების დანიშვნამ და წახალისებამ უშველა ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. ამ დროისათვის ასევე გამოვლინდა, რომ საქართველოს „მუკი" საწევროების აკრეფასაც ნაკლებად ახერხებდა ამიტომ ამ მხრივ კონტროლიც, ხელმძღვანელობის გეგმაში შედიოდა(EPHCT 1899: 33). ზემოთთქმულიდან ვნახეთ, რომ არასისტემატიური მუშაობის გამო, თვით კომკავშირი და საკავშირო მუკის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეებს, იაროსლავსკისა და სხვებსაც დაედოთ ბრალი. ამიტომაც, ანტირელიგიური პოლიტიკა საბჭოეთში არ შეცვლილა, უბრალოდ, საბჭოთა კავშირი ომის დაწყების წინ მოკავშირეების ძიებაში იყო, სწორედ ამან განაპირობა გარკვეულ დათმობებზე წასვლა, შესაბამისად „მუკი" აღარ წარმოადგენდა საჭირო ორგანიზაციას იმ სახით, რა იდეურ დანიშნულებასაც წინა წლებში ასრულებდა. თუმცა, ჰიტლერული გერმანიის მიერ, ომის დასაწყისში სსრკ-ს მნიშვნელოვანი ტერიტორიების ოკუპაციისას, ბოლშევიკური ანტირელიგიური კამპანიის საწინააღმდეგოდ, რიგ შემთხვევებში ეკლესიების გახსნა მოჰყვა. სტალინისათვის ყოვლად მიუღებელი იყო, ფაშისტების ნოვატორული პოლიტიკა სარწმუნოებრივ დარგში, რადგან გერმანია

ამ შემთხვევაში რელიგიის განმანთავისუფლებელადაც მოგვევლინა. მრევლმა ეკლესიებ-ში სიარული განაახლა. გერმანელების სარწმუნოებრივი სტრატეგია საბჭოთა ქვეყანაში ქვეცნობიერად, სიმპატიას გამოიწვევდა მიუხედავად იმისა, რომ მათაც, ბოლშევიკების მსგავსად, ანტირელიგიური საქმიანობა, პარტიული წესდებით ჰქონდათ განსაზღვრული. სწორედ ამიტომ, მებრძოლი უღმერთოების პირდაპირი, ანტირელიგიური აგიტაცია, მო-სახლეობაში ომისადმი საბჭოთა ჯარების მხარდამჭერი მოწოდებებით შეიცვალა. თავად სტალინის უშუალო ბრძანებულებით, შერბილდა ეკლესიისადმი დამოკიდებულება, რადგან უღმერთოთა ლიდერს კარგად ესმოდა ომში ეკლესიის იდეოლოგიური გავლენის ძალა, ადამიანებზე ზემოქმედების უნარი. ამავე დროს სტალინი არ დაუშვებდა ეკ-ლესიის „თავისუფლებით" ცალკეულ ერებში, ნაციონალური თვითშეგნების გაღვივებას. ომის დაწყების შემდეგ, „1941 წლის 6 ნოემბრის მიმართვაში სტალინი მუშათა და გლეხთა საბჭოთა ხელისუფლების ძალაუფლებაზე და სოციალიზმის დაცვაზეა საუ-ბარი, აქ სიტყვა არაა ნახსენები ეკლესიაზე, სხდომის საზეიმო დახურვის შემდეგაც, მხოლოდ „ინტერნაციონალის" ხმა გაისმა(МЕДВЕДЕВ 1990: 46). რახან სტალინური კურ-სი, ყოველგვარ გადახრას გამორიცხავდა, მსგავსი რამ „მუკის" შიგნითაც მიუღებელი იყო. თვითრეაბილიტაციის მიზნით, უჯრედის ხელმძღვანელები აღნიშნავდნენ, რომ უღმერთოებს შორის ბევრი მიკედლებული ადამიანი იყო(სუიცა ფ1547 საქმე 158: 7). კოლექტივიზაციის მსვლელობისას, როცა ყველას ქონება ერთი იყო და ერთის ყველასი, „მუკი" ვერც იმის კონტროლს აკეთებდა, რომ ეკლესიის მესვეურთ რელი-გიური რიტუალი არ ჩაეტარებინათ. „გორის რაიონში, სოფელ ატენში, ეკლესიის მსა-ხურნი, სისტემატიურად აღნიშნავენ რელიგიურ დღესასწაულებს, ასრულებენ საქონლის მსხვერპლშეწირვას, მონაწილენი ლოთობენ, ხულიგნობენ (სუიცა ფ1547 საქმე 158: 9). მარტვილის რაიონში, ადგილობრივი კოლმეურნეობა „გაგიჟდა", მისცა 1400 მანეთი, რომლითაც იგი ილორის მონასტერში გაემგზავრა, იქიდან კი საღსალამათი დაბრუნდა(სუიცა ფ1547 საქმე 158: 9). სურამის რაიონში, ჯერ კიდევ 1936 წელს, მღვდელმა ერთ დღეს მონათლა რამდენიმე ათეული ბავშვი. თითოეულის მონათვლაში აიღო 10 მანეთი, სოფელმა 800 ფუთი ხორბალიც შეუგროვა. ერთერთი მღვდელი, მარღანია იღებდა მონათვლაში 100 მანეთს და ამბობდა რომ თანხა სახელმწიფოს სასარგებლოდ მიდიოდა(სუიცა ფ1547 საქმე 158: 9). 1936 წლის ივლისში, მზის დაბნელე-ბისას, წალენჯიხაში, მოსახლეობა საჯაროდ ლოცულობდა ქუჩაში, როცა ყველაფერმა ჩაიარა, ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ(სუიცა ფ1547 საქმე 158: 9). თელავში, ალავერდობაზე, 2000-ზე მეტი მორწმუნე შეიკრიბა(სუიცა ფ1547 საქმე 158: 10). აღნიშ-

ნული, საქართველოს „მუკის" თავმჯდომარის, სახაროვის მოხსენებაშია. 30-იანი წლების მიწურულს, თუკი საბჭოთა ხელისუფლებას, მოსახლეობაში რეპრესირების განახლება დასჭირდა რელიგიური ბურუსიდან გამოყვანის მიზნით, ვინაიდან გამოჩნდა, რომ „მუკი" ვერ ასრულებდა მრავალმილიონიან ქვეყანაში თავის დანიშნულებას, უკვე 40-იან, წლებში, როცა იდეოლოგიური ბრძოლის მოგება აუცილბელი იყო ომში გასამარჯვებლად, საბჭოთა პროდუქტმა ანუ „მუკმა", დისკრედიტირებული რომ არ ყოფილიყო, ტაქტიკა შეცვალა. ანტიფაშისტური აგიტაციის პარალელურად, ეკლესია, რომელსაც ადამიანთა სულიერი შიმშილის დაკმაყოფილების უფლება ნაწილობრივ მიეცა, ეროვნულობისაკენ და შოვინიზმისაკენ რომ არ გადახრილიყო, „მუკის" აქტივისტები თვალყურს ადევნებდნენ, აკონტროლებდნენ სამღვდელოების შემოსავალს, ასევე ეკლესიის მხოლოდ კულტმსახურულ დანიშნულებას. ამავე მიზნით, ახალი უჯრედებისა და შესაბამისი ხარჯის აცილების მიზნით, „მუკის" წესდების ყველაზე მნიშვნელოვან მე-19 პუნქტში, წერია: „მუკის" უჯრედები ორგანიზდება მხოლოდ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ინიციატივით. ცალკეული მოქალაქეების ინიციატივით უჯრედის ჩამოყალიბება გამოირიცხოს, ასეთი ბავშვური პრაქტიკა, უკვე ისტორიის კუთვნილებაა, უჯრედი ანგარიშს აბარებს საერთო კრებას რომელიც კვარტალში ერთხელ ტარდება. ეს უჯრედის სტიმულირებას გამოიწვევს (სუიცა ფ1547 საქმე 158: 2). „მუკის" ორგანიზებაში, თვით ანტირელიგიური კაბინეტის მოწყობაც გათვლილი იყო. თუმცა ხშირად, მათს აღსაჭურვად მაინც არ იყო საკმარისი თანხები. სახელფასო განაკვეთის დაწესებითა და უჯრედების მხოლოდ პარტიული ორგანიზაციების ინიციატივით ჩამოყალიბება, ხელმძღვანელობის სიფრთხილით იყო გამოწვეული, რათა მიკედლებული წევრები გამოეხშირათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგი გარანტირებული ვერ იქნებოდა. რეპრესირებული მოსახლეობის დიდი ხვედრითი წილი მოდის საქართველოზე, მარშალ ლავრენტი ბერიას მიერ გაშლილი ანტიქრთული საქმიანობით, ათიათასობით ადამიანს, მათ შორის არაერთ ინტელიგენციის წარმომადგენელს, სასჯელის უმაღლეს ზომა, დახვრეტა შეეფარდათ. მოსკოვში, 1938 წლიდან ლუბლიანკის ბატონპატრონი ბერიას ხელი საქართველოს არაერთ რეგიონს, მათ შორის აჭარასა და სამეგრელოსაც მისწვდა საბჭოური კურსიდან გადახრაში მხილების გამო. მოსახლეობის საგრძნობლად შემცირება მცირერიცხოვან ერში „მუკის" ორგანოში შემავალი წევრების სიმცირეზეც აისახა. 1937 წლისათვის, ასევე დაფიქსირებულია მუკის 18 000 წევრი 9 ფორმალურად არსებულ უჯრედში, რომლის რაოდენობას ხელოვ-

ნურად ბერავდნენ. ხალხი ეკლესიაში მაინც დადიოდა, ერთიდაიგივე ხდებოდა სოხუმის, ბათუმისა და სხვა რეგიონების ეკლესიებში. მარტო თბილისში, აღდგომის დღეებში, სიონში 3000, ქვაშვეთში 2000 კაცი დაესწრო წირვას. თელეთობას, სასწაულმოქმედ ხატზე სალოცავად, 2500 კაცი დაესწრო, შეიწირა 150 ცხვარი. საქართველოს მაშტაბით დაკეტილი 22 მონასტერის დარაჯებად, ნარკომს ბერები ჰყავს დაყენებული და უხდის 75 მანეთს თვეში, რომლებიც მონასტერებში ღვთისმსახურებას, ჯვრისწერას, ნათლობას აღასრულებენ. ამის გამო, ხალხი დადის მონასტერებში. რის შესახებაც გაფრთხილებულია „მუკის'' ცენტრალური საბჭო, ასევე საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტი(სუიცა ფ1547 საქმე 158: 35-37). ამ დროს, თავად „მუკი'' სამუშაო ანგარიშში შემდეგ მონაცემებს აქვეყნებს: ამ ხნის მანძილზე გაიმართა 1519 მოხსენება, სა-მეცნიერო ანტირელიგიური 361 ერთეული, რადიოგადაცემა 37, ჩამოყალიბდა 31 წრე, გატარდა 148 ანტირელიგიური დადგენილება, საღამო კლუბებში 81, ფილმი 39, უჯ-რედების კოლმეურნეობებში გასვლითი აქცია 13, ანტირელიგიური ლოზუნგების კომპლექსური გავრცელება 122, შაბათობა 2. ფოტოსერია 47, ექსკურსია 3, მოეწყო 23 კუთხე, გამოიცა 37 კედლის გაზეთი, სტატიების განთავსება რაიონულ გაზეთებში 68(სუიცა ფ1547 საქმე 150: 39) (ამ დროისათვის „უღმერთო'' არ გამოდიოდა). ღოგორც საქართველოს „მუკის'' შედეგებიდან ირკვევა, „მუკის'' წევრების გარდა, მუშაობაში ახალი კადრების ჩართვა, საქართველოს მაგალითზე სირთულეს წარმოადგენდა. თუმცა „მუკმა'' და საბჭოთა ხელისუფლების კურსმა, მოსახლეობაში მოახერხა ჩაენერგა შიში, რაც ეკლესიასთან დაცილებას იწვევდა. II მსოფლიო ომის დაწყებამ, როგორც ვთქვით შეცვალა „მუკის'' დანიშნულება. 1941 წლის 31 დეკემბრის სარევიზიო კომისიის მიერ ჩატარებული „მუკის'' აპარატის ქონების აღწერითა და ინვენტარიზაციით დგინდება, რომ ომის დაწყებისას ცენტრალურ საბჭოს 18674 მანეთის ქონება, 1338 მანე-თის წიგნები, 27483 ანტირელიგიური ლიტერატურა მოეპოვებოდა(სუიცა ფ1547 საქმე 150: 13). უამრავი თანხა, რომელიც ''მებრძოლ უღმერთოთა კავშირის'' ორგანიზებაში წავიდა, რათქმაუნდა არ უნდა დაკარგულიყო, თუმცა ანტირელიგიური აგიტაცია მსოფლიო ომის დროს აქტუალური არ იყო და ისეთივე სიფრთხილეს მოითხოვდა, როგორც თვით ანტირელიგიური საქმიანობის ლეგალიზების დროს ჯერ კიდევ 1928-1929 წლებში მთელი საბჭოეთის მაშტაბით. სხვანაირად, ვერც საკადრო ცვლილებებითა და ვერც სახელფასო დაინტერესებით, ''მებრძოლ უღმერთოთა კავშირს'' ხელისუფლება კომპრო-მენტირებას ვერ ააცილებდა. მითუმეტეს რომ, ომით გამოწვეული ადამიანების რესურსების ნაკლებობა, თავისთავად დაეტყო „მებრძოლ უღმერთოთა კავშირს''.

მთელი 40-იანი წლების მონაცემებით, საქართველოში მუკის მუშაობის ხარვეზები და ამ მხრივ საბჭოური ხელისუფლების არაქმედითუნარიანობა კულმინაციას უკვე 1946 წელს აღწევს. სტალინმა, გამჭრიახი პოლიტიკის წყალობით, აბსოლუტურად დაინახა, თუ რა იდეოლოგიური როლი შეეძლო ეკისრა ეკლესიას ომის პერიოდში, თუმცა, როგორც კონტროლიორის მებრძოლ უღმერთოთა კავშირს, ეს იდეოლოგია და შესაძლებლობები აუცილებლად უნდა გაეკონტროლებინა. კონტროლი საჭირო იყო იმის გამოც, რომ ეკლესიას ჯერ კიდევ შესწევდა ცალკეულ ერებში, ეროვნული გრძნობების გაღვივების ძალა. ეროვნულობა კი ცალსახად ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირში არსებულ სტერეოტიპს, რომლის თანახმაც, ერთა თანასწორობა და ინტერნაციონალიზმი გახლდათ საფუძველი კომუნიზმისა და სოციალიზმისა.

საბოლოო დასკვნით, როცა საუბარია „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" კრახზე და მის შედეგებზე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ორგანიზაციის არსებობა არარსებობის საკითხი, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ განსაზღვრა. ა.ე. ლევიტანის მოთხრობით, როცა 1943 წლის 4 სექტემბერს, იმ დროინდელ რუსეთში, ანტირელიგიური ტერორით გამოწვეული რეპრესიებით გადარჩენილი რუსი მიტროპოლიტი სერგი, მიტროპოლიტი ალექსანდრე (მომავალში პატრიარქი), ასევე კიევის მიტროპოლიტი ნიკოლოზი კრემლში მიიყვანეს სტალინთან აუდიენციაზე, მოლოტოვმა გააცნო ლიდერის სურვილი, რომელიც ეკლესიის პრობლემების გამორკვევას შეეხებოდა. ხმის ამოღება ვერავინ შეძლო, მხოლოდ მიტროპოლიტმა სერგიმ გაბედა ეთქვა ბელადისთვის რომ მოქმედი ეკლესიების რიცხვი არაფრით შეესაბამებოდა მოსახლეობის რელიგიურ მოთხოვნილებებს, რომ აუცილებელი იყო პატრიარქის არჩევა და სასულიერო სემინარიების გახსნა საკავშირო მაშტაბით, ვინაიდან კადრების ნაკლებობა ეკლესიის წიაღში დაუშვებელია. გადმოცემით სტალინმა მიტროპოლიტს სიტყვა შეაწყვეტინა და მრავალმნიშვნელოვნად ჰკითხა, თუ რატომ არ ჰყავდათ კადრები, ან სად გაქრნენ ისინი, მიტროპოლიტმა ტაქტიკურად მიუგო, მიზეზი იმაშია, რომ ჩვენ კი ვამზადებთ კადრებს, მაგრამ ისინი საბჭოთა კავშირის მარშლები ხდებიანო. ბუნებრივია მან თავად სტალინი იგულისხმა. საუბარი ღამის სამ საათამდე გაგრძელდა. ამის შემდეგ, რამდენიმე დღეში შეიკრიბა საეპისკოპო კრება, სულ 12 ეპისკოპოსის შემადგენლობით, რადგან იმ დროისთვის რუსეთში მეტი ეპისკოპოსი აღარ იყო, კრებამ 18 წლიანი პაუზის შემდეგ რუსეთის პატრიარქად კვლავაც სერგი აირჩია(МЕДВЕДЕВ 1990: 48-50). 1943 წელში, ომში ჩართული საბჭოთა ერების

უდიდესი ნაწილის თავგანწირვით, მისი მოგება თითქმის გადაწყვეტილი იყო, იგივე დამსახურება, საბჭოთა რეზიდენტურის აქტიურ მუშაობასაც ეკუთვნის. ამიტომ, სტალინი ფიქრობდა დანგრეული სოციალიზმისა და ქვეყნის განახლების საქმეში ეკლესიის ჩართვას უკვე ომის შემდგომ, რათა არ მომხდარიყო საბჭოთა კავშირის რღვევა, რასაც თვით ქვეყნის მოკავშირეები გულწრფელად ნატრობდნენ. ევროპის ქვეყნებისათვის საბჭოური სოციალიზმის გავრცელება თუნდაც ფაშიზმის დამარცხების ხარჯზე მიუღებელი იყო.

საქართველოში „მებრძოლ უღმერთოთა კავშირისა" და ეკლესიის ურთიერთობა, ომის დაწყებასთან ერთად პოზიციების ნაწილობრივი შერბილებითა და პოლიტიკის შეცვლით გამოიხატა. ქართველი ერი ამ დროისათვის ომში მონაწილეობის გამო ისედაც სისხლისგან იცლებოდა, დაღუპულთა და დასახიჩრებულთა რიცხვმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. სამაგიეროდ, რუსების, უკრაინელების, ბელორუსიელის, ტატარინების, ებრაელების და ყაზახების შემდეგ საქართველო 91 საბჭოთა კავშირის გმირით, მეშვიდე ადგილზე იყო(ГРУЗИНСКАЯ 1980: 17);

ომის წლებმა და აუარებელმა მსხვერპლმა, მართალია შეაფერხა „მუკის" მუშაობა, მაგრამ იგი არსებობას მაინც აგრძელებდა. თუ ომის წლებში მისი წევრები ეკლესიიდან შემოწირული თანხების აგროვებასა და გადანაწილებას კურირებდნენ, ომის დამთავრებისა და საბჭოთა კავშირის გამარჯვების შემდეგ, „მუკმა" კვლავ განაახლა ანტირელიგიური მუშაობა. ამ დროისათვის საქართველოს „მუკის" თავმჯდომარე ქართველი, ვინმე ჭელიძეა. მისდამი მიმართვაში, ქუთაისში ჩატარებული მუშაობის მოხსენების მიხედვით ირკვევა, რომ იქ „სულ ჩამოყალიბდა მუკის 10 უჯრედი. მუკის უჯრედები გარდა იმისა, რომ კრეფავენ საწევრო ანაბრებს, აგრეთვე ხელმძღვანელობენ ადგილებზე ლექციების ჩატარებას და სხვა. მუკის რაისაბჭოს მიერ დამტკიცებულ ლექტორებს, აცნობენ თემატიკას, ამზადებენ აუდიტორიას ლექციებისათვის, რაიონის 10 უჯრედი აერთიანებს 1034 წევრს. რაიონში მოქმედი ეკლესია ან სხვა სამლოცველო სახლი არ არის. /ქუთაისის რაიონული მუკის თავმჯდომარე: ძიძიგური/ (სუიცა ფ1547 საქმე 139: 3). ამ დროისათვის, მაგალითად ცაგერის რაიონის მუკის თავმჯდომარე, აღნიშნავს რომ მიმდინარეობს მუშაობა უჯრედების შექმნისათვის, რომლის შედეგადაც „აქამდელი მუშაობის შედეგად, რაიონში ადგილი არ ქონია რაიმე სახის სამლოცველოს გახსნას ან ძველი ეკლესიის ამოქმედეის, მხოლოდ ზოგან არის ჯერ კიდევ დარჩენილი მცირე რაოდენობით

სამლოცველოები, რომელშიც მიდიან დიდი ხნის ხალხი, მოხუცები, მაგრამ ისიც მცირე რაოდენობით რელიგიურ დღეებზე. ეს იმის მაჩვენებელია, რომ რაიონში ანტირელიგიური მუშაობის შედეგად შემზირდა მლოცველთა რაოდენობა, ახლა კიდევ უფრო გაძლიერდა ანტირელიგიური მუშაობა, ტარდება ლექცია მოხსენებები. ხალხის ფართო მასებს ესაუბრება ჩვენი რაიონის შეგნებული ადამიანები. შედეგად ამისა, ჩვენს რაიონში თუ იყო წინათ მღვდლები, მრჩეველები, ექიმბაშები, ახლა აღარ არის. /ცაგერის მუკის თავმჯდომარე: გ.სვანიძე/''(სუიცა ფ1547 საქმე 157). ჭიათურის მაგალითით, მოხსენებაში ირკვევა, რომ რაიონში ადგილი არ აქვს ცრუ რწმენის მაგალითებს, დაიწყო საწევრო დავალიანების ამოღება, ლექტორები ჩატარებულ ლექციებზე გასამრჯელოს ღებულობენ ადგილზე, ფასიანი ლექციებიდან შემოსული თანხის დარჩენილ 10%-იდან, თითოეული ლექციის ჩატარებაზე 50-დან 100 მანეთამდე (სუიცა ფ1547 საქმე 157). ასევე, ხაშურის რაიონის მოხსენებითი ბარათის ანგარიშიდან ირკვევა, რომ ეკლესიის გახსნის შემთხვევას ადგილი არა აქვს, საეკლესიო დღეებში თუმცა ადგილი აქვს ხალხის შეგროვებას, მაგრამ ამ შემთხვევაში, მათ წინააღმდეგ ზომები არ გატარებულა. იგივე ხდებოდა ონის რაიონშიც, სადაც მუკის 19 უჯრედი ჯერ კიდევ 1946 წელს ჩამოყალიბებულა. აქაც, მონაცემებით არცერთი მოქმედი ეკლესია არ არის, „მხოლოდ ჯერჯერობით ადგილი აქვს ღამის მთეველების შემთხვევებს რიგ სამლოცველო ადგილებზე'' (სუიცა ფ1547 საქმე 157: 20)''. აჭარის მონაცემებით, ასევე ირკვევა, რომ იქ 255 პირველად ორგანიზაციას 10 332 წევრი ჰყავს, ხოლო სალექციო მუშაობას სისტემატიური ხასიათი აქვს. ამ პერიოდისათვის, სამლოცველო სახლი და ეკლესია არ გახსნილა არც სიღნაღის რაიონში, „ჩვენს რაიონში მოხეტიალე მღვდლის გასტროლებს ჰქონდა ადგილი გასული წლის ზაფხულში,'' თუმცა ესეც აღიკვეთა და შედეგად იქ 19 უჯრედი შეიქმნა(სუიცა ფ1547 საქმე 157: 26). ყოფილ მაიაკოვსკის რაიონშიც, აღკვეთილ იქნა მღვდლის „ხეტიალი''. იგივე დროს, გორის რაიონი 78 მუკის უჯრედს აერთიანებდა (სუიცა ფ1547 საქმე 157: 31). თავის დროზე ჩაშლილი მუშაობა, აღდგენილი იყო. ეკლესიის გახსნას ადგილი არ ჰქონია. წევრთა რაოდენობა 7224-ია (სუიცა ფ1547 საქმე 157: 31). აღნიშნული მონაცემები, მეტნაკლები რაოდენობრივი განსხვავებით, ასახავს ონის, თელავის, თეთრიწყაროს, ორჯონიკიძის, კასპის, რაიონებში. კასპში, ქალაქ გომში, მომხსენებელი შარაშიძე აღნიშნავს, თითქოს რაიონში ადგილი ჰქონდა „ ყოფილი მღვდლის, ოთარიძის მიერ დაწერილ განცხადებას ეკლესიის გახსნის თაობაზე, რაც სიმართლეს არ შეეფერებაო''(სუიცა ფ1547 საქმე 157). გამონაკლისს წარმოადგენს ლაგოდეხის ინფორმაციაც, სადაც

ალავერდის ეკლესიის გარდა, „არის ერთი კულტის მსახური, გვარად ნოიძე, რომელსაც ნება აქვს დართული აწარმოოს თავის ბინაზედ ბავშვების მონათვლა(სუიცა ფ1547 საქმე 157). მუკის ხელმძღვანელების მიერ აქცენტი, ძირითადად ეკლესიის გახსნაზე და თანხების აგროვებაზე კეთდება. როგორც ჩანს, შეფასება რომელიც მოსკოვის „მუკის" კონტროლმა საქართველოს რამდენიმე ხნით ადრე გაუკეთა, საქართველოს უღმერთოების გასააქტიურებლად საკმარისი აღმოჩნდა. ამავე დროს, საქართველოში ეკლესიის გააქტიურება და აღორძინებას რომ ეროვნული ცნობიერების გაღვივება მოჰყვებოდა, სტალინურმა მთავრობამ კარგად იცოდა. მეტადრე მაშინ, როცა ანტისაბ-ჭოურმა განწყობილებამ საქართველოში მეორე მსოფლიო ომის დროს იჩინა თავი და ქართველები რუსი „ოკუპანტების" წინააღმდეგ გერმანული დროშის ქვეშ გააერთიანა(რცხილაძე 1994;).

1947 წლისათვის, ე.ი. ლიკვიდაციის დროს, მუკის ორგანიზაციაში ირიცხებოდა 609 მუკის უჯრედი, 75.401 მუკის წევრით, რაც ოფიციალური უღმერთობის ფონზე საქართველოს მაშტაბით, ვფიქრობთ ძალზედ ცოტაა. 1947 წლის საქართველოს მუკის მონაცემები მეტნაკლებად ასახავს ამ ორგანიზაციის მუშაობის ხარისხს, მაგრამ ის, რომ აღმასრულებელი კომიტეტის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 29 აპრილის დადგენი-ლების საფუძველზე ორგანიზაცია ლიკვიდირებულ იქნა (სუიცა ფ1547 საქმე 165: 2), მის დამარცხებაზე მეტყველებს. საბჭოთა კავშირმა გაიმაგრა პოზიციები მსოფლიოში, ატომური კვლევების წარმატებამ, ბევრი რამ შეცვალა. მოძალადეობრივი და ამაზრზენი მეთოდებით რელიგიასთან ბრძოლა, უკვე მის ავტორიტეტს ლახავდა, მითუმეტეს უკვე შესაძლებელი იყო, უფრო ცივილური მეთოდებით, „პოლიტიკური და მეცნიერული ცოდ-ნის გამაფართოებელი საზოგადოების"(სუიცა ფ1547 საქმე 165: 2) მეშვეობით, ცრუ რე-ლიგიურ რწმენა წარმოდგენებთან ბრძოლა.

ნიურბერგის პროცესმა (1945, 20 ნოემბერი - 1946, 1 ოქტომბერი), II მსოფლიო ომ-ის დროს, კაცობრიობის წინაშე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებების ჩადენის გამო, არაერთ გერმანელ ლიდერს, სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯა. არადა, უდანაშაულო ადამიანები მსოფლიო ომით გამოწვეულ საშინელებას ეწირებოდნენ. ხოლო საბჭოთა კავშირის ბელადებმა, ლენინმა, სტალინმა, მოლოტოვმა, ბერიამ და სხვებმა, სოცი-ალიზმისა და „კულტურული რევოლუციის" განხორციელების მიზნით, კონცლაგერებსა და გადასახლებებში, მილიონობით ასევე უდანაშაულო ადამიანს, სასიკვდილო განაჩენი მშვიდობიან დროში გამოუცხადა. რეპრესიები არ დასრულებულა 30 - იან წლებში.

რეპრესიების ახალმა ტალღამ 50-იანი წლების შემდეგაც იფეთქა, ხოლო ნიკიტა ხრუშჩოვის ხელისუფლებამ ისევ ააღორძინა "მებრძოლ უღმერთოთა კავშირი". აქედან გამომდინარე დასკვნა ერთია, ფაშიზმსა და საბჭოურ კომუნისტურ იდეოლოგიას შორის განსხვავება, არსებითი არ არის. ისინი მხოლოდ სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ, იდენტური მეთოდებით.

ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკა 20-იან, 40-იან წლებში, სწორედ იმ გეზს მიჰყვებოდა, რომელსაც ოფიციალური ხელისუფლება ადგა. შესაბამისად, ორგანიზაციის კრახი განსაზღვრა მსოფლიო პოლიტიკური მოვლენის, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ, ვინაიდან საბჭოთა კავშირი რეალური საფრთხის წინ წარსდგა და მოკავშირეების ძიებაში შინ თუ გარეთ, მტრულად განწყობილ ოფიციალურ ორგანიზაციის ლეგიტიმურობას იმ სახით, რა სახითაც იგი ამ დრომდე არსებობდა ნამდვილად ვერ დაუშვებდა. შედეგად, საბჭოთა ხელისუფლების სტალინურ პერიოდში, ნამდვილად მოხდა სახელმწიფოს მიერ ეკლესიის როლის აღიარება, მაგრამ არა იმიტომ რომ შეიცვალა დამოკიდებულება რწმენის საკითხში, არამედ იმისთვის, რომ ომით გამოწვეული კრიზისის გამო, გაკოტრებულ სახელმწიფოს, ხალხში ნდობის მოსაპოვებელი ძალა ეკლესიის გარეშე ნამდვილად არ შესწევდა. საბჭოთა კავშირის წარმატება მეორე მსოფლიო ომში, ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში აღშფოთებას იწვევდა. მათი აღშფოთება შესაძლოა იმ ძალებს დაყრდნობოდა, რომლებიც ქვეყნის შიგნით, არცთუ აღფრთოვანებით ხვდებოდნენ სოციალიზმისა და ათეიზმის საერთო კომუნისტურ იდეოლოგიას. რომ არა მეორე მსოფლიო ომი და მისი ლიდერის გამჭრიახი ნაბიჯები, ასევე ატომური იარაღისთვის გამოცხადებულ მარათონში საბჭოთა აგენტურისა და დაზვერვის გამარჯვება, საბჭოთა კავშირის არსებობა შესაძლოა გაცილებით ადრე დასრულებულიყო. ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკის სახეცვლილებაც, გამოწვეული იყო იმ ძირითადი მოტივით, რომ დაშლისა და დაქუცმაცების საფრთხის ქვეშ მყოფ ქვეყანაში, რომელიც ვერც ეკონომიკური წარმატებითა და რეფორმებით გამოირჩეოდა, მოსახლეობას იმედით მხოლოდ რელიგიური საკითხისადმი ლოიალური დამოკიდებულება თუ განაწყობდა, მითუმეტეს, რომ რწმენის შთაგონებისა და სულიერი განახლების ძალა ისე არავის შესწევდა, როგორც ეკლესიასა და სამღვდელოებას.

§2. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღონისძიებები საბჭოთა კავშირის ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკის პარალელურად

„მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" მიერ, საქართველოს ეკლესიის საწინააღმდეგოდ განხორციელებული ნაბიჯები არა მარტო მორწმუნე მრევლის, არამედ მთელი ერის ფსიქიკაზე, მის ეროვნულობაზე, დამანგრეველად აღიბეჭდა. სარწ-მუნოებრივი ფასეულობების ჩახშობის ფონზე, მართლმადიდებლური მოძღვრების მიერ დაგმობილი ცრუმორწმუნოება, გადაგვარებული საეკლესიო რიტუალები (ვგულისხმობთ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მოსახლეობაში, არცოდნის გამო, თუნდაც დაკრძალვისას, ან ქორწილისას ტრადიციებად დამყარებულ გაუგებარ ტრადიციებს) სამღვდელოებისადმი უნდობლობა და საერთოდ ქრისტიანული ტრადიციების მოშლა მოჰყვა. უძველესი ქრისტიანული კულტურის მატარებელ ერში, ამ ფაქტორებს არ შეიძ-ლებოდა გავლენა არ ექონია შემდგომ მატერიალურ-კულტურულ განვითარებაზე. ქართულ სამოციქულო ეკლესიის მესვეურთ, კარგად ესმოდათ, თუ რა მოჰყვებოდა აღნიშნულ გარემოებებს, თუმცა თავდაპირველად ვერავინ წარმოიდგენდა რომ ანტი-სარწმუნოებრივი დევნა-შევიწროვება კომუნისტური ხელისუფლების პირობებში ასეთ მაშტაბებს მიიღებდა. მიუხედავად იმისა რომ მენშევიკური მთავრობის მიერ განხორციელებულ ანტისაელკესიო რეფორმებთან ქართველ მრევლსა და ეკლესიას შეხება უკვე ჰქონდა, შეიძლება ითქვას, რომ ძველი რეფორმები ბოლშევიკური ტერორის ფონზე არაფერი იყო.

ჯერ კიდევ 1918 წელს სოციალ-დემოკრატების მიერ სასულიერო სასწავლებლების გაუქმებამ, ეკლესიას სასულიერო კადრების მომზადების საშუალება მოუსპო, „ეკლესისაგან ქართველი ხალხის გაუცხოებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ქართული სამღვდელოება იზრდებოდა და ყალიბდებოდა მაშინდელ რუსულ სასულიერო სასწავლებლებში, სადაც ქართულის ხსენება არ იყო, სადაც ისინი სწავლობდნენ ყველაფერს, გარდა ქართულისა, რის გამოც მათ არ შეეძლოთ ღვთისმსახურება ქართუ-ლად, მათი არ ესმის მრევლს, ხოლო მრევლისა ამ სამღვდელოებას, ეკლესია მისი მსა-ხურების სახით ახლა ქცეულია მრავალი პოლიტიკური ტენდენციების ცხოვრებაში გატარების იარაღად. ის აქციეს ისეთ კანცელარიად, რომელიც ასრულებს სახელმწიფო მექანიზმის გარკვეულ ფუნქციას"(ჯაფარიძე 2003: 51).

მეფის ხელისუფლების მიერ, რუსული სამღვდელოება რომ მთლიანად პოლიტიზირებული იყო რუსიფიკატორული პოლიტიკის სისრულეში მოყვანის მიზნით, სადაო არაა. ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, საქართველოს სასულიერო პირებს, უნდა გაეთვალისწინებინათ ის პოლიტიკური კურსი, რომელსაც ჯერ მენშევიკური, შემდეგ კი ბოლშევიკური მთავრობა ახორციელებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკლესიის როლის ისედაც უგულვებელყოფა სახელმწიფო საქმეში, ორივე მთავრობის მხრიდან, ერისა და ბერის გაუცხოებას კიდევ უფრო გააღრმავებდა.

საქართველოს სამოციქულო ეკლესია რომ არასახარბიელ მდგომარეობაში ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროიდან იყო ცნობილია. რუსეთის თვითმპყრობელობის რეაქციულმა და ანტიეროვნულმა პოლიტიკამ, უარყოფითი ზეგავლენა იქონია კავკასიისა და საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ყველა მხარეზე. ყველაზე ძლიერ ზეწოლას განიცდიდა ეკლესია. ''რუსულ საეკლესიო წყობას, როგორც ქართული საერო და სასულიერო ცხოვრების წესისაგან რადიკალურად განსხვავებულ პოზიციაზე მდგომს, არ შეეძლო დადებითი ერისათვის სასარგებლო ძვრების მოხდენა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია ქართველი ხალხის უარყოფითი დამოკიდებულება ახალი მმართველობის წესისადმი. ქართველი ერი დღიდან რუსეთის გაბატონებისა საქართველოში არასოდეს შეგუებია დამპყრობლურ, ანტიეროვნულ პოლიტიკას და მისდამი დაპირისპირების სხვადასხვა ფორმით ცდილობდა ქვეყნის გადარჩენას მოახლოებული საფრთხისაგან. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით აღსანიშნავია XX საუკუნის დასაწყისის ეპოქა, როდესაც ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის გამოცდილებით, დამპყრობთა ჩაგვრის მეთოდ-ხერხების, ფორმების, მიზნებისა და მმართველობის შინაარსის გააზრებამ ერთად მოიყარა თავი, როდესაც საქართველოში მიმდინარე ცარიზმის ექსპლოატატორული რეჟიმის და რუსული საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული სოციალური ხასიათის მღელვარებანი მჭიდროდ დაუკავშირდა საერთო სახალხო დემოკრატიულ მოძრაობას და მას მწვავე შეურიგებელი ხასიათი მიანიჭა'' (პავლიაშვილი 2000: 15).

რუსული თვითმპყრობელობა თავისი არსით განწირული იყო, ვინაიდან მათ იარაღად სწორედ რუსული საეკლესიო იერარქები იქცნენ, რომლებიც თავისი ქმედებებით შორს იდგნენ სულიერებისგან და მეფის ხელისუფლების მიერ დაშვებულ ჩაგვრა-შევიწროებას, ეროვნული სულის ჩაკვლის საქმეს ემსახურებოდნენ. როგორც

აღინიშნა ჩაგვრა ეროვნულ-სოციალურ, ეთნიკურ-რელიგიურ ასპექტებს მოიცავდა და მართლდებოდა რუსი სამღვდელო პირების ხელით. ''XX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის ანტიეროვნული პოლიტიკა, ხალხის ეროვნულ-სოციალური ჩაგვრა და ყოველივეს შედეგად ეროვნული ეკლესიის გადაგვარება გულგრილს ვერ ტოვებდა ქართველ სამღვდელოებას და მათ ქვეყნის ბედ-იღბლის მოჭირნახულედ აყალიბებდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ მეტად მამულიშვილურ საქმეში დაირაზმა ქართველი ერის დემოკრატიული ძალები. ალექსანდრე ცაგარელი აღნიშნავდა – ''მხნედ იყავით, ვიბრძოლოთ სიტყვით და კალმით, ვერ შეგვაშინებენ, ქართველი ხალხი გამძლეა, ბევრს უბედურებას გადაუვლია მის თავზე, მაგრამ არ წაქცეულა. ქართველი საზოგადოებრიობისა და ეკლესიის ასეთი ერთსულოვნება იყო ამ უკანასკნელის უდიდესი გამარჯვება, რაც მისი ავტოკეფალიის აღდგენით დასრულდა'' (პავლიაშვილი 2000: 17). ქართული სასულიერო და მოწინავე საზოგადოების ფენების ერთობლივი მუშაობა გახდა საფუძველი ავტოკეფალიის საკითხის ჯერ დაყენების, შემდეგ კი მოპოვებისა. ''ეკლესიის თავისუფლება ჩვენი ეკლესიის ისტორიული უფლების აღდგენა, რასაკვირველია არ ნიშნავს ეროვნულ თავისუფლებას, მაგრამ იგი პატარა ჩანასახი მაინც არის ერის უფლებებიდან'' – აღნიშნულია გაზეთ ''ქართული გაზეთის'' ფურცლებზე (პავლიაშვილი 2000: 17). ქართული სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვის, როგორც პრობლემის გათავისება საზოგადოების იმ ნაწილში, რომელსაც მეფის რუსეთის რუსიფიკატორული პოლიტიკა მთელი სიმძაფრით უწვნევია, საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო იმ დროისთვის. მიუხედავად იმისა რომ, ეკლესიისადმი მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულება ძნელი ასახსნელი არ არის, მაინც უნდა ითქვას რომ, ამ უკანასკნელებმა ვერ გააცნობიერა რომ, ეკლესიის დამოუკიდებლობა და ავტოკეფალიის გამოცხადება თითქმის ერთი წლით ადრე, მომავალი საქართველოს დამოუკიდებლობის საფუძველს ქმნიდა. ''სოციალ-დემოკრატთა ქართული ფრთა ითხოვდა ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას მხოლოდ მისი სახელმწიფოსგან გამიჯვნის შედეგით. მათ სწამდათ, რომ როგორც კი თვითმპყრობელობა დაემხობა და სახელმწიფოს ზეგავლენა ეკლესიაზე მოისპობა, ამ უკანასკნელის სამსახური პირველისადმი დასრულდება, ეკლესია აღიდგენს თვითმმართველობას, ის კულტურულ ხასიათს მიიღებს და ასეთ შემთხვევაში მშრომელი მასებიც პირდაპირ დაინტერესდებიან ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენით. ასეთი მიმართულებით მუშაობამ ის შედეგი გამოიღო, რომ 1916 – 1917 წლების სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის პერიოდში, ხმამაღლა გაიჟღერა ქართველი მშრომელი მასების მოთხოვნამ –

დაბრუნებოდა ეროვნულ ეკლესიას თვითმოწესეობა" (პავლიაშვილი 2000: 25). მეფის რუსეთი ავტოკეფალისტებს რევოლუციონერებად მოიაზრებდა. ამიტომ, ქართველ სამღვდელოების ნაწილი ავტონომიის საკითხს მეტად სკეპტიკურად უყურებდა.

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, სასულიერო ფენის აქტივობამ შედეგი გამოიღო და საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ კვლავ აღიდგინა დამოუკიდებლობა. 1917 წლის 12 მარტს, კვირას, მცხეთის საკათედრო ტაძარში შეიკრიბა ათასობით მოქალაქე, მათ შორის ქართული ეკლესიის მღვდელმთავრები გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე, იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი, გორის ეპისკოპოსი ანტონი და ალავერდის ეპისკოპოსი პიროსი, ქართლ-კახეთის არქიმანდრიტი ნაზარი, იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და თბილისის სამღვდელოება, ინტელიგენციის წარმომადგენლები, სულ 10 000-დე მოქალაქე. "მცხეთის დიდ ტაძარში წირვა აღავლინა ეპისკოპოსმა ლეონიდე ოქროპირიზემ. წირვაზე მოიხსენიეს საქართველოს თავდადებული მეფენი, სასულიერო პირნი. "მრავალჟამიერი" უმღერეს საქართველოს ეკლესიისათვის თავისუფლების მებრძოლ სასულიერო პირებს: კირიონს, დავითს, ამბროსის, რომელიც რეპრესირებულნი იყვნენ რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ. შეკრებაზე საზოგადოებას ოფიციალურად წაუკითხეს მცხეთაში შედგენილი გადაწყვეტილება. .. მცხეთის თავყრილობაზე არაერთი ქართველი გამოვიდა სიტყვით, ხოტბა შეასხა სამომავლო წარმატებები უსურვა საქართველოს ეკლესიას მოპოვებული უფლების შენარჩუნებისთვის. ეპისკოპოსი ლეონიდის მიმართვას საქართველოს ეგზარქოსმა პლატონმა პროტესტი გამოუცხადა, რადგან მიიჩნევდა, რომ ის ამ თანამდებობაზე უმაღლესმა სასულიერო ხელისუფლებამ განაწესა და რომ აქედან განთავისუფლება მასვე ხელეწიფებოდა და არა მასზე "კანონიკურად" დაქვემდებარებულ ეკლესიას. ეგზარქოსმა პლატონმა დასძინა, რომ ის არა მარტო მხოლოდ ქართველთა სულიერ მწყემსად განაწესეს, არამედ ასევე მართლმადიდებელი რუსების, ბერძნების, აისორებისა და სხვა ერის ხალხების და მათი თანხმობის გარეშე ასევე უწმინდესი სინოდის ნებადაურთველად არ აპირებს ეგზარქოსის ტახტის დატოვებას. " (პავლიაშვილი 2000: 86-89). ამგვარი განცხადების შემდგომ, ქართველი საზოგადოებისთვის ეგზარქოსის დამოკიდებულება გასაგები გახდა, რაც არც თუ მოულოდნელი უნდა ყოფილიყო იმ ვითარებაში. მიუხედავად ამისა, 1917 წლის 27 მარტს, იმ დროისათვის უკვე რუსეთის დროებითმა მთავრობამ და უწმინდესმა სინოდმა პეტერბურგში განიხილა რა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობისაკენ სწრაფვის საკითხი, სცნო

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ამრიგად, საქართველოს ეკლესიის მაღალმა იერარქებმა, ძალზედ შესაფერისი დრო შეარჩიეს მიზნის განსახორციელებლად. თუმცა, დროებითი მთავრობა, რომელიც ცარიზმის დამხობის შემდეგ სათავეში მოექცა ორმაგი სტანდარტით სარგებლობდა, ცნობისდა მიუხედავად არ გაუუქმებია მას საეგზარქოსო და ამ აქტით ფაქტიურად ''დროებითმა მთავრობამ ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობა დააკანონა საქართველოს ტერიტორიაზე, რაც ფაქტიურად უპრეცედენტო შემთხვევა იყო მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში'' (პავლიაშვილი 2000: 95-96).

ავტოკეფალიის მოპოვებამ, ქართულ სამოციქულო ეკლესიას მართალია დაუბრუნა შანსი, ტრადიციულად ეზრუნა ქართული მრევლის გადასარჩენად, მაგრამ მენშევიკების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, ეკლესია რომელიც არა მხოლოდ უსახსროდ და უმიწოდ დარჩა, კიდეც დაიბეგრა და ამით საკმაოდ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. ბოლშევიკებმა თავის მხრივ ეკლესია საერთოდ კანონგარეშედ გამოაცხადეს, ეკლესიის საქმეში ჩაურევლობისა და სინდისის თავისუფლების გამოცხადების მიღმა, კონტრრევოლუციური ბრალდებები წაუყენეს სამღვდელოებას და გადავიდნენ აქტიურ ტერორზე. „1921 წლის 1-5 სექტემბერს, გელათის ღვთისმშობლის ტაძარში შედგა საქართველოს მესამე საეკლესიო კრება. მთავარი საკითხი იყო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის გამორჩევა, აგრეთვე არჩევა საკათალიკოსო საბჭოს წევრებისა. კათალიკოსად გამორჩეულ იქნა 1919 წლიდან ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი ხელაია. ხმების უპირატესობით არჩეულ იქნა ამბროსი ხელაია, რომელიც იმავე წლის 14 ოქტომბერს აყვანილ იქნა საკათალიკოსო ტახტზე სვეტიცხოველში'' (ჯაფარიძე 2003: 148-149). საქართველოს ეკლესიის მიღწევები კომუნისტური რეჟიმის დამყარებისთანავე დასრულდა. საქართველოს რევკომის განჩინებით, „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკ-ლესიისაგან სკოლის გამოყოფა'', საეკლესიო ქონების „სახალხო საკუთრებად'' გამოცხადება დადგინდა. ხოლო, იმ ორგანიზაციისა და მისი წევრების დახმარებით, რომელიც ბოლშევიკურ სინამდვილეში ცოტა მოგვიანებით „მებრძოლ უღმერთოთა კავშირად'' გადაიქცა და დაიწყო „იმჟამად მოქმედი, დაახლოებით 1450 ეკლესია და 25 მონასტრის ძარცვა და ნგრევა, ამას თან დაერთო 1600 სასულიერო პირის რეპრესია. საქართველოს ეკლესია კიდევ უფრო მტკივნეულად განიცდიდა იმას, რომ მტერმა საქართველოს ჩამოაჭრა ისტორიული მიწა-წყალი ლორე-ტაშირი, საინგილო, მესხეთის დიდი ნაწილი, ჩრდილოეთ საქართველოს რეგიონები, ამასთანავე საქართველოს

შინაგანი დანაწევრების მიზნით, ხელოვნურად შექმნეს ქართველი ერის სწრაფი ასიმილირებისა და ქვეყანაში მათი პროცენტური რაოდენობის შემცირების მიზნით, საქართველოში ჩამოიყვანეს ლტოლვილი რუსი მოსახლეობა რუსეთის სხვადასხვა კუთხეებიდან, ისინი საქართველოში დაასახლეს ქართველთა შეზღუდვის ხარჯზე" (ჯაფარიძე 2003: 149). ამბროსი ხელაია და სხვა უდიდესი ქართველი საეკლესიო მოაზროვნეები, მათ შორის კალისტრატე ცინცაძე, რომლებიც ერის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას უმაღლესი საღვთო კათედრიდან და ეკლესიიდან ასრულებდნენ, ყველანაირად ცდილობდნენ, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები მაშინდელი ევროპისთვის გაეცნოთ. ამავე მიზნით მოხდა გენუაში მიმდინარეკონფერენციაზე, მემორანდუმის გაგზავნა, რომელიც დაწვრილებით ასახავდა ბოლშევიკების ქმედებებს. პასუხად, ამბროსი ხელაია და მისი თანამოაზრენი, ბოლშევიკებმა ციხეში ჩაყარეს. ხოლო საბჭოთა ხელისუფლების წახალისებით შემდგარმა „ქუთაისის კრებამ", რომელიც 1923 წლის 2-5 სექტემბერს ჩატარდა, კათალიკოს-პატრიარქს სთხოვა ეღიარებინა, რომ გენუის კონფერენციისადმი გაგზავნილი მემორანდუმი სრული შეცდომა იყო. კათალიკოსმა მართლაც აღიარა. იგივე აღიარება დაფიქსირებულია გაზეთ კომუნისტის 1924 წლის მარტი ნომერში. კალისტრატე ცინცაძე, რომელიც ამბროსი ხელაიამ თავის მოსაყდრედ გამოაცხადა, აღნიშნავს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ამბროსი ხელაიას დახვრეტა ელოდა. საბჭოთა ხელისუფლებამ კათალიკოსს განაჩენი გამოუტანა(ჯაფარიძე 2003: 155). საქართველოს ეკლესიის უმაღლესი იერარქის მიმართ გამოჩენილი სიმკაცრით, ბოლშევიკები დანარჩენ მოსახლეობაშიც შიშსა და სრულ უუნარობას ნერგავდნენ. ამას ხელს უწყობდა 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობაც, გიორგი მაზნიაშვილისა და მისი თანამოაზრეების თავგანწირვას არსებითი შედეგი არ მოჰყოლია, თუმცა მთავრობამ რეპრესიები გააძლიერა. კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე III (1927-1932, ერისკაცობაში ქრისტეფორე ციცქიშვილი), იძულებული გახდა დაეფიქსირებინა: „ვაღიარებ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც წარმატებით ხელმძღვანელობს ქართველი ერის კულტურულ-ეკონომიკურ და ეროვნულ აღორძინებას". სხვანაირად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სრულებით დაკარგავდა საუკუნეების მანძილზე ნაკისრ ვალდებულებას, რომლის მეშვეობითაც, ერისა და სახელმწიფოს საერთო ინტერესების სინთეზი ხდებოდა. „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გადასვლა ლოიალურ პოზიციებზე საბჭოთა ხელისუფლების მიმართ არ ყოფილა გამოწვეული მხოლოდ კათალიკოს ქრისტეფორეს ან მისი მომხრე ჯგუფის სუბიექტური სურვილით. ეს იყო უპირველეს ყოვლისა, ის

დიდი სოციალური ცვლილებები, რომელიც ამ დროისათვის განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში და აგრეთვე ეკლესიის ფიზიკური გადარჩენის აუცილებლობა" (როგავა 1994: 55). საბჭოთა მთავრობა „ქართულ იერარქიას ყოფდა ორ ჯგუფად, ერთი ანტისაბჭოურად განწყობილი კათალიკოსის მეთაურობით პატიმრობაში იყო, მეორეს კი რომელიც იმ მომენტისათვის რეალურად იმყოფებოდა ეკლესიის სათავეში დროებითი მმართველობის სახით, მიენიჭა ასე ვთქვათ „ლოიალურად განწყობილთა" სტატუსი და აღნიშული განცხადების შემდეგ ფაქტიურად მიენიჭათ უფლება ემართათ ქართული ეკლესია" (ჯაფარიძე 2003:157). თვით რუსეთში, ეკლესიის წიაღში რეფორმების მომხრეთა ნაწილმა, ეგრეთწოდებული „ცოცხალი ეკლესია" ჩამოაყალიბეს და სინოდს დაუპირისპირდნენ. ეს ფაქტიც, ბოლშევიკური მართვის ერთერთი დამახასიათებელი ნიშანია, რომლის მეშვეობითაც, ეკლესიის წიაღში აღმოცენებული წინააღმდეგობრიობას ისინი სათავისოდ იყენებდნენ. საქართველოში არსებული საეკლესიო პირთა ნაწილი, „ქუთაისის კრების" სახით, სწორედ ამ „რეფორმისტებს" უჭერდნენ მხარს. ორხელისუფლებიანობის დანერგვით ეკლესიაში „საბჭოთა ხელისუფლებამ მიაღწია თავის მიზანს, „კანონიერი გზით", საეკლესიო კრების მეშვეობით, ეკლესიას ჩამოაშორა მისთვის მიუღებელი საკათალიკოსო საბჭო, რითაც პატრიარქს მოუსპო ეკლესიის მართვის რეალური საშუალება, თუმცა იქამდე, 1926 წლის 20 დეკემბერს ქუთაისის კრება ამბროსიმ უკანონოდ გამოაცხადა და მისი დადგენილებანი ბათილად სცნო. ქუთაისის კრების ორგანიზებაში მონაწილეობდა ცნობილი ბოლშევიკი „რევოლუციონერი" ვალია ბახტაძე და ქუთაისის პარტ-ორგანიზაცია" (ჯაფარიძე 2003:161). ამასობაში, არანაკლებ რთულ ვითარებაში მყოფმა რუსეთის ეკლესიის მმართველმა სინოდმა, რისი ფაქტებიც ზემოთ არაერთგზის აღინიშნა, 1927 წლის თებერვალში, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღიარა. ჩანს, რუსი იერარქები, ამით, ოდნავ მაინც ცდილობდნენ, რომ საქართველოს ეკლესიის სახით, მხარდამჭერი და გულშემატკივარი ეპოვათ. ამ დროისათვის, საქართველოს ეკლესიის „დროებითი მმართველობის" მიერ, 1927 წლის 22 მარტის №5 დადგენილების საფუძველზე, კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია „გაათავისუფლა საქმეთა წარმოებისაგან". კათალიკოსი 1927 წლის 29 მარტს კიდეც გარდაიცვალა. ამის შემდგომ, 1927 წლის 22 ივნისს ჩატარებული IV-ე საეკლესიო კრება, ისევ ადასტურებს, და აღიარებს საბჭოთა ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკა, საქართველოს კულტურულ-ეკონომიკურ აღორძინებას უწყობს ხელს(ჯაფარიძე 2003: 169). ასევე, იმავე კრების მიხედვით, საქართველოს ეკლესიის უზენაესი ორგანო, იზრუნებს და „შეუდგება

ენერგიულად და გეგმიან და შეთანხმებულ მუშაობას ეკლესიის და საქართველოს ერის საკეთილდღეოდ" (ჯაფარიძე 2003: 171). მეოთხე საეკლესიო კრების შემდეგ, საქართველოში მალევე, 1928 წელს გაფორმდა „მებრძოლ უღმერთოოთა კავშირი", რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს ეკლესია ფაქტიურად უძლური აღმოჩნდა.

1930-1934 წლებში, საქართველოს ეკლესია, მაინც ახერხებდა, რომ საეკლესიო კრებები მოეწვია, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცით, პარალელურად რა საქმიანობას ეწეოდა "მებრძოლ უღმერთოოთა კავშირი" და აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლება. 1937 წლისათვის, მერვე საეკლესიო კრებამ, ძირითადად შეიმუშავა „ეკლესიის მართვა-გამგეობის შესწორებული დებულება" (ჯაფარიძე 2003: 174). ამ პერიოდის ქართველი სამღვდელოების მოღვაწეობა მუდმივი შიშისა და რეპრესიების ფონზე მიმდინარეობდა. საბჭოთა მთავრობა, განსხვავებით რუსეთისა, ქართულ სამოციქულო ეკლესიას იმ საბაბითაც უპირისპირდებოდა, რომ ამ უკანასკნელს ეროვნული იდეოლოგიის გაღვივებისათვის არ შეეწყო ხელი და ისედაც მეამბოხე ქართული სული არ გაეღვიძებინა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ბევრი რამ შე-ცვალა ქართველი ერის სინამდვილეში;

„მებრძოლ უღმერთოოთა კავშირის" არქივი, რომელიც უღმერთოოთა საქმიანობაზე მოგვითხრობს, არაერთ ცნობებს შეიცავს. მაგალითად, 1942 წლისათვის ერთერთი მოხსენებითი ბარათით მომხსენებელი გვამცნობს აღდგომის დღესასწაულზე ეკლესიაში განვითარებულ მოვლენების შესახებ: „ეკლესიაში მოსული ხალხი ტაძარში არ ეტეოდა. აქ თავი მოეყარა, როგორც მორწმუნეებს, ისე მერყევ ელემენტებსაც, მათ შორის მნიშ-ვნელოვანი რაოდენობით იყვნენ ფრონტიდან დაბრუნებულები, ბევრი მათგანი სანთელს უნთებდა ხატს და ლოცულობდა, ერთი პოროვნება, რომელიც ჯარისკაცის ფორმაში იყო გამოწყობილი მღვდელდიაკონთან ფუსფუსებდა. შუა ლოცვის დროს მან სურვილი გამოუცხადა მღვდელს, რომ ის შეასრულებდა მოციქულის სიტყვებს, დართო რა ნება მღვდელმა, იგი დიდი გატაცებით ემზადებოდა სიტყვების წარმოსათქმელად, მაგრამ მას ხელი შეუშალა იქვე მდგარმა ერთერმა მამაკაცმა, რომელმაც კითხვა დაუსვა" (სუიცა ფ1547 საქმე 162: 18). ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილი ადამიანის რელიგიური აქტივობა, "მებრძოლ უღმერთოოთა კავშირის" მიერ შესაბამისად შეფასდა და ანტირელიგიური აგიტაცია-პროპაგანდა გააააქტიურა. გამონაკლისი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პირობებში საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთის ეკლესიის მიმართ

დაუშვა, უპირველეს ყოვლისა პოლიტიკურ მიზნებს შეიცავდა და მას რომ ეკლესიისა და მრევლის რელიგიური აღმავლობა არ მოჰყოლია კარგად დავინახეთ. მითუმეტეს, რომ ანტირელიგიურ პროპაგანდას ნელნელა ანტიფაშისტური ჩაენაცვლა, ხოლო ეკლესიას განსაკუთრებული როლი მიენიჭა, რათა ხალხში არსებული შინაგანი დაძაბულობის განმუხტვა მომხდარიყო. ომის დასაწყისში, ისევე როგორც რუსმა პატრიარქმა, ქართველმა კათოლიკოსმა კალისტრატე ცინცაძემაც, დაგმო ფაშისტური გერმანიის აგრესია უკვე 1941 წლის 24 ივნისი მოწოდებაში. „ქართველ სამღვდელოებას სწამდა, რომ სახელმწიფოსადმი გამოცხადებული სოლიდარობა ნაყოფიერი იქნებოდა როგორც ქვეყნისათვის, ისე ეკლესიისთვისაც" (ბენდელიანი 2000: 68). 1941-1942 წლებში, გერმანიის ჯარების წარმატებას, რიგ რაიონებში როგორც ვნახეთ, ეკლესიების გახსნა მოჰყვა მრევლის მოთხოვნით. ჰიტლერს შეეძლო რელიგიის დევნის თავის სასარგებლოდ გამოყენება. ამიტომ სტალინი, ვიდრე მოკავშირე ამერიკისაგან მრავალმილიონიან დახმარებებს მიიღებდა, დათმობაზე წავიდა. ამ დროისათვის, დევნა თითქმის მხოლოდ იდეოლოგიის დონეზე ხდებოდა, თუმცა იყო გამონაკლისი შემთხვევებიც. დახმარებების მოლოდინით, საბჭოთა კავშირი ხომ თავისი სოციალისტური წყობილების მარცხს აღიარებდა. თუმცა გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება, საბჭოთა კავშირს პირველ რიგში იდეოლოგიური ბრძოლის მოგების შანსს მაინც უტოვებდა. ამიტომ, სტალინისეული მიდგომა შეიცვალა, როგორც დავინახეთ, უკვე 1943 წელს, რუსეთის სინოდმა, 17 წლიანი პაუზის შემდგომ, პატრიარქი აირჩია. თავის მხრივ „1943 წლის ოქტომბრის თვეში, რუსეთის ეკლესიამ აღადგინა ლიტურგიულ-კანონიკური ურთიერთობა საქართველოს ეკლესიასთან სცნო მისი ავტოკეფალია, მისი მეთაურის საპატრიარქო ღირსება და VI ადგილი მსოფლიო მართლმადიდებლურ დიპტიხში. ეს იყო ორივე ეკლესიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი აქტი. ამის შემდგომ მოიხსნა საფრთხე რუსეთის ეკლესიის მიერ საქართველოს ეკლესიის კვლავ დამორჩილებისა და მისი თავისთავადობის გაქრობისა. ამ აღიარებას მოჰყვა საქართველოს ეკლესიის საერთაშორისო აღიარებაც" (ჯაფარიძე 2003: 176). კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მიერ გატარებულ ღონისძიებებსა და სწორ პოზიციას, შესაბამისად საქართველოს ეკლესიისათვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა მოჰყვა. მიუხედავად ამისა, საქართველოსა და რუსეთის ეკლესია, ჯერ კიდევ არც ომისა და არც მშვიდობის პირობებში, ხელისუფლების პოლიტიკურ კურსზე იყო დამოკიდებული. „მუკის" დაკვირვებით, ეკლესიის შიგნით, მრევლზე დაყრდნობით, ჯერ კიდევ იყო შესაძლებელი, ფრონტის სასარგებლოდ თანხისა და საჭირო ნივთების მოგროვება. ამავე დროს,

ყოველი რესპუბლიკის ეკლესიას, შესაძლებლობა ჰქონდა თავისი მრევლის ეროვნული ინტერესები მიემართა საერთო საბჭოური და ერთიანი დიდი ქვეყნის ინტერესებისაკენ, გაეძლიერებინა მრევლში საბჭოთა პოლიტიკის ავტორიტეტი; განეწყო მოსახლეობა მისდამი ნდობით'' (ბენდელიანი 2000: 69); სწორედაც რომ პოლიტიკის ცოტაოდენმა შერბილებამ გამოიწვია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, მასიურად ეკლესიების გახსნის მოთხოვნა(სუიცა ფ1879 საქმე 8: 2). ასევე, 1944 წელს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, აიკრძალა ძველი წესისამებრ ეკლესიების დახურვა, მორწმუნეთა მოთხოვნით, შესაძლებელი გახდა ეკლესიების გახსნა, აიკრძალა ტაძრების სხვა დანიშნულებისათვის გამოყენება და მათი დანგრევა, ახალი ეკლესიის აშენება შეესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მორწმუნეთა სახსრებით. ის რომ მიუხედავად მორწმუნე მრევლისა და სასულიერო პირთა მცდელობისა, უკვე 1947 წლის „მუკის'' საარქივო მონაცემებით არაა დაფიქსირებული, ან შენიღბულია მორწმუნეთა ეკლესიების გახსნის შემთხვევა, გვაჩვენებს, თუ კვლავაც როგორ კონტროლდებოდა აგიტაცია-პროპაგანდის მიღმა, მოსახლეობის სულიერი მოთხოვნილებები.

„მებრძოლ უღმერთოთა კავშირის'' წახალისებით, საეკლესიო პირებს შორისაც იყვნენ ისეთნი, ვინაც „ხელისუფლების სასარგებლოდ საქმიანობდა და მის აგენტურას წარმოადგენდა'', „რად გინდათ ტაძრები და ეპისკოპოსებისაგან გამოგზავნილი მღვდლები, ეკლესიის შეკეთებაზე ბევრი ფული დაგეხარჯებათ, სასულიერო მათავრობისგან დანიშნულ მღვდლებს სასტიკად დაბეგრავენ და ამ ბეგარის გადახდა თქვენვე დაგჭირდებათ, სარწმუნოებრივი წესები უჩუმრად სახლშიც შეიძლება შესრულდეს. ამ მხრივ ჩვენთან საქმის დაჭერა მეტად ხელსაყრელია, ჩვენ მღვდლებად არ ვირიცხებით, გადასახადს არავინ გვთხოვს, და ამისათვის ძლიერ იაფად შეგისრულებთ წესებს'' (ბენდელიანი 200: 74). ეკლესიის ავტორიტეტის შელახვა და ღვთისმსახურების არასწორად აღსრულება, მორწმუნე მრევლს დედა ეკლესიას უფრო აშორებდა. კათოლიკოსი კალისტრატე საბჭოთა მთავრობას, ამის აღსაკვეთად მიმართავდა და მოუწოდებდა. თუმცა მთავრობის მხრიდან რეაგირება არ ხდებოდა. უფრო მეტიც, საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, 20 კაციანი ხელმოწერებით ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების გახსნის შესახებ, არა ეკლესიის სასარგებლოდ, არამედ მის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. ასეთი მოთხოვნით, სხვადასხვა სექტები უფრო მრავლდებოდნენ, ხოლო ეკლესიების გახსნას გაცილებით მეტი წინააღმდეგობა ხვდებოდა. „მოსკოვის საბჭოს მოთხოვნით, საქართველოში

ეკლესიათა გახსნის შუამდგომლობებს არა ნაკლებ 20 სრულწლოვანის ხელმოწერა უნდა ჰქონოდა, რომელთაც არ ჰქონდათ სასამართლოს წესით ჩამორთმეული არჩევნებში მონაწილეობის უფლება. იყო შემთხვევები, როდესაც მთავრობაში გაგზავნილ შუამდგომლობებს ადგილზე აყოვნებდნენ, ამასთან დაკავშირებით კათალიკოს პატრიარქი ხელისუფლების წინაშე კატეგორიულად აყენებდა ეკლესიათა ამოქმედების საკითხს და ღვთისმსახურების აღსასრულებლად დაეშვათ ის მღვდლები, რომლებსაც ექმენოდათ თავად პატრიარქისაგან გაცემული საბუთი. დროთა ვითარებაში, ამ მიმართულებით ქართული ეკლესიის ხელმძღვანელობის მოთხოვნებმა, სულ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო. მაგალითად 1944 წლის 11 იანვრისათვის, განცხადებები ეკლესიათა გახსნის შესახებ იყო ქუთაისიდან (საფიჩხიის სამრევლოდან), ბათუმიდან, სოხუმიდან, გუდაუთიდან, ლაგოდეხიდან, გორიდან, თიანეთიდან, გურჯაანიდან, მანგლისიდან, საქობოდან, ნუკრიანიდან, საგარეჯოდან, მოხისიდან, ატოციდან, აწყვერიდან, თბილისიდან: ვერის წმინდა ნიკოლოზისა, ხარფუხის წმინდა ნიკოლოზისა და სხვა" (ბენდელიანი 2000: 75-76). კათოლიკოსსა და მის დასს, ბრძოლა უხდებოდათ არა მხოლოდ ანტისარწმუნოებრივ იდეოლოგიასთან, არამედ რწმენას მიტმასნილ გადაგვარებულ სასულიერო პირებთანაც, რომლებსაც მრევლი შეცდომაში შეჰყავდათ. ომის წლებში, ქართულმა ეკლესიამ კიდევ ერთი მოთხოვნა წამოაყენა, რომლის შედეგადაც, 20-30-იან წლებში სასტიკად აკრძალული საეკლესიო დღესასწაულების აღნიშვნა გახდა ნებადართული, შედეგად, მნიშვნელოვან ქრისტიანულ დღეებზე, გახსნილ ეკლესიებში, მრევლი დიდი ენთუზიაზმით ესწრებოდა წირვა-ლოცვას. „მუკის" აქტივისტები, მიმდინარე პროცესებში დამკვირვებლის როლში გამოდიოდნენ და შესაბამის მოხსენებას ხელმძღვანელობას წარუდგენდნენ. „ხშირი იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადგილობრივი ხელისუფალნი აშინებდნენ გლეხებს „არ გაებედათ და ეკლესიათა გახსნის შესახებ განცხადებაზე ხელი არ მოეწერათ, თორემ „აღთქმული ქვეყანა" ციმბირი უკან დარჩებოდათ" (ბენდელიანი 2000: 80). ქართული საეკლესიო ხელისუფლების ხელშეწყობით, მოხდა სამონასტრო ცხოვრების განახლება, ამით ეკლესია მაგალითს აძლევდა ჩვეულებრივ მოსახლეობას, ზრდიდა მის ავტორიტეტს, რაც საბჭოური ხელისუფლების კურსს ეწინააღმდეგებოდა. მიუხედავად დიდი გადასახადებისა და გაჭირვებისა, მათხოჯის, თეკლათის, ჯიხეთისა და სხვა მონასტრები, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას ეწეოდნენ, ეროვნული ეკლესიის სამსახურში იდგნენ და სამამულო ომში საბჭოთა ქვეყნის გამარჯვებისათვის ბრძოლაში თავისი წვლილი შეიტანეს" (ბენდელიანი 2000: 83).

ეკლესიის მესვეურთა სურვილი, აღედგინათ დახურული ეკლესიები საქართველოს მაშტაბით, საბჭოურ პოლიტიკურ კურსს დაემთხვა, რომელიც ომის წლებით იყო გამოწვეული, შედეგად, 1944 წ. პირველი ივლისის მონაცემებით, 26 ეკლესია უკვე ფუნქციონირებდა. მათ შორის იყო თბილისში სიონის „ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი," „სამების", „ქვაშვეთის", „წმ.გიორგის", მთაწმინდის „მამა დავითის", „მიხეილ ტვერელის", „იოანე ღვთისმეტყველის", დიდუბის „ღვთისმშობლის", კუკიის „ალ.ნეველის, კუკიის „წმ.ნინოს", „პეტრე-პავლეს", ნავთლუღის „წმ.ბარბარეს" ეკლესიები: სვეტიცხოვლის ტაძარი, „წმინდა ოლღას ეკლესია სავანე," თვალთვაის „წმ.გიორგის", ქუთაისის „პეტრე-პავლეს", „ქუთაისის „მწვანე ყვავილას" ეკლესიები; სოხუმის გარეუბანში: „ფერისცვალების" სოხუმის „წმ.ხარლამპის", და ბარცხანის „ღვთისმშობლის დაბადების" ეკლესიები; თელავის ვარდისუბნის „წმ.გიორგის", თელავის „ფერისცვალების", ყვარლის „ძმ.გიორგის"; გულრიფშის რაიონის წებელდის „გერგემიშის" ეკლესიები (ბენდელიანი 2000: 85). ეკლესიების უმეტესი ნაწილი ძალიან დაზიანებული, ბევრ შემთხვევაში შებღალული და განადგურებული, სასწრაფო აღდგენას მოითხოვდა. თუმცა სასულიერო ხელისუფალთ, ყველა სახის ხარჯის გაღება ნამდვილად არ შეეძლოთ. საბჭოთა პოლიტიკის დამახასიათებელი, სეპარატიზმის წამახალისებელი ფაქტორის გამო, არც ბათუმისა და არც სამხრეთ ოსეთის რეგიონში, არცერთი ეკლესია არ აღდგენილა. ამიტომ, 1945 წლის 12 თებერვალს კალისტრატე ცინცაძე, ხელისუფლებას სწორედ ამ რეგიონებში სთხოვს ეკლესიების გახსნას, მორწმუნე მრევლის რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. მითუმეტეს რომ აჭარის ოლქში გაბატონებულ რელიგიად ისლამი რჩებოდა და იქაური ხალხი, ამ რელიგიის შესაბამისად, ძირეული ქართული კულტურული ნიშნებისაგან განსხვავებული ტრადიციების მატარებელი იყო. ქართული სასულიერო პირთა დიდი ღვაწლით მოხდა, რომ უკვე 1945 წლისათვის, საქართველოში ამოქმედდა 29 ეკლესია, რომელშიც პატრიარქის მიერ ხელდასმული 5 მღვდელმთავარი, 41 შტატიანი მღვდელი, 2 პროტოდიაკონი, 3 მედავითნე და ზედმიწერილნი: მღვდელი 77 და მედავითნე 2. საკათალიკოსოში სრულად ირიცხებოდა 135 ეკლესიის მსახური. „სამამულო ომის პერიოდში სამღვდელოების საქმიანობა გამოიხატებოდა წირვა-ლოცვათა წესის შესრულებით, შეძლებისდაგვარად ქადაგება-დარიგებების ჩატარებით, მორწმუნეებში სარწმუნოებრივ-ზნეობრივი დონის ამაღლებით, თავდაცვის ფონდში სახსრების შეტანით, როგორც პირადი წვლილით, ისე მორწმუნეთა გამოსაღების შეკრებით და ა.შ (ბენდელიანი 2000: 87). კათალიკოსის მოთხოვნითვე, მოხდა არაერთი სასულიერო პირის

რეაბილიტაცია, ამასთანავე, არაერთი საეკლესიო ნივთის ეკლესიისათვის დაბრუნება, „მსგავსი საკითხების მოგვარებაში, სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საქართველოს ეკ-ლესიის საბჭოს რწმუნებული კ.ქადაგიშვილი, კათალიკოს პატრიარქს ამ საქმეში დახმარებას უწევდა. მისივე ძალისხმევით მრავალი ნივთი დაუბრუნდა ეკლესიას. კ. ქადაგიშვილის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ მისი შუამდგომლობა „მოსკოვის საბჭოს" წინაშე, ქართულ ეკლესიას ნაწილობრივ მაინც დაბრუნებოდა ჩამორთმეული ქონება. იყო შემთხვევა, როდესაც ზოგიერთი უწყება ნებაყოფლობით აბრუნებდა საკულტო დანიშნულების ნივთებს" (ბენდელიანი 2000: 90).

თანმიმდევრული ქმედებებით, საბჭოთა ხელისუფლებამ, ეკლესიას 1945 წელს უკვე იურიდიული პირის უფლებაც დაუბრუნა, რითაც მას უფლება ენიჭებოდა ყველა სახის სამეურნეო საქმიანობის განხორციელება კანონის ძალით. კალისტრატე ცინცაძე სვამს საკითხს „უმაღლესი საერო ხელისუფლების წინაშე საქართველოს ეკლესიის საქმისათვის საკუთარი საბჭოს დაარსების შესახებ, რომელსაც ხელისუფლება არ აკმაყოფილებს (ბენდელიანი 2000: 91-92). ბუნებრივია, საბჭოთა მთავრობა ვერ დაუშვებდა ერთბაშად ეკლესიის საქმიანობის აღმავლობას, მითუმეტეს რომ ამას ეროვნული თვითშეგნების გაღვივებაც მოჰყვებოდა. „იმჟამად მის მიზანს, შეადგენდა სსრკ-ში ერთიანი რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ბატონობა, რომელიც მისი ერთული და ქვეყანაში აღებული პოლიტიკური კურსის გამტარებელი იქნებოდა" (ბენდელიანი 2000: 92). კალისტრატე ცინცაძის მიერვე, წამოყენებული იქნა საკითხი, რომელიც მოაგვარებდა „მორწმუნე ინგილოთა სწრაფვას საქართველოს ეკლესიისაკენ" და რამდენიმე წლის წინ, ტერიტორია, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკას გადაეცა, ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდებოდა. „მიუხედავად საქართველოს სასულიერო ხელისუფლების დიდი ძალისხმევისა, ზაქათალის მხარის ეკლესიათა საქართველოს იურისდიქციაზე დაქვემდებარება ამ ეტაპზე არ მოხერხდა" (ბენდელიანი 2000: 94). სასულიერო პირთა ყოველი ქმედება, უძველესი დროიდან თვით საბჭოთა იმპერიის მართვის პირობებში, ერთადერთ მიზანს, საქართველოსა და ქართველი ერის გადარჩენის, მისი სულიერი აღორძინებისა და გამორკვევის საქმეს იმ ეპოქის შესაბამისად ემსახურებოდა, რომელშიც არსებობა უწევდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ მოახერხა ახალი იდეოლოგიის გამყარება და ხალხი, ვითომდაც „სამამულო" ომში იმ ქვეყნის დასაცავად ჩააბა, რომლიდანაც დაღწევა, მასში შემავალი რესპუბლიკების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის უმთავ-

რესი მიზანი იყო. საბჭოთა ხელისუფლების მიერ დამყარებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური სისტემის ხარვეზები და დრომოჭმულობა, ყველა სფეროს დაეტყო და რომ არა ომი, შესაძლებელია იმპერიის ნგრევა გაცილებით ადრე დასრულებულიყო. მსოფლიო ომში, მოკავშირეების დახმარებით, საბჭოთა ხელისუფლებამ დიდ წარმატებას მიაღწია. 1945 წელს, გერმანიის ჯარების კაპიტულაციის შემდეგ, დაიწყო მსოფლიო რუქის ხელახალი გადანაწილება. საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვანი წარმატებებით შეშფოთებული ევროპა, და ამერიკა ისევე ერიდებოდა კომუნიზმს, როგორც ფაშიზმს, ამიტომ დიდი დროის მანძილზე, ამ ორ მხარეს შორის რკინის ფარდამ და ცივმა ომმა განსაზღვრა ურთიერთობების ფორმა. ცივი ომი, თავდაპირველად მსოფლიოს მოწყობის შესახებ განსხვავებული შეხედულებების შედეგად წარმოიშვა. კონფლიქტი პოლონეთის საკითხმა წარმოშვა, როცა ამერიკა პოლონეთის მოწყობას უფრო დამოუკიდებლობის მინიჭებით დასავლეთის მოდელის მსგავსად, სტალინი კი საბჭოთა გავლენის ქვეშ მყოფ მთავრობას მოითხოვდა. მსოფლიო ომის ბოლო თვეებში, როცა საბჭოთა არმიის ძალებმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა დაიკავეს, „მოსკოვმა გამოიყენა თავისი სამხედრო ძალა აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური პარტიების მხარდასაჭერად და დემოკრატიული პარტიების გასანადგურებლად. 1946 წელს სტალინმა განაცხადა, რომ საერთაშორისო მშვიდობა შეუძლებელი იყო მსოფლიო ეკონომიკის ახლანდელი კაპიტალისტური განვითარების პირობებში". უინსტონ ჩერჩილმა, სიტყვა წარმოსთქვა ფულტონში, მისურის შტატში ამერიკის პრეზიდენტ ტრუმენთან სტუმრობისას: „შჩეცინიდან ბალტიის ზღვაში ტრიესტამდე ადრიატიკაში" „კონტინენტზე რკინის ფარდა ჩამოეშვა" (ამერიკის 1994: 284) მანვე განაცხადა, რომ ბრიტანეთმა და შეერთებულმა შტატებმა უნდა ითანამშრომლონ ერთად საბჭოთა საფრთხის წინააღმდეგ. მოგვიანებით, კომუნიზმი როგორც მოვლენა ამერიკის შეერთებულ შტატებში უდიდეს საფრთხედ შეფასდა და ამერიკის შინაგანი უსაფრთხოება სწორედაც რომ ანტიკომუნისტურ და ანტიბოლშევიკურ სტრატეგიაზე დაფუძნდა. „მე მწამს, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკა უნდა გულისხმობდეს თავისუფალი ხალხების მხარდაჭერას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან დამონებას შეიარაღებული უმცირესობის ან გარეშე ზეწოლის მხრიდან", განაცხადა ჰარი ტრუმენმა, შედეგად კონგრესმა 400 მილიონი დოლარი საბერძნეთისა და თურქეთის დასახმარებლად გამოჰყო (ამერიკის 1994: 285). აქედან გამომდინარე, საბჭოთა მთავრობას დიდი სიფრთხილე სჭირდებოდა, რათა ევროპისა და ამერიკის სურვილი, ერთა განთავისუფლებისა და დემოკრატიისკენ მიმართული, საბჭოთა კავშირის საზღვრებს

შიგნითაც არ გავრცელებულიყო.ამის შემდგომ, ომში საბოლოო გამარჯვებას ისევ მოჰყვა ანტისაეკლესიო აგიტაცია-პროპაგანდა და საქართველოს ეკლესიის მიერ მიღწეული წარმატებები ომის წლებში, საბჭოთა ხელისუფლებას უფრო მეტი სიფრთხილისკენ უბიძგებდა, შესაბამისად, დევნა შევიწროება, ეროვნული იდეოლოგიის გაღვივების თავიდან აცილების მიზნით კვლავ განახლდა. საბჭოთა კავშირის კოლონიალური მისწრაფებები ევროპის ქვეყნებში არანაკლებ მწვავედ გამოვლინდა, ვიდრე თვით კომუნისტური სახელმწიფოს საზღვრების მოწყობისას. კომუნისტ ლიდერებს ესაჭიროებოდათ ახალი იდეოლოგია, რომელიც სოციალისტურ იდეებს უფრო მაშტაბურს გახდიდა და რუსეთის უძველეს, იმპერიალისტურ მისწრაფებებს რეალურად განახორციელებდა. თავისთავად, საეკლესიო პოლიტიკამაც სრულიად განსხვავებული დატვირთვა მიიღო. რუსულ ეკლესიას ამ შემთხვევაში ის პოლიტიკური მისია უნდა ეკისრა, რომლის მეშვეობითაც საბჭოთა კავშირს მსოფლიო ბატონობისკენ მიმართული გზა უნდა გაადვილებოდა. ამიტომ, 1947 წლის საბოლოო გადაწყვეტილებით, „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი,'' როგორც შავი საქმის კარგად შემსრულებელი, გაუქმდა და მისი წევრები როგორც აღინიშნა, საზოგადოება „ცოდნაში'' გადანაწილდნენ.

§3 „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი" და საქართველოში არსებული რელიგიური კონფესიები.

საბჭოთა კავშირის ანტირელიგიური პოლიტიკის შესახებ საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით საკითხს, რომელიც ამ მიმართულებით სხვა რელიგიური კონფესიებისადმი დამოკიდებულებას შეეხება. რუსეთი, დღიდან საქართველოში შემოსვლისა, ისევე როგორც ამიერ და იმიერ კავკასიის სხვა ქვეყნებში, მთიელი ხალხის თავისუფლების მოყვარეობასთან ერთად, კონფესიურ განსხვავებასა და მისთვის დამახასიათებელ სიძნელეებს წააწყდა. მარტო საქართველო, რომლის ტერიტორიაც არცთუ ვრცელია, იმთავითვე გამოირჩეოდა სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობითა და ეროვნული უმცირესობების სიმრავლით. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლობა ძირითადი რელიგიური მრწამსი იყო, სხვადასხვა დამპყრობლებმა მოახერხეს ქართველ ერში კათოლიციზმისა და ისლამის გავრცელება. აქვე იყო ებრაულ-იუდაისტური და სომხურ-გრიგორიანული მოსახლეობის არცთუ მცირე რაოდენობა. შესაბამისად, ჯერ

მენშევიკებისა და შემდგომ ბოლშევიკების მიერ გატარებული ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკა, ყველა კონფესიის წარმომადგენელს ძირეულად შეეხო. განსაკუთრებით ზარალდებოდა იმ ქვეყნის რელიგიური მრწამსი, სადაც „მებრძოლ უღმერთოთა" არმია თავის საქმიანობას აწარმოებდა. „რელიგიის მავნებლობა იმითაც გამოიხატება, რომ იგი ქადაგებს ინდივიდუალიზმს, კერძომესაკუთრულ ფსიქოლოგიას, ღმერთის რწმენა ხელს უშლის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას, ცნობილია, რომ ყოველ რელიგიას მხოლოდ თავისი რწმენა მიაჩნია სწორ, ჭეშმარიტ რწმენად, თავისი ღმერთი ერთადერთ, ნამდვილ ღმერთად, ხოლო სხვა რელიგიის ყველა მომხრეს თავის მტრად აცხადებს, როცა რელიგია ქადაგებს რომ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ რომელ სარწმუნოებას ეკუთვნიან ისინი, ამით იგი ნერგავს ნაციონალიზმს (სკკპ 1963: 11). ამგვარი დამოკიდებულებით, საბჭოთა კავშირი რელიგიურ აღმსარებლობას რომ თავისი სისტემიდან გამომდინარე უპირისპირდებოდა კარგად დავინახეთ. რელიგია როგორც ჩამორჩენილობის სიმბოლო, არა რეფორმას, არამედ აღმოფხვრას საჭიროებდა, იგი ვერ ჯდებოდა „კულტურული რევოლუციისა" და სოციალისტური განვითარების ფარგლებში. ათეისტური პროპაგანდის გაძლეირებასთან ერთად, ყველა კონფესია საბჭოთა კავშირში ერთნაირ პირობებში აღმოჩნდა. „ყოველ მოქალაქეს შეუძლია აღიაროს რომელიც უნდა ის რელიგია ან არ აღიაროს არცერთი. ყველა ოფიციალური აქტიდან ამოღებულია ყოველგვარი მითითება მოქალაქეთა რელიგიურ კუთვნილებასა და არაკუთვნილებაზე" (სკკპ 1962: 75). ასევე, საბჭოთა რუსეთის კონსტიტუცია აღიარებს სარწმუნოების სრულ თავისუფლებას ყველა მოქალაქისათვის და ყრილობა ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ყოვლად დაუშვებელია ამ უფლების რაიმე შეზღუდვა და თუნდაც იოტისოდენი ძალდატანება რელიგიის საკითხებში. ის პირნი, რომელნიც ხელყოფენ რომელიმე სარწმუნოების, მოქალაქეთა სარწმუნოებისა და ღვთისმსახურების თავისუფლებას, სასტიკად უნდა ისჯებოდნენ"(სკკპ 1954: 577). პრაქტიკამ საწინააღმდეგო აჩვენა, თანდათან, საჭიროებისდა მიხედვით, კანონი იმ პოლიტიკურ სიტუაციას მოერგო, რომელსაც სახელმწიფო რელიგიურ კონფესიებთან მიმართებაში ახორციელებდა. ერთის მხრივ სინდისის თავისუფლების აღიარებით, პარტია თითქმის კანონგარეშედ აცხადებდა მორწმუნეთა პოლიტიკურ მისწრაფებებს. „...არ იქნან მიღებული პარტიაში, თვით კანდიდატურებადაც კი ისინი, ვინც რომელიმე კულტის მღვდელმსახურთა რაიმე მოვალეობას ასრულებენ, როგორი უმნიშვნელოც არ უნდა იყოს ეს მოვალეობა (სკკპ 1962: 84). „ზოგიერთ შემთხვევაში გამონაკლისის სახით დაშვებულ იქნეს მორწმუნეთა

მონაწილეობა პარტიაში, თუკი მათ თავიანთი რევოლუციური ბრძოლით და რევოლუციისათვის სასარგებლო მუშაობით და სახიფათო წუთებში რევოლუციის დაცვით, დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება კომუნიზმისათვის(სკკპ 1962: 85). საქართველოში კომუნისტური პარტიის გაძლიერებას ხელისუფლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში, გამოირიცხებოდა ყოველგვარი ეროვნული საკითხი. ზემოთ მოყვანილი კანონი, რომელიც გამონაკლისს შეიცავს, ისევე ეხებოდათ ქრისტიანებს, როგორც დანარჩენი რელიგიური აღმსარებლობის წარმომად-გენლებს, რომელთა ნაკლებობას ქართული საზოგადოებრიობა არ განიცდიდა. ასევე აუცილებელი იყო, მათი „მუკის" უჯრედების საქმიანობაში ჩართვა. უკვე „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" I ყრილობის დელეგატებს შორის არაერთი ეროვნების ადამიანი იღებდა მონაწილეობას. ერთერთი ებრაელი გამომსვლელი, საბჭოთა ხელისუფლების დამსახურებად მიიჩნევს ებრაელი ქალის დამოუკიდებლობას: „ადრე, ქართველი ებრაელი ქალი ნიკოლოზის დროს, არათუ კრებებს არ ესწრებოდა, არამედ გარეთაც არ გამოდიოდა. ახლა, ყრილობაზე 100 უღმერთო ქალია. ჩვენ ვითხოვთ, რომ მოგვეცეს საშუალება ვაწარმოოთ კულტურული სამუშაო, რათა ქალმა გაიგოს, რომ ღმერთი კი არ არსებობს, არამედ არსებობს ადამიანის ძალა საბჭოთა ხელისუფლების ხელშეწყობით. ადრე ებრაელ ქალს არ შეეძლო ქმრის გვერდით ჯდომა, ახლა პირიქითაა(სუიცა ფ1547 საქმე 165: 1). ებრაული მოსახლეობა, „მუკი" აქტივისტების მხრიდან ერთერთ ყველაზე ჩამორჩენილ მასად ცხადდებოდა. „მუშაობის წარმოება ამ მასასთან, გაცილებით ძნელია, ვიდრე სხვა ერებთან" (სუიცა ფ1547 საქმე 165: 48). ებრაელი ხალხი, ძირითადად კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. რადგან საბჭოთა კავშირი ყოველგვარი ეროვნულობის წინააღმდეგი იყო, ხოლო ებრაელი და იუდაისტის მცნება, ისევე დაურღვეველი იყო როგორც ქართველი და მართლმადიდებელი, მათ წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გამძაფრდა. ამასთანავე, ებრაულ მოსახლეობაში დაგროვილი უდიდესი ქონება, ტრადიციისამებრ კონფისკაციას უნდა დაქვემდებარებოდა. სწორედ ამით აიხსნება, საბჭოთა კავშირში, ლენინურ პერიოდში გაშლილი ანტისემიტური რეპრესიები. „ებრაელებს შორის არაა მკაცრი კლასობრივი ბრძოლა. აღდგომის დროს, იყო შემთხვევა, სინაგოგაში გროვდებოდა ფული რათა დახმარებოდნენ ღარიბებს, რომ მათაც ეზეიმათ აღდგომის დღესასწაული. აი კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ უნდა ვებრძოლოთ ებრაულ მოსახლეობას (სუიცა ფ1547 საქმე 165: 48). ბოლშევიკების აზრით, მათ შორის კლასობრივი ბრძოლის

წარმოებაც იმიტომ იყო ძნელი, რომ შედარებით დაბალი ფენა, ებრაულ მოსახლეობაში, უზრუნველყოფილი მასისგან შემწეობას იღებდა და მათს წინააღმდეგ არ წავიდოდა.

საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩეოდა სხვადასხვა რელიგიური სექტები, რომელთა მატებას სხვადასხვა რეგიონებში ჯერ კიდევ მეფის ხელისუფლების პირობებში შეიმჩნეოდა. მათი გამრავლება, ვფიქრობთ სოციალური პირობების დამძიმებას უკავშირდება. რელიგიური სექტების სტიქიური ჩამოყალიბება, კიდევ უფრო გაგრძელდა, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ, რელიგია გამოყო სახელმწიფოსგან და მიანიჭა სრული თავისუფლება. ძირითად სასულიერო ხელისუფალთ უკვე აღარ შესწევდათ ძალა ებრძოლათ მათთან, ვინაიდან თავად იყვნენ დევნის ობიექტები. საბჭოთა ხელისუფლებას თავიდან კიდეც აწყობდა მათი სიმრავლე, რადგან ისინი ერთიანი ეკლესიების დაშლას უწყობდნენ ხელს, მაგრამ მათი სტრუქტურისა და ჩამორჩენილობის გამო, მალე საბჭოთა ხელისუფლებამ იგივე დევნა რელიგიურ სექტანტებს დაუწყო. სექტების დიდი ნაწილი, როგორიცაა „პოპოვცი," „სტა-როობრიადჩესტვო," „ბესპოპოვცი," „იონიტები", „ხლისტები", „სკოპცები", „დუხაბორები", „მალაკნები", „სუბოტნიკები", „ილინიცები", „მენონიტები", რუსულ სინამდვილეში აღმოცენდნენ და მოგვიანებით აქედან დანარჩენ საბჭოეთში გავრცელდ-ნენ. გარდა ამისა, იყო ისეთი სექტებიც, რომელთა გავრცელება საზღვარგარეთიდან მოხდა და მათ შორისაა ბაფტისტები, იეღოვას მოწმეები, პროტესტანტები, ორმოცდაა-თიანელები. რელიგიური კონფესიებისა და სექტების სიმრავლე, თავისთავად მიუთითებდა ამ მხრივ ძირეული ეკლესიის უუნარობაზე, ან სახელმწიფო პოლიტიკური კურსის სპეციალურ დაკვეთაზე. მეფის ხელისუფლებას მათი გავრცელება სხვა ერებში უფრო აწყობდა და კიდეც ახერხებდა, ხოლო საბჭოთა კავშირი, მათი გამოყენებით მართლმადიდებელ ეკლესიას ასუსტებდა. მუსლიმები ისედაც იყვნენ დაყოფილნი შიი-ტებად და სუნიტებად, რის გამოც მათ შორის ბრძოლა ახლაც მიმდინარეობს. კათოლიკური და პროტესტანტული მიმდევრობის დაპირისპირების ფაქტიც არაერთია. მართლმადიდებელ ქართულ ეკლესიას, ერთადერთი წინააღმდეგობა რამდენიმე საუკუნის წინ გრიგორიანულ ეკლესიასთან ჰქონდა. დანარჩენ შემთხვევაში, რადგან ქართული მართლმადიდებელი რელიგია ყველა დანარჩენს მწვალებლებად მოიხსენიებს, მოზომილი პოლიტიკის წყალობით ყოველთვის ცდილობს გამორიცხოს ყოველგვარი დაპირისპირება.

„მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" ყრილობაში მონაწილე ერთერთი მომხსენებლის მიერ, მოტანილია ფაქტი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ „1928 წელს, ამერიკაში ჩატარებულ ბაფტისტურ ყრილობას, საბჭოთა კავშირიდან წარგზავნილი 11 ბაფტისტი ესწრებოდა(სუიცა ფ1547 საქმე 165: 53). ასევე, ბაფტისტებმა აიღეს კურსი ახალგაზრდობას შორის ნდობის მოსაპოვებლად. ისინი ეძახიან უმუშევრებს მათ შორის, აძლევენ ფულს რომ ივაჭრონ და ეუბნებიან რომ დააბრუნონ თუ შესძლებენ, თუ არა არაუშავს, მხოლოდ დაესწრონ მათს კრებებს(სუიცა ფ1547 საქმე 165: 54). რელიგიური სექტების არსებობა, აიძულებდა მუკის ხელმძღვანელობას გაეგზავნა ხალხი, რათა გამოერკვიათ ყველა სექტანტური ორგანიზაციის მდგომარეობა, შესაბამისი დასკვნების გამოსატანად(სუიცა ფ1547 საქმე 165: 66). კონტროლის დაწესების მიზნით, დაიწყო მათი აღრიცხვა და მოხსენებების დროს ანგარიშების ჩაბარება, რათა ამ მხრივ სისუსტის გამოვლენის შემთხვევაში, რეაგირება სწრაფი ყოფილიყო. „მუკს" არ უჭირდა მუშაობა, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლების მიერ პარალელურად წარმოებული მასობრივი რეპრესიები, „ურჩებს" გამოხშირავდა. ანტირელიგიური კამპანიის შედეგად მიღწეული წარმატებები საკულტო დანიშნულების ძეგლებზეც აისახებოდა. მათი მონაცემებით, „ქართული ეკლესიების რიცხვი მთელ საქართველოში 1921 წელს შეადგენდა 1450, 1930 წელს კი უდრიდა მხოლოდ 350, სომეხთა ეკლესია ტფილისში იყო 33, დარჩა 15, ამას წინათ თბილისში დაიხურა ქამოევის ეკლესია. იგი ბუნებრივი სიკვდილით გაქრა. ეკლესიაში მრევლი აღარ დადიოდა. სალარო დაცარიელდა და თვითონ საეპარქიო საბჭომ გამოიტანა დადგენილები ეკლესიის დახურვის შესახებ. რუსთა 12 ეკლესიიდან ამჟამად მხოლოდ 3 ეკლესია დარჩა. ებრაელთა მშრომელთა მასებმა ერთი სინაგოგა დახურეს და იგი კლუბად გადააქციეს, რაც შეეხება სექტანდურ ორგანიზაციებს, უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის განმავლობაში ეს ორგანიზაციები რიცხობრივად არ გამრავლებულან" (საქართველოს №2-3, 1930: 29);

„მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" დამოკიდებულება სხვადასხვა კონფესიებისადმი განსხვავებული გახლდათ. გარდა იმისა, რომ საერთო მიდგომა რელიგიისადმი ცალსახად უარყოფითი იყო, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ რელიგიების წიაღში აღმოცენებული საწინააღმდეგო განშტოებების მიმართ, ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკა კიდევ უფრო ფრთხილად წარიმართებოდა. მითუმეტეს, ცნობილია, რომ თითქმის ყველა ბაფტისტური და სექტანტური ორგანიზაცია მართლმადიდებელ

რელიგიაში ძირითადად დასავლეთიდან აღმოცენდა და შესაბამისად მათი დასაყრდენი რომ არ გამხდარიყო, კომუნისტური მთავრობა მეტ სიფრთხილეს იჩენდა. ანალოგიურად, მაჰმადიანური სარწმუნოება, რომლის შიდაკონფესიური განსხვავება და რელიგიური ფანატიზმი სოციალურ რეფორმებსაც უშლიდა ხელს, საბჭოთა მთავრობის მხრიდან ლავირებას მოითხოვდა, თან იმ ეტაპზე არ იდგა ისე აქტუალურად საფრთხე, რომელიც დღესდღეობით ისლამური სამყაროს ტერორისტული დამოკიდებულებით გამოიხატება დანარჩენი მსოფლიოსადმი. მაშინ, საბჭოთა მთავრობა მსოფლიო გადანაწილების საქმეში წარმატების მიღწევას ცდილობდა;

სოციალისტურ საზოგადოებაში, უდიდესი როლი ენიჭებოდა ქალთა ემანსიპაციას. ე.ი. მის გააქტიურებულ ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქალი რომელიც თავისი დანიშნულებით მოკრძალებისა და ოჯახური კეთილდღეობის სიმბოლო იყო, სოციალიზმის მშენებლობაში აქტიურად უნდა ჩაბმულიყო. ქრისტიანული და იუდაისტური კონფესიები იმთავითვე გამოცხადდა ქალის მჩაგვრელად. იგივე დამოკიდებულება იყო მაჰმადიანური კონფესიისადმი. ამიტომ, პერიოდულ გამოცემებში ჩნდება შესაბამისი პუბლიკაციები: „როგორც სხვა რელიგიებში, მაჰმადიანებშიაც ქალი არა წმინდა არსებად არის წარმოდგენილი. მისი დაბადებისას ოჯახში საშინელი მწუხარება დატრიალდება და ზოგჯერ ახალშობილის სიკვდილითაც მთავრდება. ქალი მაჰმადიანებში მუდამ მამაკაცის მონად იყო მიჩნეული. მას ამუშავებდნენ, კაცი კი არ მუშაობს, ამიტომ ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ქალი ჰყავდეთ, რომელსაც ისინი ყიდვით ან მოტაცებით იძენენ. მაჰამდიანურ ხალხში, ქალს ისე ჰყიდდნენ როგორც პირუტყვს, მას ნება არა აქვს უჩადროდ იაროს და უამისოდ გარე პირებს შეხვდეს. ახლა, საბჭოთა კავშირში შემავალი მუსულმანი ქალები დღეს გამოფხიზლების გზაზე არიან დამდგანრი, ჩადრახდილი მუსულმანი ქალებით სავსეა სხვადასხვა სკოლები, პარტსკოლები, ინსტიტუტები (მებრძოლი №1 1930: 14). საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცხადებული ანტირელიგიური ბრძოლა რომ ადათწესების წინააღმდეგ ბრძოლას ითვალისწინებდა უდაოა. აგიტაცია „მუკის" მიერ ამ კუთხით, ყოველთვის წარმოებდა. განსაკუთრებული უპირატესობით ე.წ. ემანსიპირებული უღმერთო ქალბატონები იმ ტრადიციებზე საუბრობდნენ, რომელშიც ერთის შეხედვით, მუსულმან ქალთა ჩამორჩენილობასა და ჩაგვრას ხედავდნენ. მაგალითისთვის: „1940 წ. მასტურა ავეზოვას მოწოდებით, მცირე აზიაში გაიშალა მასობრივი ბრძოლა „ფარანჯის" წინააღმდეგ. მიტინგებსა და შეკრებებზე ქალები იძრობდნენ საძულველ „შავ ტომარას". იმავე დღეს,

ქალაქ ოშში, ქალებმა აანთეს უზარმაზარი კოცონი, რათა სამუდამოდ მოესპოთ მოგონება სამარცხვინო ტრადიციაზე" (უღმერთო №9-10 1940: 5). მაჰმადიანობის წინააღმდეგ ბრძოლა, რთულად მიმდინარეობდა აჭარის რეგიონში, სადაც კარგად მომზადებულ „მუკის წევრებსაც კი უჭირდათ მოქმედება და ამას ხაზგასმით აღნიშნავდნენ(სუიცა ფ1547 საქმე 160: 42). თუმცა როგორც ზემოთ დავინახეთ, საყოველთაო დაწყებითი სწავლის შემოღების ხარჯზე განვითარებული მოვლენებით, აჭარის რეგიონში ქალბატონებმა გაცილებით ადრე მოიხსნეს პირბადე, რაც „მუკის" უდაო წარმატებადაც შეიძლება მივიჩნიოთ. მიუხედავად ამისა, მაინც, 1936 წლის მონაცემებით, არაერთ პარტიულ ოჯახში, მაჰმადიანური წესისამებრ მონათვლა მიმდინარეობდა(სუიცა ფ1547 საქმე 160: 15). აჭარის მრავალეროვან მოსახლეობაში, ანტირელიგიური საქმიანობის წარმოება რთული იყო, მაგრამ როგორც დავინახეთ განხორციელდა; ანტირელიგიური საქმიანობის გაშლის ფონზე, რელიგიური სექტანტობა ძლიერდებოდა. „მუკის" მონაცემებით, საქართველოში, 1934 წელს 420 ყველა რელიგიის ეკლესიაა, 1936 წლისათვის კი მათი რიცხვი 404-ია. მღვდელმსახურები, 1934 წელს 514-ია, ხოლო 1936 წლისათვის კი 489. სხვადასხვა სექტები რაოდენობრივად 1934 და 1936 წლებშიც 32-ია, ასევე სექტების წევრები 1934-1936 წლებში იყო და დარჩა 7058(სუიცა ფ1547 საქმე 158: 9). სექტანტების ცხოვრებში, საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ მეთვალყურის როლს ასრულებდა. მაგალითისთვის, საქართველოს მუკის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე, მიუხედავად იმისა რომ აღნიშნავს, რელიგიური სექტების მათ შორის ბაფტისტების გააქტიურებას, 1936 წლის ანგარიშში ამატებს, რომ „რელიგიური სექტების ბოლომდე შესწავლის საქმე, ჯერჯერობით არაა ბოლომდე განხორციელებული" (სუიცა ფ1547 საქმე 158: 2).

რელიგიასთან ბრძოლა, „მუკის" მიერ სხვადასხვა წლებში მეტნაკლები წარმატებით ხორციელდებოდა. საბჭოთა ხელისუფლებამ მისი პოტენციალი პირველ რიგში ძირეულ რელიგიურ აღმსარებლობებს დაუპირისპირა, რათა თავიდან აეცილებინა ყოველგვარი ეროვნულობის გაღვივება. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის", როგორც იდეალური დამკვირვებლისა და ინფორმატორის როლი, თანდათან ამოიწურა, როგორც კი მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ, საბჭოთა კავშირმა გაიმაგრა პოზიციები და სოციალიზმის განხორციელების იდეით აღჭურვილი დანარჩენ მსოფლიოს დაუპირისპირდა. საბჭოთა კავშირი, როგორც ერთერთი უკანასკნელი იმპერია მსოფლიო ისტორიაში ცდილობდა გაეხანგრძლივებინა თავისი არსებობა და წინ აღსდგომოდა

მსოფლიო პრაქტიკასა და გამოცდილებას, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი იმპერია ნგრევისა და განადგურებისთვის იყო განწირული.

დასკვნა

ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკის გასატარებლად, ''მებრძოლ უღმერთოთა კავშირის'' საბჭოთა სინამდვილეში აღმოცენება სავსებით რეალურად ასახავს გასული საუკუნის იმ პერიოდს, რომელმაც საქართველოს, როგორც ქვეყნის სამომავლო განვითარებაზე უდიდესი როლი ითამაშა. დასრულდა ერთი, საკმაოდ მკაცრი ეტაპი ქართველი ერის განვითარების ისტორიაში ცარიზმის სახით და დაიწყო მეორე, რომელმაც შთანთქა ეროვნული დამოუკიდებლობის განხორციელების იდეა ათეული წლების განმავლობაში. არაერთგზის აღინიშნა რომ, მეფის რუსეთის მიერ წარმოებული პოლიტიკა არაფრით განსხვავდებოდა სხვა დამპყრობლების პოლიტიკისგან, რომელთა გავლენის ქვეშიდან გასათავისუფლებლად ქართველმა მონარქმა ბედი რუსეთის იმპერიას დაუკავშირა გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე. ტრაქტატის დარღვევისა და შეუსრულებლობის შედეგად, საქართველო არათუ მეფის გარეშე დარჩა, არამედ რუსიფიკატორული პოლიტიკის სავალალო შედეგებსაც იმკიდა წლების განმავლობაში. ქართველი ერი მუდმივად ბრძოლისა და თვითგადარჩენის ინსტინქტით საზრდოობდა. იმ დროს როცა ევროპული მოწინავე საზოგადოება განვითარებისა და წინსვლის სხვა სიმაღლეებს სწვდებოდა, ქართველ ერს უწევდა ებრძოლა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის. როგორც ავსტრიელი მწერალი, ''ვეფხისტყაოსნის'' მთარგმნელი ჰუგო ჰუპერტი (1902-1982) ''თბილისის აპოლოგიაში'' წერდა, ''თბილისი რომ არა, შესაძლოა ვენაში ტაძრის ნაცვლად მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების მანძილზე ჯალალ ედ დინები, ჩინგიზხანები და სხვა აღმოსავლელი სულთნები და შაჰები. თბილისი იდგა როგორც ევროპის ციხესიმაგრე, საიდანაც მთელი საქრისტიანოს მტრები სისხლისგან დაცლილნი და დასუსტებულნი თუ აღწევდნენ ევროპამდე''. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ავტორს, თუმცა, გეო-პოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო მეზობელი რუსეთის ინტერესის არეალში მოხვდა, ეს უკანასკნელი კი როგორც იმპერია ძალას იკრებდა.

რუსეთთან დაკავშირებამ საქართველოს მოუტანა ცვალებადი სიმშვიდე, თუმცა ისევ და ისევ პოლიტიკური გავლენებისა და რუსიფიკატორული იდეოლოგიის დამკვიდრებამ, ქართველი ერი ახლა უკვე ერთმორწმუნე რუსეთის უღელქვეშ შეაბა. გაგვიუქმეს ტრადიციული, საუკუნეების მანძილზე მოტანილი მონარქია, წაგვართვეს ავტოკეფალია, ეცადნენ დაეყოთ და დაენაწევრებინათ სახელმწიფო შიგნით, მიუხედავად იმისა რომ საზღვრების საკითხი მეტ-ნაკლებად ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდა. არც ის გვავიწყდება რომ, არც მოლაპარაკებებისას იქნა გათვალისწინებული ქართველი ერის ისტორიული ნება – შედეგად კი ჩვენი კუთვნილი ტერიტორიები მეზობელი ქვეყნების საზღვრებში აღმოჩნდა.

ქართველი ხალხის სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ მეფის რუსეთის პირობებშიც კი აჯანყებებითა და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობებით გამოირჩეოდა, საზოგადოების რჩეული ნაწილი უბრალო მშრომელ მასასა და გლეხობასთან ერთად ერთხმად გმობდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას, ილაშქრებდა მათ მიერ ქართულ სამოციქულო ეკლესიის დაკნინების მცდელობების წინააღმდეგ, ანუ, უწევდა ისეთი ტიპის ქმედებები, რომელიც სულ რამოდენიმე ათეული წლით ადრე განსხვავებული კონფესიის დამპყრობლების და არა ერთმორწმუნე ერის წინააღმდეგ იყო მიმართული.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, რუსეთის იმპერია და ცარიზმი თავისი სოციალური სტრუქტურითა და დრომოჭმულობით კრახისთვის იყო განწირული. მითუმეტეს რომ ახალი დროებისა და ახალი გამოწვევების საწინააღმდეგოდ, მეფის რუსეთს წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით შეეძლო. იმპერია ასე სისხლისგან იცლებოდა. შედეგმაც არ დააყოვნა და ცარიზმი დაემხო, მთელი რიგი მცდელობების შემდეგ, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, ქართველმა ერმა ნანატრი დამოუკიდებლობა მოიპოვა, თუმცა, სიხარული არც თუ ხანგრძლივი აღმოჩნა და ქართველი ისევ რუსული ჩექმისა და გავლენის ქვეშ მოექცა. ვფიქრობთ, 1921 წელს განვითარებული მოვლენების შემდგომ, ქართველი ერის ფორმირება, სრულებით განსხვავებულ ნიადაგზე წარმართა, რომელიც არამც და არამც არ იყო მყოობადი ქართველისათვის. მით უფრო რომ, ახალი კომუნისტური წყობა ათეისტური სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე დადგა.

მეფის რუსეთის კრახს წინ უძღოდა სოციალისტური იდეოლოგიის გავრცელება რუსეთისა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, რომელმაც ყველაზე მეტი გავლენა

მოიპოვა უბრალო მასებს შორის, რომელთა ჩაგვრაც ათეული წლების მანძილზე დაუსჯელად გრძელდებოდა. ასე შეეწყო ხელი საქართველოში მენშევიკური, რუსეთში კი საბოლოოდ ბოლშევიკური ხელისუფლების მოსვლას, რომლებიც ანტირელიგიურ საკითხში თანხვედრაში მოდიოდნენ როგორც დავინახეთ. მენშევიკური მთავრობის წასვლა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში, პირველ რიგში ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატა. ვინაიდან და რადგანაც, ბოლშევიკებმა ანტირელიგიური მუშაობა დაუქვემდებარეს პარტიის გენერალურ ხაზს, წინააღმდეგობის გაწევა ცოტას თუ შესწევდა, არამედ პირიქით, თვითგადარჩენის ინსტიქტმა მრავალი ქართველი ანტირელიგიურ კამპანიაში ჩააბა. გამოდიოდა სხვადასხვა სახის ჟურნალ-გაზეთები, მათ შორის ყველაზე ცნობილი იყო ''საქართველოს უღმერთო'', რომლის რედაქტორი ქართველი, სილიბისტრო თოდრია გახლდათ. ქართველებმაც გაითავისეს მთელი რიგი ლოზუნგები და იწამეს რომ ''ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ – ბრძოლაა სოციალიზმისათვის'', რადგან ''რელიგია აფერხებს კულტურულ მშენებლობას'';

ისტორიულმა მოვლენებმა, რომლებმაც საქართველოს ბედი მეზობელი რუსეთის ბედს დაუკავშირა, მთლიანად განსაზღვრა ქართველი ერის რელიგიურ-კულტურული და პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარება. და რომ არა ქართული კულტურისა და ისტორიის თვითმყოფადობა, ძირეული ფასეულობები, რომლებიც ქართველი ერის წიაღში ჯერ კიდევ არსებობდა, რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით ნამდვილად აღმოიფხვრებოდა. თანაც, საბჭოთა რუსეთმა, უამრავი მცდელობისა და ადამიანური მსხვერპლის ხარჯზე, მაინც ვერ შეძლო ამ ქვეყნადვე რელიგიის უგულვებელყოფით სამოთხის მსგავსი სახელმწიფოს აშენება. სოციალიზმის განხორციელება მათი მოძღვრებით მხოლოდ და მხოლოდ უტოპიაა, ვინაიდან იგი არ შეიცავდა ძლიერ ეკო-ნომიკურ სტრუქტურას, რასაც პირველ რიგში საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა ნებაყოფლობით უნდა მოეპოვებინა. იძულების წესით თავს მოხვეული სოციალიზმი, კოლექტივიზაცია და მთლიანად „კულტურული რევოლუცია'' არ შეიძლებოდა წარმატებით განხორციელებულიყო მრავალეროვან სახელმწიფოში, სადაც ერები ანექსიის ძალით გააერთიანეს, ესეც არ აკმარეს და დაიწყეს დევნა რელიგიური ნიშნით, რათა არ დაეშვათ ეროვნული ინტერესების გაღვივება. მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ცალკეული ერების მიერ უდიდესი მონდომებით, მიღწეულ იქნა დამოუკიდებლობა. საქართველოს მაგალითზე ეს პროცესები კარგადაა ცნობილი. სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლების იმპერიალისტურ ზრახვებს, რომელთა

განხორციელებას სათავეში არაერთი ქართველი ედგა, ქართველმა ერმა ისტორიული კანონზომიერებით ძლივს მოპოვებული ეროვნული დამოუკიდებლობა, თუნდაც სოციალისტ-დემოკრატებით სათავეში 1921 წელს დაკარგა. ამის შემდგომ განვითარებულ პროცესებს სტიქიური ხასიათი მიეცა. ეროვნულმა ჩაგვრამ განსხვავებული, უფრო შენიღბული სახე მიიღო. უმთავრეს ენად რუსული ცხადდებოდა, მოგვიანებით, ქართული ენის საერთოდ ხმარებიდან ამოღების კულმინაციას, ეროვნულად განწყობილთა ანტირუსული ხასიათის მღელვარება მოჰყვა, რითაც საბჭოთა მთავრობამ კარგად დაინახა, რეფორმის შეუძლებლობა და უკან დაიხია. მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ განხორციელებული ბრძოლის პერიპეტიები კარგად აისახა „მებრძოლ ურმერთოთა კავშირის" ქართული ფილიალის მუშაობაში, რომლის გადმოცემაც ვფიქრობთ მოვახერხეთ. 1928 წელს ოფიციალურად დაფუძნებული ანტირელიგიური ორგანიზაცია, 1947 წლამდე, ანუ მის გაუქმებამდე, საბჭოთა ხელისუფლების ხელში ოქტომბრელების, პიონერების, კომკავშირელების, კომპარტიელების საქმიანობის პარალელურად შესანიშნავი იდეოლოგიური იარაღის როლს ასრულებდა. მუშაობდა რა ვიწრო ანტირელიგიური კუთხით, მეტი დაკვირვებისა და ამ დაკვირვებებზე რეაგირების საშუალება ჰქონდა. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი" მასიური „ნებაყოფლობითი" ორგანიზაცია იყო საბჭოთა კავშირის წიაღში, რომლის არსებობის შესახებ, მისი გაუქმების შემდგომ, კარგა ხანს არავინ წერდა. საქართველოში „მუკის" ორგანიზაციას უამრავ სირთულესთან მოუწია შეჯახება. ქართველ ერში რელიგიური აღმსარებლობა უმთავრესი ისტორიული მონაპოვარი იყო. აქ ძნელი იყო რელიგიასთან ბრძოლა, რადგან ქართველ ერს სისხლში ჰქონდა დღიდან ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის მქონე ისტორიულ მტრებთან ბრძოლა.

მეფის რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა კოლონიალურმა რეჟიმმა, რომელიც მიმართული იყო ქართველი ერის გარუსებისკენ და საერთო-სარუსეთო ინტერესებიდან გამომდინარე, იმპერიალისტური გეგმების განხორციელებისაკენ, უკუშედეგი გამოიწვია. როგორც ყველა იმპერია, რომლის არსებობის გახანგრძლივებას არა მხოლოდ მეთაურის სტრატეგიული ხედვა, არამედ მსოფლიოში არსებული სხვა სახელმწიფოების ინტერესთა შეჯახება განსაზღვრავს, რუსეთიც ამ ინტერესებს შეეწირა. თუმცა საერთო ეკონომიკურმა და სოციალურმა ფონმა რომლის გამოსწორებაც თითქმის შეუძლებელი იყო, რევოლუციების გამომწვევი

მიზეზი გახდა. შედეგად, რუსეთის სამეფო დინასტია დაემხო და მის ნაცვლად ახალი, კვლავ იმპერიული მიზნებით განწყობილი მთავრობა მოვიდა. დამყარდა საბჭოთა წყობილება. ისტორიული მონაკვეთი, რომლის დროსაც საქართველო დამოუკიდებლად არსებობდა, ძალზედ მცირე აღმოჩნდა იმისთვის, რომ ქვეყანას საერთაშორისო მხარდაჭერა მოეპოვებინა და ამის ხარჯზე, თავიდან აეცილებინა გასაბჭოება. კომუნისტურმა რუსეთმა, საქართველოს ანექსია მოახდინა და საქართველოს ის პოლიტიკური წყობა მოახვია თავს, რომელიც აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის ისტორიულ ვითარებას. ყველაზე მეტად მტკივნეული საქართველოსთვის სოციალისტური წყობიდან გამომდინარე ანტირელიგიური პოლიტიკა იყო, რომელიც როგორც ვნახეთ ჯერ მენშევიკურმა მთავრობამ, შემდეგ კი ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახვია თავს ქართულ საზოგადოებრიობას. საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული მიზნები, ანტირელიგიური კამპანიის წარმოებას გაცილებით მაღალ დონეზე ითვალისწინებდა. ამიტომაც, შეიქმნა ორგანიზაცია „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" სახით, რომლის იდეურ-პოლიტიკური დანიშნულება ათეული წლების მანძილზე არსით რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლას ხმარდებოდა. ლენინ-სტალინისეული „კულტურული-რევოლუცია", რომელიც საბჭოთა ერის ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა, ვერაფრით განხორციელდებოდა, რომ არა ისეთი სახის ორგანიზაცია, როგორიც „მუკი" გახლდათ. იგი ხომ უბრალო მასებთან დიალოგის მისიასაც ითავსებდა, თუმცა როგორც საბჭოთა მოვლენა, ტერორისა და დაშინების ბერკეტებსაც არანაკლებ ფლობდა. 1928-1947 წლების მანძილზე, საქართველოსა და დანარჩენ საბჭოეთში, „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" მიერ განხორციელებულ სადამსჯელო ღონისძიებებს, სხვადასხვა ერთა სულიერი ფასეულობების შეფასება-გადაფასების პროცესი მოჰყვა, რომლის დროსაც, რომ არა ამა თუ იმ კონფესიების სულიერი მამამთავრებისა და განსაკუთრებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურთა მიერ გაწეული შრომა, რელიგიური აღორძინების პროცესი შესაძლოა საერთოდ აღარ განხორციელებულიყო და ვერც მრევლის თანდათანობით ეკლესიის წიაღში დაბრუნება მოჰყოლოდა პოსტუღმერთობის პერიოდს. ასეა თუ ისე, „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" წარმატებანი საბჭოთა სინამდვილეში იმავე გზით წარიმართა, რომლითაც თვით საბჭოთა წყობა და საერთოდ, ათეისტური კომუნიზმი განვითარდა.

საბჭოთა კავშირის სტალინის შემდგომმა ლიდერებმა, მიუხედავად ქართველებისადმი მტრული დამოკიდებულებით ვერ განსაზღვრეს ის პოტენციალი,

რომელიც სამომავლოდ დისიდენტურ მოძრაობაში გადაიზარდა მთელ საბჭოთა კავშირში და საბოლოოდ მისი რღვევა გამოიწვია სხვა გარემოებებთან ერთად. მოსკოვი, როგორც „მესამე რომი" არ შედგა, მიუხედავად იმისა, რომ ვისიცაა ძალაუფლება მისი იყო რელიგიაც" (РОСТИСЛАВОВИЧ-ШАФАРОВИЧ 1998;). საჭიროა ითქვას, რომ „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის მიერ განხორციელებული ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკა მაინც ნაყოფიერი იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის იმ პერიოდში. მასიურმა ათეიზმა, მოსახლეობა დააცილა ეკლესიას, მრევლი შემცირდა და რომ არა სასულიერო პირთა უდიდესი თავგანწირვა, ქრისტიანული სიტყვა საერთოდ გამოიდევნებოდა ქართული ცნობიერებიდან. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირმა მოახერხა" ქართველი კაცის ფსიქიკაში სამღვდელოებისა და ეკლესიის მიმართ უნდობლობის დათესვა, მათი დისკრედიტაციის გზით. შედეგად, დღესდღეობითაც, არაერთი კუთხის ეთნოგრაფიული მონაცემებით, რელიგიური არცოდნიდან გამომდინარე, მოსახლეობა ერთმანეთში ურევს წარმართულ და ქრისტიანულწეს-ჩვეულებებს და ამით ეკლესიის მიერ მკაცრად დადგენილ ტიპიკონს უგულვებელყოფს.

მიუხედავად ყველაფრისა, საბჭოთა კავშირის ანტისარწმუნოებრივმა პოლიტიკამ, არათუ ვერ გადალახა და ვერ აღმოფხვრა მაღალკულტურული ქრისტიანული რელიგია, არამედ სხვა, გაცილებით გვიან აღმოცენებული კონფესიების წინააღმდეგ ბრძოლაც ვერ დაასრულა წარმატებით, ვერ მოშალა ის ტრადიციები, რომლებიც ამა თუ იმ ერში ყოველთვის სარწმუნოებრივი რწმენა-წარმოდგენებიდან მომდინარეობდა. სამაგიეროდ, ვითომდაც, „რელიგიის სააქმეებში ჩაურევლობით" გზა გაუხსნა სხვადასხვა სახის სექტანტიზმსა და გაუკუღმართებულ წეს-ჩვეულებებს ცალკეულ ერებში. საბჭოურ სოციალისტურ წყობას ვერ შესწევდა ძალა აღმოეფხვრა სოციალური პრობლემები, წლების მანძილზე ამ სისტემის მიერ შექმნილ კორუფციულ სტრუქტურასთან ბრძოლა დღესაც აქტუალურია. სოციალური პრობლემების მოგვარებით რელიგიური იდეოლოგიის ხალხისთვის ჩამოშორების ლოზუნგი, ისევე როგორც სხვა მრავალი ლოზუნგი საბჭოეთის სინამდვილეში, მხოლოდ და მხოლოდ იდეის დონეზე, უტოპიის ჩარჩოში დარჩა.

შემოკლებების განმარტება

სუიცა - საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი;

ქსე - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

ქცსა - ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი;

ბიბლიოგრაფია

1) ათეიზმი 1910; ''ათეიზმი'', გამომცემლობა ''შინაური საქმეების რედაქცია'' ქუთაისი 1910.

2) ალექსი ბერი (შუშანია)1919; ბერი ალექსი (შუშანია), ''უღმერთოება ბუნების უარყოფაა''., გამომცემლობა თბილისი, 1919.

3) ამერიკის ... 1994; ''ამერიკის ისტორიის ესკიზები'', გამომცემლობა აშშ საინფორმაციო სააგენტო, 1994.

4) ბენდელიანი 2000; მ. ბენდელიანი, „საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სარწმუნოებრივი პოლიტიკა'' თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის ფილიალის გამომცემლობა 2000.

5) ბენდელიანი 1999; მ. ბენდელიანი, „საქართველოს ეკლესია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში'', თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის ფილიალის გამომცემლობა 1999.

6) ბენდიანიშვილი 1971; ა. ბენდიანიშვილი, „სოციალისტური რევოლუციის წინამძღვრები საქართველოში'', გამომცემლობა ''მეცნიერება'', თბილისი, 1971.

7) გეგეშიძე 1986; დ. გეგეშიძე, „საქართველოში რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობის ბურჟუაზიულ-კლერიკალური ფალსიფიკაციის კრიტიკა'', გამომცემლობა ''საბჭოთა საქართველო'' თბილისი, 1986.

8) გურული 1998; ვ. გურული, „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და რუსეთის მეხუთე კოლონა (1917-1921)'', გამომცემლობა ''ინტელექტი'', თბილისი, 1998.

9) გურული, ვაჩნაძე 1999; ვ. გურული მ. ვაჩნაძე „ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია'', გამომცემლობა ''მერიდიანი'', თბილისი, 1999.

10) გურული 2000; ვ. გურული, „სტალინის დიდი ექსპერიმენტი’’, გამომცემლობა ‘’მერიდიანი’’, თბილისი, 2000.

11) დედაბრიშვილი 1961; გ. დედაბრიშვილი, „XVIII ს-ის ფრანგი მატერიალისტების ათეისტური შეხედულებანი’’, საქართველოს სსრ პოლიტ და მეცნიერებათა ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, თბილისი, 1961.

12) ექო 2002; ყოველკვირეული, საზოგადოებრივ პოლიტიკური გაზეთი „ექო’’, რედაქტორი გენო ჯოხიძე, 10-16 სექტემბერი, თბილისი 2002.

13) ვეკუა 1962; გ. ვეკუა, „ათეისტის თანამგზავრი’’, ‘’ქრისტიანული დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ’’, გამომცემლობა ‘’საბჭოთა საქართველო’’, თბილისი, 1962.

14) თოიძე 1990; ლ. თოიძე, „25 თებერვლის შემდეგ’’, გამომცემლობა ‘’მეცნიერება’’, თბილისი, 1990.

15) თოიძე 1991; ლ. თოიძე, „ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი ოკუპაციაც, ფაქტობრივი ანექსიაც’’, გამომცემლობა „ივერთა მხარე’’ თბილისი 1991.

16) თოიძე 1999; ლ. თოიძე, „საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923წწ)’’, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1999.

17) ინაური 1987; ა.ნ. ინაური, „ფარი-საიმედო, მახვილი-ბასრი’’(საქართველოს ჩეკისტები დიდი ოქტომბრის მონაპოვარის სადარაჯოზე)’’, გამომცემლობა ‘’საბჭოთა საქართველო’’, თბილისი, 1987.

18) ლენინი 1962; ვ.ი. ლენინი, თხზულებები, გამომცემლობა ‘’საბჭოთა საქართველო’’გამოცემა მე-4, ტომი 2-ე – ტომი 23 – ე, თბილისი 1962.

19) ლენინი 1962; ვ.ი., ლენინი, თხზულებები, გამომცემლობა ‘’საბჭოთა საქართველო’’ გამოცემა მე-4, ტ., 23. თბილისი 1962 (არაა საჭირო ამის გამეორება)

20) ლორთქიფანიძე 1997; გ. ლორთქიფანიძე, ნ. ჩიქოვანი, „ქართული კულტურის ისტორია’’, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1997.

21) მახარაძე 1924; ფ. მახარაძე, „თხზულებათა კრებული’’, ტ. IV, გამომცემლობა ‘’ტფილისი სახელგამი’’, ტფილისი 1924.

22) მებრძოლი №1 1932: „მებრძოლი უღმერთო", პასუხისმგებელი რედაქტორი სარედაქციო კოლეგია, ორკვირეული სურათებიანი ანტირელიგიური ჟურნალი, №1 იანვარი, თბილისი 1932.

23) მებრძოლი №3 1932; „მებრძოლი უღმერთო" პასუხისმგებელი რედაქტორი სარედაქციო კოლეგია, ორკვირეული სურათებიანი ანტირელიგიური ჟურნალი, №3 მარტი, თბილისი 1932.

24) მებრძოლი №4 1932; „მებრძოლი უღმერთო" პასუხისმგებელი რედაქტორი სარედაქციო კოლეგია, ორკვირეული სურათებიანი ანტირელიგიური ჟურნალი, №4, აპრილი 1932.

25) მეტრეველი 2000; რ. მეტრეველი, „საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები", გამომცემლობა ნიკერი, 2000.

26) მინაშვილი 1995; ლ. მინაშვილი, „ილია ჭავჭავაძე", გამომცემლობა "მწიგნობარი" თბილისი 1995.

27) მოამბე 1924; „მოამბე", სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი, საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო, მაისი №5, თბილისი,

28) მოწამეთა 1990; გაზეთი „მოწამეთა" №7-8., ივნის-აგვისტო, ქუთაისი, 1990.

29) მუმლაძე 1993; ც. მუმლაძე, „ტრიფონ ჯაფარიძე", გამომცემლობა "სარანგი", ქუთაისი, 1993.

30) მუშა ...1923; სარედაქციო კოლეგია, ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის და საგუბერნიო რევკომის ორგანო, გაზეთი „მუშა და გლეხი", 4 მარტი, 1923.

31) ომეგა 2000: ჟურნალი „ომეგა", მთავარი რედაქტორი როსტომ ჩხეიძე, სტატიის ავტორი ნიკო ჯავახიშვილი, "ბონებით დაწერილი ისტორია"; სტამბა "ომეგა თეგი", №8, აგვისტო 2000.

32) ომეგა 2002; ჟურნალი„ომეგა", მთავარი რედაქტორი როსტომ ჩხეიძე, სტატიის ავტორი ელგუჯა თავბერიძე, "რეკვიემი ცოდვილთათვის"; სტამბა "ომეგა თეგი", №11, ნოემბერი 2002 .

33) პავლიაშვილი 2000; ქ. პავლიაშვილი, „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში", თსუ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტე, თბილისი, 2000.

34) ჟორდანია 1990; ნ. ჟორდანია, „რჩეული ნაწერები", გამომცემლობა "საქართველო", თბილისი, 1990.

35) რელიგიის 1957; სტატიების კრებული, "რელიგიისა და ათეიზმის საკითხები", გამომცემლობა "სახელგამი", თბილისი, 1957.

36) როგავა 1994; გ. როგავა, „როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში XX ს-ის 20-30 –იან წლებში", თილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1994.

37) რცხილაძე ...1994; ვ. რცხილაძე, „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ II მსოფლიო ომში", გამომცემლობა "განათლება", თბილისი, 1994.

38) საბჭოთა...1938; „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული", №41, 23 სექტემბერი, 1938.

39) საბჭოთა ...1977; „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია", „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია", გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბილისი 1977.

340) სარკე 2004: ყოველკვირეული ჟურნალი „სარკე", 24-30 მარტი, 2004.

41) საქართველოს...1990; „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული" (1918-1921), გამომცემლობა "ივერთა მხარე", თბილისი, 1990.

42) საქართველოს...2003; „საქართველოს ისტორია XX საუკუნე" 2003; „საქართველოს ისტორია XX საუკუნე", გამომცემლობა თსუ "არტანუჯი" თბილისი 2003.

43) საქართველოს...1972; რედაქტორი აკაკი სურგულაძე, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", ტომი VI, თბილისი 1972.

44) საქართველოს ...1976; „საქართველოს ისტორიის ნარკვევები'', გამომცემლობა ''საბჭოთა საქართველო'', ტომი VII, თბილისი 1976.

45) საქართველოს №1 1930; ჟურნალი „საქართველოს უღმერთო'' №1, 25 ივნისი თბილისი 1930.

46) საქართველოს №2-3 1930; ჟურნალი „საქართველოს უღმერთო'' №2-3, 15 ივლისი თბილისი 1930.

47) სკკპ ...1954; „სკკპ რეზოლუციები'', ნაწ I, გამომცემლობა ''სახელგამი'', 1954.

48) სკკპ ...1962; „სკკპ რეზოლუციები'', ნაწ IV, გამომცემლობა ''საბჭოთა საქართველო'' 1962.

49) სკკპ 1963; „სკკპ რელიგიის შესახებ'' გამომცემლობა ''საბჭოთა საქართველო'', თბილისი 1963.

50) სკკპ 1954; „სკკპ, ყრილობები, კონფერენციები და ცენტრალური პლენუმების, რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში'', ნაწ. I, გამომცემლობა ''სახელგამი'', თბილისი 1954.

51) სსრკ 1973; „სსრკ კომპარტიის ისტორია'', გამომცემლობა ''განათლება'', თბილისი 1973.

52) სურგულაძე 1991; პ. სურგულაძე, „ქართული პარლამენტის სათავეებთან'', გამომცემლობა ''ცოდნა'', თბილისი 1991.

53) უღმერთო 1934; გაზეთი „უღმერთო'', საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №1, იანვარი, 1934.

54) უღმერთო 1934; გაზეთი „უღმერთო'', საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №1, ნოემბერი, 1934.

55) უღმერთო 1934; გაზეთი „უღმერთო", საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №12, დეკემბერი 1934.

56) უღმერთო 1935; გაზეთი „უღმერთო", საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №1, იანვარი 1935.

57) უღმერთო 1935; გაზეთი „უღმერთო", საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №5, მაისი 1935.

58) უღმერთო 1935; გაზეთი „უღმერთო", საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №6, ივნისი 1935.

59) უღმერთო 1935; გაზეთი „უღმერთო", საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №7, ივლისი 1935.

60) უღმერთო 1935; გაზეთი „უღმერთო", საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №9, სექტემბერი 1935.

61) უღმერთო 1936; გაზეთი „უღმერთო", საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №9, სექტემბერი 1936.

62) უღმერთო №7, 1928; „უღმერთო", ჟურნალი, საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №7, აპრილი 1928.

63) უღმერთო №11, 1928; „უღმერთო"., ჟურნალი, საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №11, ივნისი 1928.

64) უღმერთო №13, 1928; „უღმერთო", ჟურნალი, საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №13, ივლისი 1928.

65) უღმერთო №15 1928; „უღმერთო", ჟურნალი, საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №15, აგვისტო, 1928.

66) უღმერთო №18 1928; „უღმერთო", ჟურნალი, საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №18, ოქტომბერი, 1928.

67) უღმერთო №19 1928; „უღმერთო", ჟურნალი, საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №19, ოქტომბერი 1928.

68) უღმერთო №20 1928; „უღმერთო", ჟურნალი, საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №20, ოქტომბერი 1928.

69) უღმერთო №24 1929; „უღმერთო", ჟურნალი, საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №24, 1929.

70) უღმერთო №2 1929; „უღმერთო", ჟურნალი, საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №2, 1929.

71) უღმერთო №10 1929; „უღმერთო", ჟურნალი, საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №10, 1929.

72) უღმერთო №2 1928; „უღმეღთო", ჟურნალი, საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №2, 1928.

73) უღმერთო №9-10 1940; „უღმერთო'', ჟურნალი, საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №9-10 სექტემბერ-ოქტომბერი 1940.

74) უღმერთო №5 1930; „უღმერთო'', ჟურნალი, საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, №5 1930.

75) უღმერთო დაზგასთან 1929: „უღმერთო დაზგასთან'', საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის გამოცემა, №12, 1929.

76) ქართული 1997; „ქართული კულტურის ისტორია'', გ. ლორთქიფანიძე, ნ. ჩიქოვანი, უნივერსიეტის გამომცემლობა, თბილისი 1997.

77) ქართული ...1977; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, მთავარი რედაქტორი ი. აბაშიძე, გამომცემლობა ''მთავარი სამეცნიერო რედაქცია'', ტ. II, თბილისი 1977.

78) ქართული ...1977; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, მთავარი რედაქტორი ი. აბაშიძე, გამომცემლობა ''მთავარი სამეცნიერო რედაქცია'', ტ. III, თბილისი 1977.

79) ქართული ...1980; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, მთავარი რედაქტორი ი. აბაშიძე, გამომცემლობა ''მთავარი სამეცნიერო რედაქცია''ენციკლოპედია, ტ. V, თბილისი 1980.

80) ქართული ...1983; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, მთავარი რედაქტორი ი. აბაშიძე, გამომცემლობა ''მთავარი სამეცნიერო რედაქცია''ენციკლოპედია, ტ. VI თბილისი 1983.

81) ქართული ...1987; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, მთავარი რედაქტორი ი. აბაშიძე, გამომცემლობა ''მთავარი სამეცნიერო რედაქცია''ენციკლოპედია, ტ. XI თბილისი 1987.

82) ქრისტიანობა 1936; „ქრისტიანობა'', „მუკის'' ცენტრალური საბჭო, გამომცემლობა საქართველოს ''მუკის'' ''ცენტრალური საბჭო'' 1936.

83) შველიძე 1993; დ. შველიძე, „ფედერალისტები'', გამომცემლობა ''არსი'', თბილისი 1993.

84) ჯავახიშვილი 1984; ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ VIII, ''თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა'' თბილისი 1984.

85) ჯაფარიძე 2003; ა. ჯაფარიძე, „საქართველოს საეკლესიო კრებები'', საქართველოს ეკლესიის მიმდინარე კრებები (IV-XVIII სს), წიგნი III, თბილისი 2003.

86) ჯორჯაძე 1990; ა. ჯორჯაძე, „სამშობლო და მამულიშვილობა'', გამომცემლობა ''უნივერსიტეტი'', თბილისი 1990.

87) АВТОРХАНОВ 1988; А. АВТОРХАНОВ ,, ИМПЕРИЯКРЕМЛЯ, Советскийтипколониализма'' PROMETEUS –VERLAG, POSTFACH 1746, Federal Republik of Germany 1988 Г.

88) АКАЦИЯ 1903; ''АКАЦИЯ'' 1903 II, Журнал Лучь света''

http://www.apocalypse.ge/usjuloebis_saidumlo_masonebi_1_12.html

89) ВТОРОЙ … 1923; ,,ВТОРОЙ СЪЕЗД КОММУНИСТИЧЕСКИХ ОРГАНИЗАЦИЙ ЗАКАВКАЗИЯ'',

1923Г 19-23 МАРТ, ТИФЛИС 1923.

90) ГРУЗИНСКАЯ … 1980; '' ГРУЗИНСКАЯ СССР В ГОДЫ ВЕЛИКОЙ ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЫ СОВЕТСКОГО СОЮЗА '', ИЗДАТЕЛЬСТВО ''ЗНАНИЕ'', ТБИЛИССИ 1980.

91) ДЕЯТЕЛИ … 1968; '' ДЕЯТЕЛИ ОКТЯБРЯ О РЕЛИГИИ И ЦЕРКВИ '', СТАТЬИ, РЕЧИ, БЕССЕДЫ, ВОСПОМИНАНИЯ, ИЗДАТЕЛЬСТВО ''МЫСЛЬ'', МОСКВА 1968.

92) КОНОВАЛОВ 1974; Р. Н. КОНОВАЛОВ, ,,К МАССОВОМУ АТЕИЗМУ'' ИЗДАТЕЛЬСТВО ''ЗНАНИЕ'', МОСКВА 1974.

93) ЛЕНИН 1956; В. И. ЛЕНИН, ,,О ПРАВЕ НАЦИЙ НА САМООПРЕДЕЛЕНИЕ'', ИЗДАТЕЛЬСТВО ''ЗНАНИЕ'' МОСКВА 1956.

95) МАСОНСКИЕ 1886; ,, МАСОНСКИЕ ИТАЛЬЯНСКИЕ ОБОЗРЕНИЕ'' 1886 Г

http://masons.h16.ru/m4.htm

96) МЕДВЕДЕВ 1990; Р. МЕДВЕДЕВ, ,,ОНИ ОКРУЖАЛИ СТАЛИНА'', ИЗДАТЕЛЬСТВОПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ, МОСКВА 1990.

97) ОКИЛОВ 1967; А. Ф. ОКИЛОВ ,,ВОПРОСЫ НАУЧНОГО АТЕИЗМА'', (сборник статей) ВЫП 4 ., ИЗДАТЕЛЬСТВО ''Мысль'' 1967Г.

98) ПРОИСХОЖДЕНИЕ 1940; ''ПРОИСХОЖДЕНИЕХРИСТИАНСТВА'', СТАЛИНГРАДСКИЙ ОБЛАСТНОЙ СОВЕТ СОЮЗА ВОИНСТВУЮЩИХ БЕЗБОЖНИКОВ,'' КОНСУЛЬТАНТ ПРОПАГАНДИСТОВ '', СТАЛИНГРАД 1940

99) ПРОИСХОЖДЕНИЕ 1956; ''ПРОИСХОЖДЕНИЕХРИСТИАНСТВА'',АКАДЕМИЯ НАУК СССР, МОСКВА 1956.

100) РОСТИСЛАВОВИЧ-ШАФАРОВИЧ 1998; И. М. РОСТИСЛАВОВИЧ-ШАФАРОВИЧ ,,НЕИЗВЕСТНЫЕ СТРАНИЦЫ РУССКОЙ ИСТОРИИ'', МОСКВА 1990.

101) О РЕЛИГИИ 1963; ПОД РЕДАКЦИИ И.И.БРАЖНИК, ,,О РЕЛИГИИ'' ИЗДАТЕЛЬСТВО ГОСПОЛИТИЗДАТ, МОСКВА 1963.

102) О РЕЛИГИИ ...1965; ,,О РЕЛИГИИ И ЦЕРКВИ '' СБОРНИК ДОКУМЕНТОВ, ИЗДАТЕЛЬСТВО ''ПОЛИТИЗДАТ'', МОСКВА 1965.

103) ОСИПОВА 1998; И. ОСИПОВА, ,,СКВОЗЬ ОГОНЬ МУЧЕНИЙ И ВОДЫ СЛЕЗ'' МОСКВА 1998.

104)ПРОХОРОВ 1970; А.М. ПРОХОРОВ, ,,БОЛЬШАЯ СОВЕТСКАЯ ЕНЦИКЛОПЕДИЯ'', ИЗДАТЕЛЬСТВО ''СОВЕТСКАЯ ЕНЦИКЛОПЕДИЯ'', МОСКВА 1970 Г

105)ПРОХОРОВ 1978; А.М. ПРОХОРОВ, ,,БОЛЬШАЯ СОВЕТСКАЯ ЕНЦИКЛОПЕДИЯ'', ИЗДАТЕЛЬСТВО ''СОВЕТСКАЯ ЕНЦИКЛОПЕДИЯ'', МОСКВА 1978 Г

106) ПРОИСХОЖДЕНИЕ ...1925; В. РОЖИЦИН, М ЖАКОВ, ,,ПРОИСХОЖДЕНИЕ СВЯЩЕННЫХ КНИГ'', ЛЕНИНГРАД 1925.

107) ЕРНСТ 1899; Р.ЕРНСТ ,,АПОСТОЛ ПАВЕЛ'' 1899.

http://www.e-reading.ws/book.php?book=48166

http://www.e-reading.ws/bookreader.php/48166/Renan_-_Apostol_Pavel.html

108) УРСЫНОВИЧ 1930; С. УРСЫНОВИЧ, ,,ПРОИСХОЖДЕНИЕ ХРИСТИАНСТВА'' ИЗДАТЕЛЬСТВО ''БЕЗБОЖНИК'', МОСКВА 1930.

109) ქცსა 8659 ფ1 E 192; ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი;

110)ქცსა, ფ 149, აღწ 1 საქმე 380; ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი;

111) ქცსა, ფ 149, აღწ 1 საქმე 381; ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი;

112) სუიცა ფ1547, აღწ 1, საქმე 165; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი;

113) სუიცა ფ1547, აღწ 1, საქმე 3; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი;

114) სუიცა ფ1547, აღწ 1, საქმე 28; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი;

115) სუიცა ფ1547, აღწ 1, საქმე 160; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი;

116) სუიცა ფ1547, აღწ 1, საქმე 162; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი;

117) სუიცა ფ1547, აღწ 1, საქმე 158; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი;

118) სუიცა ფ1547, აღწ 1, საქმე 132; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი;

119) სუიცა ფ1547, აღწ 1, საქმე 138; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი;

120) სუიცა ფ1547, აღწ 1, საქმე 140; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი;

121) სუიცა ფ1547, აღწ 1, საქმე 139; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი;

122) სუიცა ფ1547, აღწ 1, საქმე 158; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი;

123) სუიცა ფ1547, აღწ 1, საქმე 150; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი;

124) სუიცა ფ1547, აღწ 1, საქმე 157; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი;

125) სუიცა ფ1547, აღწ 1, საქმე 165; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი;

126) სუიცა ფ1547, აღწ 1, საქმე 144; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი;

127) სუიცა ფ1879, აღწ 1, საქმე 8; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი;

128) ფ600 აღწ 2, საქმე 581; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი;

129) სრუია საქმე 496, ფურც 13; საქართველოს რესპუბლიკის უახლესი ისტორიის არქივი;